

მაცნე

675-ვ /
1971 / 2

შ61

ენისა და

ლიტერატურის
სერია

2.1971



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 საზოგადოებრივ მეცნიერებათა
 განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
 Отделение общественных
 наук

1565

თბილისი · 1971 · ტბილისი



МАЦНЕ
ВЕСТНИК



Серия
язьика и
литературьі

2.1971

მაცნე



ენისა და
ლიტერატურის
სერია

2. 1971

სარედაქციო კოლეჯი: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი,
შ. ძიციგური (რედაქტორის მოადგილე), გ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигури Ш. В. (заместитель редактора),
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С., Церетели Г. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. გლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, № 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.6.71; შეკვ. № 736; ანაწეობის ზომა 7×11¹/₂;
ქაღალდის ზომა 7×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 15,58; სააღრიცხვო-საკამომცემლო
თაბახი 12,56; უე 01768; ტირაჟი 1500.
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



შინაარსი

წერილები

მ. შვანიძე, ი. ჭავჭავაძის უცნობი წერილები საერთაშორისო საკითხებზე	7
მ. კარბელაშვილი, მეფის ღმრთისწობის იდეის შესახებ ვეფხისტყაოსანში	21
რ. ორბელი, ა. პ. სუმაროკოვის ტრაგედიის „სანაგ და ტრუვერის“ XVIII ს. ქართული თარგმანი	33
ლ. შვარაშაძე, პეტრე უშიკაშვილი — რედაქტორ-გამომცემელი	45
ნ. შამანაძე, მცირე წარღვის ლექსები ქართულ ფოლკლორში	61
მ. ფათევი, ა. დეჰოდის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთი მომენტი	71
მ. ღონანაშვილი, ტექსტობრივი დამოკიდებულების რამდენიმე შემთხვევა ძველი აღიქმის ზოგ ქართულ ხელნაწერში	77
მ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართული (დარგობლივი ლექსებიდან)	83
მ. გუგუშვილი, კახეთის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში	101
მ. ნინუა, — მცა ნაწილაკის ერთი ფუნქციის შესახებ ძველ ქართულში	111
მ. თოფურია, წყალ-ფუძის შესატყვისისათვის ზანურში	115
მ. პრთვილი, სტრუქტურულ-ფორმალური ძიებანი, 2. გორ გუარ (— გვარ) გუარ (— გვერ)	119
მ. შვანიძე, თანხმობითა შეუთავსებლობა გუგუშის სამთაწმომკინიან ძიებებში	127

ცნობები და შენიშვნები

ს. შვანიძე, ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე თარგმნის ისტორიიდან	133
მ. შიშაძე, ლიტერატურულ-ისტორიული ფრაგმენტები, II.	139
ლ. ქავთია, გლაგოლიცის ტიპის ზოგიერთი ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში (XII—XVIII სს.)	153

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ალ. ბარამიძე, დ. კობიძე; ვეფხისტყაოსნის ფაბულის თაობაზე	157
ნ. ნათაძე, „ქალის კულტის“ შესახებ რუსთაველის ეპოქაში	165

ძროწობა და ინფორმაცია

მ. გულიძე, შეიკრიბნენ ფოლკლორისტები	175
---	-----



СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

В. ЖВАНИА, Неизвестные письма И. Чавчавадзе по международным вопросам	7
М. КАРЕЕЛАШВИЛИ, Об идее богоравности царя в «Витязе в тигровой шкуре»	21
Р. ОРБЕЛИ, Грузинский перевод XVIII в. трагедии А. П. Сумарокова «Синав и Трувор»	33
Л. ГВАРАМАДЗЕ, П. Умикашвили — редактор-издатель	45
Н. ШАМАНАДЗЕ, Легенды о малом потопе в грузинском фольклоре	61
М. ФАТЕМИ, Некоторые моменты жизни и творчества А. А. Деххода	71
Е. ДОЧАНАШВИЛИ, Некоторые примеры текстуальной зависимости в грузинских рукописях Ветхого Завета	77
Т. САЛАРИДЗЕ, Картлийский диалект Алгетского ущелья (из отраслевой лексики)	83
Э. ГЕУРКОВА, Образование каузатива в грузинском и в некоторых горских иберийско-кавказских языках	101
Г. НИНУА, Об одной функции частицы -тса в древнегрузинском	111
Г. ТОПУРИА, О занском эквиваленте грузинской основы წყალ-вода	115
П. ЭРТЕЛИШВИЛИ, Литературно-этимологические разыскания	119
Н. ЖВАНИА, Несовместимость согласных в трехгласных корнях гееза	127

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

С. КУБАНИЕИШВИЛИ, Из истории перевода «Вепхисткаосани» на немецкий язык	133
Г. МИКАДЗЕ, Литературно-исторические фрагменты, II	139
Л. КАДЖАИА, Некоторые знаки типа глаголицы в древнегрузинских рукописях (XII—XIII вв.)	153

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. БАРАМИДЗЕ, Д. КОБИДЗЕ, К вопросу о фабуле «Вепхисткаосани»	157
Н. НАТАДЗЕ, О «культе женщины» в эпоху Руставели	165

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Г. ЧЕЛИДЗЕ, Собрались фольклористы	175
--	-----

პახტავა ჟანონა

0. ჰავჭავაძის უცნობი წერილები საერთაშორისო საკითხებზე

დღეისათვის სადავო არ არის, რომ ი. ჰავჭავაძის თხზულებათა უკანასკნელი სრული კრებული, რომელიც 1953—61 წლებში გამოიცა 10 ტომად, ფაქტიურად სრული არ არის, რადგან მასში არ შესულა გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერილად დაბეჭდილი ილიას ოთხმოცზე მეტი წერილი¹. ესენი ძირითადად გაზეთის მოწინავე წერილებია, რომლებსაც სარედაქციო ეგზემპლარებზე ბოლოში ინიციალები: „ი“, „ი. ჰ.“, „ჰ-ქე“ აქვს მიწერილი.

ი. მეუნარგია 1888 წლის 10 აპრილს პეტერბურგში მყოფ ნიკო ნიკოლაძეს წერდა: „შენ წარმოიდგინე, რაც „ივერია“ გამოდის ორ-სამ მოწინავე სტატიებს გარდა², რაც რამ პოლიტიკური და სხვა არა პოლიტიკური სტატიები იყო სულ ილიასი არის.

„ბიჭო რაზე იკლავ თავს, ამის მაგიერ არ გირჩენია ერთი ლექსი დასწერო, ერთი მოთხრობა: მოწინავე სტატიას ვინ კითხულობს, ვისთვის გინდა“-მეთქი. შე შენ გეტყვი ვერ ჩამაჩუმა?!...“

ილიას ი. მეუნარგიასთვის უპასუხებია, რომ ხალხის აღსაზრდელად დიდი მნიშვნელობა აქვს ახლის გაშუქებას, მკითხველთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენის კურსში ყოფას. ამ მიზნით გაზეთში ფართოდ შუქდება სავრთაშორისო მდგომარეობის საკითხები. სავრთაშორისო საკითხებზე გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ილიას წერილების ნაწილი შესულია თხზულებათა სრული კრებულის IX ტომში (გვ. 75-255), ხოლო ნაწილი მისი პირველად გაზეთში დაბეჭდვის შემდეგ არ გამოქვეყნებულა და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის. ასეთი წერილი ცამეტია და ისინი მოიცავენ 1886—1895 წლებს სავრთაშორისო მდგომარეობის საკითხებს.

ამგერად ჩვენ მიზანია ამ წერილების მოკლე მიმოხილვით გავაშუქოთ მათი შინაარსი და ამავე დროს გავარკვიოთ — რამდენად სწორად აფასებდა ილია სავრთაშორისო ვითარებას იმ პერიოდში, რომელშიც თვით უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა. რვა ათეული წლის შემდეგ ამ საკითხის გარკვევა სირთულეს აღარ უნდა წარმოადგენდეს, რადგან დედამიწის თითქმის ყველა კუთხეში კოლოსალური ეპოქალური ძვრებისა და სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებების შედეგად თავის დროზე ამოუხსნელ და საიდუმლოებით მოცულ ყველა საკითხს ფარდა აეხადა. განსაკუთრებით ამას ხელი შეუწყო მარქსისტულ-ლენინურმა მეცნიერებამ, რომელმაც კაცობრიობას ისტორიული მოვლენების სწორი და მეცნიერული ანალიზის საშუალება მისცა.

¹ აღნიშნული წერილები რომ ი. ჰავჭავაძის ეკუთვნის, ეს დასაბუთეს თ. მაცაფარიანმა და პ. კეშელავამ. იხ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. IV, 1965.

² ზოგიერთი მოწინავე წერილი დაწერილი იყო: ა. ყიფშიძის, გრ. ყიფშიძის, სტ. ჭრელაშვილის, ნ. ლომოურის, არ. ფირალოვის, ა. ნანეიშვილის, ვ. ბაქრაძის მიერ, მაგრამ ამ წერილების ავტორების შესახებ არსებობს სპეციალური შენიშვნები გაყვებულ „ივერიაში“ კომპლექტზე, რომელიც ეკუთვნის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდს და ინახება რესპუბლიკის სავარო ბიბლიოთეკაში.



ყოველდღიური გაზეთი „ივერია“ გამოსვლას იწყებს 1886 წლის პირველ იანვარს და პირველი ნომრიდანვე საერთაშორისო საკითხების გაშუქებას დღე ყურადღებას აქცევს. სარედაქციო კოლეგია, აცნობს რა მკითხველს გაზეთის მიმართულებას, უთითებს, რომ იგი ამავე დროს მიზნად ისახავს თავისი მკითხველი ჰყავდეს მსოფლიოს საზოგადოებრივი ცხოვრების კურსში, რაც თავისთავად გულისხმობდა: ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობის გაშუქებას, ამ ურთიერთობაში რუსეთის იმპერიის, რომლის „შემადგენლობაშიც“ საქართველო შედიოდა, ადგილისა და მდგომარეობის გარკვევას.

მე-19 საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარი და ოთხმოცდაათიანი წლების პირველი ნახევარი (1885—1895 წწ.) საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში ცნობილია ბალკანეთის საკითხის გამწვავების პერიოდად, ხოლო საფრანგეთის საერთაშორისო ურთიერთობაში — გერმანიასთან წინააღმდეგობათა გაძლიერებისა და რუსეთთან დარღვეული ურთიერთობის აღდგენის პერიოდად. ამავე დროს თავს იჩენს ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმი. 1878 წლის ბერლინის კონგრესის³ მიერ მიღებულმა ხელშეკრულებამ ფაქტიურად გააუქმა სან-სტეფანოს 1878 წლის 19 თებერვლის (3 მარტის) რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება⁴ და ბალკანეთის ქვეყნების ხალხების მდგომარეობა მათზე თურქეთის ბატონობის მხრივ გააუარესა. ამან კი გაამწვავა დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგობანი ბალკანეთის ქვეყნების საკითხზე და შემდგომში წარმოქმნა დიდი კონფლიქტებისა და ომების საფუძველი. პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ბალკანეთის ქვეყნების მდგომარეობის საკითხი ცალ-ცალკე აინტერესებდათ: რუსეთს, ავსტრია-უნგრეთსა და ინგლისს. თავისი ექსპანსიონისტური დამოკიდებულება გააჩნდათ ამ საკითხისადმი საფრანგეთსა და გერმანიას დიპლომატიურ ურთიერთობათა ამ კომპლექსიდან შორს არც იტალია იღვაროვარც ცნობილია, ბერლინის ხელშეკრულების თანახმად დატაცებულ იქნა ბულგარეთის მიწების დიდი ნაწილი, რომლის დასავლეთი მხარე ალბანეთის საზღვრამდე თურქეთის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. ბულგარეთი კვლავ 2 პროვინციად გაყოფილი დარჩა და მისი გაერთიანება მოხდა მხოლოდ 1885 წლის პლოვდივის სახალხო აჯანყების შედეგად.

ილიას წერილებში, რომლებზეც მსჯელობა გვექნება, გაშუქებულია ბულგარეთის ფაქტიური გაერთიანებისა და საერთოდ ბალკანეთის ქვეყნების თურქეთის ბატონობიდან ნაწილობრივ თავის დაღწევის მომდევნო პერიოდი. თავისთავად ცხადია, რომ ილიას არ შეიძლებოდა ჰქონოდა საერთაშორისო მოვლენების სრულყოფილი და დროული ინფორმაციები. მაგრამ, რასაც იგი აწვდიდა მკითხველს, დაინტერესებული პირისათვის საკმარისია, რომ გაერკვეს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსული ქვეყნების პოლიტიკურ მიმართულებასა და სა-

³ კონგრესი გაიხსნა 1878 წლის 13 ივნისს და მუშაობა დაამთავრა იმავე წლის 13 ივლისს.

⁴ სან-სტეფანოს ხელშეკრულებით დამთავრდა რუსეთ-თურქეთის 1877—78 წწ. ომი და თურქეთის ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფმა ჩერნოვოლის, სერბიისა და რუმინეთის ხალხებმა სრული თავისუფლება მიიღო. ამ საფეოდალოების საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ბულგარეთი გამოცხადდა თურქეთთან ნომინალურ დამოკიდებულებაში მყოფ ავტონომიურ საფეოდალოდ, რომელსაც ეძლეოდა თავისი მმართველის — თავადის არჩევის უფლება. ბულგარეთიდან თურქეთის ჯარი გაყვანილი იქნა, რუსეთის ჯარში კი რჩებოდა 2 წლის ვადით, წესრიგის დასაცავად, საკმარისი „საეროზო ჯარის“ შექმნამდე. ამ ხელშეკრულებათ რუსეთმა მიიღო: ყარსი, არდაგანი, ბაიანეთი; თურქეთს უნდა გადაეხადა 310 მილიონი მანეთი ომის ხარჯი და სხვა. იხ. Большая Советская Энциклопедия, т. 38, გვ. 72; История дипломатии, т. II, 1963, გვ. 117—126.



ერთოდ შექმნილ მდგომარეობაში. მითუმეტეს, ისტორიულად ცნობილია, რომ ყველა საერთაშორისო კონფლიქტის მიზეზი ძირითადად არის ძლიერ სახელმწიფოთა პირადი ინტერესების გამოვლინება, რომლებიც ეწინააღმდეგება და ზიანს აყენებს სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტს, მის პოლიტიკურ, ეკონომიურ თუ სხვა სოციალურ ინტერესებს. ბალკანეთის საკითხი და საერთოდ „აღმოსავლეთის საქმის“ მთელი შინაარსი რაიმე შემთხვევით ფაქტორებს გამოირიცხავდა; საერთაშორისო ურთიერთობაში ისტორიული კანონზომიერება იყო. ამ წერილებში ცალკეული მოვლენისა და ცალკეული სახელმწიფო მესვეურის მოღვაწეობის სათანადო კომენტარის შემდეგ გაკეთებულია ღრმად გააზრებული და მეტად გარკვეული დასკვნები. ეს წერილები ორგანულ კავშირშია და დანიშნულებით იმ წერილების გაგრძელებას წარმოადგენენ, რომელსაც ილია ბექდავდა აღრეული პერიოდის ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიაში“ (1877-78 წწ.) და შემდეგ ამავე სახელწოდების ყურნალში (1879-1885 წწ.), ვიდრე „ივერია“ კვლავ გაზეთად გამოვიდოდა.

გაზეთის 1886 წლის 10 იანვრის ნომერში⁵ გაშუქებულია ე. წ. „აღმოსავლეთის საქმე“, რომელიც, წერილის ავტორის თქმით, ევროპისათვის ყოველთვის იყო და რჩებოდა გადაუწყვეტელ პრობლემად, „რომლისთვისაც ბევრი სისხლი დაღვრილა, დაიდგრება და კიდევ ბევრ მსხვერპლს შეიწირავს“. ყოველივე ამის მიზეზი კი იმაში იმალებაო, რომ ყოველ დიდ და ძლიერ სახელმწიფოს პირადი ინტერესი ამოძრავებს, რომელიც სხვა სახელმწიფოს ეწინააღმდეგება და ზიანს აყენებს.

წინააღმდეგობის პირველ მიზეზს, ილიას აზრით, ოსმალეთის ევროპაზე, კერძოდ ბალკანეთის სახელმწიფოებზე (ბულგარეთი, რუმინეთი, სერბია და საბერძნეთი), ზეგავლენის საკითხი წარმოადგენდა. ოსმალეთის ევროპიდან გაძევება დიდი სახელმწიფოებისათვის ძნელი არ იყო, მაგრამ ევროპის სახელმწიფოებს დიდი ხანია ეშინოდათ ძლიერი რუსეთისა და აუცილებლად თვლიდა მას მოსაზღვრედ ძლიერი ოსმალეთი ჰყოლოდა, რომელიც რუსეთის სწრაფვას აღმოსავლეთისაკენ ხელს შეუშლიდა. ამიტომ ევროპის სახელმწიფოები ბალკანეთიდან ოსმალეთის გაძევებისაგან თავს იკავებდნენ და იმ პერიოდში ამ საკითხს გულგრილად ეპყრობოდნენ.

ავსტრია, — განაგრძობს ილია, — იტალიიდან გამოაძევა ნაპალეონ III-მ. ზოლო გერმანიიდან — პრუსიამ და ამიტომ მან პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა. ავსტრია ისწრაფვის ბალკანეთისაკენ და ამაში მას ხელს ბისმარკიც კი უწყობს. იგი მიზნად ისახავს ამით მაინც შეანელოს ავსტრიის პრუსიისადმი გაბოროტება, ბისმარკი ცდილობს ავსტრიას მისცეს ბალკანეთში დასახლებული სლავი ხალხების შემოერთების საშუალება, გააძლიეროს იგი და ხელი აღებინოს გერმანიის ზოგიერთ პროვინციაზე, რომელიც ჯერ კიდევ მის ხელშია.

ილია ასკვნის, რომ ბისმარკის ამ განზრახვის ხორცშესხმას რუსეთი აღუდგება წინ და ბევრი სისხლიც დაიდგრება. ამასთანავე დასძენს, რომ ინგლისსა და საფრანგეთს ავსტრიის გაძლიერება აწყობს. საფრანგეთი ავსტრიას ყოველთვის გამოიყენებს გერმანიის წინააღმდეგ, თუმცა მისთვის სრულიადაც არ არის მოსაწონი ავსტრიელი გერმანელებით პრუსიის გაძლიერებაო. ინგლისი ყოველთვის მომხრეა რუსეთის პირისპირ ავსტრია იდგეს და არა ოსმალეთი, რადგან

⁵ „ივერია“, 1886, № 7. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ცალში წერილის ქვეშ მელნით მიწერილია: „ი.“.



მისი პოლიტიკა აღმოსავლეთში ვერასდროს ვერ გახდება რუსეთის პოლიტიკის შესაბამისი. ამ დროს ყველაზე მწვავე საკითხად ილია მიიჩნევს: თუ ვის დარჩება შავი ზღვის კარი — სტამბოლი და ხმელთაშუა ზღვა — გზა მეტროპოლიებიდან კოლონიებისაკენ. ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია შეეცდებიან ისინი არავის არ ეკუთვნოდეს ან ეკუთვნოდეს ისეთ სახელმწიფოს, რომელიც მათთან უძლეური იქნება და მათ ინტერესებს გზას ვერ დაუხშობს.

ბოლო საკითხი, რომელზეც ილია ყურადღებას ამახვილებს, ეს ოსმალეთის საკითხია. თვლის, რომ ოსმალეთს აზიისაკენ შემობრუნებენ, რაც ინგლისის ინტერესს შეესაბამება; ინგლისი გაიხდის თურქეთს თავისი ნების გამტარებლად და შეეცდება აზიაში თავისი შერყეული მდგომარეობის გამაგრებას.

გაზეთის იმავე წლის 15 იანვრის ნომერში⁶ ყურადღება გამახვილებულია ბულგარეთის, სერბიისა და საბერძნეთის სწრაფვაზე — მიიღონ სრული დამოუკიდებლობა. მიუხედავად ევროპის სახელმწიფოების დაწოლისა, ეს სახელმწიფოები მეტად ამტკიცებენ თავის დაუმორჩილებლობას და უფრო და უფრო აფართოებენ შეიარაღებას და შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას. ილია მიუთითებს, რომ დიდი სახელმწიფოების წინაშე მათი მოურიდებლობის მიზეზი იმალება იმაში, რომ მათ კარგად აქვთ შეგნებული თუ რა ურთიერთობაა დიდ სახელმწიფოებს შორის: ისინი მხოლოდ სიტყვით არიან ერთად, ერთიანი მოქმედების უნარი კი არ შესწევთ და ამიტომ მათი გაფრთხილებები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. უფრო მეტიც, საბერძნეთი აშკარა იმით იმუქრება და ეს იმიტომ, რომ მას ზურგს რომელიმე ძლიერი სახელმწიფო უმაგრებს და აქეზებს კიდევ საომრად.

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ იმის თქმა, თუ რომელი სახელმწიფო დგას საბერძნეთის ზურგს უკან, შეუძლებელია, მაგრამ არის მონაცემები, რომლებზედაც დაფიქრება საჭიროა. საფრანგეთს სულთანისათვის წინადადება მიუცია — საბერძნეთის მიმართ დათმობაზე წასულიყო, რაზედაც სულთანს კატეგორიული უარი უთქვამს. ინგლისს გამოუცხადებია, რომ თუ საბერძნეთი იარაღს არ აიყრის, იგი იძულებული გახდება საბერძნეთის წყლებში ფლოტი შეიყვანოს, რათა იქ მშვიდობა იქნეს უზრუნველყოფილი. ამაზე საბერძნეთს გაუცია განკარგულება თავისი ფლოტის ხელმძღვანელობისათვის ზღვაში გასვლისა და მზადყოფნის შესახებ. საბერძნეთის ასეთ გამბედაობას წერილის ავტორი ხსნის იმით, რომ ინგლისის ფლოტის პირინეის ზღვებში შესვლას სხვა სახელმწიფოები არ დაუშვებენ.

„საფრანგეთმა პირდაპირ აუწყა მთელს ქვეყნიერებას... — ასკვნის წერილის ავტორი, — რომ ჩვენ გარეთ გალაშქრების თავი აღარა გვაქვსო... რა თქმა უნდა, ასეთი უცებ მოტრიალებული პოლიტიკა საფრანგეთისა არ ექაშნიკება ბისმარკს, ბისმარკმა ძალიან კარგად იცის, რისთვის და ვისთვის მოქმედობს საფრანგეთი ამ სახით...“

ამავე წერილში ლაპარაკია ავსტრიისა და სერბიის დამოკიდებულებაზე. ილიას აზრით, ავსტრიისათვის აშკარაა, რომ სერბია მას ზურგს შეაქცევს, თუმცა კოროლ მილანი⁷, ავსტრიის დიდი მეგობარი, ცდილობს ეს ასე არ მოხდეს, მაგრამ ქვეყნის მდგომარეობა აიძულებს სხვა გააკეთოს. ამის შედეგად სერბიის

⁶ „ივერია“, 1886, № 10. ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ცალში ამ წერილს მელნიტ მიწერილი აქვს: „ა“.

⁷ ლაპარაკია მილან ობრენოვიჩზე (1854—1901 წწ.), სერბ ფეოდალზე, რომელმაც სერბიის მართვა მიიღო 1872 წ., 1882 წელს სერბია გამოაცხადა სამეფოდ და თავი მეფე მილან I-ად.

მთავარი მინისტრი გარაშინინი, ასევე ავსტრიის დიდი მომხრე, შესაძლებელია იტლებული გახდეს თავისი პოსტიდან გადადგეს და პოსტი ჩაივდოს რისტიჩმა, რომელიც ეროვნული პოლიტიკისა და რუსეთის დიდი მომხრეა. მილანი იტლებულია თავისი პოლიტიკა ერის სურვილებს დაუქვემდებაროს და იმისათვის, რომ არც ავსტრია მოიმდუროს, განუზრახავს ისეთი შერეული სამინისტროს შექმნა, რომელშიც შევლენ ორივე მოწინააღმდეგე ჯგუფიდან.

ილია აღნიშნავს, რომ ასეთი რამ პოლიტიკაში შეუთავსებელია და მილანის ეს ცდა ნაყოფს ვერ გამოიღებს. ცხადია, ავსტრიისათვის ასეთი პოლიტიკა არაა ზელსაყრელი, რადგან აქ აშკარა ხდება, რომ სერბია მას არ ემორჩილება.

„ივერიის“ 1886 წ. 8 მარტის (№ 53) ნომერში ლაპარაკია ეპოქის ორი უდიდესი მოღვაწის ინგლისელი გლადსტონისა და გერმანელი ბისმარკის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. გლადსტონი დახასიათებულია როგორც შეუდარებელი სახელმწიფო მოღვაწე შინაური საქმეების მართვა-გამგებლობაში, ხოლო ბისმარკი — საგარეო საქმეებში და გამოთქმულია აზრი: ამ ორი კაცის ნიჭი ერთ კაცში რომ მოთავსებულყოფო, იგი უძლეველი იქნებოდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო საქმეებში. ილია თვლის, რომ თითოეული მათგანი თავის ადგილზეა: ეს სახელმწიფოები ცალ-ცალკე სწორედ ამ საკითხების დაძლევის საჭიროებენ, რომლების გადაჭრაშიც განუმეორებელი არიან გლადსტონი ინგლისში და ბისმარკი გერმანიაში. გაძლიერებული გერმანია, რომელიც ემუქრება ევროპას, ფაქტიურად დაბინავებული და დალაგებული არ არის. მას არა აქვს უზრუნველყოფილი მშვიდი მერმისი, რასაც ბისმარკი კარგად გრძნობს და ყველა ღონეს ხმარობს, რომ ამ მერმისს გერმანია სათანადოდ მომზადებული შესედეს. ინგლისს კი ძლიერ აწუხებს მისი ეკონომიური განვითარების არათანაბრობა, რომელმაც ბოლო დროს მძაფრად იჩინა თავი და მის წესრიგში მოსაყვანად გლადსტონი აკეთებს იმას, რასაც სხვა ვერ გააკეთებდა.

წერილში ანალიზი აქვს გაკეთებული გლადსტონის მიერ მომზადებულ რეფორმებს, რომლებიც ეხება მუშათა მოძრაობის შენელებისა და ირლანდიასთან ურთიერთობის საკითხს, და მითითებულია, რომ ეს რეფორმები უდავოდ გამწვავებული მდგომარეობის სამართლიანი გადაწყვეტაა. ილია ამავე დროს დასძინებს, რომ ინგლისელი ხალხი ამ რეფორმებისათვის არ არის მომზადებული და შესაძლებელია ამიტომ მოხდეს მათი შეკვეცა, რაც ამ ერისათვის მეტად სამწუხარო მოვლენა იქნება.

გაზეთის 15 ივლისის ნომერში⁸ მსჯელობაა საფრანგეთის მიერ 1870 წელს ელზას ლოტარინგიის დაკარგვის შესახებ, რაც ფრანგ ხალხს ვერ მოუწონებია, მაგრამ დარწმუნებულნი არიან, რომ დადგება სამაგიეროს ზღვის დრო და დაკარგული მიწები კვლავ დაუბრუნდება მის კანონიერ მესაკუთრეს — საფრანგეთს. თხუთმეტი წელი გრძელდება ეს მწუხარება, რადგან არ აღმოჩნდა კაცი, რომელიც დაქსაქსულ ეროვნულ ძალებს თავს მოუყრიდა და თან გაიყოლებდა. ილია ფიქრობს, რომ ამ დროისათვის უკვე გამოჩნდა ასეთი მოღვაწე გენერალ ბულანჟეს სახით, რომელიც მეტად ნიჭიერი და გათვითცნობიერებული კაცია, კარგად იცის ერის ტკივილი და თითოეული თანამემამულის გულთან გასაღებიც აქვს მონახული. წერილში აღწერილია ბულანჟეს ყველა დადებითი თვისება, როგორც მთავარი მან ხალხის სიყვარული და საიღო მისწრაფვის იგი. ილიას

⁸ „ივერიის“, 1886, № 153. ქ. შ. წ.-ჯ. საზოგადოების ცალში წერილის ქვეშ მიწერილია: „ივე“.

ბულანჯეს საქციელი სადღაც თეატრალურ თამაშადაც მიიჩნია, მაგრამ ამართლებს: იგი ამით მიზანს აღწევს.

ილია ბოლოს დასძენს, რომ ბულანჯემ მთელი ევროპისა და ამავე დროს შორსმკვრეტელი ბისმარკის ყურადღებაც მიიპყრო და პარლამენტში ასეთი სიტყვები წარმოათქმევინა: „ფრთხილად იყავით, თვალს ნუ დახუჭავით! საფრანგეთი ემზადება და თუ საფრანგეთმა დროშა გაშალა, ევროპას 1789 წელს უარეს დღეს დაანახვებსო!“

იმ პერიოდის საერთაშორისო მდგომარეობა და ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა როლი ილიას ძირითადად სწორად აქვს გაგებული და რიგ საკითხებზე სწორ დასკვნებს აკეთებს, მაგრამ სერბიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, კერძოდ მილან ობრენოვიჩის მოღვაწეობის, შეფასებაში იგი უდავოდ ცდება. მილანი თავისი მოღვაწეობის მთელ პერიოდში აშკარა ავსტროფილურ პოლიტიკას ატარებდა და ყოველი მისი მოქმედება გამომდინარეობდა არა ეროვნული ინტერესებიდან, არამედ მისი რეაქციული და თვითმპყრობელური სწრაფვიდან. როგორც ცნობილია, მილანმა 1881 წელს დასდო სერბიისათვის ეკონომიური და პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად კაბალური სავაჭრო ხელშეკრულება და საიდუმლო კონვენცია ავსტრია-უნგრეთთან. მისმა პოლიტიკამ გამოიწვია 1883 წლის გლუხთა აჯანყება, 1885 წელს გააჩაღა ომი ბულგარეთთან, რაც გამომდინარეობდა ავსტრიისა და გერმანიის დიპლომატიური ინტერესებიდან და რომელიც დამთავრდა სერბიის არმიის სამარცხვინო დამარცხებით და სხვა. აშკარა ანტიხალხურმა პოლიტიკამ მილანი მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ 1889 წელს იძულებული შეიქნა გადამდგარიყო, ოფიციალურად დაეტოვებინა სამეფო ტახტი⁹.

24 და 15 სექტემბერს დაბეჭდილ წერილებში¹⁰ გამახვილებულია ყურადღება ინგლისის თემთა პალატაში კონსერვატორებისა და ლიბერალების დავის საკითხზე, — საკითხზე, რომელიც წამოიჭრა ბალკანეთთან, კერძოდ ბულგარეთთან, დაკავშირებით. მწვავე საერთაშორისო ვითარებაში, როდესაც ევროპა ომის საშიშროების წინაშე იდგა, ინგლისის ეს ორი წამყვანი პარტია დიამეტრიულად საწინააღმდეგო პოზიციებზე იდგნენ. ოფიციალური ცნობით, რუსეთი, ინგლისთან შეთანხმებით, სტამბოლის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. ამის ნაცვლად რუსეთი ინგლისს პირდებოდა, რომ არ ჩაეროდა მის მიერ, ეგვიპტის დაპყრობის საკითხში. ილიას აზრით, ინგლისი აქ ნეიტრალურ პოზიციას იკვრდა, რაც საფრანგეთს აბოროტებდა და იქმნებოდა მასთან კონფლიქტის პირობები. მისი სტრატეგიული ჩერჩილს პალატის წევრების შეკითხვაზე, თუ როგორია მთავრობის პოლიტიკა, ამომწურავი პასუხი არ გაუცია, მხოლოდ აღუნიშნავს ინგლისის საერთაშორისო დამოკიდებულების გამწვავების შესახებ.

ლიბერალების წარმომადგენელს ლაუსონს მოუთხოვია: ჩერჩილმა, რომელსაც მხარს უჭერს მისი პარტიის 319 წევრი, ნათლად ჩამოაყალიბოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, რომელიც აუცილებელია იყოს სხვა ქვეყნების საქმეში ჩაურევლობის პოლიტიკა. ამით ჩერჩილი დიდ წვლილს შეიტანდა ევროპის მშვიდობიანობის საკითხში, თვითონაც დიდ სახელს მოიხვეჭდა და ამავე დროს ინგლისის ააშორებდა ომის საშიშროებასა და იმ დიდ ხარჯებს, რაც ქვეყ-

⁹ БСЭ, т. 27, стр. 478—479.

¹⁰ „ივერია“, 1886, №№ 207 და 208, ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ცალში თანჭრით მიწერილია: „ი“.

ნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვისაა საჭირო. ამავე დროს დაამშვიდებდა რადიკალებს, რომლებიც მას ეწინააღმდეგებოდა.

რადიკალი ლაბუშერი, გლადსტონის მიმდევარი და თანამოაზრე, თავის ვრცელ სიტყვაში აკრიტიკებდა კონსერვატორთა ლიდერის ჩერჩილის საგარეო პოლიტიკას, რომელიც ფაქტიურად სხვის საქმეში ჩარევის, ომების გაჩაღებისა და სხვისი მიწების დატაცების პოლიტიკაა, და აღნიშნავდა, რომ ინგლისის ეგვიპტეში ყოფნა არც ინგლისის და არც თვით ეგვიპტის ინტერესებიდან არ გამომდინარეობდა. პირიქით, იგი საზარალო იყო: წელიწადში 300—400 ათასი გირვანქა სტერლინგი ჯდებოდა. ვაზეთის ცნობით, ლაბუშერს განუცხადებია, რომ ინგლისის ინტერესები სრულიადაც არ მოითხოვენ სუეცის არხზე ბატონობას და ოსმალეთისა და რუსეთის დამოკიდებულების გარკვევას. მისი აზრით, რამდენად არასასურველიც არ უნდა იყოს რუსეთის ძიერ სტამბოლის დაქვერ, ამ საკითხში ჩარევით მხოლოდ ომის ატეხის საშიშროება იქმნებოდა. ლაბუშერს რუსეთის მოქმედება კანონზომიერად მიუჩნეოდა, რადგან საზღვაო გზა აღმოსავლეთისაკენ მისი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. ლაბუშერი თვლიდა, რომ ინგლისი ამ მდგომარეობას უნდა შერიგებოდა, მშვიდობიანი პოლიტიკა უნდა განეციოთარებინა რუსეთთან და ევროპის სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში. რათა შეინარჩუნოს თავისი კოლონიები, რომლის მართვის საქმეში მას ხელს არავინ უშლის. წერილში მითითებულია, რომ ლაბუშერმა გაახსენა დეპუტატებს თუ რა მოუტანა წარსულში ინგლისის სხვის საქმეში ჩარევის პოლიტიკამ და მოუწოდა — იგი დაემყაროს სხვის საქმეში ჩაურევლობის პრინციპს, ოფიციალურად გამოცხადდეს, რომ ინგლისი ეომება მხოლოდ იმ ქვეყანას, რომელიც თვით გამოუცხადებს ომს და თავს დაესხმის.

ილია, უკეთებს რა ანალიზს ინგლისის ორი წამყვანი პარტიის დამოკიდებულებას საგარეო პოლიტიკისადმი, აღნიშნავს, რომ თავისდა საზიანოდ ინგლისელი ერის უმრავლესობა ემხრობა კონსერვატორების პოლიტიკას, რადგან ამ პარტიის წევრებს უფრო შორსმკვრეტელ და გამჭრიახ პოლიტიკოსებად თვლიან, ვიდრე რადიკალებს.

ილიას მიერ გაკეთებული დასკვნა მიუთითებს მწერლის მაღალ ჰუმანურ ზუნებაზე, მის მიერ ერთა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის აღიარებაზე. იგი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ინგლისის, კერძოდ კონსერვატიული პარტიის, ლიდერის, იმ მომენტში საგარეო საქმეთა მინისტრის რანდოლფ ჩერჩილის პოლიტიკაში იგი ნათლად ხედავს მტკიცე, ანტიხალხურ, კოლონიურ პოლიტიკას. როგორც ცნობილია, რანდოლფ ჩერჩილი (უფროსი)¹¹ 1874 წლიდან, მისი პარლამენტში არჩევის მომენტიდან, გამოდიოდა როგორც აქტიური კოლონიალური ექსპანსიის მომხრე და მთელ თავის მოღვაწეობაში თანამიმდევრულად ატარებდა ამ პოლიტიკას. 1880—85 წლებში ჩერჩილი სისტემატურად ილაშქრებდა გლადსტონის მთავრობის წინააღმდეგ იმის გამო, რომ თითქოსდა იგი არ ატარებდა კოლონიალური პოლიტიკის „მყარ კურსს“. ჩერჩილი გამოდიოდა ირლანდიის თვითმმართველობის კანონპროექტის წინააღმდეგ და მისი აქტიური მონაწილეობით დასრულდა ინგლისის მიერ ბირმის მთლიანი დაპყრობა.

„ივერიის“ 1886 წლის 6 ოქტომბრის ნომერში (№ 215) ლაპარაკია ინგლისის პოლიტიკაზე ირლანდიის მიმართ. ილია აღნიშნავს, რომ გლადსტონის მთავ-

¹¹ რანდოლფ ჩერჩილი კონსერვატიული პარტიის მომავალი ლიდერის, მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის მამაა.



რობის გადადგომის შემდეგ (1885 წ.) ხელისუფლებას სათავეში კონსერვატორები ჩაუდგნენ, რომლებმაც ირლანდიის მიმართ შეცვალეს პოლიტიკა. ასეთი დასკვნა გაკეთებული ჩერჩილის მიერ დარტფორდში წარმოთქმული სიტყვის გამო. ჩერჩილის სიტყვა ეხებოდა ირლანდიის ეკონომიკას, განსაკუთრებით კი მიწათმფლობელობის საკითხს. ილია თვლის, რომ ჩერჩილი თავისი პოლიტიკით ამ საკითხში დაუახლოვდა რადიკალების მეთაურს ჩემპერლენს. ილია ჩერჩილს თვლის „ნიკიერ მეთაურად“. წინათ ჩერჩილი ჩემპერლენთან ერთად წინ აღუდგა გლადსტონის პოლიტიკას, რომელიც ითხოვდა მსხვილი მამულების ხაცვლად წვრილი მიწათმფლობელობის ორგანიზაციას. ეს ისეთი რადიკალური ზომა იყო, რომ თავზარს სცემდა და ძირს უთხრიდა ინგლისის მიწათმფლობელების ძველ ანდერძებს. ილია ფიქრობს, რომ ინგლისის თავკაცები შეუღლებელი სიფრთხილითა და ერთგულებით ადევნებენ თვალს ერის აზრის მოძრაობას და, როდესაც დარწმუნდებიან უმრავლესობის სწრაფვაში, ამ აზრის განხორციელებას სულითა და გულით მიეცემიან. ამის შედეგია ის, რომ ინგლისში კონსერვატორები ხშირად ლიბერალურ აზრს ახორციელებენ და ცხოვრების საფუძვლად ხდიან. ამით აიხსნება ჩერჩილის მიერ რადიკალთა აზრის გაზიარება და ცხოვრებაში გატარება და სხვა.

წერილში გამახვილებულია ყურადღება ირლანდიელების სწრაფვაზე — მოიპოვონ თვითგამორკვევისა და საკუთარი თვითმმართველობის უფლება. ამ მიზნით ნახევარ მილიონ ირლანდიელ ქალს ხელმოწერილი პეტიციით მიუმართავს გლადსტონისათვის. კორკის, ლამარკის, ვატერფორდისა და დუბლინის დეპუტაციებს გლადსტონი გამოუცხადებიათ ამ ქალაქების საპატიო მოქალაქედ და მადლობა მოუხსენებიათ მისი ირლანდიისადმი კეთილი განწყობილებებისა და მხარდაჭერისათვის. გლადსტონს თავის მხრივ იმედი მიუცია, რომ მათი საქმე გამარჯვებით დამთავრდებოდა.

„ამ ახალ ხანებში, — ასკენის ილია, — ირლანდიის საქმე კვლავ თვალწინ წარმოუდგება ინგლისის მთავრობას მთელის თავის სიდიადითა და მრავალ გვარობით. აშკარაა მეცხრამეტე საუკუნე ისე არ დალევს სულს, რომ ერთი დიდი აზრი კიდევ არ ჩაართას თავისთა დიდებულთა ნამოქმედართა, ერთი კიდევ ცხოველ-მყოფელი ქვა-კუთხედი არ დაუდვას კაცთა ცხოვრების საძირკველსა. დროთა ბრუნვისაგან დღეს ინგლისია მოწვეული ამ საქმისათვის ირლანდიის სურვილის გამო“.

როგორც აღრევე დავინახეთ, ილია გლადსტონის პიროვნებას მალე შეფასებას აძლევდა. უდავოა, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის საშინაო და საგარეო ცხოვრებაში გლადსტონმა, როგორც პოლიტიკოსმა მოღვაწემ, დიდი როლი ითამაშა და სათანადო კვალიც დატოვა¹², მაგრამ გლადსტონის პიროვნებით ილიას აღფრთოვანება მისი პიროვნების არასწორად შეფასების შედეგია. მარქსის თქმით, „აშკარა პირფერი და კაზუისტი“¹³ გლადსტონი თავისი სახელმწიფო მოღვაწეობის ექვსი ათეული წლის განმავლობაში (1832—1894 წწ.) იყო ყოველგვარი განმათავისუფლებელი და განსაკუთრებით მუშათა მოძრაობის მიმართ რეაქციული ღონისძიებების გამტარებელი, მხარს უჭერდა მძარცველურ და ექსპანსიურ ომებს, რომლებსაც სხვადასხვა დროს აწარმოებდა ინგლისი ავღანისტანში, სამხრეთ აფრიკასა და სხვა ქვეყნებში. მისი მოჩვენებითი რეფორმები ირლანდიის მიმართ გამიზნული იყო ირლანდიის

¹² БСЭ, т. 47, стр. 225.

¹³ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 27, с.р. 129.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის გათიშვისა, ნაციონალისტური ელემენტების აქტიუზაციისა და სოფლის ბურჟუაზიის პოზიციების გამაგრებისაკენ. გლადსტონის რეფორმები არა მარტო ასუსტებდა ირლანდიის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, არამედ თიშავდა ინგლისის პროლეტარიატს და ირლანდიის რევოლუციონერების კავშირს, სპობდა ბურჟუაზიული რეაქციის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის ყოველგვარ შესაძლებლობას¹⁴. გლადსტონს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, ლენინი უწოდებდა „ლიბერალური ბურჟუაზიის და ჩლუნგი მეშჩანების გმირს“¹⁵. რასაკვირველია, მისი გვირობა მარქსიზმის კლასიკოსების მიერ ირონიული შინაარსით გაიგებოდა. ილიას მიერ გლადსტონისადმი მიძღვნილი ეპითეტები: შინაგან საქმეების გამგებლობაში „შეუღარებელი და განუმეორებელი“, მისი რეფორმებით გამწვავებული მდგომარეობის „სამართლიანი გადაწყვეტა“ და სხვა უდავოდ იმ სოციალ-პოლიტიკური ვითარების შეუფასებლობის შედეგი იყო, რომელიც იმ დროს ინგლისში და საერთოდ იმპერიალიზმის სტადიაში შესული ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფოების შიგნით არსებობდა. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ილიას ის გულუბრყვილო დასკვნა, სადაც ლაპარაკია, რომ ინგლისელ ხალხს არ იყო მზად გლადსტონის რეფორმების ცხოვრებაში გატარებისათვის და თითქოსდა ამიტომ უნდა მომხდარიყო მათი შეკვეცა და სხვა. ძირითადი და მთავარი ამ რეფორმების შინაარსში მდგომარეობდა — მათს ანტიხალხურსა, მოჩვენებით „პუმანთრობასა“ და „დემოკრატიზმში“, რომელთა განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მაგალითისათვის დავასახელებთ გლადსტონის რეფორმებს ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში სოფლის წვრილ მეწარმეთა მონაწილეობის შესახებ, სადაც მშრომელთა უმრავლესობა მრავალი სახის ცენზის არსებობის გამო გამოთიშული იყო.

ილიას მსჯელობა გლადსტონისა და ინგლისის საკითხების გარშემო ამით არ ამოწურულა. ამ საკითხებს იგი არაერთხელ უბრუნდება. საყურადღებოა, რომ ილია შემდგომი მოვლენების შეფასების დროს ერთგვარად აღლოს უღებს ფაქტიურ მდგომარეობას და ეწინააღმდეგება კიდევ მის მიერ ადრევე გამოთქმულ აზრს. მისთვის აშკარა ხდება, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების ბევრი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, მათ შორის გლადსტონიც, თავისი მოღვაწეობით ანტიხალხურ საქმეს ემსახურებოდა და ხელმძღვანელობდა პოლიტიკით, რომლის საფუძველი საერთაშორისო დაძაბულობის, ომების გაჩაღებისა და სხვა ხალხების ეკონომიური და პოლიტიკური დათრგუნვის პრინციპი იყო.

გაზეთ „ივერიაში“ ილია სისტემატურად ათავსებდა წერილებს საერთაშორისო საკითხებზე, რომელთა დიდი ნაწილი შესულია თხზულებათა სრული კრებულის მე-9 ტომში. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ე. წ. „საპოლიტიკო მიმოხილვები“, ნარკვევები: „ევროპა 1886 წელს“ (13-დან 27 თებერვლამდე დაბეჭდილი წერილები), „აზია წინათ და ახლა“ (1889 წლის 16 დეკემბერს დაბეჭდილი წერილი), „დღევანდელი სპარსეთი“ (1889 წ. 9 დეკემბერი), „ბალკანეთის საქმეები“ (1886 წ. 17 მარტი), „ახლა აღმოსავლეთის და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა“ (1895 წ. 14 ნოემბერი), „ოსმალეთის არეულობა და დღევანდელი ევროპა“ (1895 წ. 19 ნოემბერი), „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“ (1886—1889 წწ.), „საფრანგეთის საქმეთა შესახებ“ (1886 წ. 19

¹⁴ БСЭ, т. II, стр. 471—472.

¹⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 131.



და 21 ივლისი და 1895 წლის 13 და 17 იანვარი), „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“ (1898 წ. 24 იანვრიდან 17 ნოემბრამდე დაბეჭდილი წერილები) და სხვ. ამ წერილების შესახებ ჩვენ მსჯელობა არ გვექნება, რადგან ილიას თხზულებათა კრებული ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია და მრავალი მეცნიერის შრომებში ფართოდაა კომენტირებული. ჩვენი მიზანია ფაქტობრივად უცნობი წერილების განხილვა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ილიას ხელმოუწერელი წერილები ორგანულ კავშირშია იმ წერილებთან, რომელთა პუბლიკაცია მოხდა თხზულებათა კრებულში¹⁶.

შემდეგი ჩვენი წერილებისა, რომლებზეც მსჯელობა უნდა ვიქონიოთ ეკუთვნის 1893—1895 წწ.

გაზეთის 1893 წლის 20 იანვრის ნომერში (№ 17) დაბეჭდილ მოწინავე წერილში გამახვილებულია ყურადღება ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ინგლისის საგარეო პოლიტიკაზე. გარე შეხედვით ინგლისი, — მიუთითებს ილია, — იმისაკენ ისწრაფვის, რომ არ დაჰკარგოს ბატონობა ხმელთაშუა ზღვაზე, სინამდვილეში კი მთელი მისი პოლიტიკა მიმართულია ევროპის სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი საფრანგეთისა და გერმანიის, დაუძღურებისაკენ. ეს ქვეყნები საომარ მზადყოფნაში არიან და ომის ატეხის დიდ საშიშროებას ქმნიან; მიზეზი ბალკანეთის სახელმწიფოების, განსაკუთრებით ბულგარეთის, დაპყრობაა. ეს სახელმწიფოები ჩუმიდაა, რადგან ინგლისი არ ავლენს თუ ვის მიემხრობა და ასეთი მიმხრობა კი მეორე სახელმწიფოსთვის დამლუპველია. მოწინააღმდეგე ინგლისთან ერთად დაუძღვევლ ძალად წარმოდგება.

ინგლისის პირველ მინისტრად გლადსტონის გახდომა მოასწავებდა იმას, რომ ინგლისი მხარს დაუჭერდა საფრანგეთს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ინგლისი კვლავ პოლიტიკურ თამაშს ეწევა და უცდის ამ სახელმწიფოების დაუძღურებას. საქმე იმაშია, რომ თავშეუკავებელი საომარი მზადება, დიდი ჯარის უმოძრაოდ ყოფნა, თითოეული სახელმწიფოს ეკონომიურ დაკნინებას იწვევდა და საბოლოოდ დაღუპვას უქადდა.

ილია თვლიდა, რომ ამ პერიოდისათვის ევროპაში გაბატონებულია გერმანია, რომელიც სხვა სახელმწიფოებს სულს უხუთავს და მუდმივი შეიარაღებით თვითონაც სული ეხუთება. ომი არის ერთადერთი საშუალება, რომელიც გერმანიას ამ პირველობას ჩამოართმევს. ინგლისი უცდის ამ მომენტს, რათა ომით დაუძღურებულ სახელმწიფოებს შემდეგ თვით მოახვიოს თავზე თავისი სურვილები.

„ამის შედეგად, — აგრძელებს აზრს ილია, — არ უნდა გვიკვირდეს, რომ ინგლისი დღეს უფრო იცდის, ვიდრე მოქმედებს, უფრო ელის, — ვნახოთ რომელი გზა უფრო მოუღებს ბოლოს დღევანდელ გაჭირებულ ყოფას ევროპისათ. ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ ეს პოლიტიკა ინგლისისა უანგარო იყოს და გამოწვეული კაცთ-მოყვარეობის გრძნობისაგან. სხვათა დაუძღურება მისი გაძლიერება იქნება და ამისთანა თავისაკენ თლა... ახალი ამბავი არ არის ინგლისისათვის. ინგლისი საქმიან კაცების ქვეყანაა და ცუდუბრალოდ არც დგომა უყვართ და არც სირბილი“.

1893 წ. 9 თებერვლის ნომერი (№ 27) აუწყებს მკითხველებს რუსეთის იმპერატორის მემკვიდრე ცესარევიჩის ბერლინში გერმანიის იმპერატორ ვილ-

¹⁶ აქ უნდა აღინიშნოს, რომ თხზულებათა სრულ კრებულში შესული მრავალი წერილი ავტორის მიერ ასევე ხელმოუწერლად იყო დაბეჭდილი და ნაწილი წერილების უყურადღებოდ დატოვება მოხდა გამოცემის რედაქტორის მიზეზით.

ვის პოლიტიკას შექმნილი პირობების მიხედვით ცვლის. „ეფიქრობთ, — მითითებულია წერილში, — რომ ახალგაზრდა იმპერატორი გერმანიისთვის თავისმოწონებას მსხვერპლად აძლევს კეთილშობილებას და პატიოსნურ წყურვილს მთელის ევროპის კეთილდღეობისა და ამისათვის არა პრიდობს პირველმა შერიგების ხელი გაუწოდოს საფრანგეთს და მით მოსპოს ეს შეთოფიარებულ უომრობა, რომელიც ომზე უარესად ნელ-ნელა სწოვს მთელს ევროპას“.

ილია ასკენის, რომ ამ ორი ქვეყნის გამწვავებული დამოკიდებულების სრული ლიკვიდაციის იმედი მაინც არ არის და თქმა იმისა, როგორ დამთავრდება ყოველივე, შეუძლებელია. მისი აზრით ერთი უდავოა: გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობამ მნიშვნელოვნად შეაჩუქა „სამთა კავშირის“ ქვეყნების ურთიერთგაგება და ამ კავშირის სიმტკიცე.

ილიას ზოგიერთი დასკვნა შემდგომში ისტორიულ დადასტურებას პოულობს. ჩინეთ-იაპონიის ომის დამთავრებას¹⁸ შედეგად მოჰყვა არა მარტო გამარჯვებული იაპონიის ინტერესების განხორციელება: ჩინეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი პუნქტების მის ხელში გადასვლა (კუნძულები ტაივანი და პენსულედაო, ლიაოლუნის ნახევარკუნძული, პორტარტური და დალიანჯანი) და 200-მილიონიანი „სამხედრო ხარჯებად“ წოდებული კონტრიბუციის გადახდა არამედ რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის ინტერესების განხორციელებაც, რამაც დიდად შებღალა ჩინეთის ინტერესები. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმწიფოებმა ჩინეთ-იაპონიის ომის დამთავრების შემდეგ თვით იაპონიის ინტერესებიც მნიშვნელოვნად შებღალეს. კერძოდ ამ სახელმწიფოების მიერ ჩინეთსა და იაპონიაზე ძალდატანების შედეგად 90-იანი წლების ბოლოს მოხდა ჩინეთის მნიშვნელოვანი ნაწილის თავის პროტექტორატის ქვეშ დატოვება: ინგლისმა დაიმკვიდრა ქვეყნის უმდიდრესი ნაწილი — მდინარე იანცის ველი და მისი სამხრეთის ოლქები, გუანდუნისა და კანტონის ჩათვლით; რუსეთმა მიიღო ჩრდილო აღმოსავლეთის პროვინციები (მანჯურია); გერმანიამ — შანდუნე; საფრანგეთმა — ოლქები, რომლებიც ტონკინს ესაზღვრებოდნენ. იაპონიამ 1898 წელს დაიბრუნა კორეაზე პროტექტორატის უფლება, მაგრამ დაკარგა მისთვის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური თვალსაზრისით სასიცოცხლო პორტარტური, რომელიც სხვა დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერით რუსეთმა მიიტაცა¹⁹. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ევროპის ქვეყნებმა, ერთიმეორის მიყოლებით, მუყაითად დაიწყო ჩინეთის მიწების ძარცვა²⁰ და ამით ამხილა თავი თავის დამპყრობლურ პოლიტიკაში.

გაზეთის 1894 წლის 25 ნოემბრისა და 2 დეკემბრის ნომრებში (№ 250 და 255) გაშუქებულია ინგლის-რუსეთის ურთიერთობის საკითხები. წერილში მითითებულია, რომ, თუმცა ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ თითქმის 80 წელი გავიდა, ამ ორი სახელმწიფოს დამოკიდებულება კვლავ მეტად მტრული იყო უკანასკნელ დროს კი მკვეთრად შეიცვალა ინგლისის მხრივ რუსეთისადმი განსაკუთრებული კეთილგანწყობის შედეგად. ინგლისის პრესა ფართოდ და დიდი მწუხარებით გამოეხმაურა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის გარდაცვალებას. აღიარა, რომ მან ევროპაში მშვიდობისათვის დიდი სამსახური გასწია და რომ რუსეთის პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობაში მომავალშიც

¹⁸ ჩინეთ-იაპონიის სამშვიდობო ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა 1695 წლის 17 აპრილს. მისი ხელის მოწერის ადგილის მიხედვით იგი ეწოდილია სიმონსესკის ხელშეკრულებად.

¹⁹ История дипломатии. т. II, стр. 354—366.

²⁰ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 380.

ბოვებს დიდ სახელმწიფოთა მხარდაჭერას. ინგლისის პირველმა მინისტრმა, ლიბერალების ლიდერმა როზბერიმ და ყოფილმა პირველმა მინისტრმა, კონსერვატორების ლიდერმა სალუსბერიმ თავიანთ სიტყვებში დაადასტურეს ინგლისის სწრაფვა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად და დამოკიდებულების ნორმალიზაციისათვის.

ინგლისის პოლიტიკის ასეთი მკვეთრი უკანდახევა, ილიას აზრით, მართლაცდა იმპერატორ ალექსანდრე მესამისადმი სიმპათიებით კი არ არის გამოწვეული, არამედ იმ საერთაშორისო პირობებით, რომლებიც შეექმნა ინგლისსა და რუსეთს. საქმე იმაშია, რომ რუსეთს დიდი ხანია აწუხებს ბალკანეთის საკითხი, რომელიც ვერ გადაუჭრია ამ ქვეყნებზე ბატონობისათვის ავსტრიის პრეტენზიების გამო. ამავე დროს რუსეთი იმავე ინგლისის ხელისშეწყობით ავსტრიისა და სხვა ქვეყნების დაწოლის შედეგად ჩაეკტილია შავი ზღვის აუზში და არ აქვს ხმელთაშუა ზღვაში გავლის საშუალება, რაც მისთვის ერთ-ერთი სასიცოცხლო რგოლია. ინგლისს კი სუსტად აქვს საქმე ინდოეთში და პოზიციის განსამტკიცებლად საჭიროებს ავღანეთში ზეგავლენის გამაგრებას, რომ რუსეთს არ ჰქონდეს აქედან შემოტევის საშუალება. რუსეთი ბალკანეთის საკითხის გამწვავების გამო შეზღუდულია გააგრძელოს ზეგავლენა ავღანეთზე და იძულებული გახდა დათანხმებოდა ინგლისს ავღანეთში ნეიტრალური ტერიტორიის შექმნაზე, რომლის იქეთ იგი ფეხს არ გადადგამდა. ფაქტიურად რუსეთმა სრულიად აიღო ხელი ავღანეთზე, რაც ინგლისს მეტად აწყობდა და რამაც განაპირობა მისი რუსეთისაკენ შემობრუნება.

ილიას არ სჯერა ინგლისის პოლიტიკის გულწრფელობისა, რადგან ამ ქვეყნის პოლიტიკა „გულცივია და მხოლოდ ანგარებაზეა დამოკიდებული“. ამავე დროს ილია ეჭვს გამოთქვამს, რომ ინგლის-რუსეთის დაახლოებამ არ შეიძლება დიდხანს იარსებოს და წინააღმდეგობა არ წამოიჭრესო.

ორი წლის შემდეგ, 1894 წლის 4 დეკემბერს ილია „ივერიაში“ (№ 257) კვლავ ეხმაურება წერილით ინგლისის საგარეო პოლიტიკის საკითხს. წერილში მითითებულია, რომ ინგლისის დიპლომატიური გადახრა რუსეთისაკენ მიზნად ისახავს გერმანიისა და სხვა სახელმწიფოთა შემოტევის შენელებას. ეს სახელმწიფოები ინგლისს კონკურენციას უწევენ არა მარტო ზღვაზე, სადაც იგი გაბატონებულია თავისი უპირატესი გეოგრაფიული მდებარეობითა და მსოფლიოს მნიშვნელოვანი საზღვაო პლაცდარმების ადრევე დაკავებით, არამედ — კოლონიებსა და დომინიონებშიც.

ამ პერიოდისათვის განსაკუთრებით გაძლიერდა საფრანგეთი, რომელიც დაობს ინგლისთან ეგვიპტისა და მადაგასკარის საკითხზე; დაიკავა ტონკინი და ზეგავლენას ახდენს ჩინეთის სამხრეთ ნაწილზე ინდოეთის ოკეანეში, შეზღუდა ინგლისი სიამ-ბირმაში. გერმანიამაც მონახა საერთო ენა საფრანგეთთან და დაუწყო ქიშპობა ინგლისს აფრიკაში. გარდა ამისა, ინგლისს არ აქვს დალაგებული საქმე ინდოეთში. აქ მისი კოლონიური პოლიტიკა შეირყა. ინგლისისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა ჩინეთ-იაპონიის ომის შედეგები. ამ ქვეყნების მასთან დამოკიდებულებით განისაზღვრება თუ რა ზეგავლენა ექნება ინგლისის მომავალში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე.

„აი ეს ბევრგან აჯიჯგნილი საქმე იძულებულს ჰხდის დღეს ინგლისს, — ამბობს ილია, — მინამ დროა დაიმეგობროს ვინმე იმისთანა, რომელსაც ღონეც შესწევს... და ადვილადაც მოსარიგებელია. ამისთანა სახელმწიფოდ იცნო დღეს ინგლისმა რუსეთი და თავისს თვალს თითქმის ხეწნისას იმით იგერიებს,

რომ მე მოვალე ვარ პამირის საქმის მშვიდობიანად გათავების სამაგიერო რუსეთს გადაუხადოვო. საქმე კი იმაშია, რომ აქამომდე ამის იმედს ვერ იქონიებდა ინგლისი და დღეს კი როცა ხელმწიფე იმპერატორი დაუმოყვარდა ინგლისის სამეფო გვარეულობას, ამ იმედს ცოტაოდენი ფერი დაედო და ღონე მიეცა“.

ილია ასკენის, რომ ინგლისი რუსეთს პირდება მისი გემებისათვის ზღვებზე განუსაზღვრელი მოძრაობის პირობების შექმნას, რათა ამით შენეულდეს საფრანგეთისა და გერმანიის შემოტევა და, როდესაც ყოველივე დამშვიდდება, კვლავ განაგრძოს თავისი ძველი პოლიტიკა ზღვასა და ხმელეთზე ბატონობის განსამტკიცებლად. ილიას ეს დასკვნები სწორად გამოხატავს ინგლისის საგარეო პოლიტიკას როგორც მე-19 საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში, ასევე მომდევნო თითქმის ათი წლის განმავლობაში.

„ივერიის“ 1895 წ. 23 ნოემბრის (№ 253) წერილი კვლავ საერთაშორისო დაძაბულობის საკითხს ეხება. „სამთა კავშირი“ (გერმანია, იტალია, ავსტრია), ერთი მხრივ, და ორთა კავშირი (რუსეთი, საფრანგეთი), მეორე მხრივ, ილიას აზრით, არიან ევროპის მომავალი საომარი ასპარეზობის წამომწყებნი. წერილში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „სამთა კავშირი“ ამ მომენტისათვის შეჭურვილი იყო ახალი იარაღით და მზად იყო საომარი მოქმედებისათვის. მას მხედრობის საომარად მომზადება სამ დღეში შეეძლო. რუსეთი კი „სამთა კავშირის“ წინააღმდეგ საბრძოლველად და ღირსეულად დასახვედრად მხოლოდ 1903 წლისათვის იქნებოდა მზად. გერმანიამ 1896 ან 1897 წლებში თუ წამოიწყო ომი, რუსეთს საფრანგეთი ვერას დაეხმარება, რადგან მის წინ არის გერმანია-ავსტრიის ტერიტორია. ილია ასკენის, რომ ოსმალეთის ომი და ახლო აღმოსავლეთის არეულობა ერთგვარად აგვიანებს გერმანიის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმას. მაგრამ გერმანიის მხრივ ევროპაში ომის ატეხის საფრთხე მაინც დიდია, რადგან, მწერლის აზრით, გერმანიას სწორედ მაშინ გააჩნდა ამისათვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი.

როგორც ისტორიულმა მოვლენებმა ცხადყვეს, მე-19 საუკუნის ბოლოს დაწყებული საერთაშორისო დაძაბულობა თავის გადაწყვეტას პოულობს ძლიერი ქვეყნების მიერ მსოფლიოს გადანაწილებაში. წინა პლანზე ძირითად ევროპის წამყვანი სახელმწიფოები იყვნენ: ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი. გერმანიის მილიტარიზმის მიერ ევროპის ცენტრში ომის გაჩაღებას, რომლისთვისაც იგი მზად იყო მე-19 საუკუნის უკანასკნელ წლებში, ერთგვარად ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ ქვეყნის გადანაწილებისათვის მისი აქტიური მონაწილეობის შედეგად მან ბევრი რამ მიიღო. გერმანიამ მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის მიიღწია შეიარაღების ტექნიკის არნახულ აღმავლობას, რაც შემდგომში მან პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში გამოიყენა.

ასეთი შინაარსისაა მოკლედ ი. ჭავჭავაძის უცნობი წერილები საერთაშორისო საკითხებზე.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული
 ლიტერატურის ინსტიტუტმა)



მარიამ კარბელაშვილი

მეფის ღმრთისწორობის იდეის შესახებ
ვეფხისტყაოსანში

ვეფხისტყაოსანში გვხვდება რამდენიმე სტროფი, რომლებშიც მეფე ღვთის-სადარი ეპითეტებით ან ღმერთის თანასწორადაა მოხსენიებული. ამ ხასიათის თითქმის ყველა ეპითეტს პოემის ხელნაწერებში საყურადღებო ვარიანტული ნაირგვარობა ახლავს და გამოკვებშიც სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი მკვლევართა პოზიციის შესაბამისად. პოემის ტექსტი ამ ასპექტით განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს, რადგან მეფის იზოთეოსი (ღმერთთან გათანაბრება), როგორც მხატვრული აქსესუარი, გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და მრწამსის გამოხატულებაა.

ბუნებრივია, ვეფხისტყაოსანს ვერ მოგწყვეტთ მისი შექმნის ეპოქას — ფეოდალურ საქართველოს, ვერ დავყენებთ ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული პერიოდის იდეოლოგიის გარეშე. რომ გავცეთ პასუხი კითხვას — მისაღებია თუ არა იზოთეოსის გამოვლენა რუსთაველის პოემაში, გადავხედოთ საქართველოს ისტორიას, უპირველეს ყოვლისა კი მის წერილობით წყაროებს, საქართველოს ისტორიულ ქრონიკებს — „ქართლის ცხოვრებას“.

როგორც მსოფლიო ისტორია მოწმობს, მეფის ღმერთთან დაკავშირება რამე სახით, მეფის „გაღმრთობა“ მონარქიული სახელმწიფოს იდეოლოგიური ატრიბუტია. საქართველოში ოდიტგანვე დამკვიდრებული რწმენით ბაგრატიონთა საგვარეულო ღვთიური ჩამომავლობისა იყო და სამეფო ძალაუფლება თვით ღმერთისგან ჰქონდა ბოძებული. ბაგრატიონთა დინასტიის უპირატესობის ეს იდეოლოგიური მითი, პროფ. მ. ლორთქიფანიძის გამოკვლევით¹, უნდა შექმნილიყო IX—X საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც საქართველოში მიმდინარეობდა ბრძოლა ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნისათვის და სხვა სამთავრო საგვარეულოთა შორის დაწინაურდა აშოტ ბაგრატიონი (კუროპალატი). ბაგრატიონთა სახლის ამ უზენაესობის ფაქტიურ გამოვლენას ვხედავთ გიორგი მერჩულეს თხზულებაში. გრიგოლ ხანძთელი ასე მიმართავს აშოტ ბაგრატიონს: „დავით წინასწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შეილად წოდებულ ხელმწიფეო, მეფობაჲ და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვდრენ ქრისტემან“².

შემდგომაც არაერთხელ ვხვდებით ამ იდეას „ქართლის ცხოვრებაში“: გიორგი VI საგვარეულო სიამაყის შეგნებით მიმართავს „უგვარო“ თემურ-

1 მ. ლორთქიფანიძე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, კრებულში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 144—149. ლეგენდა ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის შესახებ უკვე IX საუკუნეში გავრცელებული ყოფილა საქართველოს ფარგლებს გარეთაც — იხ. მ. ლორთქიფანიძე, რუსთაველის ეპოქა, თბ., 1966, გვ. 69.

2 გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბ., 1949, გვ. 40.



ლენგს: „არა უწყია, რამეთუ ძირთაგან დავით წინასწარმეტყუელისათა აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთისა მიერ ცხებით განეგების მეფობა ჩუენ ბაგრატიანთა და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინასწარმეტყუელისა?.. ამის-თვისა განგებითა მრავალმოწყალისა ღმრთისათა მეფედ დამკვდრებულ ვართ სრულიად საქართველოსა ზედა“³.

გიორგი მერჩულეს თქმით, ბაგრატიონებს „სათნობანიცა მისნი დაუკვდრა ქრისტემან“. ამგვარად, იზოთეოსი არაა უცხო ქართული ბუნებისათვის. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ზენიტში, ერთიანი საქართველოს ყველაზე ღირსეულ და ძლევამოსილ მეფეებთან დაკავშირებით. არსენ ბერი ასე ახასიათებს დავით აღმაშენებელს: „კაცთმოყვარე ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის, ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნულთა შორის“⁴. მაშასადამე, დავითის ისტორიკოსი მას „ბუნებით ღმერთად“ სახავს მათ შორის, ვინც „მადლითაა ღმერთქმნული“ გიორგი III-ის თანამედროვე ისტორიკოსის თქმით, გიორგი III არის „ღმრთისაგან მის სახედ ჩენილი პატრონი“. რენესანსის ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის მსგავს პასაჟებში (რომელთა შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი), პროფ. კ. გრიგოლის აზრით, იზოთეოსი საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში უამთაღმწერელნი უმყარებოდნენ მეფის „გამართობის“ წარმართულ ტრადიციას, „რითაც თავის მხრივ არეოპაგიტული მოძღვრებაც ხელმძღვანელობდა და ქრისტიანობასთან მის შერიგება-შეთანხმებას ცდილობდა“⁵. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებაში მოცემულია თეოზისის — ღმერთთან აღმაიანის მიმსგავსების, როგორც უმაღლესი მიზნის — იდეა: „... გულმრთობაა არს ღმრთისა მიმართ, რაოდენ დასატევენელ არს, მსგავსებაა და ერთობაა“⁶. როგორც დავით აღმაშენებლის, ხოლო შემდგომ თამარის ისტორია მოწმობს, „აქ აღნიშნული იზოთეოსი ისეთი რენესანსული მოვლენა იყო, რომელსაც ოფიციალური ეკლესიაც იწყნარებდა... ასე ხდებოდა იმიტომ, რომ აღწერილი იზოთეოსი მხოლოდ მეფის გაღმერთებას გულისხმობდა“⁷. შემდგომ თამარის ორივე ისტორიაში („ისტორიანი და აზმანი შერავანდედთანი“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“) არაერთხელ შევხვდებით მეფის ღმერთთან განაბრების შემთხვევებს, რომელნიც ჩვენ რუსთაველის პოემასთან მიმართებაში გვიანტერესებს. როგორც ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ, მეფის შესხმამ აპოთეოზს თამარის ეპოქაში მიაღწია. „აზმათა“ ავტორი ასე მოიხსენიებს თამარ მეფეს: „... მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამეხისაგან ოთხად თანა აღზევებულისა, რომელი ეთეროან იქმნა ხელმწიფეთა შორის, რომლისა სახე და სახელი თვისა ადგილსა სიტყუამან საცნაურ ყოს“⁸. და კიდევ, „თუ მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამეხისაგანი, აქა კულა სამეხისა

³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959, გვ. 461.

⁴ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შერეული, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, თბ., 1897, გვ. 69.

⁵ კ. გრიგოლია, ქართული რენესანსი რუსთაველის ეპოქისა (XII ს.), კრებულში: შოთა რუსთაველი, თბ., 1968, გვ. 59—62.

⁶ ბეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ედრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბ., 1961, გვ. 158.

⁷ კ. გრიგოლია, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 3.



თანაიხილვეების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღ-
მატებული⁹. როგორც ვხედავთ, თამარის პიროვნებით აღტაცებული მემა-
ტიანესათვის იგი წმინდა სამების მეოთხე წევრია, და რაც განსაკუთრებით სა-
ყურადღებოა, იგი მასთანაა „მისწორებული და აღმატებული“. თამარი და მეულ-
ლე მისი დავითი, „აზმათა“ ავტორის სიტყვით, „ღმრთისაგან ღმერთქმნილნი“¹⁰
არიან: „და მსმენელთა ამისთა, მტყეებელთა თავისათა, დამსხმელთა თავთა ნაც-
რისათა, აღიხილნეს თუაღნი მათნი, და არავინ იხილეს მკსნელი და მაცხოვარი
მათი, გარნა ღმერთი მხოლოდ და ღმრთისაგან ღმერთქმნილნი და-
ვით და თამარ“¹¹. თამარის დედის — ბურღუხან დედოფლის გარდაცვალებ-
ის ამბავს ისტორიკოსი ასე გადმოგვცემს: „... და მიიცვალა დედოფალი (ბურ-
ღუხან), დედა თამარისი, სწორი ძისა ღმრთისა დედისა“¹¹.
ე. ი. აქ თამარის დედა მარია მღვთისმშობლის თანაბრად მოხსენიებული,
მეორეგან კი მარია მღვთისმშობელთან თამარია შედარებული. ამ პასაჟში, ივანე
ჭავჭავაძის თქმით, თამარ მეფის ისტორიკოსი „ლაშა გიორგის დაბადებაზე
ისე ლაპარაკობს, რომ მკითხველს ეგონება ქრისტეს შობის აწერას აპირებსო“¹².
ეს შენიშვნა ეხება „ისტორიათა და აზმათა“ ამ ადგილს: „მიუღვა თამარი გან-
წმენდილითა გონებითა და ტაძრისა ღმრთისა აღმსკუალებლისა სანთლითა სხე-
ულისათა, მჭურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა ტაბატმელი-
სა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე სწორი ძისა ღმრთი-
სა, და უწოდა სახელი ანონისა მის მამისა თვისისა გიორგი“¹³.

„შურითა საღმრთოთა“ აღვილია XII საუკუნის ღვიძლი შვილისთვის
„ჰორციელებრი“ არსების ამგვარი ქებათა ქება უმაღლესი ზღვარი იყო. საინ-
ტერესოა ვნახოთ, რა სახითაა წარმოდგენილი „ისტორიათა და აზმათა“ შემდეგ-
დროინდელ ტექსტებში ჩვენ მიერ მოხმობილი მაგალითები თამარის ასეთი
ეგზალტირებული ხოტბისა. წინდაწინ უნდა ვთქვათ, რომ გარკვეული მიზანდა-
სახულობით ამ პასაჟთა გასწორება ან საერთოდ თხრობიდან ამოღება ახასიათებს
ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიის“ ტექსტს¹⁴. „აზმათა“ დასაწყისი აბ-
ზაცი, სადაც თამარი სამების მეოთხე წევრად მიჩნეული, „სწავლულ კაცთა
კომისიის“ ტექსტში საერთოდ არაა, მის ნაცვლად ქრონიკისთვის წამდგარებუ-
ლი თამარის მამის გიორგი III მოკლე დახასიათება (ლაშა-გიორგისდროინდე-
ლი მათიანის მიხედვით შედგენილი)¹⁵, მეორე ნიმუშიც ამგვარი შედარებისა ხსე-
ნებულ ტექსტში არაა¹⁶. რაც შეეხება იმ პასაჟს, რომელშიც მემატიაემ დავითი
და თამარი „ღმრთისაგან ღმერთქმნილად“ მოიხსენია, იგი სრულიად სახეცვლი-
ლია და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, საგანგებოდ აქვს ავლილი გვერდი თამა-
რისა და დავითის ღმრთისსადარი ეპითეტებით მოხსენიებას. „სწავლულ კაცთა“
ტექსტში ვკითხულობთ: „... რამეთუ იტყებდეს თავსა და ისმიდეს ნაცარსა,
რამეთუ არა-სადათ იყო სასოებაჲ ქსნისა მათისა, გარნა მხოლო ოდენ ღმერთი
და მისგანვე პატივცემულნი და განდიდებულნი დავით

⁹ იქვე, გვ. 25.

¹⁰ იქვე, გვ. 63.

¹¹ იქვე, გვ. 22.

¹² ივ. ჭავჭავაძის ილი, ისტორიის მიზანი, წყაროება და მეთოდები წინათ და ახლ, ძვე-
ლი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XV სს.), თბ., 1945, გვ. 230.

¹³ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 56.

¹⁴ ქართლის ცხოვრების II ტომში ეს ტექსტი აღნიშნულია V ლიტერით.

¹⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 3, შენიშვნა 2.

¹⁶ იქვე, გვ. 25, ვარიანტები 15—22 სტრიქონებისა.



და თამარ და¹⁷. როგორც ვხედავთ, უგულვებელყოფილია ამდღებელი და საზემო ტონის „ღმრთისაგან ღმერთქმნილი“ და შეცვლილია საგნებით ნეიტრალური და პროზაული განსაზღვრებით — „პატივცემულნი და განდიდებულნი“. აქ სრულიად უდავოა რელიგიური და იდეოლოგიური მოსაზრებებით განპირობებული ახალი რედაქცია ძველი ტექსტისა, „აზმათა“ ავტორის სახოტბო გავრცელება ნეიტრალიზაციის ცდა. მსგავსი მდგომარეობაა ბურდუხან დედოფალთან დაკავშირებით: მაჩაბლისეულ ნუსხაში იზოთეოსის შემცველი შედარების („სწორი ძისა ღმრთისა დედისა“) ტექსტი ამოღებულია, ვახტანგისეულ ნუსხაში კი შეცვლილია: ბურდუხან დედოფალი ღმრთისსადარი ეპითეტების ნაცვლად მოიხსენიება მხოლოდ როგორც „ყოვლითურთ სიკეთელმატებული“¹⁸. ასლენახით, რა სურათია სხვა ნუსხებში. თუ თამარისა და დავითის იზოთეოსის შემცველი ფრაზები მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში ხელუხლებელია, სულ სხვა ვითარება გვაქვს ლაშა-გიორგისთან დაკავშირებით — „სწორი ძისა ღმრთისა“ (როგორც ტახტის მემკვიდრე მოიხსენია „აზმათა“ ავტორმა) მარიამისეულ ნუსხაში ყოფილა, მაგრამ კალმის წვერით ამოუშლიათ, მაჩაბლისეულ ნუსხაში კი საერთოდ არაა¹⁹, ხოლო ვახტანგისეულ ტექსტში ეს ნაკვეთი საერთოდ არ შეუტანიათ; მის ნაცვლად ლაქუნა შევსებულია ბასილი ევოსმოდერის თხზულების მიხედვით: „და იყენეს რა დავანებულ ტაბაქმელს, მუნ შვა ძე პირში ყოვლითურთ მსგავსი პაპისა“²⁰. აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი განმარტავს, რატომ აირჩიეს ვახტანგის „სწავლულმა კაცებმა“ მეორე ისტორიის ტექსტი: „პირველი ისტორიკოსის თხრობა არ მოიწონეს, ჩემი აზრით, იმიტომ, რომ იქ ორ ადგილას გადაჭრებულნი აღმერთება იყო თამარისა, რასაც მკრეხელობის იერი გადაჭრავდა: 1. თამარის ბედი შელიერების საკითხში შედარებულია მარიამ ღვთისმშობლის ბედთან („ვითარ იქმნა სარას ზე, გინა თუ რაქაელისსა, ანუ ელსაბედისსა და უფროსლა ანასსა, და ვიკადრო, მარიამისსა“); 2. ტაბაქმელა, სადაც თამარმა დაბადა ლაშა-გიორგი, გამოცხადებულია ბეთლემად, სადაც მარიამმა შვა ქრისტე („ტაბაქმელას ბეთლემ-ყოფელთმან მუნ შვა ძე“)²¹.

ძირითადი ტექსტისა და ვარიანტების შედარებით მიღებული შთაბეჭდილება გავგახსენებს აკად. სიმ. ყაუხჩიშვილის დებულებას, რომ „... ისტორიას და აზმათა“ ავტორს ხიბლავს თამარის მაღალი ზნეობრივი თვისებები და იმდენად აღტაცებულია თამარის სახებით, რომ ავიწყდება მაშინ დელისა ეკლესიო დოგმატები“²².

მაგრამ თუ ფეოდალური საქართველოს ძლიერების ეპოქაში თამარის თავანისციემის ყოვლისმომცველმა კულტმა შეიწყნარა მემარტანის ხოტბა, მომდევნო საუკუნეებმა, როდესაც სამეფო ძალაუფლებამ „იწყო კლებად“, რასაც ლოგიკურად მოჰყვა მეფის ცნების დევალიზაცია, მიიჩნიეს, რომ ყოველივე ამას „მკრეხელობის იერი გადაჭრავდა“ და ამ წარმოდგენების შესაბამისად თამარის ისტორიის ტექსტსაც შესაფერისი რევიზია და რედაქცია გაუკეთდა. უტყუარი ისტორიული წყაროთი დასაბუთებული მაგალითებიდან ჩანს, რომ იზოთეოსმა

17 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 63, შენიშვნა 3.

18 იქვე, ტ. II, გვ. 22, ვარიანტები.

19 იქვე, ტ. II, Mm ვარიანტები მე-16 სტრიქონისა.

20 იქვე, შენიშვნა 6 და V ვარიანტი მე-16 სტრიქონისა.

21 იქვე, ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრებას მოცულობა და შედგენილება,

უმალეს ზღვარს მიაღწია ვეფხისტყაოსნის შექმნის ეპოქაში, ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით რუსთველის თხზულებაში. პოემაში რომ მეფის ძალაუფლება განდიდებულია, ეს უდავოა კეშმარიტებაა. აკად. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, ვეფხისტყაოსანი ქალის ტანტზე აყვანასთან დაკავშირებით დაწერილი, გარკვეული იდეოლოგიური მოსაზრებებით გამსჭვალული ნაწარმოებია, „რომელშიაც აისახა ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც იმ დროს საქართველოში არსებობდა“²³. აკად. ალ. ბარამიძე გამოკვლევაში „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ წერს: „ვეფხისტყაოსნით მეფე დასახულია ღვთისსწორ არსებად... ღვთისსწორ არსებადაა მიჩნეული საისტორიო წყაროების მიხედვით თამარ მეფეც. ხოლო ჩახრუხაძე სახობტო ენაწყლიანობის კვალობაზე თამარს აღიარებს პირდაპირ ნათელ ღვთაებად „*უნაგამწყოდ ძისა*“ (ე. ი. იესო ქრისტესი), „*სწორად მამასად*“, ე. ი. მამა ღმერთის სწორად (თამარიანი, III, 1—2)“²⁴.

ის გაბატონებული აზრი, რომ მეფე „ღმრთისაგან მის სახედ ჩენილი პატრონია“, პოემის პროლოგის პირველივე სტროფში გამოხატა რუსთველმა:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერთა.

ეს აზრია გაბატონებული მთელ პოემაში. ამჯერად ღვთისსადარი შედარება-ეპითეტებით მეფის დახასიათება გვიანტერესებს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში, ბითუმეტს, რომ პოემის გამოცემებში ზოგიერთი მათგანი საერთოდ არაა ფიქსირებული.

1. მეფე როსტევანისათვის ანდერძის დატოვების შემდგომ ტარიელთან „გამოპარვით წამოსულ“ ავთანდილს ტარიელი დათქმულ ადგილზე არ დაუხვდა, არაბთა მეფის სპასპეტი ასმათს ეუბნება (A 1035 (856))²⁵:

ბროლ-სადაფნი მარგალიტსა ლალისფერსა სცვენ და ჰბურვენ,
მას მოვშორდი, ვერ ვეახელ, ვერ მისურვეს, ვერ ვასურვენ,
გამოპარვით წამოსლუითა ღმრთისა სწორნი მოვიმღურვენ,
ნაცულად მათთა წყალობათა გულნი მათნი შევაურვენ.

„ღმრთისა სწორნი“ აქ როსტევანია. ამ სახითა ტექსტი წარმოდგენილი სამეფო სახლის (ABCMX), მამუკა თავაჭარაშვილის (E) და Y ხელნაწერებში, მაგრამ სხვა ნუსხებში საკმაოდ განსხვავებული ვარიანტები გასჩენია. არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმ გარემოებამ, რომ სხვა სიტყვათაგან განსხვავებით ნაირკითხვათა სიუხვით სწორედ იზოთეოსის გამომხატველი ეპითეტი გამოირჩევა. თვით გამოთქმა „ღმრთისა სწორნი“ დამოწმებულია თამარისდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში — იგი თამარ მეფის ტიტულის კომპონენტია (მაგ., „ღმრთისა სწორსა მეფეთა მეფეს თამარს“ და სხვა). აი რა ვარიანტული ნირგვარობა გვხვდება ხელნაწერებში:

²³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 18.

²⁴ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 171.

²⁵ აქ და შემდგომ სტროფის მაჩვენებელი ორი ნომრიდან პირველი ლიტერით აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ვრცელ გამოცემას, სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით (თბ., 1956), ფრჩხილებში შოთავასებული ნომერი აღნიშნავს პოემის 1957 წლის გამოცემის ნუმერაციას, ხელნაწერები მითითებულია ლიტერებით, რომლებიც მიღებულია რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებში“ (ოთხ ნაკვეთად), თბ., 1960, 1961, 1962, 1963.

ABCX, E, Y	გამოპარვით წამოსვლითა	ღმრთისა სწორნი	მოვიმღურვენ
DUV, GH	"	"	მზისა "
JT	"	"	ცათა "
I	"	"	მეფე ჩვენი "
KO	"	"	ჩემი მზრდელნი "
F	"	"	დიდებულნი "

აქ საინტერესო ვითარება შეიმჩნევა: ყველა ამ ხელნაწერის რედაქტორს, სადაც ტექსტი გადაკეთებულია, ხელთ „სამეფო სახლის“ ტიპის ტექსტი უნდა ჰქონოდა. ხოვლელოს (I) ნუსხის რედაქტორმა „გასცა“ თავისი თავი: მან იცის, რომ „ღმრთისა სწორნი“ იგივეა, რაც „მეფე ჩვენი“; რაც შეეხება სხვა ვარიანტებს — „მზისა ან ცათა სწორნი“, „ჩემი მზრდელნი“, „დიდებულნი“ — ეს ყველაფერი აშკარა ემენდაციაა, ერთმანეთისაგან ამგვარ ნაირკითხვათა წარმოშობა ძნელი დასაჯერებელი და, რაც მთავარია, უფრო ძნელი ასახსნელია. როგორც ვხედავთ, ყველა კონიექტურა აზრიანი და გამართულია²⁶ (მაგალითად, ს. კავაბაძემ თავის პირველ გამოცემაში გაიზიარა წაკითხვა „ცათა სწორნი მოვიმღურვენ“, წყაროა „რედაქტირებული“ J ხელნაწერი), მაგრამ აქ წარმოდგენილ ყველა წაკითხვას შორის lectio difficilior მხოლოდ „ღმრთისა სწორნი“ შეიძლება იყოს და ეს წაკითხვა გაიზიარა თითქმის ყველა გამოცემაში.

2. ფატმანი მოუთხრობს აეთანდილს (A 1357 (1172)):

მისალმეს, „ფატმან — მითხრეს — ბრძანებაა ღმრთისა სწორთა: დღეს რომელი უსენ შესძღვნა ქალი, მსგავსი მზეთა ორთა, აწ მოგვეგვარე, წაიყვანოთ, ვლა არ გვინდა გზათა შორთა.“
 ესე მესმა, დამტყდეს ცანი, რისხვა ღმრთისა ეცა გორთა.

ამ შემთხვევაში „ღმრთისა სწორნი“ ზღვათა მეფის ეპითეტია. ამ გამოთქმასაც სხვადასხვა ვარიანტით წარმოგვიდგენ ხელნაწერები: ABCMX, FZ, H, JT, L, N, P, Y ხელნაწერებშია:

DUVW, E, G	"	"	"	"	მზისა	"
IR, KO	"	"	"	"	ცათა	"

როგორც ვხედავთ, ამ სტროფში ის ნუსხები, რომლებშიც იგივე შესიტყვება („ღმრთისა სწორთა“) ამის წინ მოხმობილ ტაეპში ვარიანტული ნაირკითხვებით იყო წარმოდგენილი, აქ „ღმრთისა სწორს“ იზიარებენ. ესენია F, H, JT, აგრეთვე ნუსხები L, N, P (მათ 85-ე სტროფი ხელნაწერის დეფექტის გამო არ გააჩნიათ); ზახასელი რედაქცია „ღმრთისა სწორთა“ ნაცვლად დაბეჯითებით იცავს ემენდაციას „მზისა სწორთა“. ამ შემთხვევაში მას ემხრობა ვახტანგისეული გამოცემა²⁷. ზახასელი რედაქციის ორივე სტროფში „ღმრთისა სწორთა“ შეცვლა ნაირკითხვით „მზისა სწორთა“ ერთი პირის ხელწერას ამჟღავნებს

²⁶ ქუთაისურ-ნაკაშიძისეულ ნუსხებში (KO) უნდა ყოფილიყო „ჩემი მზრდელნი მოვიმღურვენ“ (გრამატიკული შეთანხმების თვალსაზრისით), მაგრამ ამგვარ ვარიანტებს, რომლებიც ტაეპის შინაარსზე გავლენას არ ახდენენ, ჩვენ არ შევხვებით და ვარიანტთა ჩვენების დროსაც არ მოვიხსენიებთ.

²⁷ და მისი უშუალო გავლენით ვეფხისტყაოსნის ბროსეს, ჩუბინაშვილის, ქართველშვილის, აგრეთვე კარიჭაშვილის, აბულაძის, ჭიჭინაძის გამოცემები. ეს ერთი ფორმულა „ღმრთისა სწორნი“ ამ გამოცემებში ორი განსხვავებული ვარიანტითაა წარმოდგენილი 85-ე და 1172-ე სტროფებში.



მა მას აშკარად ტენდენციურობის კვალი ატყვია (სხვათაშორის, საყურადღებო არიანტული ნაირგვარობა ახლავს მეოთხე ტაქსაც, სადაც ნათქვამია „რისხვა ღმრთისა ეცა გორთა“, მაგრამ ამის შესახებ ახლა სიტყვას არ გავაგრძელებთ).

3.

გავგზავნე კაცი ხატეთს და წიგნი ჩემ მაგიერი;
 მივსწერე: „მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებრ ძლიერი,
 მისი ერთგული გაძღების ყოველი სული მშვიერი,
 ვინცა ურჩ ექმნას, იქმნების თავისა არ მაღლიერი. A 521 (387).

აქ გვიანტერესებს ტაეპი ტარიელის წერილიდან ხატაელთადმი: „მივსწერე: მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებრ ძლიერი“. თამარ მეფის ძლევა-მოსილი ბრძოლების ეპოქაში, როდესაც „განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ზედა პირსა ქუეყანისასა და ლაშქრობდა დავით ბრძანებითა და გამორჩევითა თამარ სუე-ალექსანდრიანისათა და იმარჯუებდა შეწვევითა ზეგარდამოთა“²⁸, როგორც მოგვითხრობს „აზმათა“ ავტორი, ეპითეტი „ღმრთულებრ ძლიერი“, ალბათ, არავის მოეჩვენებოდა არც ჰიპერბოლად, არც მკრეხელობად, მაგრამ შემდეგში კი, ჩანს, ბევრი გადამწერი დაუფიქრებია, ამიტომაც გვხვდება ვარიანტები: ABCMX, DW, FI, GH, KO, L, N, Y ხელნაწერებში ვკითხულობთ:

	მივსწერე მეფე	ინდოთა	არისმცა	ღმრთულებრ ძლიერი	
UV	"	"	"	"	ღმრთისგან "
Z	შევსთვალე	"	"	"	ღმრთისგან "
E	მივსწერე	"	"	არის	ღმრთისგან "
JT	შევსთვალე	"	"	არის	ღმრთისგან "
R	მივსწერე	"	"	კაციმცა მართებ	"

როგორც ვხედავთ, „სამეფო სახლის“ რედაქცია კვლავ მეფის ღმრთისსადა-რი ეპითეტით მოხსენიების ერთგულია, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი ტექსტის მიხედვით. ზოგი რედაქცია, ასე ვთქვათ, „გაყოფილია“. ეს ეხება ზახსაეული (DUV), მზეხათუნისეული (JKOT) და ბებური-შვილისეული (FIRZ) რედაქციის ხელნაწერებს: D (მასთან ერთად ვახტანგის გამოცემა), KO და FI იზიარებენ „სამეფო სახლის“ ხელნაწერთა ნაირკითხვას („ღმრთულებრ ძლიერი“). მათთან ტიპოლოგიურად დაკავშირებული ხელნაწერები კი (UV, JT, RZ) ამ შედარებას აშკარად „ნეიტრალიზებული“ სახით გვაწვდიან („ღმრთისაგან ძლიერი“)²⁹. მეფის იზოთეოსის ამსახველი ყველა პასაჟი რომ მხოლოდ „სამეფო სახლის“ ხელნაწერებში იყოს (სინამდვილეში ამ რედაქციის ხუთი ხელნაწერიდან მხოლოდ ორია სამეფო ოჯახის კუთვნილება), ერთგვარი საფუძველი გვექნებოდა შესაბამისი სტრიქონები ტენდენციური გაზრების ნიმუშად ჩაგვეთვალა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, „სამეფო სახლის“ ხელნაწერთაგან ტიპოლოგიურად განსხვავებული რედაქციებიც იმავე ტექსტს გვაწვდიან. ამ თვალსაზრისით ველხისტყაოსანში მთავარი ჩანს თვით იდეა მეფისა და ღმერთის ერთ რანგში მოქცევისა და, რადგან პოემის გმირთა სამოქმედო ასპარეზი მაჰმადიანური ქვეყნებია, ეს გარემოება, ალბათ, მეტ თავისუფლ-

²⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 55.

²⁹ ამ წაკითხვას იზიარებენ ბროსეს, ჩუბინაშვილის, ქართველიშვილის, კარიკაშვილის, აბულაძის, ჭიჭინაძის გამოცემები.



ბას აძლევდა ავტორს³⁰. ამის მიხედვით კი, ვფიქრობთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეფის შედარება ღმერთთან თვით ვეფხისტყაოსნისთვის დამახასიათებელი იდეოლოგიური გააზრების სისტემა უნდა იყოს.

4.

ჰკადრე: „ვინ გაქოს ყოველმან პირმან არ მეუმზარაქმან?
ვითა ვიშიშვი, გაცნობის ღმერთმან, თქვენმანვე სახემან!
მაგრამ მან ყმამან ცეცხლითა დამწვა, და, ალვისა ხემან,
გული წამსავე წაძილო — ვერათ ვერ შევინახე — მან“. A904 (738).

რიგ ხელნაწერებში („სამეფო სახლის“ (ABCMX), ბებურიშვილის (FIRZ), მაძუკა მდიენის (E) და GL) დაცულია წაკითხვა „ღმერთმან თქვენმანვე სახემან“; სხვა ნუსხებში კი ახლავს ნაირკითხვანი:

	ვითა ვიშიშვი	გაცნობის	ღმერთმან	თქვენმანვე	სახემან
JT	„	„	„	თქვენ ღმერთებისა	„
R	„	„	[ღმერთმანვე]	გაცნობის	თქვენმა სახელმა
DUVW. Q	„	„	„	„	ნათელთა „
HKO	„	„	„	„	ნათლითა „

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამოთქმა „ღმერთმან თქვენმანვე სახემან“ იმდენად მიუღებლად მიუჩნევიან, რომ ყველა გამოცემა (ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის 1966 წლის გამოცემის გარდა) ერთხმად აძლევს უპირატესობას წაკითხვას „ღმერთმან, ნათელთა სახემან“, რაც, ალბათ, ვახტანგისეული გამოცემის ავტორიტეტს უნდა ეყრდნობოდეს. საინტერესოა, რომ ბებურიშვილის რედაქციის (FIZ), მზეხათუნისეული და რედაქტირებული ნუსხები „სამეფო სახლის“ ხელნაწერთა ვარიანტს ემხრობიან, ებითეტი ძალზე თამამია — გამოდის, რომ ღმერთი არის მეფის სახე. სწორედ ამიტომ მიიჩნევს მას უმართებულოდ ზოგიერთი მკვლევარი. „ღმერთი არის დასახული ვით სახე მეფისა... ასეთი თქმა მიუღებელია და არც იხმარება, პირიქით: კაცია არის სახე, ანუ ხატი ღმერთისა“³¹. მკვლევარის აზრით, მართებული ტექსტი ამ ტაეპისა ასეთია: „ვითა ვიშიშვი, გაცნობის ღმერთმან, ნათელთა სახემან“. ამგვარად ტაეპი სავსებით გამართულია, „ნათელი“ იხმარება ღმერთის ებითეტად. მაგრამ როდესაც უპირატესობას ვაძლევთ ერთ ვარიანტს და ვთვლით მას ავთენტურად, უნდა ავხსნათ, რომ განაპირობა მეორე (უარყოფილი) ვარიანტის წარმოშობა. მაშასადამე, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას — როგორ მივიღეთ ამ შინაარსით და ფორმით აწყობილი, ნათელი კონტექსტიდან მეორე (რთული) ტიპის წაკითხვა — „ღმერთმან, თქვენმანვე სახემან“ და მასთან უდავოდ აზრობრივად დაკავშირებული „თქვენ ღმერთებისა სახემან“; წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ჩვენ ვარიანტული მონაცემებიდან უპირატესობა მივანიჭეთ ე. წ. „უკეთეს“ წაკითხვას, რაც,

³⁰ გავიხსენოთ ახალი ქართლის ცხოვრების ტექსტიდან შაჰ-ისმაელის დახასიათება (თუმცა ანაქრონიზმია, მაგრამ მაინც არაა მოკლებული ინტერესს): „და მცირითგან ირწმუნეს ყიზილბაშთა ძელ იმამისა, არა ხოლო მეფობისათვის, არამედ ძეობისა მისთვის იმამისა სწამთ სალოცვად და პატივ სცემენ მლთაებრ დღეინდელად დღემდე“. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 357.

³¹ ვეფხისტყაოსნის ღმერთისმეტყველება, 1963, გვ. 106.



ტექსტზე მუშაობის პრაქტიკის მოწმობით³², არაა ადეკვატური „ავტორისეული“ ან „უძველესი“ წაკითხვისა. ამ ფაქტის ახსნა გაჭირდება, მით უმეტეს, რომ „ღმერთმან თქვენმანვე სახემან“ არის რამდენიმე რედაქციულად განსხვავებულ ხელნაწერში, „ღმერთმან, ნათელთა სახემან“ კი — ზაზასეულ რედაქციაში, რომელიც საერთოდ გაურბის მეფის შედარებას ღმერთთან და ამ ტენდენციაში სხვა რედაქციებზე უფრო თანამიმდევრულია, ხოლო „ზაზასეულთან“ მიმსგავსებული წაკითხვა — „ღმერთმან ნათლითა(?) სახემან“ — HKO ხელნაწერებში (ამასთან შევამჩნიეთ, რომ ამ ხელნაწერებსაც მსგავსი ტენდენცია გამოარჩევს, რადგან KO-სთან რედაქციულად დაკავშირებული JT ხელნაწერები დასახელებული სამი მაგალითიდან ორში ღმერთთან მეფის შედარებას არ გაურბიან).

საერთოდ, „აზმათა“ შესაბამისი მაგალითების ფონზე, რომელთა შესახებ ზემოთ გვექონდა ლაპარაკი, გამოთქმა „ღმერთმან, თქვენმანვე სახემან“ იმ ეპოქის მსოფლმხედველობისათვის ისე წარმოუდგენლად არ გვეჩვენება, როგორც შემდგომ ეპოქებს მიუჩნევიათ. ყოველ შემთხვევაში, „სამეფო სახლის“ ტექსტისა და ვარიანტების მიხედვით გაგვიჭირდება ავხსნათ და დავასაბუთოთ, როგორ გაჩნდა ე. წ. „რთული წაკითხვა“ („ღმერთმან, თქვენმანვე სახემან“) მარტივი წაკითხვისგან („ღმერთმან, ნათელთა სახემან“).

5.

პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმერთი და ღმრთულღებრ ცხოველი,
 მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი
 მას ვეორგულე, წამოვე, მართ დავიფიწყე ყოველი,
 მისი შემცოდე ღმრთისაგან კარგსა რასაღა მოველი! A 1036 (857).

პირველი ტაეპი ამ სახითაა წარმოდგენილი სამეფო სახლის რედაქციაში და Y ხელნაწერში. ვნახოთ, რა წაკითხვებია სხვა ნუსხებში:

ABCMX, Y	პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმერთი და ღმრთულღებრ ცხოველი
JT	ჩემზრდან " "
DUV, GH, KO	ღმრთისაგან დიდად " "
E, FI	ძლიერი მეტად "

ზაზასეული რედაქციის (DUV) ვარიანტი განაარებულა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ³³, ქართველიშვილის, კარიჭაშვილის პირველ, კაკაბაძის, აბულაძის, კვიციანიძის, ინგოროყვას, 1957 და 1966 წლის საიუბილეო გამოცემებში, მაგუა მდივნის და ბებურიშვილის ვარიანტი — კარიჭაშვილის მეორე გამოცემაში. აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით 1966 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსანში ეს ტაეპი წარმოდგენილია „სამეფო სახლის“ რედაქციის ამგვარი კონიექტურით: „პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმერთი და ღმრთულღებრ ცხოველი“. როგორც ვხედავთ, ყველა გამოცემა გვერდს უვლის მეფის ღმერთად მოხსენიებას.

³² იხ. Д. С. Лихачев, Текстология, М.-Л., 1962, გვ. 177. ამავე თვალსაზრისით სანტერესო მაგალითებს და მოსაზრებებს ვხვდებით აკად. ე. ბერტელსის ნაშრომშიც: „Работа над текстом Низами“; იხ. Е. Э. Бертельс, Избранные труды, Низами и Фузული, М., 1962, стр. 458—474.

³³ შდრ. ამ ტაეპის თეიმურაზ ბაგრატიონისეული განმარტება: თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევა და საძიებლო, თბ., 1960, გვ. 134.

როგორ უნდა გავიგოთ „სამეფო სახლის“ რედაქციის: „პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმერთი და ღმრთულები ცხოველი?“ პირველ რიგში ჩვენ გვიანტირებს შესიტყვება „ღმრთულები ცხოველი“, რომელიც გამოცემებში წარმოდგენილია, როგორც „დიდად ცხოველი“ ან „მეტად ცხოველი“. ჩვენ ავთენტურ წაკითხვად „ღმრთულები ცხოველი“ მიგვაჩნია (წინამდებელი „ღმერთის“ გაგება კი ამ კომპონენტზეა დამოკიდებული). ანალოგიისათვის მოვიხმობთ 1053 (872) სტროფის მეოთხე ტაქს: „ვიმორწმებ ღმერთსა ცხოველსა მათებრი არვინ შობილა“³⁴. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში მხოლოდ ეს ორი მაგალითი გვაქვს გამოთქმის „ღმერთი ცხოველის“ ხმარებასთან დაკავშირებით. თვით „ცხოველი“ ღმერთის უპითეტი³⁵ და ამ ორი გამოთქმის საერთო ძირი ექვს არ იწვევს — „ღმერთი ცხოველი“ და (მეფე) „ღმრთულები ცხოველი“. მსგავსად წინა მაგალითისა, აქაც ვფიქრობთ, რომ „ღმრთულები ცხოველი“. ემენდაციის მიზნით ადვილად შეიძლება გადაკეთებულიყო „დიდად || მეტად . ცხოველად“ (საერთოდ, ასახსნელია, რას უნდა ნიშნავდეს „დიდად“ ან „მეტად“ ცხოველი? ვანა შეიძლება იყოს „მცირედ“ ან „ნაკლებად“ ცხოველი?), პირიქით გადაკეთება კი საეჭვოდ მიგვაჩნია.

ახლა რაც შეეხება „ღმერთს“ ამ ტაქსში. სამეფო სახლის რედაქციის მიხედვით ეს „ღმერთი“ როსტევეანია, მაგრამ მივაცქიოთ ყურადღება, რომ როსტევეანი ამავე დროს „ღმრთულები ცხოველია“. გამოდის, რომ როსტევეანი ღმერთია და ამავე დროს თავისთავისებრი (ღმრთულები) „ცხოველი“; მაგრამ ეს უკვე აშკარა შეუსაბამობაა. როსტევეანი „ღმრთულები ცხოველი“, მაგრამ თვით არის არა ის „სალოცავი ღმერთი“, რომელსაც მეფე ებაძვის, არამედ „ღმერთი“ მეტაფორული გაგებით ანუ სალოცავი ღმერთით უზენაესი. მივაქციოთ ყურადღება მეოთხე ტაქს: „მისი შემცოდე ღმრთისაგან კარგსა რასალა მოველი!“ აქ სავეებით ცხადია ავთანდილის მიერ როსტევეანისა და ღმერთის გამოჩენა და დაპირისპირება. მაშასადამე, პატრონი (ანუ მეფე) ავთანდილისთვის ისევე უზენაესია, როგორც ღმერთი. ესაა პატრონყმური გრძნობის ექსტაზის გამოვლენა, და ვეფხისტყაოსნის სიუჟეტურ-გასაღური დამოკიდებულების ფონზე ეს გამოთქმა უცნაურად არ გვეჩვენება: ვანა ამავე რანგში არ მოიხსენიებოდა და ვით სოსლანი პოემის ეპილოგის A 2122 (1666) სტროფში?

ქართულთა ღმრთისა დავითის, ვის მუხ მსახურებს სარებლად,
 ესე ამბავი გავლექსე მე შათად საკამათებლად,
 ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
 ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად.

34 საყურადღებოა, რომ ზაზასეული რედაქცია (DUV), რომელიც სიტყვის „ღმერთი“ ხმარებას პოემაში სისტემატურ კონტროლს უწევს, აქაც არ დალატობს თავს. ჩვენ მიერ ანალოგიისათვის მოხმობილ ტაქს ზაზასეული რედაქცია ცვლის ასე: „ვიმორწმებ ბედსა ცხოველსა, მათებრი არვინ შობილა“. ვფიქრობთ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ ზაზასეული რედაქციის ვარიანტი რედაქტორის კალამს ეკუთვნის.

35 შ. ლ. ლ. ო. ნ. ტ. ვეფხისტყაოსნის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1968, გვ. 175. აუტორის პოემიდან, ბუნებრივია, მაგალითად მოჰყავს მხოლოდ 872-ე სტროფი (ლექსიკონის სფუქველი პოემის 1957 წლის გამოცემა), რომელსაც ახლავს მრავალრიცხოვანი ანალოგიები ძველი ქართული ლიტერატურის როგორც პროზაული, ისე პოეტური ძეგლებიდან: „ისრაჲლი შო-ვითარ-აქცია ღმერთისა ცხოველისა“ („მარტვილობა და მოთმინებაა წმიდისა ევსტათი მცხეთელისაა“), „ადიარეს ჭუარცუმული იგი ქეშმარბატად მედ ღმრთისა ცხოველისა“ (მოქცევა ქართლისაა) და სხვა.

ეს სტროფი მეფის კულტის აპოლოგიაა, და აქაც ვხედავთ, რომ მეფე ღმერთად მოიხსენიება. აბსოლუტური ანალოგიაა: წინა შემთხვევაში ღმერთი როსტევიანია, აქ — დავითი. ამ ტაეპს არც ერთი გამომცემელი არ დაუეჭვებია (თუ გამოვრიცხავთ ბ. ინგოროყვას კონიექტურას), მაშინ როდესაც როსტევიანის ღმერთად მოხსენიება შეუფერებლად სცნეს სწორედ ქრისტიანული რელიგიის დოგმატების მიხედვით. საინტერესოა, რომ ამ ტაეპს გარდასულ დროთა „რედაქტორნი“ დაუფიქრებია და სამ ხელნაწერში (ბებურიშვილის, გურგენაძეული, რედაქტირებული) ვარიანტული ნაირკითხვით გვხვდება:

- FR დავითის ქართველთ მეფესა, ვის მზე მსახურებს სარებლად
- J დავითის ქართველთ მეფისა მზე მსახურებდა მარებლად.

ამ ვარიანტებში იმდენად აშკარაა რედაქტორის კალმის ჩარევა, რომ უნდა უყოყმანოდ ვერწმუნოთ ტექსტს — „ქართველთა ღმრთისა დავითის“.

ყოველივე ზემოთქმულის შემდგომ ვფიქრობთ, რომ A 1036 (857) სტროფის სხვადასხვა ნაირკითხვათაგან ყველაზე სანდოა „სამეფო სახლის“ რედაქციაში წარმოდგენილი: „პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმერთი და ღმრთულებრცხოველი“.

„ქართლის ცხოვრებიდან“ მოხმობილ მაგალითებთან ერთად განხილული ვეფხისტყაოსნის კითხვასხვაობანი ჩვენ ფაქტთა ერთ სისტემად გვეჩვენება. ყოველი რედაქციის, ხელნაწერის იქით დგას ჩვენთვის უცნობად დარჩენილი პიროვნება თავისი ჩამოყალიბებული აზროვნებით, მსოფლმხედველობით, მრწამსით. ვეფხისტყაოსნის შემდეგდროინდელი ვადამწერისათვის, უკვე დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველოს პირმშოსთვის, ღმერთი დარჩა მალა, ზღვარს ზემოთ, მეფემ, მეფობის იდეამ კი განუზომლად დაბლა დაიწია. აქედან — მეფის ღმერთთან შედარების შეუსაბამობა. ხელნაწერებში წარმოდგენილი ნაირკითხვანი ჩვენთვის საინტერესო პასაჟებისა ანარეკლია ახალი ისტორიული სინამდვილით ნაკარნახევი შეხედულებებისა; ესაა ერთგვარი გამოხატულება ხელნაწერის საერთო სტილისა, რომლის ანალოგიები სხვაგანაც იჩენს თავს. ყოველ შემთხვევაში მეფის ღმრთისწობის არსებული ტრადიცია, რომელმაც აპოთეოზს თამარის შესხმაში მიაღწია, ერთგვარად განმარტავს ვეფხისტყაოსნის რიგ ხელნაწერებში წარმოდგენილ მეფის ღმრთისსადარ ეპითეტებს (ამავე დროს ესაა მასალა ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის). ცნობილი ფაქტია, რომ პოემის პროლოგს უძღვის სტროფი, რომელშიც ანონიმი მთხველი ბრალს სდებს პოეტს — „არ ახსენებს სამეფსა ერთარსულად“. ამგვარად პოემის „ავად მჩხრეკელი“ იქვის ქვეშ აყენებდნენ რუსთველის რელიგიური აღმსარებლობის გულწრფელობას. ამ ვითარებაში კი მომდევნო ეპოქების ისტორიულ ფონზე ადვილად შეიძლება მოსჩვენებოდეთ მეფის ასეთი უსაზღვრო ქება მკრეხელობად. ვეფხისტყაოსანში ღმერთთან მეფის შედარების პასაჟთა ვარიანტებიც სწორედ ამ გარკვეული ტენდენციის ანარეკლად მიგვაჩნია.

მარიამ კარბელაშვილი

ОБ ИДЕЕ БОГОРАВНОСТИ ЦАРЯ В «ВИТЯЗЕ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»

Изучение памятников древнегрузинской литературы показывает, что, начиная с IX—X вв., в Грузии замечается явная тенденция возвышения царей, приравнивание их к богу (изотеоз), которая достигает своего апофеоза в период царствования царицы Тамары. Подтверждается и то, что в период позднего феодализма (XVI—XVIII вв.) вместе с ослаблением централизованной царской власти эта тенденция начинает исчезать, а в текстах, переписанных позднее (например, в исторических хрониках «Картлис цховреба»), уже отрицается идея всевышности царя.

С этой точки зрения интересный материал содержится и в рукописях поэмы Ш. Руставели «Витязь в тигровой шкуре». Как известно, лучшие рукописи «Витязя в тигровой шкуре» были созданы только в XVI—XVII столетиях. Сравнительное изучение этих текстов лишний раз подтверждает правильность высказанного выше соображения. Хотя в рукописях поэмы Ш. Руставели и отмечаются кое-где следы изотеизма, что в полне естественно для мировоззрения Руставели, все же в ряде случаев текст поэмы исправлен с позиций, противоположных изотеизму. Сравнительное изучение рукописей и текстологический анализ дают нам возможность восстановить первоначальный текст.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის
 ინსტიტუტმა)

Р. Р. ОРБЕЛИ

ГРУЗИНСКИЙ ПЕРЕВОД XVIII В.
ТРАГЕДИИ А. П. СУМАРОКОВА «СИНАВ И ТРУВОР»

Начало драматургии на грузинском языке принято датировать 90-ми годами XVIII века — временем литературной деятельности Георгия Авалишвили и появления комедий А. П. Сумарокова в его переводах. Эти комедии вошли в репертуар первого в Грузии светского театра.

Переводы трагедии Сумарокова («Синав и Трувор» и фрагмент из «Лже-Дмитрия») исследователи относят к первой трети XIX в. Однако датировка перевода трагедии «Синав и Трувор» требует пересмотра и уточнения.

На грузинском языке трагедия сохранилась в уникальной рукописи, которая до сих пор служит единственным источником сведений о переводе. В силу этого каждая ее особенность имеет существенное значение и должна быть учтена в исследовании текста. Внимательное изучение рукописи и сопоставление всех ее данных позволяют установить время перевода с достаточной степенью точности и разъяснить недоразумение, прочно укрепившееся в специальной литературе.

Дело в том, что первый исследователь рукописи Тр. Рухадзе, в свое время уже близкий к правильному определению датировки перевода¹, позднее пришел к совершенно ошибочным заключениям и без всякой аргументации повторял их в своих исследованиях². Эти сведения были использованы Корнелием Кекелидзе³.

Рукопись С 36, из собрания Института востоковедения Академии наук СССР (старый шифр С 42), представляет тетрадку 18,5×11,6 без переплета. Это беловой экземпляр, переписанный скорописью, четким но не каллиграфическим почерком, на бумаге с филиграньями 1749 г. «GR».

Рукопись принадлежала академику М. Броссе и в 1884 г., в составе его коллекции, перешла в Азиатский музей Петербургской Академии наук. На сложенном пополам листке бумаги, в который М. Броссе вложил эту маленькую рукопись, он написал на французском языке: «Sinav et Trouvor» и ниже — «tragédie en géorgien». Еще ниже, под горизонтальной чертой, М. Броссе написал по-грузински: პეტრე ჭეხაძე — «Петре Кебадзе», без каких-либо пояснений (лист — 145).

¹ Тр. Рухадзе, Древнейшее грузинское драматическое сочинение, Газ. «Литературиლი Сакартвело», Тбилиси, 1938, № 23 (78) (на груз. яз.).

² Тр. Рухадзе, Грузинский эпос в литературе «Переходного периода», Тб., 1939, стр. 168 (на груз. яз.); Древний грузинский театр и драматургия, Тб., 1949, стр. 235 (на груз. яз.); Из истории грузино-русских литературных связей (XVII—XVIII вв.), Тб., 1960, стр. 296, 349 (на груз. яз.).

³ К. Кекелидзе, История древней грузинской литературы, т. II, Тб., 1952, стр. 583 (на груз. яз.).



Очевидно, прочитав заново грузинскую пометку М. Броссе, в 1939 г. Тр. Рухадзе пришел к заключению, что грузинский перевод трагедии был сделан не Петрэ Некадзе, как он думал ранее⁴, а Петрэ Кебадзе⁵. Отсюда последовал вывод и о времени перевода, который, в том случае если переводчиком был Петрэ Кебадзе, действительно мог быть сделан только в XIX веке. Но Тр. Рухадзе стремился определить время и более точно, в одном случае указывая 10-е гг. XIX в.⁶, а в другом 30-е⁷. С автором, известным своими трудами в области истории грузинской литературы, в данном случае нельзя согласиться.

Петрэ Кебадзе (ум. в 50-х гг. XIX в.) корректор Московской синодальной типографии, знаток грузинской литературы и владелец большой коллекции рукописей, сыграл заметную роль в развитии грузиноведения в России. Академик М. Броссе, с первых же месяцев своего пребывания в Петербурге и далее на протяжении многих лет поддерживал с П. Кебадзе постоянный контакт и личную дружбу. К концу 1837 г. по ходатайству М. Броссе, Азиатский музей Петербургской Академии наук приобрел от П. Кебадзе значительную часть его коллекции рукописей и этим положил начало регулярному собиранию памятников грузинской письменности в Академии наук. В дальнейшем, вплоть до 1852 г. Азиатский музей получил от П. Кебадзе еще целый ряд грузинских рукописей, частично проданных, а частично поднесенных в дар.

Участие Петрэ Кебадзе в деятельности Азиатского музея и в деятельности основоположника научного грузиноведения в России академика М. Броссе заслуживает специального очерка. В данном случае важно отметить, что многие рукописи из своей библиотеки П. Кебадзе дружески подносил М. Броссе. Листая рукописи, ранее принадлежавшие П. Кебадзе, можно встретить и его дарственные надписи и просто пометки его имени. В свою очередь М. Броссе имел обыкновение отметить на переплете или обложке рукописи, из какого источника она поступила в собрание музея или в его личную коллекцию.

Рукопись, содержащая грузинский перевод трагедии Сумарокова, была подарком П. Кебадзе своему ученому другу и лаконичная пометка, сделанная М. Броссе на обложке, называет имя ее прежнего владельца, но отнюдь не имя переводчика текста.

Рукопись была переписана в середине XVIII в. Об этом говорят прежде всего ее палеографические данные: почерк, характерный для этого периода (см. рис. л. 61), бумага, датированная водяными знаками, 1749 г. и, наконец, запись почерком рукописи, помещенная на л. 62а после слов: *დასასრული ტრაგედია* („Конец трагедии“); „1751 მაისს 29 პეტერბურგს!“ (1751 мая 29 Петербург“).

Не установлено, имеем ли мы дело с автографом или с его копией, но ясно, что дата, помещенная в конце рукописи, вполне согласуется с ее палеографическими данными. Запись относится или к завершению работы над переводом или к окончанию его переписки набею. Рукопись показывает, что перевод был сделан не позднее 29 мая 1751 г. в Петербурге.

Известно, что первое издание трагедии Сумарокова «Синав и Трувор» вышло отдельной книгой в 1751 г. в Петербурге. Возникает вопрос, в каком же месяце книга стала достоянием читателей, если к 29

⁴ «Древнейшее грузинское драматическое сочинение».

⁵ «Грузинский эпос»..., стр. 168.

⁶ «Из истории грузино-русских литературных связей», стр. 296.

⁷ Там же, стр. 349.

мая уже был закончен ее перевод? Или перевод мог быть сделан до выхода издания из печати? На эти вопросы рукопись не отвечает и для их выяснения необходимо обратиться к обстоятельствам, предшествовавшим времени ее переписки.

Первое представление трагедии «Синав и Трувор» состоялось 21 июля 1750 г. на сцене придворного театра в Петергофе⁸ и было разыграно кадетами и офицерами Сухопутного Шляхетного корпуса⁹. Но еще до этого первого официального спектакля, в числе трех других ранних трагедий Сумарокова («Хорев», «Гамлет» и «Артистона»), в 1749 г. «Синав и Трувор» был представлен в стенах корпуса. Чтение отрывков из произведений Сумарокова и спектакли с постановкой пьес его и французских авторов вдохновлялись членами Общества любителей Российской словесности, созданного в корпусе при участии его бывшего питомца Сумарокова. Успех спектаклей вызвал интерес при дворе и в 1750 г. на сцене придворного театра были представлены — в январе «Хорев», а в июле «Синав и Трувор». Роль Синава была исполнена сержантом Н. А. Бекетовым¹⁰. На том же спектакле, по окончании «Синава и Трувора», была представлена трехактная комедия Сумарокова «Чудовищи»¹¹.

Успех трагедии «Синав и Трувор» побудил Сумарокова в том же году заняться ее изданием. 19 декабря 1750 г. он обратился в Канцелярию Академии наук с просьбой («покорным доношением») о напечатании «Синава и Трувора». В тот же день, 19 декабря, Канцелярией был составлен «ордер»¹², а 31 декабря в типографию направлено распоряжение о печатании трагедии в количестве 1000 экземпляров, как о том ходатайствовал автор. Издание готовилось корректором Алексеем Барсовым и наборщиком Иваном Ильиным. 30 января 1751 г. Канцелярию был подан рапорт Барсова о полной готовности издания¹³.

Одновременно с «Синавом и Трувором» (начиная с 17 января 1751 г.) в типографии Академии наук шло печатание трагедии «Артистона» (тираж был готов 30 мая)¹⁴, а с 9 февраля, по именному указу императрицы, «Синава и Трувора» в переводе на французский язык. Работу выполняли те же А. Барсов и И. Ильин, с участием во французском издании мастера Розенберга. 22 февраля 1751 г. Барсов подал рапорт о готовности издания французского перевода и в тот же день по-

⁸ «Синав и Трувор» трагедия Александра Сумарокова. Представлена в первый раз в 1750 году июля 21 дня на Императорском театре в Петергофе. СПб., печ. при Имп. Академии наук, 1751.

⁹ А. Карабанов, Основание русского театра кадетами Первого кадетского корпуса, СПб., 1849, стр. 10—20. М. Н. Лонгинов, Русский театр в Петербурге и Москве (1749—1774), Сборник отд. рус. яз. и словесности Академии Наук, т. IX, СПб., 1873, № 1, стр. 6—7.

¹⁰ А. Карабанов, Основание русского театра, стр. 14, 16. Исполнители комедии перечислены в издании Н. И. Новикова: Полное собрание всех сочинений Александра Петровича Сумарокова в стихах и прозе, Чч. I—IX, М., 1781—1782, ч. V, стр. 278.

¹¹ М. Н. Лонгинов, Русский театр в Петербурге и Москве, стр. 7.

¹² ЛО Архива АН СССР, ф. 3, оп. I, № 148, лл. 187—188. «Донοшение» и «ордер» опубликованы в изд. Материалы для истории Академии наук, т. X. (1749 (июнь-декабрь) — 1750), СПб., 1900, стр. 677—678.

¹³ ЛО Архива АН СССР, ф. 3, оп. I, № 148, л. 190. (Документы относящиеся к печатанию трагедии — лл. 186—193).

¹⁴ ЛО Архива АН СССР, ф. 3, оп. I, № 149, лл. 221—227.

лучил от канцелярии Академии наук распоряжение сдать часть напечатанных экземпляров в книжную лавку¹⁵.

Надо полагать, что в ответ на рапорт готовности русского издания трагедии, который был подан 30 января, аналогичное распоряжение о сдаче книг в продажу было сделано также в день подачи рапорта. Таким образом, трагедию «Синав и Трувор» можно было купить в книжной лавке в самом конце января или начале февраля 1751 г.¹⁶

Судя по тому, что к печатанию французского перевода типография приступила непосредственно вслед за выходом из печати русского издания, ясно, что к 9 февраля французский перевод уже был готов и следовательно для его подготовки была использована рукопись. Что касается грузинского перевода, то по-видимому в руках переводчика был печатный экземпляр. Это подтверждается следующими фактами.

15 декабря 1768 г. Сумароков обратился в Комиссию Академии наук с доношением о напечатании второго издания трагедий «Хорев» и «Синав и Трувор», «ибо старое издание все изошло»¹⁷. Второе издание «Синава и Трувора» (как и «Хорева») вышло в 1768 г. со значительными отличиями от первоначального текста¹⁸. В дальнейшем все издания трагедии повторяли текст 1768 г.

Разночтения трагедий Сумарокова в первом и втором изданиях П. Н. Берков определил как две авторские редакции текстов¹⁹. Сравнительному анализу изданий «Синава и Трувора» специальную статью посвятил Ю. В. Стенник²⁰. Как им установлено, трагедия во второй редакции (1768 г.) по сравнению с первой (1751 г.) изменена главным образом за счет значительных сокращений длиннот и повторений и стилистической правки.

Сведения о редактировании Сумароковым «Синава и Трувора» могут быть дополнены.

В делах Канцелярии Академии наук сохранилась тетрадь с рукописным текстом «Синава и Трувора», послужившая для типографского набора в 1751 г. (На внутренней стороне верхней крышки переплета тетради, внизу имеется запись: «Получена по напечатании из типографии от Барсова 1751 году июля 31 дня»²¹. Тетрадь содержит текст, переписанный набело копиистом, но выправленный самим Сумароковым. В тетради отсутствуют титульный лист, перечень действующих лиц и указание места действия²², в отличие от печатного текста, «действия»

¹⁵ ЛО Архива АН СССР, ф. 3, оп. I, № 150, лл. 115—131. Тираж французского перевода состоял из 312 экземпляров, для продажи было дано 174 экземпляра.

¹⁶ По сведениям А. Карабанова книга была «публикована в продаже 1751 г. 25 января» (Основание русского театра, стр. 16, прим. 16), но 25 января тираж еще не был готов.

¹⁷ В. П. Семенников, Материалы для истории русской литературы и для словаря писателей эпохи Екатерины II, на основании документов Архива Конференции Имп. Академии наук Петроград, 1915. Доношение опубликовано на стр. 99—100.

¹⁸ Синав и Трувор, трагедия Александра Сумарокова. Печатано в другой раз [СПб], при Им. Академии наук, 1768.

¹⁹ П. Н. Берков, А. П. Сумароков, М.-Л., 1949, стр. 24, 47—50.

²⁰ Ю. В. Стенник, Две редакции трагедии А. П. Сумарокова «Синав и Трувор», в кн. Русская литература XVIII в. эпоха классицизма, М.-Л., 1964, стр. 247—257.

²¹ ЛО Архива АН СССР, разряд II, оп. I, № 131.

²² «Синав, князь Российский. Трувор, брат его. Гостомысл, знатнейший боярин Новгородский. Ильмена, дочь его. Вестник, Паж. Воины. Действие есть в Новгороде в Княжеском доме» (Изд. 1751 г., стр. 3).

названы «актами», а «явления» — «сценами»; имена действующих лиц написаны сокращенно: Син., Трув., Гост., Ильм. Таковы технические отличия типографской рукописи от издания; соответствующие изменения были внесены, очевидно, в процессе набора.

Интерес представляет авторская литературная правка текста, коснувшаяся главным образом I, IV и V действий. Как и в 1768 г., правка шла путем купюр и стилистической отделки. Сумароков работал над рукописью, внося не только уже продуманные сокращения, дополнения и замены отдельных слов и строк, но и вписывая и зачеркивая варианты, как в черновике (л. 8). Все ненужные слова и строки тщательно вымараны. Кто-то, судя по почерку еще в XVIII в., пытался прочитать отдельные вымаранные места и прочитанный текст записывал карандашом на предыдущей (чистой) странице.

Приведем некоторые примеры авторской правки.

Действие I, явление I. Гостомысл.

«Пришло желанное, Ильмена, мною время» (Изд. 1751 г., стр. 5, типогр. рукопись, л. 2). Этот первый стих трагедии был вписан Сумароковым в типографскую тетрадь взамен первоначального варианта стиха, который вымаран.

— Действие то же, явление то же.

После слов Гостомысла «Ты щастья своего поднесь не презирала И князю никогда суровства не являла» (Изд. 1751 г., стр. 6, рук. л. 2) — третья строка вымарана.

Действие то же, явление то же.

Перед словами Ильины «Но было из всего удобно рассудить» (изд. 1751 г., стр. 6, рук. л. 2) — три строки вымараны.

Действие I, явление II. После слов Ильмены «Не облыгают ли глаза мои меня» (изд. 1751 г., стр. 11—12, рук. л. 7) — вставлены две строки, ранее отсутствовавшие: «И представляют мне на скорби и мученье Признаками любви Единое почтенье!».

Действие I, явление III. После слов Синава «Почто супружество еще нам отлагать, а отложив за что мне муки прибавлять?» (изд. 1751 г., стр. 13) в рукописи (л. 8) было: «Свидетельствуюсь я братьями моими Коль жестоко пронзен я взорами твоими. Они то ведают, как я тебя люблю». Исправлено на «Свидетельствуюсь им размучен мыслями злыми Коль жестоко пронзен я взорами твоими. Он точно ведаёт, как я тебя люблю. Указывая на Трувора».

Действие то же, явление то же. После слов Синава «В тебе любовницу я чту и дочь геройску» (изд. 1751 г. стр. 14) в рукописи (л. 8) было: «Скажи ты, Рурик, то жрецам, вельможам, войску». Исправлено на «Скажи ты, Трувор, то жрецам, вельможам, войску».

Итак, уже готовый текст трагедии был еще раз просмотрен и окончательно отредактирован Сумароковым. Внимание автора было сосредоточено главным образом на первом акте, вводящем зрителя в драматическую ситуацию, и на развязке в последнем акте.

Литературная правка, внесенная автором в типографскую тетрадь, по объему значительно уступает правке 1768 г., когда трагедия была переработана. До специального прочтения типографской тетради и восстановления ее первоначального текста говорить о наличии трех редакций «Синава и Трувора» — преждевременно. Но различия тетради и издания 1751 г., наличие какого-то замысла, позднее отвергнутого — несомненны и должны быть отмечены. Возможно, что тетрадь содержала трагедию в том ее виде, как она прозвучала на первом публичном представлении 21 июля 1750 г. Вся авторская правка, внесенная в текст до набора, была полностью учтена в издании 1751 г.



Сличение грузинского перевода с подлинным текстом в изданиях 1751 и 1768 гг. и в типографской тетради показало, что для перевода был использован текст, изданный в 1751 г. Правда, в грузинской рукописи, которая содержит полный текст сочинения, так же как и в типографской тетради, отсутствуют перечень действующих лиц, указание места действия и титульный лист, но это совпадение кажется случайным: в руках переводчика был печатный экземпляр.

Как уже упоминалось, французский перевод трагедии мог быть сделан только с рукописи и был издан по именному указу императрицы. Издание было подготовлено в кратчайший срок, в небольшом количестве экземпляров, так как предназначалось, вероятно, для избранного круга читателей²³. Весьма возможно, что перевод был сделан по заказу. Какой именно рукописью оригинального текста пользовался переводчик — неизвестно, но перевод идентичен тексту в издании 1751 г. Автором перевода был Александр Долгорукий, один из двух братьев — переводчиков сатир А. Кантемира на итальянский язык. Известно, что с весны 1742 г. Александр и Владимир Долгорукие довольно долго жили в Париже²⁴. Надо полагать, что в 1750 г. рукопись трагедии для французского перевода А. С. Долгорукий, уже находясь в Петербурге, мог получить от самого Сумарокова — они были знакомы со времени корпуса, оба окончили его в 1740 г., Сумароков в апреле, а Долгорукий в декабре²⁵.

Литературное отличие грузинского перевода от оригинала (так же как и французского) состоит в том, что стихотворный текст передан в прозе.

Отказавшись от поэтической формы (метра и рифмы) и тем самым от полного соответствия оригиналу, грузинский переводчик сумел достичь высокой степени точности, максимально приблизив грузинский текст к русскому. Это могло быть сделано только при отличном владении и грузинским и русским языками, но было бы недостаточно для художественного воспроизведения подлинника. Однако переводчик проявил и вкус в выборе лексики и мастерство в построении речи, близком к ритмической плавности. Переводчик использовал современные ему языковые средства (стилизацию здесь безусловно надо исключить), поэтому язык грузинского перевода трагедии подтверждает его датировку серединой XVIII века.

Сопоставление грузинского перевода с подлинником и с французским переводом может представить интерес для характеристики стилистических приемов, использованных его автором.

Остановимся на отрывке из заключительной сцены.

Издание 1751 г., стр. 79—80:

Синав.

Претемный облак свет от глаз моих сокрыл,

Прекрасно солнце! чем тебя я прогневил,

²³ Sinave et Trouvore, tragédie russe en vers, faite par Monsieur Soumarokoff, et traduite en François par Mr le Prince Alexandre Dolgorouky (Imprimé dans l'Académie des Sciences), SPb, 1751.

²⁴ X. Грассгоф, Первые переводы сатир Кантемира, в кн.: «Международные связи русской литературы», сборник статей (Институт русской литературы), М.—Л., 1963, стр. 103.

²⁵ Лузанов П., Сухопутный Шляхетский кадетский корпус (ныне 1-ый кадетский корпус), при графе Минихе (с 1732 по 1741 г.), исторический очерк, составил по архивным материалам Петр Лузанов, СПб., 1907, стр. 150, 159.



Что пламень твой меня уже не освещает?
Или в сей страшный день вселенна погибает?
Пронзают темноту лучи: преходит мгла,
Прешла, и небесам цвет прежний отдала.
Но что вы воины на мя смятенно зрите?
Куды вы от меня, куды вы все бежите?
Печальный Нов-град ты рассеян ныне весь.
Скажи Ильмена мне что приключилось здесь?
Кому ни говорю, ни кто не отвечает.
Где скрылся Гостомысл? Что Трувор там стонает!
Но что ты весь в крови, возлюбленный мой брат?..
Ильмена на меня прегневный мешет взгляд!
Где я? Скажите мне²⁶.

Гостомысл.

Познай сии чертоги
И город, что тебе вручили править боги.
Познай: и просвети свой омраченный смысл.

Синав.

На что ты возвратил мне память, Гостомысл.
Встает
О день! Несчастный день! Я мучусь нестерпимо.
О солнце! Для чего еще ты мною зримо!²⁷

Грузинский перевод, л. 61 а-б:

სინავ,

ბნელმან ღრუბელმაი ნათელი თვალისა ჩემისა დამიფარა. მშვენიერო მზე! რითი გაგარის-
ზე შენ, რომ სხივი შენი მე აღარ განმანათლებს? ან ამა საშენელსა(!) დღესა სრ სოფელი ესე
ილუპიდეს? განსჭრიან სიბნელესა სხივნი: გარდავალს ნისლი? გარვლო, და ცათაცა უწინდელი
ფერი მისცა. მაგრამ რათა მჭერებთ თქვენ მე ესეოდენ აღრუულად შემოაბრნო? სადღე მირ-
ბით თქვენ ჩემგან? სადღე მირბით თქვენ ყლი? შეწუხებულო ნოვოგოროთო შენ გაბნეული ხარ
აჲ სრ. მითხარ ილმენა მე აჲ რა დაგემართა? ვისაც არ ვეუბნები, არა ვინ პასუხს არ მაძლევს.
სად დაიმალა ღოსტომისლ? ტრუვორო მუნ რას იხრავს! საცვარელო მძიო ჩემო, რათ გასხვრილ
ხარ აგრე სისხლშიდ?... ილმენა მესვრის მე ყლ გამწყარალსა კრეტსა! სადა ვარ მე? მითხარით.
ღოსტომისლ

იცან საყოფელი ესე, და ქალაქი, რომელიცა მოგაბარეს შენ ღოთა გასარიგებულად:
იცან: და განწმინდე შენი დაბნელებული ქკუა.

სინავ

რათ გამოიბარუნე შენ ჩემი ქკუა ღოსტომისლ? ადგების, თი დღე! უბედურო დღე! მე
ვიტანჯვი გაუძლებელად. თი მზეო! რათ მეჩვენებო მე კიდევ!

²⁶ Вариант: Типографская тетрадь (л. 55):

Синав: Но что ты весь в крови возлюбленный мой брат?..

За что ты на меня ужасный (?) мешешь взгляд

Дражайшая Ильмена ты рыдаешь.

За что меня, за что ты тако называешь.

Где я? Скажите мне.

²⁷ Вариант: Издание 1768 г. (стр. 78).

Синав: Но кто поверженный там очи к небу мешет!

Какой несчастливый в крови своей трепещет!..

Едва, едва дыша томится человек...

То Трувор, брат мой то: ах, он кончает век!

Прости любезный брат!.. Сие все мной творимо.

Встает

О солнце для чего еще ты мною зримо!



Перевод перевода:

Синав:

Темное облако свет от глаз моих скрыло. Прекрасное солнце! Чем я тебя прогневил, что луч твой меня более не освещает? Или в сей страшный день вся вселенная эта погибает? Разрезают темноту лучи: переходит мгла? Перешла, и небесам прежний свет отдала²⁸. Но что взираете вы на меня так смятенно, воины? Куда бежите вы все? Печальный Новгород, ты рассеян ныне весь. Скажи, Ильмена, мне, здесь что случилось? Кому ни говорю, никто ответа не дает. Где скрылся Гостомысл? Трувор что там стонет? Возлюбленный брат мой, почему ты запачкал так в крови? Ильмена мечет на меня прегневный взор? Где я? Скажите мне.

Гостомысл.

Познай жилище это, и город, который поручен тебе богами для управления. Познай: и проясни твой помраченный ум.

Синав.

Зачем возвратил ты мне мой ум, Гостомысл? Встает. О день! Несчастный день! Я мучусь нестерпимо. О солнце! Зачем ты показываешься мне еще!

Как можно видеть на этом примере, грузинский переводчик строго следовал оригиналу, находя точные соответствия для его передачи. Так, в ряде случаев из многих синонимов он искусно отобрал значения совершенно тождественные подлиннику, а сохранив сочетания слов оригинала, в его время еще незнакомые грузинской фразеологии, например: «смятенно зрите» или метонимию «Новгород.. рассеян», передал поэтические образы с лаконизмом автора. Только в двух случаях (в данном отрывке) он неоправдано отступил от своего правила и несколько изменил два образа в монологе Синава, употребив вместо «Прекрасное солнце... пламень твой» — «луч твой» и вместо «пронзают темноту лучи» — «разрезают». Но такая неточность — исключение. Примечательно также, что оставаясь полностью в пределах норм грузинского языка, переводчик смог приблизиться к синтаксической структуре предложения русского текста.

Индивидуальный стиль Сумарокова, его понимание «высокого стиля» трагедий создавали для грузинского переводчика середины XVIII века немалые затруднения. Грузинский литературный язык, под воздействием иноязычных литератур и творческих поисков отдельных авторов, испытывал в этот период, как и русский, значительные изменения. Поэтому перевод современного художественного произведения с русского языка на грузинский требовал от переводчика не только литературного чутья, но и понимания своих задач как стилиста. И переводчик трагедии сознательно шел вслед за автором, соблюдая принцип «чистоты языка» и избегая варваризмов. В нашем примере это иллюстрируется передачей слова «чертоги». Отсутствие в исконно грузинском языке слова для обозначения понятия «чертоги», «дворец» восполняется латинским „პალატი“ (palati) и иранскими დარბაზი (darbazi) и სრა (sra). В XVIII в. известен композит სრა-სახლი, где иранское «дворец» сочетается с грузинским «дом». Переводчик Сумарокова предпочел пожертвовать точностью и использовать коренное грузинское საოფელი — «жилище». (Впрочем вспомним, что для автора это и «чертоги» (стр. 79 в изд. 1751 г.) и «княжеский дом» (там же, стр. 3)).

Сумароков стремился к чистоте и простоте языка. Грузинский переводчик последовательно придерживался оригинала, но если сам ав-

²⁸ К сожалению, в обратном переводе не удалось избежать двух рифм, отсутствующих в грузинском тексте: «погибает» — «освещает» и «мгла» — «отдала».



тор нарушал свое правило и обращался к славянизмам, то переводчик не искал соответствий в архаизмах грузинского языка, а оставался в рамках современного словоупотребления. Более того, в интересах тончайшего оттенка смысла, он мог и «снизить» стиль, как в приводимом отрывке, где и для перевода глагольной формы «стонать» использовано не სულაქმა (стонать, стенать, вздыхать), а ოხვრა (охать, шуметь, стонать). Очевидно, по мнению переводчика, «стонать — охать» точнее выражало страдания раненного Трувора, чем «стонать — вздыхать».

О существовании грузинского перевода трагедии Сумароков, может быть, и не знал. Но с французским переводом он был знаком и, видимо, его одобрял.

Интересно напомнить, каковы были взгляды Сумарокова на принципы перевода, какие требования он предъявлял переводчику:

Посем скажу, какой похвален перевод:
Имеет в слогѣ всяк различіе народ.
Что очень хорошо на языкѣ французском,
То может в точности быть скаредным на русском.
Не мнѣ, переводя, что склад в творце готов;
Творец дарует мысль, но не дарует слов.
В сопряженіе речей его ты не вдавайся
И свойственно себе словами украшайся.

И далее:

Хотя перед тобой в три пуда Лексикон,
Не мнѣ, чтоб помощь дал тебе велику он,
Коль речи и слова поставишь без порядка:
И будет перевод твой некая загадка,
Которую никто не отгадает ввек;
То даром, что слова все точно ты нарек.
Когда переводить захочешь беспорочно;
Не то, творцов мнѣ дух яви и силу точно²⁹.

Итак, точное воспроизведение «мысли», «духа» и «силы» подлинника правильным «складом» другого языка — такова, в понимании Сумарокова, основная задача переводчика.

Изящный французский перевод, в отличие от грузинского, изобилует отступлениями от оригинала.

Французский перевод (стр. 72):

Un sombre nuage déroba le jour à mes yeux! Brillant soleil par où ai-je mérité ton courroux pour que tu refuses de m'éclairer? L'univers périt-il en ce terrible jour? Mais quoi! La clarté perce cette nuit sombre; l'obscurité se dissipe! elle est dissipée: Les Cieux ont recouvré leur première splendeur! Soldats, quel est le trouble que vous faites paroître en me voyant! Où courés vous cruels! où fuiés vous loin de moi! Triste Novogrod! tes citoyens sont tous épars!

Dís moi, Ilméne, dís moi ce qui s'est passée en ces lieux! à qui que ce sois que je parle, personne ne me répond? Où Costomisle s'est-il caché! d'ou vient que Trouvore gémir? Mais quoi! Je te vois tout en sang? Cher frère!... Quel regard irrités Ilméne lance sur moi! où suis je? dites le moi!

²⁹ Эпистола о русском языке, Полное собрание всех сочинений в стихах и прозе, ч. I, стр. 331. Там же см. Наставление хотящим быти писателями, стр. 359.



Gostomisle.

Reconnoissés ces lieux; cette ville dont les Dieux vous ont donnés l'empire; reconnoissés les et rapellés vos esprits égarés.

Sinave.

Ah! pourquoi, Gostomisle, m'as-tu rendu l'usage de mes sens?

(Il se leve).

O jour! malheureux jour! je ne puis endurer mon tourment! O Soleil, pourquoi me laisses tu encore jouir de ta clarté!

В нашем отрывке можно заметить, что переводчик изменяет эпитет (*Brillant soleil!*³⁰) и часто дополняет автора („par où ai-je merité ton courroux!“, „Mais quoi!“, *Où courrés vous, cruels!*“, „tes citoyens sont tous épars!“). Подобные и другого рода отдельные неточности встречаются в переводе постоянно и все же он безусловно отвечает важнейшим требованиям автора.

Грузинский перевод, объективный и точный, в котором подлинник не был ни приукрашен, ни обеднен, отразил понимание переводчиком как общего замысла трагедии, так и особенностей ее содержания и художественного выражения (например, пафос речей Синава и резонерский тон Гостомысла оказались в переводе не менее экспрессивным, чем в оригинале). Грузинский переводчик, понимая (а может быть, и зная) литературные идеалы Сумарокова, сумел их претворить на почве, совершенно чуждой стихии русского языка.

Кто же перевел трагедию Сумарокова на грузинский язык? Рукопись не содержит даже намека на личность переводчика. (Случайная приписка на л. 65 б, упоминающая некоего Георгия, не дает никаких оснований считать, что Георгий — это имя переводчика). Отождествить почерк текста с чьим-либо известным почерком пока не удалось. Поэтому в вопросе об авторе перевода возможны лишь догадки.

Зная, что перевод был сделан в Петербурге, переводчика следует искать среди членов петербургской грузинской колонии, может быть, среди представителей свиты Вахтанга VI или их ближайших потомков. На основании ряда косвенных данных представляется весьма возможным, что это был Дмитрий Павлович Цицианов (Цицишвили).

Как А. П. Сумароков и А. С. Долгорукий, Д. П. Цицианов был воспитанником Сухопутного Шляхетского корпуса, в котором завершал свое образование, начатое в 1739 г. в Академическом университете. В корпусе Д. П. Цицианов пробыл с октября 1739 г. до конца февраля 1742 г., т. е. в период, когда Сумароков и Долгорукий еще были кадетами, а с 1740 г. Сумароков оставался в качестве офицера. По сдаче экзаменов при Академии наук Цицианов был выпущен из корпуса с блестящим аттестатом, в котором были отмечены его успехи в усвоении всех предметов и среди них русского, немецкого, французского и латинского языков³⁰. Как сказано в аттестате, «Грузинец князь Дмитрий Цицианов, 19 лет от роду $2\frac{1}{3}$ года в корпусе» был «из числа 24-х чело-

³⁰ Имянной список всем бывшим и ныне находящимся в Сухопутном Шляхетном Кадетском Корпусе Штаб-Обер-офицерам и Кадетам с показанием кто из оных с какими достоинствами, в какие чины выпущены и в каких чинах ныне, часть I, в Санктпетербурге, при Сухоп. Шлях. Кад. корпусе, 1761 года, № 675, стр. 210.



век, которые обучаются цивильных наук»³¹. Известно, что «корпус с самого начала имел задачей подготавливать дворян не только к военной, но и к гражданской службе»³². С 1742 г. Цицианов «у статских дел», сперва в Петербурге, а затем в Москве в Межевой канцелярии и Юстиц-коллегии. С 1776 г. он в отставке³³.

Д. П. Цицианов родился 17 августа 1721 г. в Грузии, а в конце 1724 г. был привезен в Петербург своим отцом князем Папуной Захариевичем Цицишвили, состоявшим в многочисленной свите Вахтанга VI. Впоследствии капитан Грузинского гусарского полка, П. Цицишвили был убит в 1741 г. во время Шведской войны³⁴. Д. П. Цицианов умер 22 сентября 1777 г. в Москве³⁵.

Семья Цициановых осталась в России, и все ее мужское поколение состояло на русской военной и гражданской службе. Многие члены этой семьи имели склонность к литературным занятиям и независимо от рода службы писали и переводили (главным образом с французского языка). Некоторые из сочинений и переводов Цициановых дошли до нас в изданиях, некоторые в рукописях, среди них в грузинских. Наибольшую известность как литератор приобрел брат Д. П. Цицианова Егор (Георгий) Павлович, переводчик и поэт. Пребывание в России не отрывало Цициановых от культурных интересов Грузии, от живых связей с грузинской средой, и хотя их переводческая практика не была систематична, она прямо или косвенно служила делу развития новейшей культуры Грузии.

Судить о литературных занятиях Д. П. Цицианова по тому, что было издано при его жизни и, может быть, посмертно, довольно трудно, т. к. это всего три издания, ничем не связанные между собой. В 50-х гг. Цицианов стал известен как автор руководства по геодезии, написанного им на основании личного опыта³⁵. В 1786 г. было издано его завещание³⁶, а в 1789—1790 гг. опубликован труд французского автора XVII в. Ардуэна де Бомон де Перификса «История короля Генриха Великого» в переводе с французского языка, сделанном Д. П. Цициановым совместно с А. М. Ниловым³⁷.

Биография Д. П. Цицианова еще не написана, сведения о нем рассеяны в самых разнообразных документальных и литературных источниках XVIII—XIX века на русском и грузинском языках. В 1960 г. биографическими материалами Цициановых занимался Т. Рухадзе³⁸, а в последние годы некоторые новые материалы привлекла к своему ис-

³¹ Материалы для истории Академии наук, т. V, СПб., 1889, стр. 37.

³² П. Лузанов, Сухопутный Шляхетный Кадетский корпус, стр. 4.

³³ Список находящимся у статских дел на 1766 г. СПб., при Сенате; Месяцеслов с росписью чиновных особ на 1776 г. СПб., при Академии наук.

³⁴ Жизнь князя Павла Дмитриевича Цицианова, М., 1823, стр. 4.

³⁵ Завещание статского советника князь Дмитрия Павловича Цицианова детям своим, последуемое эпитафиею, СПб., 1786, стр. 12 и 13.

³⁶ Краткое математическое изъяснение землемерия межевого 1757 года [СПб., тип. Академии наук, 1757].

³⁷ Завещание статского советника князь Дмитрия Павловича Цицианова детям своим, последуемое эпитафиею, СПб., 1786.

³⁸ История короля Генриха Великого, сочиненная Гардуеном де Перификсом, епископом Родецким, бывшим учителем короля Людовика XIV. Переведена с французского князем Дмитрием Цициановым и Андреем Ниловым, тт. 1—2, Тамбов, Вольная тип., 1789—1790.

³⁹ Т. Рухадзе, Из истории грузино-русских литературных связей, стр. 44—45, 49, 51, 63, 77, 95—99, 134, 193, 211, 225, 242, 259—260, 317, 342, 343.



следованию Н. Махатадзе⁴⁰. Как они пишут, Д. П. Цицианов еще в юношеском возрасте переводил с французского на грузинский язык.

Выяснение многих фактов биографии Д. П. Цицианова и его литературной деятельности требует изучения источников среди русских и грузинских рукописных материалов и, может быть, среди анонимных изданий.

Для нашей темы важен ранний период жизни Цицианова, время его учения в корпусе, пребывания в Петербурге. Здесь он находился в среде молодежи, группировавшейся вокруг Сумарокова, жившей интересами литературы и сцены. Именно этот факт, как и совпадение времени издания трагедии и ее французского перевода с временем появления перевода на грузинский язык и дает нам основание высказать предположение, что автором грузинского перевода мог быть Д. П. Цицианов.

Несомненно, что перевод одной из трагедий А. П. Сумарокова на грузинский язык совершенно частный вопрос в истории грузинской культуры XVIII в. Но в истории грузинской драматургии этот перевод оказывается хронологически первым драматическим произведением в литературе XVIII в. О сценическом воплощении «Синава и Трувора» на грузинском языке до настоящего времени сведений нет, да и вряд ли когда-нибудь они появятся. Располагая единственной рукописью текста, можно думать, что перевод или остался в неизвестности или был забыт.

Был ли это случайный литературный эксперимент или переводчик принадлежал к плеяде грузинских просветителей XVIII в.? Историческая тема должна была отвечать общественным интересам передовых кругов грузинской интеллигенции. Пусть в основе сюжета лежат события легендарного периода русской истории, нравственно-политическая направленность трагедии, ее патриотическая идейность и поучительность во многом были созвучны идеям грузинских просветителей XVIII в.

⁴⁰ Н. Махатадзе, Очаг грузинской культуры в Петербурге, XVIII—XIX вв. Тбилиси, 1967, стр. 73—77, 80—87 (на груз. яз.).

(Представил академик АН ГССР Ал. Барамидзе)



ლაშარა ვაარამაძე

პეტრე უმიკაშვილი — რედაქტორ-გამომცემელი

ქართული ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმიანობის ისტორიაში პეტრე უმიკაშვილს განსაკუთრებული და დიდად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული წიგნის პირველი სერიოზული, მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული გამოცემანი.

პეტრე უმიკაშვილი, ქართული კულტურისა და ლიტერატურის ეს ჩემი მოპირნახულე, ორმოც წელზე მეტხანს გასაოცარი სიყვარულითა და თავდადებათ იღწვოდა ყველა საქმეში, რომელიც კი ქართველი ხალხის ეროვნული განვითარებისათვის მიაჩნდა საჭიროდ და მნიშვნელოვანად. ავტობიოგრაფიაში, სადაც იგი სიტყვაძუნწად აღწერს თავის ღვაწლს ქართველი ერის წინაშე, თავისი საქმიანობის ყველა მხარეს — თეატრია იგი, ჟურნალისტიკა, თუ საგამომცემლო საქმე — ქართველი ხალხის, ქართველი ახალგაზრდობის განათლების გადაუდებელი საჭიროებით ხსნის.

ფილიპე გოგიჩაიშვილისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში პეტრე უმიკაშვილი პირდაპირ სამოქმედო გეგმას, პროგრამას უსახავდა მშობლიური ლიტერატურისა და კულტურის განვითარებისათვის მოღვაწე კაცს¹.

უპირველესად კი საკუთარ თავს უყენებდა იგი ამ ზნეობითს ვალდებულებას, საკუთარი ნიჭი და ენერჯია მიჰქონდა მსხვერპლად მშობლიური კულტურისა და ლიტერატურის განვითარების, ქართველი ახალგაზრდობის განათლებისა და გათვითცნობიერების დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საქმისათვის. ამით უნდა აიხსნას მისი მრავალმხრივი, თავდაუზოგავი საზოგადოებრივი საქმიანობა.

ბ. უმიკაშვილი იყო მეტად ნაყოფიერი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, ქართული ხალხური საგანძურის დაუღალავი შემკრები და ჭირისუფალი, იაფფასიანი (შაურიანი) გამოცემების სულისჩამდგმელი, ქართული თეატრის დიდი მოამაგე, დრამატურგი და მთარგმნელი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობის დაუღალავი შემწე და მისი პოპულარიზატორი, ევროპაში სწავლის მისაღებად წასულ სტუდენტთა პატრონი და წამქეზებელი, ქართულ ხელნაწერთა დაუცხრომელი მძიებელი და შემსწავლელი, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამომცემელი და სხვ. ძნელია პ. უმიკაშვილის მრავალფეროვანი ღვაწლის ჯეროვანი აღწერა წინამდებარე მცირე ნაშრომში. ამიტომ შევეხები მისი მოღვაწეობის მხოლოდ ერთ მხარეს — ქართული წიგნების გამოცემის საქმეში მის ღვაწლს და ამ გამოცემებში განხორციელებულ ჯეორიულ თუ პრაქტიკულ პრინციპებს.

¹ წერილი ფილიპე გოგიჩაიშვილისადმი, 28.XII.1898 წ. იხ. შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ფოლკლორის არქივი, უმიკაშვილის ფონდი.

როცა 1869 წელს პლატონ იოსელიანმა შესთავაზა ქართველ საზოგადოებას ძველი ქართული წიგნების გამოცემა, პ. უმიკაშვილი დიდი სიხარულით შეეგება ამ იდეას. მან სპეციალური წერილი დაბეჭდა „დროებაში“, სადაც ახასიათებდა ამ წამოწყების უდიდეს ეროვნულ მნიშვნელობას. გარდა ამისა, „დროებასა“ და „მნათობში“ დაიბეჭდა მისი წერილი გ. წერეთლისა და ნ. ბერძენოვის თანაავტორობით „ძველი წიგნების გამოცემაზე“, რომელშიც წერილის ავტორები განიხილავენ ძველი ქართული წიგნების გამოცემის გადაუდებელ საჭიროებასა და მნიშვნელობას ქართული კულტურისა და ქართველი ახალგაზრდობის განათლების საქმეში; აცნობენ საზოგადოებას გამოცემათა განხორციელების საკუთარ გეგმას.

პ. უმიკაშვილი მუდმივად თანამშრომლობდა ძველი ქართული მწერლობით დანიტერესებულ პირებთან, აქეზებდა მათ, შემწეობასა და მონაწილეობას პირადებოდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ქართული წიგნის გამოცემის საქმეს უფრო მეტი და მეტი მოჭირნახულე შემატებოდა. ნ. მართან მას გულითადი მიმოწერა ჰქონდა და სიხარულით უსრულებდა პეტერბურგში მყოფ მარს ყოველგვარ თხოვნას ქართულ მწერლობასთან დაკავშირებით. უმიკაშვილის უანგარობა და თავდადება ქართული ლიტერატურისათვის ნ. მარსაც დიდ პატივისცემას უნერგავდა მის მიმართ: „თქვენი მზადმყოფლობა, ემსახურით ყოველი ძველი მწერლობის მონიტერესეს, ღირსსახსოვარი და დიახ სასიქადულაოა“, — წერდა იგი. ცნობილია, რომ ნ. მარმა ძალზე მკაცრი რეცენზია მიუძღვნა „ვისრამიანის“ უმიკაშვილისეულ გამოცემას, მაგრამ ამას მათ ურთიერთობაზე გავლენა არ მოუხდენია. 1887 წელს იგი ნ. მარს წერს: „ვისრამიანის, როსტომიანის, ქილილა და დამანას გასინჯვა და შედარება დიახ ძვირფასი შრომა იქნება, თუ თქვენს შრომას გაუზიარებთ ქართველს მკითხველებს... ვისრამიანის შედარების გამო ვკითხვ („ივერიის“ რედაქციაში. — ლ. გ.) და ასე მიპასუხეს — დაებეჭდავთო. მასადაამე თქვენი ნაშრომი, როგორც იწერებით, დიდხანს არ დაგრჩებათ ყუთში, ქართული ენის ნათესაობის შესახებ და ვისრამიანის შედარებაც ჩემ სახელზე გამოგზავნეთ და მე გადავსცემ რედაქციაში. თუ საჭირო იქნა რამე დასამატებელი რედაქციის აზრით, მასაც გაცოლინებ“².

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ უამრავ წერილში პ. უმიკაშვილი კიდევ და კიდევ უკიეინებს ქართველ საზოგადოებას ძველი ქართული წიგნების გამოცემისადმი გულგრილობას. იგი წერს: „დიახ სამწუხაროა, რომ სალიტერატურო და საისტორიო ჟურნალი არა გვაქვს. ღარიბნი ვართ ფულითაც, ცოდნითაც, მცოდნე კაცებით, შრომისმოყვარეობით და ყოვლისფრით. აი, წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ჩნდება მსურველი რომლისამე მწერლის გამოცემისა, ოღონდ რედაქცია იკისროს ვინმემ და არ არის კაცი რომ იტვირთოს. რასაკვირველია ყველა მიზეზად იმასა ხდის, რომ უსასყიდლოდ შრომის ტვირთვა არ შეიძლებაო, მაგრამ ამასთან მეორე მხარესაც ადგილი აქვს, ესე იგი უნიტერესობას ლიტერატურის შესწავლისას და სურვილის უქონლობას შესწავლის საქმეს დაეხმაროს, შრომა გასწიოს, შრომა იკისროს ვინმემ. ენახოთ მომავალში რა იქნება, ვინ იქნება მშრომელი“.

პეტრე უმიკაშვილი დიდ გულისტკივილს გამოსთქვამდა იმის თაობაზე, რომ ძველი ქართული მწერლობის ნიმუშები ძლიერ მცირე რაოდენობით იბეჭდებოდა.

² გ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, პ. უმიკაშვილის ფონდი, № 21.

რის გამოც თანამედროვე ლიტერატურის მუშაკთათვის და დაინტერესებულ პირთათვის იგი ძნელად მისაწვდომიაო.

დიდ მნიშვნელობას აძლევდა პ. უმიკაშვილი ევროპის სამეცნიერო ასპარეზზე ქართული ენისა და მწიგნობრობის საკითხების გატანასაც. 1888 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა მისი წერილი „მეშვიდე კრება ორიენტალისტებისა ვენაში“, რომელშიც იგი აღწერს კონგრესის მუშაობას და გულისტკივილს გამოთქვამს, რომ ყველა ერის წარმომადგენელი ღებულობდა მასში მონაწილეობას, გარდა ქართველობისა; არც ერთი საკითხი ქართული ლიტერატურისა თუ ენის სფეროდან ამ კრების მსჯელობის საგანი არ გამხდარა. „განა თარგმანები ლეილ-მეჭუნის, ქილილა და დამანას, იოსებ ზილიხანიანის და სხვათა არ იქნებოდა საინტერესო, ან ქართული ენის თავისებურებათა გამოკვლევა?“ — კითხულობს იგი გულისტკივილით³. პ. უმიკაშვილი მიმოიხილავს ქართული ენისა და ლიტერატურის საორიენტაციო საკვლევ საკითხებს, რითაც მსოფლიო მეცნიერები შეიძლებოდა დაინტერესებულყვნენ. აღნიშნავს, რომ ევროპაში დიდად აინტერესებთ საკითხი, თუ რომელ ენათა ჯგუფს განეკუთვნება ქართული ენა: ან კიდევ რა კავშირი აქვს ვანის ტბის მიდამოებში აღმოჩენილ ლურსმულ წარწერებს ქართულ ენასთან და საქართველოს ისტორიასთან საერთოდ.

ევროპის ასპარეზზე ქართული კულტურის გატანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად პ. უმიკაშვილს მიაჩნდა უდიდეს წიგნთსაცავებში ქართული წიგნების განყოფილების დაარსება, რაც ერთი მხრივ დაეხმარებოდა ევროპაში სწავლის მისაღებად წასულ ახალგაზრდობას და მეორე მხრივ აღძრავდა ევროპელ ორიენტალისტთა ინტერესს ქართული ლიტერატურისადმი. ამ მხრივ მან რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა. მაგ., ფ. გოგიჩაიშვილთან მიმოწერიდან ირკვევა, რომ წიგნები, რომელთაც იგი ფილიპეს უგზავნიდა საქართველოდან, ლაიფციგის ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს.

ქართული ტექსტოლოგიის ისტორიისათვის დიდად საგულისხმოა უმიკაშვილის ის წერილები, რომლებშიც იგი წიგნის მეცნიერული გამოცემის პრინციპებს ეხება და საკუთარ შეხედულებებს გამოთქვამს. ამ წერილებიდან ცხადი ხდება ისიც, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იგი ამ საქმეს და ისიც, როგორ კარგად ესმოდა მას მეცნიერული გამოცემის პრინციპების დაცვის უცილებლობა.

1882 წლის „დროებაში“ (№ 239) გამოქვეყნდა მისი წერილი „დაბადების ბეჭედი“, სადაც სიხარულს გამოთქვამს სინოდის გადაწყვეტილების გამო დაბადების გამოცემის შესახებ. იგი მოითხოვს, რომ დაიბეჭდოს მხოლოდ ძველი დღეობა, რომელიც კაი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცაო. მოითხოვს, რომ დაიბეჭდოს კარგ ქალღმერთ, ლამაზ ყდაში და მომცრო ფორმატისა, რომ მოსახმარად მოხერხებული იყოს. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ წერილში მაინც ის აღვილია, სადაც უმიკაშვილი დაწვრილებით განიხილავს, როგორ უნდა მომზადდეს და დაიბეჭდოს ტექსტი. მართლწერა, მისი აზრით, უნდა დარჩეს ძველი, როგორც პირველ გამოცემაში იყო, ე. ი. ა, უ, ჯ, მ, ზ ასოების გამოყენებით; მოითხოვს ქარაგმების გახსნილად დაბეჭდვას და ლექსიკონის დართვას ძნელად გასაგები ადგილებისა და სიტყვების განსამარტავად.

³ „ივერია“, 1888, № 61—62.

საყურადღებო თვალსაზრისს გამოთქვამს უმიკაშვილი კორექტურის თაობაზე, საიდანაც კარგად ჩანს პროფესიონალი გამომცემლის ალღო და საქმის საფუძვლიანი ცოდნა.

გამოცემის კონკრეტულ საკითხებს ეხება აგრეთვე პ. უმიკაშვილის წერილი „ამირანდარეჯანიანის გამოცემა“⁴. თავდაპირველად იგი აღნიშნავს ამირანდარეჯანიანის გამოცემის აუცილებლობას და მის მნიშვნელობას შედარებით მითოლოგიის ზოგიერთი საკითხის გარკვევის საქმეში. შემდეგ იგი დაწვრილებით განიხილავს გამოცემისათვის საჭირო წინამოსამზადებელი სამუშაოს აუცილებლობას. „რამდენადაც კი შეიძლებოდა, წერა-კითხვის საზოგადოებამ უნდა მოიკითხოს და შეჰკრიბოს მომატებული ხელნაწერი „ამირანდარეჯანიანისა“... ერთის ხელნაწერის წიგნთაგან რისმე გადაბეჭდვა შეუძლებელია, სანამ რამდენიმე ძველი და ახალი ხელნაწერები ერთმანეთს არ შეუჯარღდეს... წარმოიდგინეთ, დამბეჭდველს რამდენი გამოსაჩხრეკი და გამოსარკვევი საქმე უჩნდება, როდესაც თხზულების სინდისიერად ბეჭდვა სურს. პირველი მისი განზრახვა არის, რომ თხზულება დაიბეჭდოს ისე, როგორც მისს დამწერს შეუქმნია. ამ შემთხვევაში არცერთ მხარეს ყურადღების მიუქცევლობა არ ეხამება. ენის კილო, ენა, სიტყვების მართლწერა, თვით წერის ხელი (პოჩერკი), ფაკსიმილე წარმოადგენს ძვირფასს მასალას თვით თხზულების დაფასებისათვის და საზოგადოდ ნამდვილ მასალას ენისა და ლიტერატურის ისტორიისათვის“. უმიკაშვილი აღნიშნავს, რომ რამდენიმე ხელნაწერის შეჯერების აუცილებლობა ნაკარნახევია იმით, რომ სხვადასხვა გადამწერი განსხვავებული თვალსაზრისით ნელმძღვანელობდა ხელნაწერის გადაწერისას. უმიკაშვილი დაწვრილებით განიხილავს გადამწერთა „სამ გვარს“, როგორც იგი უწოდებს, და ასაბუთებს ხელნაწერთა ერთმანეთთან შეჯერების აუცილებლობას წიგნის ჯეროვანი გამოცემისათვის.

თავის გამოცემაში იგი შეძლებისამებრ ყოველთვის ახორციელებს იმ პრინციპულ შეხედულებებს, რომლებსაც გამოთქვამს ზემოაღნიშნულ წერილებში.

პ. უმიკაშვილის პირველი გამოცემები ხალხში გავრცელებული ფოლკლორული ნიმუშები იყო. 70-იან წლებში მან გამოსცა „არსენას ლექსი“, „ეთერიანი“, „ქალგაყიანი“, „ალექსიანი“, „აბრამიანი“ და მრავალი წერილი ხალხური ლექსი.

იგი დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გამოცემას და ტექსტის შერჩევის საქმეს. ვარიანტების გულმოდგინე და ყოველმხრივი შესწავლის, შეჯერების საშუალებით აყალიბებდა ფოლკლორული ნაწარმოების ძირითად ტექსტს. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყველა ვარიანტის გათვალისწინებას ძირითადი ტექსტის დადგენისათვის. ასე მაგ., როცა მას ნ. ყიფიანმა სთხოვა არსენას ლექსის მის მიერ ჩაწერილი ტექსტები, უმიკაშვილმა გადასცა ყველა მის ხელთ არსებული ვარიანტი და უკმაყოფილო დარჩა, როცა ნ. ყიფიანმა არ გამოიჩინა საჭირო გულმოდგინება ძირითადი ტექსტის შემუშავებისას. 1874 წელს უმიკაშვილმა თავად გამოსცა არსენას ლექსი და შეიტანა მასში ყველა ის საჭირო შესწორება, რომელზეც ნ. ყიფიანის გამოცემასთან დაკავშირებით მიუთითებდა⁵. ტექსტი შეავსო, დახვეწა, შეიტანა

⁴ შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ფოლკლორის არქივი, პ. უმიკაშვილის ფონდი.

⁵ „კრებულები“, 1872, № 7.

მასში სხვადასხვა ვარიანტიდან გმირის ხასიათისა თუ მისი ცხოვრების დამახასიათებელი ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რითაც მონოლითური სახე მისცა როგორც პოემის გმირს, ისე ნაწარმოების ტექსტს. უმიკაშვილის თვალს არ გამოჰპარვია არც ერთი საინტერესო დეტალი ვარიანტების შეჯერებისას. „ამ ლექსში, — წერდა იგი ადრე, — ერთი ფრიად შესანიშნავი ადგილი არის, რომელიც მარტო ორში იპოვება. არსენა თელეთის გზაზე სიძე-სიდედრს ნაშუქით სავსე ხურჯინს ართმევს; დედაკაცს ეუზნება არსენა: „ნუ დამწყველო“, ისიც ლოცავს:

სადაც წაბრძანდ-წამობრძანდე, არსენა, გაგიმარჯვესა,
 შიდიღარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როგორ წავაგზდენსა!

ეს ადგილი იქნება არ გვენახა და რამდენი ამაზე დიდი ლექსებია შიგა და შიგა გაშვებული“⁶.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული ხალხური ლექსების ტექსტსაც პ. უმიკაშვილი ისეთივე გულმოდგინებითა და ვარიანტული შეჯერების შედეგად ამზადებდა, როგორც ვრცელი ნაწარმოებებისას (მაგ. „ხარი“, „საბრალო დედაბრისასა“, „ავთანდილის ლექსი“ და სხვ.). თითქმის ყველა მის გამოცემას თავში უძღვის „შედგენილია სხვადასხვა ვარიანტებისაგან ჩემგან“. რა იგულისხმებოდა ამ შედგენაში? ჯერ ერთი, პ. უმიკაშვილი უფრო დასრულებულ სახეს აძლევდა ნაწარმოებს სხვადასხვა ვარიანტებიდან შევსების გზით; შემდეგ არჩევდა უფრო საინტერესო ფაქტებს, მხატვრულად სრულყოფილ პასაჟებს, უფრო ძარღვიან ქართულს, ფრთიან გამოთქმებს და სხვ. ასე აქვს მას შედგენილი „ეთერიანის“ (1875), „ალექსიანის“ (1873), „ქალვათიანის“ (1873), „ბეჟანიანის“ (1875) და სხვა ფოლკლორული ტექსტები. „ეთერიანის“ შესავალში იგი წერს: „ეს ეთერიანი შედგენილია სახალხო ლექსებისა და პირად ნათქვამობისაგან, რომელნიც დარჩენილან დღევანდლამდე საქართველოს ყველა ნაწილებში“. უმიკაშვილი მოიხსენიებს „ეთერიანის“ ცამეტ ვარიანტს, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეუყრებია. გათვალისწინებული აქვს მას აგრეთვე ი. ელიოზიშვილის პოეტური ტექსტი „ეთერიანისა“, რომელიც 1869 წლის „მნათობში“ დაიბეჭდა. „ძველი ხელნაწერი არ შეგვჩვენებიაო“, — სინაწულით შენიშნავს იგი.

„ეთერიანი“ დაბეჭდილია პროზად, შიგადაშიგ ჩართული აქვს ლექსები, მაგრამ თვითონ ტექსტში ამ გამოცემას რედაქტორის არავითარი შენიშვნა არ ახლავს, არც ვარიანტული ხასიათის, არც საკომენტარო. ასევე ყოველგვარი კომენტარებისა და ვარიანტული ჩვენებების გარეშეა დაბეჭდილი „ქალ-ვათიანი“, „ალექსიანი“, თუმცა ზემოხსენებულ ავტობიოგრაფიაში იგი წერს: „ხელნაწერების გაშინჯვით დაუადგინე ტექსტები: ბეჟანიანის, ქალვათიანის, ვარდ-ბულბულიანის, ალექსიანის და ზოგიც სახალხო სიტყვიერებისა“.

როგორც ჩანს, პეტრე უმიკაშვილისათვის ნათელი იყო, რომ სამეცნიერო-საცნობარო აპარატის დართვა ყველა ტიპის გამოცემისათვის მიზანშეუწონელია ტექსტოლოგიურ-საგამომცემლო პრინციპების მიხედვით. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ პოპულარული, ე. წ. „შაურიანი“, გამოცემების ტექსტები დიდი პასუხისმგებლობითა და ტექსტოლოგიური მოთხოვნების შეძლები-

⁶ „დროება“, 1871, № 22.

⁷ „მაცნე“, ვნისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 2.

სამებრ მაქსიმალური დაცვით არის მომზადებული, სამეცნიერო აპარატურა ტექსტობრივი შენიშვნებისა თუ კომენტარების სახით ამ გამოცემებს არ ახლავს. ამ ნიშნით მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან შემოხსენებული გამოცემები და უმიკაშვილის მიერ მომზადებული ის გამოცემები, რომელთაც დართული აქვს სათანადო სამეცნიერო-საეცნობარო აპარატურა. ასეთ გამოცემად ჩვენ პირველ რიგში მივიჩნევთ დ. გურამიშვილის „დავითიანს“.

1870 წელს პ. უმიკაშვილმა გ. წერეთელთან და ნ. ბერძენოვთან ერთად გამოსცა „დავითიანის“ პირველი ნაწილი — 43 თავი. წიგნს წამძღვარებული აქვს მოკლე ცნობა, რომელსაც ხელს აწერს სამივე გამომცემელი. ცნობაში ნათქვამია, რომ ტექსტი იბეჭდება გურამიშვილის ხელნაწერი ავტოგრაფიდან, რომელიც პოეტს მირიან ბატონიშვილისათვის მიუერთმევია. აღნიშნულია, რომ დავითიანი მთლიანად შეიცავს 93 თავს, წინამდებარე პირველ წიგნში კი იბეჭდება 43 თავი. „მართლწერა ავტორისა დავიცავით მ და უ და სხვანი ხმარებულ იქნა შეუცვლულად“.

გამოცემას სქოლიოებში დართული აქვს ტექსტობრივი თუ ისტორიული ხასიათის რამდენიმე შენიშვნა. შენიშვნას ხელს აწერენ გამომცემელი, მაგრამ 1894 წლის „დავითიანის“ გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „ამ (1870 წლის. — ლ. გ.) გამოცემის რედაქცია და შრომა პ. უმიკაშვილს ეკუთვნოდა და წინასიტყვაობა გ. წერეთელს, მეორე გამოცემის (1881 წ. — ლ. გ.) რედაქციაც პ. უმიკაშვილმა იკისრა და ყოველი შრომა და წიგნში მოქცეული შენიშვნები სულ პ. უმიკაშვილს ეკუთვნის. მესამე სრული გამოცემა გადმოიბეჭდა მეორე გამოცემიდან, ყოველი შენიშვნა და სქოლიოები დარჩა ისევე, როგორც ბატვიცემულს ბ. პეტრე უმიკაშვილს დაუწერია...“ (1894 წლის გამოც. გვ. 11—111). აქედან ცხადი ხდება, რომ 1870, 1881 და 1894 წლის „დავითიანის“ სამივე გამოცემის ტექსტი მომზადებული იყო უმიკაშვილის მიერ და ტექსტთან დაკავშირებული ყველა შენიშვნა მასვე ეკუთვნის.

1881 წლის გამოცემას დართული აქვს უმიკაშვილის ნარკვევი „დავით გურამიშვილი და იმისი დავითიანი“. ნარკვევში აღწუსებულია გურამიშვილის ყველა პუბლიკაცია — სხვადასხვა ჟურნალში დაბეჭდილი ნაწყვეტები თუ ცალკე გამოცემა. დახასიათებულია ხელნაწერი წყაროები. მოკლედ მიმოხილულია ქართული მწერლობის მდგომარეობა, ქართული წიგნის გამოცემის საქმე, მისი მნიშვნელობა, ქართული მწერლობის ადგილი და როლი მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის საგანძურში. შემდეგ დახასიათებულია დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, ის ისტორიული გარემო, რამაც განაპირობა „დავითიანი“, როგორც ეროვნული და ისტორიული ძეგლი, დახასიათებულია ანტონ პირველისა და ვახტანგ მეფის ღვაწლი ქართული მწიგნობრობის განვითარების საქმეში. „გურამიშვილი ეკუთვნის ვახტანგის დასსა“, — ასკენის ბოლოს იგი. ნარკვევში გადმოცემულია პოეტის მოკლე ბიოგრაფია, მიმოხილულია სწავლა-განათლების მდგომარეობა გურამიშვილის დროს, დახასიათებულია სპარსული პოეზიის გავლენა ქართულ მწერლობაზე, ისტორიული პოეზიის განვითარება და მისი მიზეზები („არჩილიანი“, „ქეთევან წამებული“, „დიდმოურავიანი“). ამ ნაწარმოებების ფონზე პეტრე უმიკაშვილი აფასებს გურამიშვილის თხზულებას, ახდენს „დავითიანის“ ისტორიულ და მხატვრულ ანალიზს, განიხილავს ზნეობით სწავლას „დავითიანში“, მის ენას, ხალხურ სასაუბრო კილოს, ლექსთწყობას. ნარკვევის ბოლოს მოცემულია „დავითიანის“ ტექსტის დახასიათება. აღნიშნულია, რომ იგი იბეჭდება გურამიშვილის ავტოგრაფიდან, რო-

მელიც ახლა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კუთვნილება არის. „ეს გამოცემა ისე დაიბეჭდა სრულის ავტორის მართლწერით, მცირეოდენი შეცდომათა შეცვლით, რომ ნამდვილი კაპიო არის ხელნაწერისა, დასასვენებელ ნიშნებს გარდა და გარდა 22 თავისა (გვ. 59), რომლის 15 ხანისაგან პირველი და მეთხუთმეტე ნამდვილისაა და დანარჩენი 13 ხანა, დაკარგულის ფურცლის გამო, სხვა ხელნაწერთაგან არის. ამით გვინდოდა გადმოგვეცა წარსული საუკუნის ნიმუში წერილობისა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ უ (ბრჭყუ) და შ აღარ ხმაურებულა, მაგრამ ასო ჯ-ისე არა წიგნში არ მოიძებნება სინამდვილით ნმარებული, როგორც გურამიშვილის ნაწერში. ეს ცხადია, თუ მოვიგონებთ, რომ მოლექსე ქსნის ხეობაში დიდ ხანს სცხოვრობდა, სადაც (როგორც არაგვისკენ მთიულს სხვა ადგილებში) ასო ჯ დღევანდლამდე საკუთარის გამოთქმით იხმარება და არა ისე, როგორ ხ, ჩვენგან გამოთქმული: ეს გარემოება ფილოლოგიის მეცნიერებისათვის უეჭველად გამოსაყენებელი იქნება...“

ტექსტს დართული აქვს სქოლიოები, რომლებშიც მოცემულია ყველა ის შენიშვნა, რომელიც 1870 წლის გამოცემას ახლდა. ამ შენიშვნებს გარდა, სქოლიოებში მოცემულია როგორც ცალკეული სიტყვის, ისე ტექსტობრივი ხასიათის კომენტარები (იხ. გვ. 72, 103, 106, 117). საყურადღებო შენიშვნაა მოთავსებული 123 გვერდზე: სქოლიოში ვკითხულობთ: „ამ ლექსს სათაური არა აქვს. სათაურის ადგილს თითქოს კალმის გასაშინჯად გურამიშვილის ხელით აწერია ძალიან მქრალად „ობოლი“. ეს ლექსი როგორც სჩანს, ავტორს შემდეგ ჩაუწერია განგებ დატევებულ ცარიელ პირზე (ხელნაწერის 115 პირი) შევიწროებით, უწითლურ ასოებით და მქრალის მელნით“. უმიკაშვილის დაკვირვება აქ ფრიად საინტერესოა. კერძოდ, რომ გურამიშვილს „დატევებულ ცარიელ“ ადგილზე ჩაუწერია თითქოს ეს ლექსი შემდგომ; თან, როგორც ჩანს, განსხვავებული ხელითაც „შევიწროებით, უწითლურ ასოებით“. საინტერესოა, რომ სათაური, რომელიც მქრალი მელნით, მაგრამ მაინც ჩაწერილი ყოფილა ხელნაწერში, პ. უმიკაშვილს ძირითად ტექსტში არ მიუცია ლექსისათვის და შენიშვნაში გაუტანია იგი.

მთელი რიგი უმიკაშვილისეული შენიშვნები, სქოლიოში მოთავსებული, აღადგენს ტექსტის ზუსტ ფოტოგრაფიულ სურათს (მაგ., გვ. 101).

ძალზე საინტერესოა შენიშვნას ვხვდებით 280-ე გვერდზე: „ეს წვრილად დაბეჭდილი ხუთი ხანა, — წერს უმიკაშვილი, — ავტორს გადაუხაზავს და გვერდზე შენიშვნა დაუწერია: ეს კამეჩის ამბავი წიგნში წერილში ვერსადა ვნახე და ისევ მოვშალე. ვინც ეს წიგნი გადასწეროს, ნულარ დასწერს, ამისთვის რომე სჯულად არ დაიდვას ტყუილი“. ლექსის სიმშვენიერებ, — შენიშნავს პ. უმიკაშვილი, — და იმ აზრმა, რომ გამოგვიხატავს აქამომდე ხალხში დარჩენილ თქმულებას კამეჩის ძახილზე, — ამ ორმა გარემოებამ დაგვაბეჭდვინა ეს ლექსებიო. როგორც ჩანს, უმიკაშვილს სცოდნია, რომ ავტორის ნების უგულვებელყოფა და გადახაზული ადგილის აღდგენა რედაქტორის მხრით უხეში შეცდომაა ისეთი ტიპის გამოცემაში, როგორიც „დავითიანია“. ამიტომ ასე მოკრძალებით იმართლებს იგი თავს ავტორისა და მკითხველის წინაშე. უნდა თქვას კი, რომ უმიკაშვილის ეს გადაწყვეტილება სავესებით გასაზიარებელია. იგი გაზიარებულია კიდევ 1931 წლის ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით მომზადებულ „დავითიანის“ გამოცემაში. აქ ეს ხუთი სტროფი დაბეჭდილია ძირითად ტექსტში, ხოლო სქოლიოში მითითებულია ავტორის შენიშვნა.

„დავითიანი“ პ. უმიკაშვილის გამოცემათა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. იგი მომზადებულია თითქმის მეცნიერული გამოცემის დონეზე, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ ვითარებას წიგნის გამოცემის საქმეში, როცა ეს თხზულება იბეჭდებოდა. ყოვლისმომცველი ბიოგრაფიულ-კრიტიკული ხასიათის ნარკვევი, კომენტარები, ხელნაწერის თითქმის ფოტოგრაფიული სურათის გადმოცემა, „დავითიანის“ ამ გამოცემას დიდ მეცნიერულ ღირსებას სძენს.

1871 წელს პ. უმიკაშვილმა გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“. წიგნს ერთვის უმიკაშვილის გამოკვლევა, რომელშიც მიმოხილულია ს. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ნარკვევის დასასრულს პ. უმიკაშვილს მოცემული აქვს ტექსტოლოგიური ანალიზი ამ თხზულებისა. იგი მოკლედ ახასიათებს „სიბრძნე სიცრუისას“ პირველ, ჩუბინაშვილისეულ გამოცემას. „რაც შეეხება ამ მეორე გამოცემას, აქ უნდა ვთქვა, რომ პირველად დაბეჭდილს 1859 წელს ბევრი ადგილები აკლდა... ანუ შეცვლილი იყო“. უმიკაშვილი შენიშნავს, რომ ეს, მეორე, გამოცემა პირველზე უფრო სრულია, შევსებული და გასწორებული ხელნაწერების მიხედვით, მაგრამ რომელი ხელნაწერებით სარგებლობდა, რომელი მათგანი აიღო ძირითად ტექსტად, ამის შესახებ მას არაფერი აქვს თქმული. არც ტექსტში ვხვდებით რაიმე შენიშვნას, ვარიანტული წაკითხვის ან კომენტარის ხასიათისას. ამ ორი გამოცემის შედარებამ ცხადყო ჩვენთვის, რომ უმიკაშვილი მართლაც მეტი პასუხისმგებლობით მოკიდებია ტექსტს, გადმოუბეჭდავს იგი სრულად, სათანადოდ გამოუყვია ერთმანეთისაგან ნაწარმოების ძირითადი სიუჟეტური თხრობა და მასში ჩართული არაკების ტექსტი, რასაც ჩუბინაშვილის გამოცემაში ვერ ვხვდებით. ენობრივი თვალსაზრისითაც უმიკაშვილის გამოცემა უფრო მეტადაა დაცული ლაფსუსებისაგან და უკეთესი ვარიანტული წაკითხვის სურათს იძლევა. მთელი რიგი პასაჟები, რომლებიც ჩუბინაშვილისეულ გამოცემაში არ გვხვდება, უმიკაშვილთან აღდგენილია. ძირითადად მთელი ტექსტი „სიბრძნე სიცრუისა“ თითქმის დღევანდელი გამოცემის ტექსტს მიჰყვება. მაგრამ სამეცნიერო აპარატის უქონლობის გამო, რა თქმა უნდა, უმიკაშვილის სხვა გამოცემასთან შედარებით, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ უფრო პოპულარული გამოცემის სახეს ატარებს.

1884 წელს ქართულად დაიბეჭდა „ვისრამიანი“. წიგნის რედაქტორად მოიხსენებიან ილ. ჭავჭავაძე, ალ. სარაჯიშვილი და პეტრე უმიკაშვილი. მაგრამ დღეს „ვისრამიანის“ ყველა მკვლევრისათვის სავსებით ცხადია, რომ ამ გამოცემის ფაქტიური რედაქტორი პ. უმიკაშვილი იყო. ილ. ჭავჭავაძე და ალ. სარაჯიშვილი მხოლოდ საერთო რედაქციაში ლეზულობდნენ მონაწილეობას. მთელი შავი სამუშაო კი — ტექსტის იმ დროისათვის არსებულ ხელნაწერთა შეჯერება, შეძლებისამებრ სწორი წაკითხვის შერჩევა, ძირითადი ტექსტის დადგენა და მისი დასაბუქლად მომზადება — პეტრე უმიკაშვილმა შეასრულა.

გამოცემის წინასიტყვაობიდან თვალნათლივ ჩანს, თუ როგორი პასუხისმგებლობით მოჰკიდებიან წიგნის რედაქტორები „ვისრამიანის“ ჯეროვანი, მეცნიერული გამოცემის საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ ხელთ იყო ამ ძეგლის დღეისათვისაც კი ყველაზე სრულფასოვანი ხელნაწერი (S—27), ტექსტის ანალიზის შედეგად მათთვის ცხადი გამხდარა, რომ არსებული ხელნაწერების მიხედვით შეუძლებელი იქნებოდა „ვისრამიანის“ ყველა ბუნდოვანი ადგილებისა და აზრობრივ შეუსაბამობათა განმარტება-გასწორება. ამიტომ მათ მოუხდომე-



ბიათ შეეჭვებინათ იმ დროს არსებული სპარსული და გერმანული გამოცემებისათვის ეს ქართული ხელნაწერები. მაგრამ გამომცემელთა სურვილი ქართულ-გერმანულ-სპარსული რედაქციების ერთმანეთთან შედარებისა იმჯერად განუხორციელებელი დარჩენილა.

სარედაქციო ჯგუფს კიდევ ერთი ღონისძიებისათვის მიუმართავს. პ. უმიკაშვილის საშუალებით დაკავშირებია პეტერბურგელ ორიენტალისტს ალ. გრენს. უთხოვიათ მისთვის „ვისრამიანის“ შესახებ არსებული ყველა ხელმისაწვდომი ცნობის გამოგზავნა, წინასიტყვაობისა და კომენტარების შედგენა. ამ მიზნით უკვე დაბეჭდილი „ვისრამიანის“ ტექსტი პეტერბურგში გაუგზავნიათ. პ. უმიკაშვილს გრენის ყურადღება მიუქცევია ორთოგრაფიულ შეცდომებსა თუ ტექსტობრივ შეუსაბამობებზე, რისი გასწორებაც ნაბეჭდ ტექსტში ვერ მოხერხდა. ამასთან დაკავშირებით საპასუხო წერილში გრენი თავის მოსაზრებას უზიარებს უმიკაშვილს. კერძოდ, შენიშნავს, რომ ზოგი თითქოსდა ორთოგრაფიული თუ აზრობრივი შეცდომა ტექსტში ხშირად მეცნიერების განსაკუთრებული ყურადღების საგანი ხდება, რადგან შეიცავს მეტად მნიშვნელოვან ენათმეცნიერულ თუ პალეოგრაფიულ თავისებურებებს⁷.

როგორც ჩანს, პეტერბურგელი ორიენტალისტის ასეთი აქტიური ჩარევა „ვისრამიანის“ გამოცემის საქმეში რაღაც მიზეზების გამო არ მოხერხდა და როგორც ტექსტი, ასევე წინასიტყვაობა, კომენტარები და ვარიანტები მხოლოდ სარედაქციო ჯგუფმა შეასრულა.

როგორც შევნიშნეთ, „ვისრამიანის“ ტექსტის მომზადებელთა ხელთ ოთხი ხელნაწერი იყო. გამოცემის წინასიტყვაობაში დაწვრილებითაა დახასიათებული ოთხივე ხელნაწერი. წინასიტყვაობის ეს ნაწილი უმიკაშვილის დაწერალი უნდა იყოს. ამას ადასტურებს აკად. ალ. ბარამიძის მიერ მიგნებული წინასიტყვაობის შავი ხელნაწერი, რომლიდანაც ცხადი ხდება, რომ წინასიტყვაობა თავდაპირველად დაუწერია უმიკაშვილს, ილ. ჭავჭავაძე არ დაუკმაყოფილებია ამ წინასიტყვაობის მხოლოდ პირველ, ზოგად ნაწილს, თავად ხელახლა დაუწერია იგი და გაუგზავნია უმიკაშვილისათვის ამისზე ასეთი მინაწერით: „პეტრე, თუ მოგეწონოს თავი ესე დაიწყოთ და ბოლო შენის ნაწერისა იყოს, სადაც ნიშანია — ეჭიდამო⁸. ის ნაწილი წინასიტყვაობისა, რომელიც ხელნაწერთა აღწერილობას და ტექსტობრივ სწორებას ეხება, — რომ უმიკაშვილს ეკუთვნის, ამას ისიც ადასტურებს, რომ S—27 ხელნაწერში ყველა სწორება თუ შენიშვნა მისი ხელითაა გაკეთებული.

გარდა S—27 ხელნაწერისა, რომელიც იმდენად სრულია სხვა ხელნაწერებთან შედარებით, რომ „ვისრამიანის“ შემდგომი გამოცემებიც ძირითადად ამ ხელნაწერს ეყრდნობიან, პ. უმიკაშვილის ხელთ ყოფილა კიდევ სამი ხელნაწერი. წინასიტყვაობაში იგი წერს: „წერაკითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკისა (იგულისხმება S—27 ხელნაწერი. — ლ. გ.) მეჩვიდმეტე საუკუნეში ანუ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში მშვენიერის ხელით ნაწერი დანარჩენ სამს დედანზე უკეთესი აღმოჩნდა სისრულით და შეურყენელობით. სხვა მეორე ხელნაწერი სრულებით ეთანხმებოდა უცვალეზლად პირველსა, მხოლოდ აკლდა რამდენიმე დახეულ-დაკარგული ნაწილი. დანარჩენი ორი დედანი აღმოჩნდა დამახინჯებული. ერთია შეცვლილი, თითქოს გადმომწერს ძნელად გასაგონის აზრ-

⁷ ალ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძე და ვისრამიანი, საიუბილეო კრებული, 1939, გვ. 223—225.

⁸ იქვე, გვ. 224.

ბის თარგმნა დაუწყია, წყობა წინადადებათა, სიტყვათა და თვით სიტყვები შეუცვლელია; და მეორე — წერილობის უცოდინარს გადმოწერის დროს თავისი უმეცრების ბეჭედი დაუსვამს. ორივე ეს უკანასკნელი დედნები ამ წერყენილობის გამო, საესეა უაზრობით, ანუ ძლიერი აზრი, ძლიერად გამოხატული დაუძღვრებულა და სიცოცხლე დაჰკარგვია⁹.

პ. უმიკაშვილმა აიღო პირველი ხელნაწერი და გადაბეჭდა იგი უცვლელად „ზოგიერთის იშვიათს ადგილებს გარდა“. ხოლო ცვლილებები და ვარიანტული სხვაობანი დანარჩენი ხელნაწერებისა სქოლოებში იქნა გატანილი. ოღონდ ეს სხვაობები მითითებულია ამგვარად — ვარიანტი: ესა და ეს. არ არის არც ხელნაწერის აღმნიშვნელი ლიტერი, არც დასახელება, თუ რომელი ხელნაწერი იძლევა ამ ვარიანტულ წაკითხვას.

რა ხასიათისაა ტექსტში პ. უმიკაშვილის მიერ შეტანილი სწორებები? „ვისრამიანის“ გარშემო არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მის მიერ ტექსტზე ჩატარებული მუშაობა მაშინდელი დონის კვალობაზე საქმის ცოდნითა და დიდი პასუხისმგებლობითაა შესრულებული. საგულისხმოა, პირველ ყოვლისა, უმიკაშვილის ალლო ძირითადი ტექსტის შერჩევის საკითხში. ტექსტში შეტანილი ბევრი სწორებაც სრულიად მართებული და საფუძვლიანია. თუმცა ხშირ შემთხვევაში ხელნაწერის შეცდომები თუ აზრობრივი შეუსაბამობანი ნაბეჭდ ტექსტში უცვლელად არის განმეორებული. უფრო მეტიც, „ვისრამიანის“ მეორე, 1938 წლის ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვასა და კ. ქველიძის მიერ მომზადებული გამოცემის სარედაქციო წერილში მოტანილია არაერთი მაგალითი იმისა, რომ ხელნაწერში დაცული სწორი წაკითხვა პ. უმიკაშვილს ვერ გაუგია, თავისი მოსაზრების მიხედვით შეუსწორებია და ისე დაუბეჭდავს. ასე მაგალითად, სიტყვა „ექენებოდიან“ (ეხვეწებოდნენ), რომელიც ყველა ხელნაწერშია მოცემული, პ. უმიკაშვილს შეუსწორებია, მისი აზრით, უფრო შესაფერი სიტყვით „იქენებოდიან“. ან კიდევ, ნაცვლად „მაისა (მაჰისა) ქვეყანა“, რომელსაც პ. უმიკაშვილის ხელთ არსებული ორი საუკეთესო ხელნაწერი იზიარებს, რედაქტორს ძირითად ტექსტში ჩაუწერია „მის ქვეყანა“. ნაცვლად ხელნაწერის „გულისა ზაპრი“ (გულის შხამი) რედაქტორს ტექსტში შეაქვს „გულისა ზარი“ და სხვ.¹⁰ მაგრამ საგულისხმოა ის გარემოება, რომ ნაბეჭდ ტექსტში გაპარული ასეთი უხეში შეცდომები არ შეიძლება აიხსნას რედაქტორის — პ. უმიკაშვილის უყურადღებობით ან გამოცემის პრინციპების დარღვევით. უმთავრესი მიზეზი ამ შეცდომებისა ის არის, რომ პ. უმიკაშვილს ხელი არ მიუწვდებოდა სპარსული ორიგინალისთვის (იმ დროს არსებობდა ერთადერთი სპარსული „ვისრამიანის“ კალკუტურა გამოცემა) და ცნობებიც კი ასეთი გამოცემის არსებობის შესახებ იმ დროს მეტად ბუნდოვანი იყო. გარდა ამისა, ასეთი შეცდომების მიზეზად ისიც ჩაითვლება, რომ ძველი ქართული ენა ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო შესწავლილი და გამოკვლეული.

მაგრამ პ. უმიკაშვილის რედაქტორულ ალლოს ადასტურებს ის ფაქტი, რომ მთელ რიგ შემთხვევებში მისეული სწორება ტექსტისა, რომელიც შემდგომ (მეორე და მესამე) გამოცემებში არ იქნა გაზიარებული, სწორად მიიჩნია და გაიზიარა „ვისრამიანის“ უკანასკნელმა აკადემიურად მომზადებულმა გამოცემამ (იხ. ალ. გვახარიასა და მ. თოდუას მიერ 1962 წელს მომზადებული „ვის-

⁹ „ვისრამიანი“, 1884, გვ. XI.

¹⁰ „ვისრამიანი“, 1938, გვ. V—VII.

რამიანის“ გამოცემა). აი რას ვკითხულობთ ამ გამოცემისათვის დართულ გამოკვლევაში: „უყოყმანოდ გასწორდა ისეთი იდეალური შემთხვევები, როდესაც სპარსული ტექსტით საგულეებელ გასწორებას მხარს უჭერდა ქართულ ხელნაწერთა მონაცემები. ასეთ გასწორებათა რიცხვი არც თუ ისე მცირე აღმოჩნდა. უნდა ითქვას, რომ მათი უმრავლესობა დაემთხვა პირველი გამოცემის წაკითხვებს. ამდენად, მთელ რიგ შემთხვევაში ჩვენ აღვადგენთ პირველი გამოცემის სწორი წაკითხვა, უკუგდებულ შემდგომ გამოცემებში (ხაზი ჩვენია. — ლ. გ.). ასე მაგ., პ. უმიკაშვილის გამოცემაში (57/28) ვკითხულობთ: „რად დაიცლები სისხლისაგან?“ სქოლიოში გატანილია: „ვარიანტი: სულისაგან“. „ვისრამიანის“ მეორე გამოცემაში ტექსტი ასეა ჩასწორებული: „რად დაიცლები სულისაგან?“ უკანასკნელ გამოცემაში ეს ადგილი გასწორდა, ორიგინალისა და ზოგიერთი ქართული ხელნაწერის მიხედვით, აღდგენილ იქნა პირველი, უმიკაშვილისეული გამოცემის წაკითხვა. ასევეა გასწორებული ტექსტი პირველი გამოცემის მიხედვით „ვისრამიანის“ 1962 წლის აკადემიურ გამოცემაში (67/15). 137-ე გვერდზე ამ გამოცემის ტექსტი კვლავ სწორდება პირველი გამოცემის შესაბამისად, რადგან ხელნაწერები და სპარსული დედანი ამ წაკითხვას უჭერენ მხარს: „მომცემ სიხარულსა და წამსვე წამართმევ, თუ უკუდავებასა შემასუამ, მაშინვე ერთსა ჭიქასა ნაღველსა უღონოდ მომცემ“. მეორე გამოცემაში ეს ადგილი ასე იკითხება: „მომცემ სიხარულსა და წამსვე თუ უკუდავებასა შემასუამ, მაშინვე ერთსა ჭიქასა ნაღველსა უღონოდ მომცემ“ (127/29). ამ ფრაზის გასწორების აუცილებლობა შინაარსის მიხედვითაც ცხადია. ასეთივე სწორებებია შეტანილი უკანასკნელ გამოცემაში პირველი გამოცემის კვალზე 142, 152, 167, 160, 182, 199, 203, 206, 214, 220, 262 და სხვა გვერდებზე. ხშირ შემთხვევაში ეს სწორებები არა მხოლოდ სპარსულ დედანთან დაახლოებითაა ნაკარნახევი, არამედ ტექსტის შინაარსობრივი გამართვითაც. ასე მაგ., მეორე გამოცემის (216/17) „და გაწირვისა ნანვა სამე ეგზომი მისცეს“ სწორდება ორიგინალისა და ქართული ხელნაწერების მიხედვით — „სამი ეგზომი მისცეს“. ასევეა იგი პ. უმიკაშვილის გამოცემაში (გვ. 300). ან კიდევ, მეორე გამოცემის (145/18) „სიხარულითა ზრუნვად მოექცა“ ორიგინალისა და ზოგი ხელნაწერის მიხედვით სწორდება ისე, როგორც პირველ გამოცემაშია: „სიხარული ზრუნვად მოექცა“ (გვ. 200). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ პ. უმიკაშვილმა იმ პირობებში, როგორშიც მას უხდებოდა ამ ტექსტის გამოსაცემად მომზადება, ბევრ შემთხვევაში მნიშვნელოვანი და არსებითი სწორებები შეიტანა ტექსტში და მისი სასურველი წაკითხვა მოგვცა.

ვარიანტულ სხვაობათა გარდა, სქოლიოში გატანილია აგრეთვე ტექსტის ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილის ახსნა-კომენტარი. საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევაში პ. უმიკაშვილს სწორად აქვს გაგებული ტექსტის ბუნდოვანი ადგილი. ასე მაგ., „ვისრამიანის“ 1962 წლის გამოცემაში ვკითხულობთ: „გვაქვს შემთხვევები, როცა სიტყვის აღდგენაა საერთოდ ზედმეტი, მაშინ მას (სიტყვას. — ლ. გ.) მთლიანად ვიღებთ (მაგ. 270/9) „ზამთრისა (ჟამსა) ზაფხულს ინატრი“, აღდგენილი სიტყვა რომ ზედმეტია, თვით ტექსტიდანვე ირკვევა... ფორმა ზამთრის უკვე ნიშნავს „ზამთრის ჟამს“, „ზამთარში“, პ. უმიკაშვილისეულ



გამოცემაში ტექსტი მოცემულია ასეთი სახით „ზამთრისა ზაფხულს ინატრი“ (გვ. 375), ხოლო სქოლიოში უმიკაშვილი განმარტავს — „იგულისხმება: ზამთრისა ეპისა ზაფხულს ინატრი“. სწორედ ამიტომ 1962 წლის გამოცემაში აღნიშნულია: „ჩანს, პეტრე უმიკაშვილს სწორად ესმოდა ეს ფორმა“ (გვ. 335).

ტექსტთან დაკავშირებული მსგავსი განმარტებები მოცემულია 51, 61, 65, 161, 169, 174, 204, 216, 239, 367, 383 და სხვა გვერდებზე, თუმცა ზოგ შემთხვევაში ეს განმარტებები ექვს იწვევს (მაგ. გვ. 216).

გამოცემის 317-ე გვერდზე სქოლიოში ასეთი სახის შენიშვნაა: „აქედამ დაწყებული ამას შემდეგი ადგილი 317, 320 გვერდზე 5 კარამდის, ოთხის ხელნაწერისაგან (რომელთა შემოწმებით იბეჭდება ეს გამოცემა) იპოვება მხოლოდ ორს ხელნაწერში, თუმცა ამ უკანასკნელს ეტყობა მრავალს ადგილს წვრილწვრილი გადასხვაფერება ენისა და აზრებისა, მთლად ეთანხმება დანაშთენს ხელნაწერებს. რადგანაც შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს მოხსენებული ადგილი ჩამატებული არ იყოს გადამწერისაგან, არამედ რაოდენსამე შეცვლით გადმოწერილი ძველის დედნიდან, ამიტომ აქ ჩართული იქმნა“ (გვ. 317). პ. უმიკაშვილი არ განმარტავს კერძოდ რომელი ხელნაწერებიდან შეიტანა ეს ადგილი. სავარაუდოა, რომ სწორედ იმ ორი ხელნაწერიდან, რომელთაც იგი წინასიტყვაობაში არასრულფასოვან ხელნაწერებად მიიჩნევს. „ვისრამიანის“ 1962 წლის აკადემიურ გამოცემაში, რომელიც შეჯერებულია სპარსულ დედანთან და ყველა ქართულ ხელნაწერთან, ეს ადგილი მთლიანადაა შესული. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს პ. უმიკაშვილის, როგორც რედაქტორის, უტყუარ აღღოს.

პ. უმიკაშვილს საჭიროდ დაუნახავს წინასიტყვაობაში მოეხსენებინა „ვისრამიანის“ ერთადერთი ნაბეჭდი წყარო — ნაწყვეტები, დაბეჭდილი ჩუბინაშვილის ქრესტომათიაში. მაგრამ იმის გამო, რომ ეს ნაწყვეტები არც ერთ ხელნაწერს არ თანხედებოდა ნაწილობრივ მაინც, უმიკაშვილს იგი ვარიანტებში არ გაუტანია: „ბატონ ჩუბინოვის ქრესტომათიებში დაბეჭდილი, მეტადრე პირველი გამოცემის ნაწყვეტი ვისრამიანის არც ერთს, ოთხ მოხსენებულ დედანს, არ ეთანხმება: ეტყობა ძლიერი ცვლილება და ამიტომ მისი ვარიანტების მოხსენება არ მოხერხდა“, — აღნიშნავს იგი (გვ. XI).

„ვისრამიანის“ დართული აქვს ლექსიკონი. მასში განმარტებულია როგორც უცხო (სპარსული) წარმომავლობის სიტყვები, ისე გეოგრაფიულ ადგილთა სახელები და ძველი ქართული სიტყვები, აგრეთვე ეთნოგრაფიული ტერმინები. განმარტებები საკმაოდ ვრცელი და ზუსტია.

ასეთია „ვისრამიანის“ პირველი გამოცემის სახე. იმ ვითარებასა და პირობებში, როცა ეს გამოცემა მზადდებოდა, „ვისრამიანი“ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად მეცნიერულ გამოცემად, რომელშიც ტექსტი დადგენილია და დაზუსტებული ყველა არსებული ხელნაწერი წყაროს ზედმიწევნითი შესწავლისა და შეჯერების გზით. ვარიანტული სხვაობის აღნუსხვა, ტექსტის ბუნდოვანი ადგილების განმარტება, აგრეთვე ლექსიკონი და წინასიტყვაობის ის ნაწილი, სადაც გამოცემის პრინციპებზეა ლაპარაკი, საბოლოოდ აყალიბებს „ვისრამიანის“, როგორც მეცნიერული გამოცემის, სახეს.

პ. უმიკაშვილის ერთ-ერთ საუკეთესო გამოცემად უნდა ჩაითვალოს ვახტანგ მეფის „დასტურლამალი“, რომელიც უკანასკნელ ხანებამდე ამ ღიდად მნიშვნელოვანი ძეგლის ერთადერთი გამოცემა იყო¹². იგი 1886 წელს დაიბეჭ-

¹² 1970 წელს გამოქვეყნდა „დასტურლამალის“ მეორე გამოცემა, პროფ. ი. სურგულაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, „ქართული სამართლის ძეგლები“, 1970.

და, თუმცა როგორც დ. ბაქრაძის რეცენზიიდან ირკვევა, უმიკაშვილი მას ოცი წლის განმავლობაში ამზადებდა გამოსაცემად: „ეს არის ესლა გამოვიდა, — წერს დ. ბაქრაძე, — თუმცა იბეჭდებოდა 20 წელზე მეტი“¹³. „დასტურლამალის“ უმიკაშვილისეულ გამოცემამდე მხოლოდ რამდენიმე თავი იყო გამოქვეყნებული ეურნალ „მნათობში“ (1871—72 წლებში). როგორც უმიკაშვილი შენიშნავს გამოცემის წინასიტყვაობაში, მარი ბროსესაც თავისი „ქართლის ცხოვრების“ შესავალში „დასტურლამალიდან მოჰყავს მხოლოდ შემოკლებით შინაარსი რამდენისამე თავისი“. როგორც იმდროინდელი წერილებიდან ირკვევა, მარი ბროსეს სურვებია ამ ძეგლის თარგმნა ფრანგულად, მაგრამ სპარსული ტერმინების სიუხვის გამო ხელი აუღია ამ განზრახვაზე (იხ. დ. ბაქრაძის აღნიშნული რეცენზია).

წინასიტყვაობაში უმიკაშვილი ახსიათებს „დასტურლამალს“, როგორც დიდად მნიშვნელოვან ძეგლს ქართველი ერის ისტორიისათვის. „მასალა ძვირფასი განძია საქართველოს შინაგანის ცხოვრების ისტორიის გამოკვლევისათვის. დასტურლამალი მოხელეთა უფლება-მოვალეობის კანონმდებლობა, ვახტანგის მიერ დაწესებული დასტურლამალი, როგორც სამართლის წიგნი არის ძვირფასი მასალა წარსულის საუკუნოების ისტორიის გამოკვლევისათვის“¹⁴.

ძეგლის ისტორიულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრის შემდეგ უმიკაშვილი განიხილავს მის მეცნიერულ ღირებულებას და იძლევა ძეგლის ზუსტ დათარიღებას. უმიკაშვილი აღწერს იმ ხელნაწერებს, რომლებიც მის გამოცემას დაედო საფუძვლად. მას ორი ხელნაწერი ნუსხა ჰქონია ხელთ: პირველი — 1821 წელს გადაწერილი ალექსიძის იოველისაგან, რომლისაგანაც მეფის ძეს ბაგრატს უყიდა. მეორე ნუსხა დიმიტრი ბაქრაძეს გადაუცია მისთვის, იგი რევაზ შალვას ძე ერისთავის კუთვნილება ყოფილა. ადრე კი, როგორც წარწერიდან ჩანს, სულხან მდივანს (თუმანიშვილს) ჰკუთვნებია. ტექსტის დაბეჭდვის შემდეგ უმიკაშვილს მოუპოვებია მესამე ხელნაწერი — ალექსანდრე მელიქიშვილისაგან. ამ უკანასკნელ ხელნაწერში სამეფო დასტურლამალი ადრე დაწერილი ყოფილა, სადედოფლო კი გვიან, 1773 წელს იესე მდივნის სომხით მელიქიშვილის მიერ გადაწერილი. ხელნაწერთა ინსტიტუტის უმიკაშვილის არქივში (ფონდი № 12) დაცულია ავტოგრაფი შენიშვნისა, რომელიც დართული აქვს მელიქიშვილის ეგზემპლარს. სქოლიოში უმიკაშვილი განმარტავს შენიშვნის შინაარსს: „აქ სიტყვებია „კარგიც ვიცი“ — ნიშნავს ავი ხელით გადაწერეო... მართლა ეს გადაწერილი სადედოფლო დასტურლამალს ეკუთვნის, რომელიც ცუდად არის გადაწერილი, სამეფო დასტურლამალი კი კარგად არის ნაწერი წითლურებიც აქვს, სამეფო წინათ არის, სადედოფლო მერმე მიკერებულია“.

3. უმიკაშვილი იძლევა ამ სამი ხელნაწერი ნუსხის განსჯევაების სურათს: „პირველი დედანი დანარჩენ ორ დედანზე სრულია, ცოტაოდენ ადგილების გარდა. თავები ერთმანეთს მისდევს სათაურების ანბანის რიგებით, უმკველად მოხელეთა ხმარებისათვის ადვილად საძიებლად. იგი ეთანხმება მელიქიშვილის დედანსა... მეორე დედანი სულხან მდივნისა უფრო ძველი ნაწერია და შესანიშნავია თავების დალაგებით საგანთა შინაარსის კვალობაზე. ეს წყობა თავებისა გვიჩვენებს, რომ ხელნაწერი უფრო უნდა ეთანხმებოდეს ვახტანგის რედაქციასა. დანარჩენი ზემოხსენებული დედნები კი შემდეგ ხანებში არის გადაკეთებული მოხელეთა სახმარებლად“.

¹³ „ივერია“, 1886, № 73, გვ. 4.

¹⁴ „დასტურლამალი“, 1886, გვ. 111.



ამრიგად, ირკვევა, რომ, მიუხედავად სულხან მდივნის ნუსხის რატელობისა, როგორც სიძველის, ისე დედანთან მისი სიახლოვის თვალსაზრისით, პეტრე უმიკაშვილს ძირითად ტექსტად აუღია მეორე ხელნაწერი ნუსხა, 1821 წელს იოველ ალექსიძის მიერ გადაწერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ უმიკაშვილი თვითონ გრძნობს შეუსაბამობას ტექსტის არჩევანში: მიუხედავად იმისა, რომ მას შესანიშნავად ესმის სულხან მდივნისეული დედნის ყველა ღირსება, მაინც ვერ იღებს მას ძირითად ტექსტად იმის გამო, რომ იგი ძალზე ნაკლები ყოფილა. როგორც უმიკაშვილი შენიშნავს, ხელნაწერ ნუსხას თვითონ გადაწერის შენიშვნა ახლავს იმის შესახებ, რომ დედანს ბევრგან აკლდა, ფურცლები დახეული ყოფილა „თითო ოროლა ალაგას თვითონ ჩავამატებინეო...“ „ნაკლებობა და არევა თავებისა, — აღნიშნავს უმიკაშვილი, მეტად შესამჩნევად სჩანს სათაურიდან — მერიქიფეთ ხუცისა, ქილიფთრისა და მერიქიფეებისა (გვ. 200). ეს ნაკლებუფიანება რომ არა ჰქონდეს ამ დედანსა, უცილობლად მის დაბეჭდვას ვამჯობინებდით“¹⁵. ვფიქრობთ ზემოაღნიშნული მიზეზები გასაგებას ხდის უმიკაშვილის მიერ ძირითად ტექსტად ალექსიძისეული ნუსხის არჩევას.

რა თქმა უნდა, ძირითად ტექსტში გამომცემელს კომპოზიციური სწორების შეტანის უფლება არ ჰქონდა. ეს უმიკაშვილისათვის, როგორც ჩანს, ცხადი ყოფილა, ამის გამო მას სულხან მდივნისეული ნუსხისათვის დაურთავს საძიებელი. „ეს განსაკუთრებული ხასიათი ამ დედნისა („თავების დალაგება საგანთა შინაარსის კვალობაზე“. — ლ. გ.) გვინდოდა დაგვეცვა, ამისათვის მის შინაარსის რიგით ჩამოთვლილს სათაურებს საძიებელი სია გავუყუთეთ და ბოლოში დაეურთეთ“¹⁶. უმიკაშვილი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამ საძიებელით პირველი წაკითხვისთანავე მკითხველი აღვილად მიაგნებსო სასურველ მასალას.

გარდა ამ საძიებლისა, პეტრე უმიკაშვილს თავისი გამოცემისათვის დაურთავს განყოფილება „დამატებულება“, რომელშიც აღნუსხულია ყოველგვარი სხვაობა თუ ვარიანტი სულხან მდივნისა და მელიქიშვილისეულ ნუსხებს შორის. „ყველა ამის გამო, — აღნიშნავს უმიკაშვილი, — პირველი დედნიდან დაბეჭდეთ ძირითადი ტექსტი, ხოლო სხვა ხელნაწერების განსხვავება „დამატებულებაში“ დაეურთეთ ვარიანტები ცალკეცალკე სულხან მდივნისა და მელიქიშვილის დედნებისა. ამ დამატებულებაში ჩვენ ვცდილობდით აღგვენიშნა ყოველი განსხვავება, მეტნაკლებობა, ანუ ცვლილება, რითაც კი განირჩეოდა ორივე დედანი პირველისაგან“¹⁷.

როგორც გამომცემლის წინასიტყვაობიდან ირკვევა, „დასტურლამალის“ ტექსტი შეძლებისამებრ კრიტიკულად არის დადგენილი. ძირითად ტექსტად აღებულია ყველაზე სრული და კარგად შენახული ხელნაწერი, ხოლო ყველა ის საყურადღებო განსხვავებანი, რაც სხვა ხელნაწერ წყაროებს გააჩნიათ, გამომცემელს გაუთვალისწინებია საძიებლებისა და ვარიანტული წაკითხვების სახით, საკომენტარო მასალა სქოლიოშია ჩამოტანილი და განმარტებული.

როგორც უნდა იყოს ვარიანტული სხვაობების ფორმულირება „დასტურლამალში“, ერთი ცხადია, რომ სიზუსტის თვალსაზრისით იგი საცნებით

¹⁵ „დასტურლამალი“, 1886, გვ. VI.

¹⁶ იქვე, გვ. 195—202.

¹⁷ იქვე, გვ. VI.

მეცნიერულ დონეზე დგას. „დამატებულებაშივე“ მოთავსებული ზემოაღნიშნული საძიებელი სულხან მდინეს ნუსხისა, რომელშიც „დასტურლამალის“ თავები შინაარსის რიგით არის დალაგებული.

ამ საძიებელში უმიკაშვილი იძლევა ცნობას — რამდენ თავადაა დაყოფილი სულხანისეულ ნუსხაში ესა თუ ის თავი ძირითადი ტექსტისა და მეორე მხრივ, ძირითადი ტექსტის რომელ გვერდზეა სულხანისეული ნუსხის ესა თუ ის თავი მოთავსებული.

ვარიანტების განყოფილებას მოსდევს „დასტურლამალის“ ლექსიკონი, რომელსაც გამოცდილი ტექსტოლოგის ხელი ატყვია. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის არა მშრალი განმარტებები, არამედ მრავალმხრივი და ამომწურავი კომენტარები. ზოგიერთი სიტყვის განმარტებისათვის მოხმობილია ვახტანგის სამართლის წიგნი. სპარსული წარმომავლობის სიტყვებს დედნის დაწერილობა ახლავს თან. ზოგ ქართულ ტერმინს რუსული და უცხოური შესატყვისი უწერია განმარტების გვერდით. ლექსიკონს ახლავს შემოკლებულ სიტყვათა ახსნა, ხოლო ამას მოსდევს განყოფილება — რიცხვისა და ფულის ანგარიში. აქ ახსნილია „დასტურლამალში“ ქართული ასოებით გამოხატული რიცხვისა და ფულის შესატყვისი ერთეულები. შემდეგ განმარტებულია ვახტანგ მეფის სამართლიდან ფულისა და საწყაოს (კოდი, კოკა) ერთეულები. ამ განმარტებების წინ წითითებულია სათანადო ადგილი ვახტანგ მეფის სამართლის წიგნიდან (კარი, მუხლი).

ასეთია მოკლედ სამეცნიერო-საცნობარო აპარატი, რომელიც დართული აქვს „დასტურლამალს“. თანამედროვე ტექსტოლოგიის ეს ტერმინი სავსებით მიესადაგება უმიკაშვილის მიერ მომზადებულ აპარატს, იმდენად სერიოზულ და ზემოაღნიშნულ მეცნიერულ სახეს ატარებს იგი.

უმიკაშვილის მიერ გამოცემული „დასტურლამალი“ დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელოვან მეცნიერულ ღირებულებას.

პეტრე უმიკაშვილის განზრახული ჰქონია გამოეცა იესე ტლაშაძის „კათალიკოს-ბაქარიანი“. ამ თხზულების გამოცემაზე მუშაობა მას 1890 წელს დაუწყია, მაგრამ, როგორც ე. თაყაიშვილი შენიშნავს, „ნაკლოვანის ტექსტის გამოცემა არ ისურვა“¹⁸.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ამ თხზულების ხელნაწერი ავტოგრაფი. თითქმის ყველა გვერდს ახლავს უმიკაშვილის ხელით გაკეთებული ტექსტობრივი, თუ სხვა ხასიათის შენიშვნები, კომენტარები, სიტყვათა სწორება, ბუნდოვანი ადგილების ახსნა, ისტორიული ფაქტების განმარტება და დაზუსტება დოკუმენტების მოშველიებით და სხვა მრავალი.

ამ ხელნაწერის გაცნობა გვაფიქრებინებს, რომ გამოცემის შემთხვევაში „კათალიკოს-ბაქარიანი“ უმიკაშვილის სხვა გამოცემების გვერდით საპატიო ადგილს დაიჭერდა.

¹⁸ ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, გვ. 142.



ქართული ენციკლოპედია

ასეთია ძირითადად პ. უმიკაშვილის მიერ განხორციელებული გამოცემების სახე და ხასიათი. წინამდებარე წერილში არაა განხილული მისი მთელი რიგი სხვა გამოცემანი, როგორცაა: გრ. ორბელიანის ლექსთა პირველი კრებული (1873 წ.), თეიმურაზ პირველის „ვარდბულბულიანი“ (1875 წ.). მისი მონაწილეობით გამოცემული ნიკ. ბარათაშვილისა (1875 წ.) და ალ. ჭავჭავაძის (1881 წ.) ლექსები; არაა განხილული აგრეთვე მისი მონაწილეობა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში და სხვა პრაქტიკული, რაც ზემოთ თქმულთან ერთად ნათლად წარმოაჩენს პეტრე უმიკაშვილის დიდ ღვაწლს ქართული წიგნის მეცნიერული გამოცემის საქმეში.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

ნოლარ შამანაძე

მცირე წარღვნის ლეგენდები ქართულ ფოლკლორში

ქართული ფოლკლორი იცნობს ისეთ ლეგენდებსაც, სადაც წარღვნა შედარებით მცირე მასშტაბისაა და დედამიწის გარკვეული მონაკვეთით განისაზღვრება. ამგვარი ლეგენდების თავისებურება ისიც არის, რომ მათ მიხედვით წარღვნა ზესკნელიდან კრ არ ხდება წვიმების გზით, არამედ ქვესკნელიდან — მიწისქვეშა წყლების ამოხეთქვისა და დატბორვის მეოხებით.

მიწისქვეშა წყლების ამოხეთქვისა და ქალაქის, სოფლის თუ სხვა დასახლებული პუნქტის ტბად ქცევის ამბებს დიდი წარღვნის ლეგენდათა ანალოგიით „მცირე წარღვნის“ ლეგენდებს ვუწოდებთ.

„ამ ტბის ადგილას ოდესღაც იყო ქალაქი პალეოსტომი. ამ ქალაქში იყო ეკლესია, სადაც იმყოფებოდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ანდრია პირველწოდებულის მოტანილი იყო“, — ასე იწყება პალიასტომის ლეგენდა. შემდეგ მოთხრობილია ქალაქის მცხოვრებთა შეცოდებებზე. ერთადერთი კაცი, ვისაც ღვთის სიყვარული არ შენელებია, ყოფილა კიკო. მას სიზმარში ღმერთი გამოცხადებია და გაუფრთხილებია: წაიღე ღვთისმშობლის ხატი შემოქმედში, პალეოსტომი უნდა დაიღუპოსო. კიკო როგორც კი გაშორებია პალეოსტომს, ამოუხეთქავს წყალს და ქალაქი დაუტბორავს.

ეს ვარიანტი ფ. მგელაძეს ჩაუწერია და 1892 წელს რუსულ ენაზე გამოუქვეყნებია¹.

პალიასტომის ლეგენდა გამოყენებული აქვს ეგ. ნინოშვილს მოთხრობაში „პალიასტომის ტბა“². ე. ნინოშვილისეული ლეგენდა ძალიან ემსგავსება მ. კელენჯერიძის ჩანაწერს³.

პალიასტომის ლეგენდა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ჩაუწერიათ დასავლეთ საქართველოს რუსთა ელჩებს⁴.

შედარებით მცირე მონაკვეთის წარღვნას ეხება ლეგენდა „ახტალა“. მასში ერთი ოჯახის დაღუპვის ამბავია გადმოცემული⁵.

საინტერესოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს მოხსენიებული აქვს როგორც პალიასტომი, ისე ახტალის ლეგენდა. ამ უკანასკნელზე იგი წერს: „იტყვიან ნასოფლარსა, რა რისხვით დანთქმულსა“. პალიასტომის შესახებ კი აღნიშნავს: „ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდეგ მოცულსა წყლისაგან“⁶.

1 СМОМПК, 1892, выпуск. XIII, отдел II, стр. 72.
2 ეგ. ნინოშვილი, მოთხრობები, თბ., 1947, გვ. 281.
3 ფოლკლორული არქივი, № 7375.
4 ა. სანადირაძე, პალიასტომი, ეურნ. „საქართველოს ბუნება“, 1969, № 3.
5 Кавказ, 1903, № 230.
6 ვახუშტი ბატონიშვილი, გეოგრაფია, გვ. 99.

თავისებური დაბოლოება აქვს ლეგენდას ტბაზე, რომელსაც ნატყევარა ჰქვია. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ნატყევარას ადგილას პატარა ტყე ყოფილა. ტყეს უღრანა რქმევი. შიგ თურმე უამრავი ნადირი ბინადრობდა. მონადირეს თოფის გასროლა არ სჭირდებოდა, ხელით იჭერდა ყოველგვარ ცხოველსო. ოღონდ ტყის სახელს ვერ ახსენებდნენ. უღრანაში მიმავალ კაცს რომ შეხვედროდი, გეტყოდა ნათესაობაში მივალ, ცოტა მიჭირს და იქნებ ხელი გამიმართონო. ერთ მთვრალ მონადირეს ვიღაც მგზავრი შეხვედრია, უღრანაში წაუყვანია, თანაც მისი სახელი წამოსცდენია. მისულან და ტყის მაგივრად ტბა დახვედრიათ. წყალში როგორც კი ფეხი ჩაუდგამთ, ორივე დაძვრება. ამის შემდეგ აიკრძალა იმ ტბაში ჩასვლა. ვინც ფეხს ჩადგამდა, უკან ვეღარ ამოდიოდა⁷.

ზოგიერთ ლეგენდაში წარღვნას და ამა თუ იმ ადგილის ჩაქცევას წყევლა იწვევს. ასეთია, მაგალითად, „პაპანწყურის ტბა“⁸. ვრცელი ლეგენდა უკავშირდება საქვეყნოდ განთქმულ რიწასაც⁹.

მცირე წარღვნის ქართულ ლეგენდებს მსოფლიო ფოლკლორში მრავალი, პარალელი მოეპოვება.

ლიტვაში, ქალაქ დრუსკინინის ახლოს არის ჭაობიანი დაბლობი, ციცაბო კლდეებით გარშემორტყმული. ამ დაბლობს რაიგრადს უწოდებენ. როგორც ლეგენდა მოგვითხრობს, იქ ქრისტიანობამდელ ეპოქაში არსებულა ქალაქი რაიგრადი, რომლის მცხოვრებნი გადაგვარებულან და ღვთის ათივე მცნება უარუყვიათ. მათ გაუდევნიათ მღვდელი, რომელიც თურმე რაიგრადელთა ქრისტიანებად მოქცევას ცდილობდა. ერთხელ, ღამით ანგელოზებს სამჯერ გაუღვიძებიათ მღვდელი და ურჩევიათ ქალაქის დატოვება. მღვდელი წასულა, მაგრამ ლოცვანი დაეიწყნია და მის წასაღებად დაბრუნებულა. მოსულა და ქალაქის მაგივრად ტბა დახვედრია. მასთან ტბიდან მაგიდა მიცურებულა, რომელზეც ლოცვანი ყოფილა. როგორც კი წიგნი აუღია, მაგიდაც ჩაძირულა¹⁰.

უკრაინაში, სოფელ ვისოცკის განაპირას, არის პოჩაევოს ტბა. ოდესღაც იქ სოფელი პოჩაევო ყოფილა და წარღვნით დაღუპულა. ხალხის რწმენით, ტბის სიღრმიდან ყოველ წმინდა კვირას ზარის რეკვა ისმის¹¹.

ირლანდიური ლეგენდა მოგვითხრობს, რომ მათხოვრის ტანსაცმლით შემოსილ წმინდანს ქარიშხლიან ღამეს სასახლეში თავშესაფარი არ მისცეს. სტუმრის მოძულენი სულ მალე დაისაჯენ: სასახლე მთელი თავისი შემოგარენით წყალში ჩაიძირა და მის ადგილზე ტბა გაჩნდა¹².

საფრანგეთის ერთი სოფლის მოსახლეობამ არ იდღესასწაულა წმინდა ანას დღე. ამის გამო სოფელს წარღვნა მოევლინა და დაიტბორა¹³.

უფრო საინტერესოა ამ ლეგენდის მეორე ფრანგული ვარიანტი. სადაც ახლა პილერის ტბაა, წინათ ქალაქი იყო. მისი მცხოვრებნი გაირყვნენ. ქალაქი დაიქცა და წყლით დაიფარა. გადარჩა მხოლოდ ერთი მუსიკოსი. ტბა უძა-

⁷ ფოლკ. არქივი კ. 165, გვ. 69.

⁸ СМОМПК, 1892, выпуск XIII, отдел II, гв. 32.

⁹ Г. Ф. Чурсин, Материалы по этнографии Абхазии, гв. 236.

¹⁰ Б. Кербелите, Литовские предания об исчезнувших городах, советская этнография, 1963, № 5, гв. 98.

¹¹ იქვე, გვ. 100.

¹² იქვე.

¹³ იქვე, გვ. 4.

როა. იქიდან დამლაშობით მუსიკოსის კვნესა ისმის. იგი წყალში ითრევის, ვინც ტბის ახლოს გაივლის¹⁴.

მიუხედავად ტბა შემდეგნაირად წარმოიშვა: რავენსბერგის მთის ძირას კერპი იდგა. ერთხელ მივიდა ბერი, წარმოთქვა წყევლა. კერპი ჩაიქცა და წყალი ამოვარდა¹⁵.

შეგვეძლო კიდევ მოგვეყვანა მაგალითები, მაგრამ სურათი ისედაც ნათელია. ქართველთა და ახლო თუ შორეულ ხალხთა მცირე წარღვნის ლეგენდები გასაოცრად ჰგავს ერთმანეთს, ზოგჯერ კი პირდაპირ დამთხვევასთან გვაქვს საქმე.

ეს აიხსნება უმთავრესად ორი მიზეზით: 1. მცირე წარღვნის ლეგენდები ყველა ქვეყანაში დიდი წარღვნის ლეგენდების გავლენით იქმნებოდა, 2. მსგავსი სტიქიური უბედურებანი მსგავს სიუჟეტებს წარმოშობდა.

განვიხილოთ ქართული ლეგენდების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც პირობითად მოსალოდნელი წარღვნის ლეგენდები გვინდა ვუწოდოთ. ასეთია, მაგალითად, „საყდრიონის ეკლესია“. იგი მოგვითხრობს ერწო-თიანეთის დიდი ტბის ამბავს. „ეს ტბა ერთ გველეშაპს გაუჩენია. თურმე ყოველდღე წავიდოდა ზღვაზე, ჩაიგუბებდა წყალს და აქ ასხამდა. ტბა თანდათან იზრდებოდა და მთებზე მოსახლე ხალხს წალეკვას უქადდა. გველეშაპთან შებმას აბა, ვინ გაბედავდა. ჰოდა, ერთ კაცს საოცარი მოზვერი ჰყოლია. რქები დანასავით ჰქონია ვალესილი. ერთ მშვენიერ დღეს გაპარულა ეს მოზვერი, შეჭიდებია გველეშაპს და სულ დაუფატრია, მხოლოდ კუდი გადარჩენია. ეს კუდი არის ჩვენი იორი, ახლაც რომ ჩაგვიდის და არ გვიწყდება“¹⁶.

მაშასადამე, წარღვნა მოსალოდნელი ყოფილა და მოზვერს უხსნია ხალხი დაღუპვისაგან.

არსებობს ამ ლეგენდის ვრცელი ვარიანტი, რომელიც ვ. ბეწუკლიშვილს 1934 წელს ჩაუწერია. იგი ყურადღებას იქცევს შემდეგი ეპიზოდით: „ტბის დამორბებით ერთი ძლიერზე ძლიერი ხატი იყო. შორს იყო მისი სახელი განთქმული. წმინდა გიორგის სამების ჯვარს ეძახდნენ ამ ხატს. ბევრი კეთილი საქმე მოიმოქმედაო ხატმა: ბევრ ბრმას აუხილა თვალი, ბევრ კუტს აადგმევინა ფეხი და გააჯანსაღა“¹⁷.

ხატთან თურმე უამრავი კურატი მიჰყავდათ ყოველწლიურად. გველეშაპის დამმარცხებელი სწორედ ერთ-ერთი ასეთი კურატთაგანი ყოფილა. ამგვარად, „საყდრიონის ეკლესიის“ მიხედვით მოზვერი გამოდის როგორც თავისთავადი ძალა, ხოლო ბეწუკლიშვილისეულ ვარიანტში კურატი ღვთის ბრძანებით მოქმედებს, იგი აძლევს გველეშაპის დამარცხების შესაძლებლობას.

ეს მომენტი კიდევ უფრო უკეთ ჩანს შილდურ ვარიანტში¹⁸.

საინტერესოა დღემთში ჩაწერილი ლეგენდა. გველეშაპი შეაგუბებს არაგვს. წარღვნის შიშით შეძრწუნებული ხალხი ვეშაპთან ბრძოლის გზას სახავს. იმედს ამყარებენ ნაიალაღარ ხარებზე. ჯერ ერთს გამოიყვანებენ და შეაბრძოლებენ, მერე მეორეს, შემდეგ მესამეს... მაგრამ ვეშაპი ყველას დაა-

14 ი. კერბელიტი, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

15 იქვე, გვ. 5.

16 ფოლკ. არქ., კ 165, გვ. 75.

17 ხალხური სიბრძნე, III, ელ. ვირსალაძის რედ., გვ. 246.

18 ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა „ხოგაის მინდიზე“ და პოემა „გველის მკამელი“, 1959.

მარცხებს. მისნის რჩევით, ბოლოს ნიკორა მოზვერს მონახავენ. იგი გველუ-შაპს რქით მუცელს გაუფატრავს, არაგვს გზას გაუხსნის და სოფლებს გადა-არჩენს¹⁹.

ქართლურ ვარიანტში მოსალოდნელი წარღვნისაგან მხსნელად ღორი გამოდის. მთა ჩამოზვევდება და ლიანვს გზას გადაუღობავს. წყალი თანდათან მაღლა იწევს, ხალხს კი ვერაფერი უღონებია და უბედურებას ცაცხებით მოვლიან. ამ დროს ტყიდან ღორი გამოვარდება, საგუბარს დინგით გათხრის, მღინარეს გზას მისცემს, თვითონ კი უეცრად გაქრება²⁰.

ახლა მოვეუსმინოთ სვანურ ლეგენდას, რომლის სათაურიცაა „ღვთისმშობლის და დევის ჩხუბი“. უშგულის ლამარია ანუ ღვთისმშობელი მოსწონებია დევთა მეფეს და მისი ცოლად შერთვა განუზრახავს. ლამარიას უარი უთქვამს. დევი განრისხებულა, ენგურის ხეობაში ყველაზე ვიწრო ადგილი შეურჩევია, შიგ ჯებირი ამოუშენებია და მღინარე შეუვლებებია. წყალს მთებამდე აუწევია და მთელი სოფელი წარღვნის მოლოდინში ყოფილა. ლამარიას და წმინდა კვირიკეს გამოუშვიათ ვერძები, რომლებიც ჯებირს დასჯახებთან, წყალი გაუშვიათ და სოფელი დაღუპვას გადაურჩენიათ²¹.

ხარი, ვერძი და ღორი ხალხს რომ მფარველობენ და სოფლებს წარღვნისაგან იხსნიან, შემთხვევითი არ უნდა იყოს. აქ იმ უშორესი ეპოქის გამოძახილია, როცა ჩვენი წინაპრების შეგნებაში ტოტემისტური რწმენა ბატონობდა და ზოგიერთ ცხოველს ღვთიურ არსებად მიიჩნევდნენ. „ქართლის ცხოვრებაში“ ამის თაობაზე ნათქვამია: „რომელნიმე უგდებდეს ცასა და სხვანი მზესა და რომელნიმე მთვარეს, რომელნიმე ვარსკვლავთა და რომელნიმე მფრინველთა და რომელნიმე ქვეყანასა და მკეცთა და ნადირთა და ხეთა“²².

არქეოლოგიური გათხრების დასმარებით პრეისტორიული ხანის ადამიანთა საფლავებში მრავლად აღმოჩნდა შინაურ პირუტყვთა ძელები და ზოგჯერ მათი ქანდაკებანიც. ეს ქანდაკებანი სხვა არაფერია, თუ არა იმ ცხოველების ღვთაებათა გამოსახულებანი, რომლებსაც მიცვალებულს საფლავში ატანდნენ. ამით მტკიცდება, რომ პირუტყვის კულტი უხსოვარ დროსაც არსებობდა.

მსხვილფეხა ცხოველთა შორის განსაკუთრებით ხარს აღმერთებდნენ. ხარის კულტის მაჩვენებელია ბოღაზკეოის მახლობლად აღმოჩენილი ხეთური სამეფოს ციხე-კოშკის ნაშთები, მე-14 საუკუნით რომ თარიღდება (ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ამ კოშკის მარცხენა მხარეზე ხარის ტაძარია გამოხატული, ხარის წინ კი სამსხვერპლოა²³.

პეროდოტე აღნიშნავს, რომ ხალიბებს მტრებთან ბრძოლის დროს „პატარა ფარები ჰქონდათ გამოუქნელი ხარის ტყავისა და თვითეულს ჰქონდა ორი შუბი ლიკიური ხელობისა, ხოლო თავებზე — სპილენძის მუზარადები. მუზარადებზე იყო ხარის ყურები და რქები სპილენძისაგან (ნაკეთები)“²⁴.

აქედან ნათელია, რომ ხალიბებს ხარი ღვთაებრივ არსებად ჰყოლიათ წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ხარის ტყავი, რქები და ყურები მაგიური ძა-

¹⁹ ფოლკ. არქ., კ 165, გვ. 89.

²⁰ იქვე, გვ. 83.

²¹ ძველი საქართველო, ექ. თაყაიშვილის რედ., ტ. II, გვ. 35.

²² ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1955, გვ. 58.

²³ დ. ჯანელიძე, ქართული დრამის ხალხური საწყისები, 1948, გვ. 6.

²⁴ თ. ყაუხჩიშვილი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, 1960, გვ. 76.

ლის ატრიბუტები უნდა ყოფილიყო უძველესი ქართველი ტომების პირველ-ყოფელ წარმოდგენებსა და შეხედულებებში.

როცა ხარის კულტზე ვლაპარაკობთ, უნდა მოვიხსენიოთ ნაცარგორას არქეოლოგიური გათხრების მასალები. როგორც გ. გობეჯიშვილი აღნიშნავს, ნაცარგორას მესამე ფენაში მიკვლეულ „ნაყოფიერების ღვთაებათა ქანდაკებებს დედრობითი ნიშანი აღარ გააჩნია. ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებული ჩანს ხარის (კურო)“²⁵.

ნაცარგორას მასალებიდან საინტერესოა აგრეთვე საკუროთხვევლები, რომლებსაც შერჩენილი ჰქონიათ პატარ-პატარა კერა. საკუროთხვევებზე კი ხარის გამოსახულებანი ყოფილა. გ. გობეჯიშვილის აზრით, „ეს ფაქტი უნდა მოწმობდეს ხარის კავშირს არა მარტო ზოგადად ნაყოფიერებასთან, არამედ კერის კულტთანაც და მის მნიშვნელოვან როლს ბინადარი მიწათმოქმედი ტომების ცხოვრებაში“²⁶.

ხარის კულტთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის აკადემიკოსი ნ. მარი. იგი აღნიშნავს, სვანები და აფხაზები ხარის წმინდა ცხოველად მიიჩნევდნენ²⁷. სამსხვერპლო ხარის სვანები ყანიდანაც არ გამოდენიდნენ, ისე დიდი იყო მათი მოკრძალება ამ მუშა პირუტყვისადმი²⁸.

ხარის კულტი ძველ კოლხეთშიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ამას მრავალი ფაქტი გვიჩვენებს. ჯერ ერთი: VI—III საუკუნეებში (ძველი წელთაღრიცხვით) კოლხურ მონეტებზე ხარის თავია გამოსახული. მეორეც: ხარის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა „საკულტო-სარიტუალო წესჩვეულებებშიც, კერძოდ, მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით“²⁹. მეგრელთა შორის გავრცელებული იყო ჩვეულება: მამაკაცის ორიოცზე ხარი უნდა დაკლულიყო³⁰.

არა მარტო პირველყოფილი შეხედულებებისა და წარმართობის ეპოქაში, არამედ ქრისტიანობის ხანაშიც კი მრავლად გვხვდება ხარის გამოსახულებანი უძველეს ტაძრებსა და ეკლესიებში. მაგალითად, მეხუთე საუკუნის ტაძარში — ბოლნისის სიონში ხარის თავის გამოსახულებაა, რაც ქრისტიანობამდელი სარწმუნოების გამოძახილი უნდა იყოს³¹.

ხარის კულტი მკვიდროდ იყო დაკავშირებული სამეგრელოს ერთ-ერთ ძლიერ ხატ-სამლოცველოსთან — ილორის წმინდა გიორგის ეკლესიასთან. ხალხი წმინდა გიორგის სასწაულმოქმედებას მიაწერდა. ყველას სჯეროდა, რომ წმინდა გიორგის ილორობა ღამეს ხარი მალულად მიყავდა ეკლესიაში. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, წმინდა გიორგის მიყვანილ ხარს „გაიყვანდნენ გავლენის გარეშე და დააკვლევინებდნენ იქაურ მცხოვრებს, რომლის ოჯახს ძველიდანვე ეკუთვნის ეს ხელობა“³². შემდეგ ამ ღვთაებრივი ხარის ხორცს ყველას ნამცვე-ნამცეც გაუნაწილებდნენ, რადგან იგი უებარ წამლად მიაჩნდათ.

25 გ. გობეჯიშვილი, ცხინვალის ნაცარგორა, „მიმოხილველი“, ტ. II, თბ., 1951, გვ. 239.
 26 იქვე, გვ. 271.
 27 Н. Марр, Из поездок в Сванию, Хр. Восток, т. I, стр. 6.
 28 Н. Марр, Талыш, II, 1922, стр. 16.
 29 გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 68.
 30 მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, თბ., 1955, გვ. 12.
 31 Г. Чубинишвили, Болнисский Сион, Тб., 1910, გვ. 158.
 32 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 142.
 5. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, №2



ანალოგიურ ცნობას გვაწვდის პროფ. მ. ჩიქოვანი: „ლექსუმში“ გვხვდებით ზე სოფელი ერთ ხარს აარჩევს, კარგად მოუვლის, გაასუქებს (არ ამუშავებენ) და დაკლავენ იმ ადგილზე, რომელსაც „ხარელია“ (ხარ-ელია) ეწოდება. ხორცს იმდენ თანაბარ ნაწილად გაყოფენ, რამდენი კომლიცაა სოფელში და ჩამოირიგებენ. საღამოთი ოჯახში ხორცს სუფთად მოხარშავენ და ჰამენ მოლოცვით (სოფ. ცხუკუშერი)“³³.

იმ ნაჯახს, რომლითაც ვითომდა წმინდა გიორგის მიყვანილი ხარი იკვლავდა, საღვთო ნივთად თვლიდნენ და სასობით ინახავდნენ³⁴.

ხეცურეთში ხარის კულტი ნათლად ვლინდება ქადაგის დასმის რთული რიტუალის დროს. სოფელ კიმხის მცხოვრები იმედა ლიქოკელი აღნიშნავს: „ქადაგობის დროს ხატის ხარებსაც იქ მოიყვანენ. ქადაგობის შემდეგ დასტურს რომ აირჩევენ, ის გადაიბარებს ხარებს“³⁵.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ნიკორა მოზერის უძლეველობა და მის მიერ გველუშაპის დამარცხება, დღეში ჩაწერილი ლეგენდა რომ მოგვიხსნოს ამასთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ ეთნოგრაფ ა. სოხაძის მოსაზრებას. იგი აღწერს ხარებისა და ძროხების გამრავლებისა და კეთილდღეობისათვის განკუთვნილ დღეობას, რომელიც ბოსლობის სახელითაა ცნობილი. „ლექსუმში ბოსლობა საღამოს, ვახშობის წინ, იმდენ უმ კვერცხს წაიღებდნენ ბოსელში, რამდენი ხარიც იყო. ამ კვერცხებს, საბოსლობო ტაბლებს და ანთებულ სანთელს ვაქაყი მიიტანდა მუშა ხართან, რამდენიც არ უნდა ყოლოდა ხარები, ყველას წალმა შემოავლებდა თავზე და ასე იტყოდა: „მუშა ხარის გამჩენო, მიყოფე კარგად ჩემი ხარები, ნურაფერს გაუჭირებ, დეიფარე ჭირისაგან, ყოველი ფათერაკისაგან, ყოველი ამყოფე ჯანზე და ღონეზე“. ამ ლოცვას რომ გაათავებდა, ხმამალა დაიძახებდა: „მამაჩემო, რომელს ვურჩინო?“ „ნიკორას ურჩინე, შვილო, ნიკორას“, — სახლიდან გამოსძახებდა მამა ან სხვა და ეს კაცი მარჯვენა მუხლს წაუჭკიანებდა ნიკორას და თან ეტყოდა: „ჩემო ნიკორა, ჯანიერად მეყოლეო“.

ა. სოხაძე ასკვნის: „ამ ჩვეულებიდან ნათლად ჩანს, რომ ლექსუმში ნიკორა ხარის მიმართ, სხვა მუშა ხარებისაგან განსხვავებით, დამატებითი მაგიურ-რელიგიური რიტუალი სრულდებოდა, რაც იმას მოწმობს, რომ ნიკორა ხარს ლექსუმელი მიწათმოქმედი „მუშა ხარის გამჩენი“ ღმერთის ანუ „ღიდი ღმერთის“ მიერ ნიშანდებულ ცხოველად მიიჩნევადა“³⁶. „ღიდი ღმერთის“ ცნებაში კი წარმართული ღვთაება უნდა იგულისხმებოდეს³⁷.

ზემოთ ხსენებული წარღვნის ლეგენდა გვაფიქრებინებს, რომ ნიკორა ხარს „ღიდი ღმერთის“ ნიშანდებულ ცხოველად მართლ ლექსუმში კი არ მიიჩნევენ, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც.

გვაქვს ღორის კულტის დამადასტურებელი ცნობებიც. ირკვევა, რომ წარმართობის ეპოქაში მეგრელები თავიანთ სცემდნენ მუხას³⁸. რადგან მუხას ღორი ეტანებოდა, ამიტომ ისიც წმინდა ცხოველად ითვლებოდა, ღვთაებისადმი

33 მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 269.

34 ს. შაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 356.

35 თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 68.

36 ა. სოხაძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964, გვ. 112.

37 იქვე, გვ. 109.

38 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 94.

შეწირულად იყო მიჩნეული. ყოველ გაზაფხულზე იხდიდნენ „მირსობას“. ამ დღეობისთვის სპეციალურად ასუქებდნენ ღორს, რომელსაც ოჯახის უფროსი დაკვლის წინ კერის გარშემო სამჯერ შემოატარებდა³⁹.

ჩვენი საკითხის თვალსაზრისით გვინდა მოკლედ განვიხილოთ უძველესი ქართული ხალხური სანახაობა ბერეკაობა. აკადემიკოს ი. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ ბერეკაობა და სვანური „მურყვამობა“ სიყვარულისა და შვილოსნობის ღვთაების ნაშთს წარმოადგენს⁴⁰.

ბერეკას ხშირად ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ტყაბუჭი აცვია, რომელსაც ზოგჯერ გაკეთებული აქვს საქონლის კუდი. ეთნოგრაფი რ. ხარაძე ეხება ამ საკითხს და სათანადო საბუთების საფუძველზე დასკვნის: „საფიქრებელია, რომ ტყაბუჭის ტარება ოდესღაც მაგიური ზემოქმედების მიზნით ხდებოდა — ბერეკასა და ყენის ცხვრის ტყავისაგან შეკერილ ტანსაცმელს აცმევდნენ იმისათვის, რომ ცხვრის ნაყოფიერების თვისება მათზე გადასულიყო“⁴¹.

ბერეკაობის ნიღბების სახით წარმოდგენილია ცხოველთა სამყარო, რომელთა შორის გარკვეული ადგილი ღორსა და ცხვარს უჭირავს.

როგორც აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი აღნიშნავს, „ნიღბებს ატარებდნენ ჯერ კიდევ სუმერულ ხანაში. გილგამეშის ეპოსის სიუჟეტებს ასრულებდნენ ქურუმები მისტერიის სახით. ცხოველების ნიღბებს ხმარობდნენ ეგვიპტეში რელიგიურ პროცესებში“⁴².

ბერეკაობაში მოქმედ გმირთა წარმოდგენა ცხოველთა ნიღბებით შემთხვევითი არაა. მისი წარმოშობა იმ შორეულ ეპოქას უნდა მიეკუთვნოს, როცა აღნიშნულ პირუტყვთა კულტი არსებობდა. რუსი მკვლევარი ნ. ხარუზინი მართებულად მიუთითებს: „იმისთვის, რომ პირველყოფილმა ადამიანმა თავი თავის ტოტემს მიახმავოს, უნდა ჩაიცვას იმ ტოტემის ტყავი, რომლის მიმსგავსებაც სურს, და გაიკეთოს მისივე მსგავსი ნიღბი“⁴³.

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში შინაური პირუტყვის კულტს უცხოელების ყურადღებაც კი მიუქცევია. მაგალითად, არქეოლოგ ფრ. ბაიერნს სტეფანწმინდის ერთ-ერთი წყარო ბერძნულ მითოლოგიაში საქონლის ნაყოფიერების ღვთაების პრაიპის წყაროდ მიაჩნია და მიუთითებს, იქ მლოცველები შესასწირავებით დადიანო⁴⁴.

ვფიქრობთ, ამ საკითხზე საუბრის გაგრძელება აღარაა საჭირო. თქმულითაც ცხადია ქართულ სინამდვილეში ტოტემისტური რწმენის გადმონაშთების არსებობა, რამაც წარღვნის ლეგენდებშიც იჩინა თავი.

ახლა იმ ბოროტ არსებებზე ვისაუბროთ, რომლებსაც ზემოთ ხსენებული ცხოველები ებრძვიან და ხალხს წარღვნისაგან იხსნიან. ესენია: ზოგჯერ დევი, ზოგჯერ ვეშაპი, ხოლო უფრო ხშირად — გველეშაპი. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ვარიანტი, სადაც ვეშაპი იხსენიება. ეს სიტყვა ლეგენდის სიძველეზე მეტყველებს. პროფ. მ. ჩიქოვანი მართებულად შენიშნავს, რომ „ვეშაპი და გველი — ეს ორი სიტყვა ადრე, ყოველ შემთხვევაში XIII საუ-

³⁹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., გვ. 301.

⁴⁰ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 70.

⁴¹ მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. VI, თბ., 1953, გვ. 102.

⁴² შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1944, გვ. 33.

⁴³ Н. Харузин, Этнография, IV, 1905, стр. 387.

⁴⁴ Fr. Bayerns, Untersuchungen über die ältesten Träger und Sshatzfunde in Kaukasien. Berlin, 1885, seite 41—51.



კუნემდე, ცალ-ცალკე აღნიშნავდა იმას, რასაც ახალ საუკუნეებში და ამჟამადაც «გველუშაპი». როგორც უკვე გარკვეულია, კომპოზიტური შედგენილობის სიტყვა შედარებით ახალი წარმონაქმნია, ადრინდელ ძეგლებში კი ამავე ფუნქციით ან ვეშაპი იხსენიება (აბოს წამება, დავით გარეჯელის ცხოვრება, ბიბლიის თარგმანი), ანდა გველი (აბუსერიძე ტბელის თხზულება, 1233 წ.)⁴⁵.

ვეშაპთან ბრძოლა საყოველთაოდ გავრცელებული მოტივია როგორც ფოლკლორში, ისე წერილობით ლიტერატურაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, სადაც ვეშაპთან მეტროლოგად წმინდანები არიან გამოყვანილი. აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ ამ თემას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა. მან გიორგი კაპადოკიელისა და თეოდორე სტრატელატის საგმირო ამბები შეუდარა მ. ხონელის „ამირან-დარეჯანიანის“ შესაბამის ეპიზოდებს და საგულისხმო დასკვნა მოგვცა: „ჰაგიოგრაფიული რომანის გმირი, გარკვეულს სოციალ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ-კულტურულ პირობებში, საერთო ლიტერატურის ამ ქვეყნიურ გმირად ქცეულა. რასაკვირველია, ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ მოსე ხონელმა ეს ეპიზოდები გიორგისა და თეოდორეს „წამებიდან“ ვადმოიღო, შესაძლებელია და უფრო საფიქრებელიც, რომ ისინი ერთი და იგივე „საერთო ფონდიდან ან სუბსტრატადან მომდინარეობენ“⁴⁶.

კ. კეკელიძის ამ გამოკვლევას ვრცელი ნაშრომით გამოეხმაურა პროფ. მ. ჩიქოვანი, რომელმაც დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ვეშაპთმებრძოლი გმირის სახე ქრისტიანობაზე გაცილებით ადრე ფოლკლორში ჩამოყალიბდა⁴⁷. სხვა ზღაპრულ გმირებთან ერთად იგი ასახელებს ხალხურ ამირანსაც. რადგან ავტორს მხოლოდ ვეშაპთმებრძოლი გმირები აინტერესებდა, „მოსალოდნელი წარღვნის“ ლეგენდას აღარ იხსენიებს, სადაც გმირთა ფუნქციას ცხოველები ასრულებენ. უნდა ითქვას, რომ გიორგი კაპადოკიელის „წამებაში“ მოყვანილი მოთხრობა ყველაზე მეტად სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ „საყდრიონის ეკლესიას“ ჰგავს⁴⁸.

ჩვენი აზრით, ვეშაპთან ბრძოლის ევოლუცია ამგვარად უნდა წარმოვიდგინოთ: 1. ტოტემისტური რწმენის ეპოქაში იყვნენ ვეშაპთმებრძოლი ცხოველები (ხარი, ვერძი, ღორი...), 2. შემდეგ და შემდეგ ვეშაპთმებრძოლი ცხოველები გმირებად იქცნენ, 3. ხოლო ქრისტიანული რელიგიის ჩამოყალიბების პერიოდში ეს უკანასკნელი ვეშაპთმებრძოლი „წმინდანებით“ შეიცვალნენ. ამის დამამტკიცებელი ისიცაა, რომ ვეშაპთმებრძოლი ღორი გვიანდელ ფოლკლორულ ნაწარმოებებში თვითონ გამოდის წყლის მიმტაცებლად⁴⁹.

რა უნდა ითქვას დევზე, ზოგჯერ ვეშაპს (ან გველუშაპს) რომ ენაცვლება? „დევი“ ქართული სიტყვა არაა. იგი ქართულში აღმოსავლეთის გავლენით

45 მ. ჩიქოვანი, „ვეფხისტყაოსნის“ მითოლოგია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 11, გვ. 82.

46 კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 6.

47 მ. ჩიქოვანი, ვეშაპთმებრძოლი გმირი და წმინდა მხედარი, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1949, გვ. 262.

48 კ. კეკელიძე, „წმინდა მხედრები“, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 6.

49 მ. ჩიქოვანი, ვეშაპთმებრძოლი გმირი და წმინდა მხედარი, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1949, გვ. 262.



გაჩნდა⁵⁰. ფოლკლორში ვეშაპის (ან გველეშაპის) ნაცვლად დევის გამოყვანა გვიანდელი ამბავი უნდა იყოს⁵¹.

წარღვნის ლეგენდებში მაგიური რწმენის გადმონაშთებიც შეიმჩნევა. როგორც ცნობილია, „მაგიური რწმენის საფუძველზე აღმოცენდა შელოცვა, წყევლა და სიტყვის ტაბუ“⁵². ქრისტიანობამდელი ადამიანი აღიარებდა მაგიურ ძალას სიტყვისას, რომლის წარმოთქმაც ბედნიერების ან უბედურების მომასწავებელი შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთი ვითარება გვაქვს პაწანწყურის ტბის ლეგენდაში, სადაც მღვდლის დაღუპვას და მის კარმიდამოზე ტბის გაჩენას წყევლა იწვევს⁵³. სიტყვის ტაბუს დარღვევის გამო ხდება წარღვნა ზემოთ ხსენებულ ნატყვევარას ლეგენდაში⁵⁴.

როცა წარმართული რწმენის გადმონაშთებზე ვლაპარაკობთ, გვინდა გავიხსენოთ დიდი წარღვნის ლეგენდის ქართული ვარიანტი. ქრისტეს მიერ მოწვეული ღვთაებანი მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ წარღვნით მსოფლიო მოესპოთ. კიდევ შეუდგნენ განზრახვის შესრულებას. ეს ამბავი წმინდა გიორგიმ შემთხვევით გაიგო. იგი აღშფოთდა, ადამიანთა მოდგმის მოსალოდნელმა დაღუპვან დააღონა. ბოლოს დედამიწაზე სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი გზა გამოიხატა, ნოე დაიბარა და კილოზნის გაკეთება დაავალა⁵⁵.

ადამიანისადმი წმინდა გიორგის ზრუნვა და ქომაგობა, რაც ამ ლეგენდაშია ნაჩვენები, არაა უჩვეულო. ქართული ფოლკლორი წმინდა გიორგის ყოველთვის დადებითად გვიხატავს. წმინდა გიორგიზე შექმნილ ლეგენდებს დაწვრილებით მიმოიხილავს ი. ჯავახიშვილი, რომელთა საფუძველზე მეტად საგულისხმო დასკვნა გამოაქვს: „წმინდა გიორგის პირველი ადგილი უკავია და ყველაზე უფროსად ითვლება, იგი გულკეთილია და ადამიანის მფარველი, ძლიერებით ყველას, თვით ღმერთსაც კი სჯობნის“⁵⁶ დიდი მეცნიერის მტკიცებით, „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობის-დროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“⁵⁷.

დიდი წარღვნის ლეგენდის მიხედვით წმინდა გიორგი გულკეთილი და ადამიანის მფარველი კი არის, მაგრამ უკვე ძალა აქვს დაკარგული. აქ ყველაზე უფროსად ქრისტე ითვლება. წმინდა გიორგი ღმერთთა კრებასაც არ ესწრება და მოსალოდნელი წარღვნის ამბავს შემთხვევით გაიგებს. ჩვენი აზრით, ამ ლეგენდაში იმ შორეული ეპოქის ანარეკლია, როცა წარმართობას ქრისტიანობა ცვლის, მაგრამ ბრძოლა ამ ორ რელიგიას შორის ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დამთავრებული. ამას ამტკიცებს კრებაზე ღვთაებათა არაერთსულოვნება, წარღვნის შესახებ ქრისტეს წინადადებას არა მართებულად რომ მიიჩნევენ და ამ ამბავს წმინდა გიორგის მალულად გაანდობენ⁵⁸.

წარმართული რწმენის კვალი კარგად ჩანს დიდი წარღვნის ლეგენდის აქარულ ვარიანტში, რომლის სათაურიცაა „აშურა“. ყურადღებას იქცევს ამ ლე-

50 მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, გვ. 166.

51 მ. ჩიქოვანი, კუშპათმებრძოლი ვმირი და წმინდა მხედარი, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, VII, 1949, გვ. 262.

52 მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 205.

53 ტურნალი „კვალი“, 1895, № 7, გვ. 5.

54 ფოლკლ. არქ., კ 165, გვ. 69.

55 ფოლკლ. არქ., კ 165, გვ. 90.

56 ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 48.

57 იქვე, გვ. 50.

58 ფოლკლ. არქ., კ 165, გვ. 91.

გენდის ჩამწერის დოცენტ ჯ. ნოლაიდელის შენიშვნა: „დღეობა აშურა აჭარაშია. განსაზღვრულ მთვარეზე დღესასწაულობენ. ამზადებენ „აშურას“. ეს საგანგებოდ შემზადებული წვნიანი საჭმელია, რომელშიაც უნდა იყოს თითო ან ორ-ორი მარცვალე ყველა იმ თესლისა, რასაც ადამიანი თესავს და საჭმელად ხმარობს. იმ მთვარეს, რომელზედაც აშურას დღესასწაულობენ, აშურას მთვარეს ეძახიან“⁵⁹.

ჩვენი აზრით, „აშურა“ ქართველთა წარმართული ღვთაების — მთვარის დღეობაა. ეს დღეობა უეჭველად გენეტიკურ კავშირშია წარღვნის ლეგენდასთან. წვნიანი საჭმელი და მასში ჩაყრილი თესლეულის თითო ან ორ-ორი მარცვალე ერთგვარი სიმბოლოცა უნდა იყოს წარღვნისა და იმ წყვილ-წყვილი სულდგმულებისა, ლეგენდის თანახმად კიღობანში რომ იყვნენ შეფარებულნი.

რადგან წარმართული რწმენის კვალი დადასტურდა, მეტი დაბეჯითებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველი ხალხის შორეული წინაპრები იმ თვითვე შექმნიდნენ „მოსალოდნელი წარღვნის“ ლეგენდას, სადაც მათ მიერ გაღმერთებული შინაურ ცხოველთა (ხარი, ცხვარი, ღორი) ბრძოლა იქნებოდა დახატული ბოროტი ძალების წინააღმდეგ. ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ ბიბლიის გავლენით უნდა შექმნილიყო დიდი წარღვნის ქართული ლეგენდა. აქ ხარი კამეჩითაა შეცვლილი, რომელიც თავისა წინამორბედისაგან განსხვავებით ხალხის მხსნელად კი არაა გამოყვანილი, არამედ ნოესგან თვით მოელის ხსნას. ესეც წარმართობაზე ქრისტიანული რწმენის საბოლოოდ გაბატონების მაჩვენებელია.

დასკვნა: 1. ქართული ფოლკლორი იცნობს ისეთ ლეგენდებსაც, სადაც წარღვნა შედარებით მცირე მასშტაბისაა და დედამიწის გარკვეული მონაკვეთით განისაზღვრება. ამგვარი ლეგენდების თავისებურება ისიც არის, რომ მათი მიხედვით წარღვნა ზესკნელიდან კი არ ხდება წვიმების გზით, არამედ ქვესკნელიდან — მიწისქვეშა წყლების ამოხეთქვისა და დატბორვის მეოხებით.

2. ზოგიერთი ლეგენდის მიხედვით წარღვნით იმუქრება ვეშაპი (დევი), მაგრამ მას წინ აღუდგება ხარი, ვერძი ან ღორი და ხალხს უბედურებისგან იხსნის.

3. ხარი, ვერძი და ღორი ადამიანებს რომ მფარველობენ და სოფლებს წარღვნისგან იხსნიან, იმ უშორესი ეპოქის ანარქული უნდა იყოს, როცა ჩვენი წინაპრების შეგნებაში ტოტემისტური რწმენა ბატონობდა და ხსენებულ ცხოველებს საკულტო არსებებად მიიჩნევდნენ.

4. ვეშაპთა ბრძოლის ევოლუცია ამგვარად გვესახება: ტოტემისტური რწმენის ეპოქაში იყვნენ ვეშაპთებრძოლი ცხოველები. შემდეგ პერიოდში ამგვარი ცხოველები გვირებად იქცნენ, ხოლო სულ ბოლოს, ქრისტიანული რელიგიის გავლენით, ეს უკანასკნელნი წმინდანებით შეიცვალნენ.

5. მცირე წარღვნის ლეგენდებში მაგიური რწმენის გადმონაშთებიც შეიმჩნევა.

6. ქართველებისა და სხვა ხალხების მცირე წარღვნის ლეგენდები ხშირად ემსგავსებიან ერთმანეთს, რის მიზეზსაც ტიპოლოგიური დამთხვევა ან სესხება-გავლენა შეიძლება წარმოადგენდეს.

⁵⁹ ჯ. ნოლაიდელი, ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან, 1935, 23-47.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)



Как известно, новые идеи передовых слоев иранской интеллигенции, которые подготовили почву для подъема революционного движения и установления конституционного режима в стране, распространялись в течение длительного периода, в процессе социально-экономического развития и расширения внешних связей страны, который начался еще задолго до подъема движения, а именно с начала XIX века. Экономические и политические отношения между Ираном и европейскими странами, а также Россией, непосредственная связь между Северными областями страны с такими Закавказскими центрами, как Тбилиси, Баку и др., и поездка иранцев в поисках работы, с целью торговли и учебы в эти центры — все это подготовило почву для распространения новых идей в Иране. Как отмечает иранский историк Ферейдун Адамийат: «Политические и военные отношения Ирана с зарубежными странами, проведение реформы в иранской армии, сбор новых исторических и географических сведений, соседство Ирана с цивилизованной Россией, образование бреши в стене Османской Империи и установление контакта с Европой — являлись теми материальными факторами, которые способствовали распространению новых идей в Иране. Благодаря действию этих факторов, постепенно появились признаки подъема движения за развитие культуры. Центр этого движения находился в Азербайджане»³.

На протяжении XIX (и в частности со второй половины) столетия, новые идеи возникли в разных просветительских, национальных, религиозных, реформаторских и новаторских формах и создались соответственные с ними социальные институты. По словам иранского деятеля Таги-заде: «Если непосредственные явления Машрутият появляются во время подъема движения в первой четверти XIV в. хидж (XX в.), то процесс постепенного национального пробуждения и усиление влияния в Иране европейской культуры начинается с начала XIII (XIX) века»⁴.

Большие изменения, происходившие во всех сферах жизни общества на рубеже указанных двух веков, создавали основу для оформления идей и мировоззрения Деххода и подготовили почву для его научной и литературной деятельности. Деххода являлся известным публицистом, фольклористом и лексикографом, одним из выдающихся представителей обновленной иранской литературы. Он был одним из основоположников нового сатирического жанра в персидской поэзии и прозе. Прогрессивные мысли его отражались на страницах газеты «Суре Эсрафиль» и других газет и журналов, издаваемых в годы конституционной революции. Они проявились также в его поэтических и прозаических произведениях, исследовательских работах и комментариях. Ниже мы приведем краткие сведения о его литературном творчестве.

Свою литературную деятельность Деххода начал с публицистической работы, когда вместе с Джангир-ханом и Касум-ханом создал газету «Суре Эсрафиль». Издавая свои статьи под заглавием «Чаранд-опаранд» (всякая всячина) в этой газете, он открыл новый этап в развитии иранской журналистики и персидской прозы. Как отмечает его близкий друг и соратник Мохаммед Моин, Деххода создал новую школу в персидской журналистике и современной прозе»⁵. Газета «Суре Эсра-

³ Ф. Адамийат, Амир-Кабир и Иран Тегеран, 1334 г. х., стр. 65 (на перс. яз.).

⁴ Х. Таги-заде, Несколько слов об иранской Конституционной революции, Тегеран, 1338 г. х., стр. 37—38 (на перс. яз.).

⁵ М. Моин, Сборник стихов Деххода, Тегеран, 1324 г. х., стр. 5 (на перс. яз.).

филь» выходила в два этапа. В первый этап она издавалась в Тегеране с 20 июня 1907 до 20 июля 1908 г., вышло 32 №№⁶. Во второй период она начала издаваться после убийства Джангир-хана и высылки Деххода в Европу, в гор. Ивердона (в Швейцарии), и за три месяца (со 2-го января до 8-го марта 1909 г.) было издано всего лишь 4 №№⁷. Кроме того, после переезда его в Истанбул в 1910 г. он издавал газету «Соруш» (Вестник), общее количество номеров которой составило 15 №№. Во всех этих газетах Деххода публиковал свои статьи под псевдонимом «Дахов», который выражает сокращенную форму «Деххода», т. е. «сельский староста».

Публицистическая деятельность Деххода вызвала всеобщее одобрение не только в самом Иране, но и за его пределами. Актуальность тематики, реалистический метод изображения действительности, раскрытие и разоблачение основных пороков и недостатков общества, патриотизм и искренность в объяснении повседневных событий — все это привлекало к себе всеобщее внимание. Известный советский иранист Е. Бертельс следующим образом охарактеризовал Деххода и его статьи: «Особо отметить среди революционных литераторов надлежит только Али Акбер Деххода из Казвина, известного под прозванием «Дахау» (народное произношение слова Диххуда — сельский староста). Это остроумнейший, блестящий сатирик, ядовитые фельетоны которого появились на страницах сатирического журнала «Сур-и Исрафиль» (труба Исрафила). Язык Дахау — народная речь, пересыпанная вульгаризмами, делающими ее крайне трудной для человека, знакомого только с литературным персидским языком. Сатиры его, подчас крайне резкие и обидные, отличаются поразительной меткостью и ранят насмерть обличаемую жертву»⁸. По выражению иранского ученого Забих-оллах Сафа: «Своими содержательными статьями, пламенным стилем, применением народных афоризмов, созданием сатирического отдела под заглавием «Чаранд-о паранд» на народном языке, Деххода открыл специальную школу в персидской прозе»⁹. Английский востоковед Дж. Эдвард Браун так выражает свое одобрение в отношении статей Деххода: «...Столбцы газеты — «Суре Эсрафиль», изданные под заглавием «Чаранд-о паранд», содержат самые высокие и самые оригинальные образцы, с которыми трудно сравнить другие произведения персидской прозы»¹⁰. Свои мысли Эдвард Браун подтверждает и в другом своем произведении: «Наилучшей газетой среди старых и новых персидских газет является «Суре Эсрафиль». Особенно ее юмористическая или сатирическая часть, написанная под заглавием «Чаранд-о паранд» составляет самый высокий образец иранской сатирической литературы»¹¹.

В годы издания газеты «Суре Эсрафиль» Деххода держал тесную связь с редакцией известного азербайджанского сатирического жур-

⁶ Издателем газеты за этот период был Джангир-хан, ответственным редактором Касум-хан, а автором главных статей — Деххода.

⁷ В это время газета издавалась лишь самим Деххода, который одновременно являлся издателем и автором статей.

⁸ Е. Э. Бертельс, Очерк истории персидской литературы, Л., 1928, стр. 125—126.

⁹ «Маджмуйе Ираншахр», книга № 22, изд. национальной комиссией ЮНЕСКО в Иране, т. I, Тегеран, 1963, стр. 687 (на перс. яз.).

¹⁰ Edward Z. Brown, a Literary History of Persia, vol IV, Cambridge, 1930, p. 469.

¹¹ Э. Браун, Пресса и литература Ирана в период Конституционной революции, перевод М. Аббаси, Тегеран, 1337 г. х., стр. 498 (на перс. яз.).



нала «Молла Наср-эд Дин», издаваемый в то время в Закавказье (в Тбилиси — Баку). Этот журнал оказал заметное влияние на «Суре Эсрафиль». Особенно большое влияние оказали на Деххода юмористические стихи известного азербайджанского поэта-сатирика Мирза Али Акбера Сабира Ширвани, чьи фельетоны по актуальным вопросам повседневной жизни Ирана публиковались на страницах этого журнала. Опубликованные в иранской прессе статьи Деххода напоминают поэтические фельетоны Сабира, изданные в журнале «Молла Наср-эд Дин»¹².

В области фольклора Деххода является составителем четырехтомного труда под названием «Амсал-о хекам» (Пословицы и поговорки). Материалы для составления труда он собрал и выписал из многочисленных научных и литературных произведений, народных дастанов. Поэтому в труде Деххода собраны как народные пословицы, непосредственно взятые из разговорной речи, так и литературные афоризмы. Материалы эти он собрал в процессе подготовки к созданию своей самой большой работы — энциклопедического словаря. Сам автор по этому поводу говорит, что в то время, как я занимался исследовательской работой с целью создания большого словаря «Логат-наме», я успел собрать необходимые материалы и для составления «Амсал-о хекам». Четырехтомный труд Деххода был издан в Тегеране в 1930—33 гг.

«Амсал-о хекам» является одной из первых редких работ в области персидского фольклора. Иранские филологи называют его «Шедевром персидской литературы»¹³ и «Самой большой работой в области иранского фольклора»¹⁴. Деятельность Деххода в области фольклора не ограничивается изданием «Амсал-о хекам». В других своих произведениях, в частности, в «Логат-наме», в статьях, изданных в иранской прессе, он также вносит многочисленные афоризмы. Иранский филолог Бахман Катиран следующим образом резюмирует деятельность Деххода в этой области: «Деххода один из тех, кто в последнее время обращал большое внимание на персидский язык и персидскую литературу. Он в этой области завершил три основные работы: 1. приступил к сбору персидских афоризмов; результат своей работы в 1308—11 гг. х. он опубликовал в четырех томах; 2. в большие тома «Логат-наме» он внес многие народные слова и выражения; 3. свои поэтические и прозаические произведения он писал народным языком. Благодаря всему этому он создал драгоценные работы»¹⁵.

Самой большой и самой значительной работой Деххода является его многотомный энциклопедический словарь «Логат-наме». Состоящая из сотен тысяч научных, литературных и народных слов и словосочетаний, эта работа представляет собой наглядный пример неустанного упорного труда автора на протяжении большей части своей жизни. До автора как в Иране, так и за его пределами было создано много персидско-арабских словарей; однако ни один из них не был настолько сводным и всесторонним, как «Логат-наме». Работа создана на основе достоверных персидских и арабских источников, печатных и рукопис-

¹² В. Б. Кляшторина, Из истории персидской политической сатиры периода революции 1905—11 гг., газета «Суре Эсрафиль», М., 1955.

¹³ Б. Катиран, Заметки об «Амсал-о Хекам», «Вестник тегеранского института литературы и гуманитарных наук», Тегеран, 1322 г. х., № 5—6, стр. 505 (на перс. яз.).

¹⁴ А. Дастеганб, «Али Акбер Деххода (поэзия и проза)», журн. «Паяме новин», 1340 г. х., № 9, стр. 2 (на перс. яз.).

¹⁵ Б. Катиран, Указ. соч.



ных. В нее внесены термины и выражения по различным отраслям науки, в том числе: истории, географии, гуманитарным и техническим наукам, биологии, естествознанию, медицине, религиозным канонам и т. п.

Грандиозная работа Деххода по достоинству оценена советскими, иранскими и зарубежными учеными. Еще задолго до завершения работы по сбору карточек, известный иранский филолог и исследователь Мохаммед Казвини говорил: «До сего дня (имеется в виду 1941 г. — М. Ф.) он успел собрать свыше одного миллиона карточек для составления словаря. Если когда-нибудь появится возможность привести в порядок и переписать эти многочисленные черновики, то тогда свет увидит самый большой и самый драгоценный словарь, лучший из всех словарей, созданных после завоевания Ирана арабами...»¹⁶. Французский иранист Анри Массэ следующим образом характеризует «Логат-наме»: «Я неоднократно обращался к этому гигантскому, выдающемуся произведению; я признателен автору за большую осведомленность, которую я нашел в нем. Я рад видеть, что эта работа увековечивает имя автора, которое еще до этого было известно статьями «Чаранд-о паранд» в книге «Амсал-о хекам»¹⁷. В журнале «Абстракта Исламика» за 1950 г. подчеркивается важность и всесторонность работы. Отмечая значение «Логат-наме», необходимо подчеркнуть, что она издается под непосредственным контролем иранского меджлиса (парламента). Согласно решению меджлиса, изданному в 1945 г., отдельные тома работ должны публиковаться специальной комиссией: «Сазмане логат» (Организация словаря). Комиссия должна периодически докладывать о ходе работы меджлису. Таким образом до сего дня издано свыше 150 томов; издание томов продолжается.

Поэтическое творчество Деххода в сравнении с другими сферами его деятельности невелико. Хотя по своей идейно-тематической основе, художественному изображению и стихотворному языку его поэзия богата и разнообразна, но количественно она немногочисленна. В изданном Мохаммедом Моинном единственном «Сборнике стихов Деххода» собрано всего лишь 46 стихотворений (из них 45 на персидском, а одно на азербайджанском языке). В других хрестоматиях и сборниках, изданных в самом Иране, или же за его пределами, повторяются те же стихи, с прибавлением лишь немногих. Как указывал сам Деххода, сочинение стихов он не считал своей профессией, стихотворчеством занимался изредка. В годы Конституционной революции, в связи с публицистической деятельностью, отдельные его стихи публиковались в иранской прессе (в газете «Суре Эсрафиль», «Насиме Шомал», в журналах «Мехр», «Йагма» и др.). В то время он писал стихи на актуальные темы из повседневной жизни иранского народа. В последующий период, особенно в годы занятия исследовательской работой, он увлекался лирическими стихами, а также философской и дидактической тематикой.

Деххода является поэтом периода перехода от старой системы стихотворения к современной; следуя классическим канонам персидской поэзии, он одновременно внес в них некоторое новаторство. Это в частности относится к поэтическому языку и лексическому составу, к размерам и рифмам его стихов. Востоковеды поэзию Деххода счи-

¹⁶ Касум Гани, Обзор эпохи Хафиза, Тегеран, 1321 г. х., стр. 10 предисловие (на перс. яз.).

¹⁷ А. Деххода, «Логат-наме» № 40 (предисловие А. Массэ), стр. 402 (на перс. яз.).



тают «началом движения за новаторство в персидской литературе»¹⁸ и «примером многосторонности его гения»¹⁹, а самого Деххода называют «Талантливым поэтом»²⁰ и «Самым выдающимся из современных поэтов».

Деххода является также автором ряда исследовательских работ, комментариев и толкований, переводов и др., которые, в свою очередь, имеют большое научное и литературное значение. В число таких работ входят: Биография великого ученого и философа Бируни, Французско-персидский словарь, перевод двух книг известного французского писателя-социолога Монтескье — «Дух законов» и «Величие и упадок римлян»²¹, исправления и критические замечания к диванам иранских поэтов-классиков и т. п.

В книгу об Абу Рейхане Бируни, наряду с биографией великого ученого, автор включил и ряд вопросов по математике, естествознанию, философии и др., заданных Абу Рейханом своему современнику, выдающемуся ученому Эбне Сина. В работе приводятся также ответы Эбне Сины Абу Рейхану и критические замечания Бируни к этим ответам. В конце книги дается краткое сведение о путешествии Бируни в Индию и изучении им санскрита. Работа была издана в 1961 г. в связи с тысячелетием рождения Бируни, в журнале «Амузеш» министерством просвещения Ирана. Она была перепечатана также в «Логат-наме». Редакция журнала «Амузеш» высоко оценила работу Деххода, называя ее «Самой полной биографией Абу Рейхана» и «книгой, составленной с большой тщательностью»²². Такую же оценку дают этой работе и другие ученые и философы.

Наряду с созданием научных и литературных произведений, Деххода занимался и общественной деятельностью. Он был прогрессивным патриотом-революционером, борющимся за свободу своего народа, за демократическое преобразование страны и создание в ней конституционного режима. Советские и зарубежные востоковеды называют его выдающимся общественным деятелем, основоположником нового направления в персидской литературе. По их мнению, он занимает одно из первых мест среди современных иранских писателей и поэтов. В изданной в связи с пятилетием его кончины статье, иранский ученый Ирадж Афшар следующим образом характеризует Деххода и его деятельность: «7-го эсфанда 1334 г. (26 февраля 1956 г. — М. Ф.) на семьдесят восьмом году жизни скончался один из редких ученых Ирана, действительный член иранской Академии Али Акбер Деххода, ученый который половину своей жизни посвятил составлению персидского словаря. Со смертью Деххода погасла светлая свеча персидской литературы. Мы вспоминаем слова самого покойного, который по случаю убийства своего друга Джангир-хан Ширази говорил: «Яд-ар зе Шамэ мор-де, яд-ар» («Вспомни о погасшей свече, вспомни!»)²³.

¹⁸ Х. Парса, Указ. соч., стр. 12.

¹⁹ Э. Браун, указ. соч., стр. 345.

²⁰ Там же.

²¹ Charles Louis Secondat Montesquieu, L'Esprit des Loix, Consideration sur les causes de la grandeur et de la decadence de Romains.

²² А. Деххода, Жизнь и творчество Бируни, Тегеран, 1324 г. х., предисловие (на перс. яз.).

²³ И. Афшар, «Савад о Баяз», сб. статей, Тегеран, 1344 г. х., стр. 253 (на перс. яз.).

ელენე დონაშვილი

**ტექსტობრივი დამოკიდებულების რამდენიმე შემთხვევა
ძველი აღთქმის ზოგ კართულ ხელნაწერში**

მკვლევართა მიერ შენიშნულია როგორც ახალი აღთქმის, ისე ძველი აღთქმის წიგნების ქართული ვერსიის როგორც ბერძნულ, ისე სომხურ ტექსტებთან სიახლოვის მაჩვენებელი ფაქტები¹. გარკვეულ სხვაობას ამჟღავნებენ ამ თვალსაზრისით ძველი აღთქმის როგორც სხვადასხვა ქართული ხელნაწერები (ოშკური, მცხეთური, ჯანაშვილისეული²...), ისე ძველი აღთქმის სხვადასხვა წიგნები. როგორც ცნობილია, ძველი აღთქმის ყველა წიგნი ერთდროულად არ ითარგმნა. ასე რომ, არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ყველა წიგნის სათარგმნი წყარო ერთი არ იყოს; ასევე ცნობილია, რომ შემდგომში ხშირად ხდებოდა ამ მნიშვნელოვანი საქრისტიანო ძეგლის რედაქტირება, რაც, როგორც წესი, რომელიმე სხვა ენის შესაბამის ტექსტთან შეჯერების გზით ხდებოდა. სავარაუდოა, რომ როგორც სათარგმნი წყაროს, ისევე შესაჯერებელი ტექსტის გავლენა გამოჩნდეს ქართულ ვერსიაში, ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდ სიძნელებებთან არის დაკავშირებული უცხო წყაროთაგან სათარგმნი ტექსტისა და სარედაქციო-შესაჯერებელი ტექსტის გამოიჭვნა.

ძველი აღთქმის ქართული, სომხური და ბერძნული ვერსიების საკუთარ სახელებზე მუშაობისას („მეფეთა წიგნებსა“ და „ნეშტა წიგნებში“)³ ჩვენი

1 ამასთან დაკავშირებით მრავალი დაკვირვებაა გაბნეული, როგორც ცნობილია, ნ. მარის ნაშრომებში, იხ. აგრეთვე: М. Благовещенский, Книга плач, Опыт исследования исагогико-эксегетического, Киев, 1899; ს. ყ ა უ ხ ი ი შ ვ ი ლ ი, აღიშის ხელნაწერის ბერძნულში, ენიშის მოამბე, XIV; ე. ლ. დონაშვილი, აღიშის ოთხთავის კომპოზიციები (ოთხთავის სომხურ და ბერძნულ ტექსტთან მიმართებით), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 29, თბ., 1951; მისივე, მასალები აღიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის, იქვე, ნაკვ. 32, 1951; მისივე, პირთა გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები ოთხთავის ქართულ თარგმანებში, „მაცნე“, 1969, № 3; უ. ც ი ნ დ ე ლ ი ა ნ ი, მეფეთა პირველი ორი წიგნის ძველი ქართული რედაქციების მიმართებისათვის ბერძნულთან, „მაცნე“, 1967, № 2, С. Б. Серебряков, К вопросу об отношении двух древнейших редакций грузинского четвероглава к греческим версиям, „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, ს. თბ., 1962, კ. დ ა ნ ე ლ ი ა, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი, „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964 და სხვ.

2 ძველი აღთქმის ქართული რედაქციებისა და ხელნაწერების შესახებ იხ. კ. ქ ა ქ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. 1, თბ., 1960, გვ. 411 შმდ.

3 ამჯერად ჩვენი სამუშაო ობიექტი იყო ნეშტა წიგნები. ქართულისათვის ესარგებლობდით ჯანაშვილისეული ხელნაწერებით — А 646, А 570. მცხეთურით — А 51 და ბაქარის მიერ 1743 წ. მოსკოვში გამოცემული ტექსტით.



ყურადღება მიიქცია ზოგიერთმა ახალმა ფაქტმა, რომელიც შესაძლებელია ქართული ვერსიის ბერძნულზე ან სომხურზე ტექსტობრივი დამოკიდებულების მაჩვენებლად მივიჩნიოთ. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს შემდეგი ადგილები: 1. I ნეშტ. 120. Καὶ Ἰησοῦς ἐξένησεν τὸν Ἐλεμάθδ καὶ τὸν Σαλεφ καὶ τὸν Ἀσαρμαθ⁴. ჯანაშვილისეულ ხელნაწერებს (A—570, A—646) ეს ადგილი აკლია. ბაქარისეულ ნაბეჭდ ბიბლიაში ასეა: იეკთან შვა ელმოდად და სალფა, და ასერმოფა. მცხეთურ ხელნაწერში კეთილშობით: და იეკთან შვა ელმოდად და სალომ და ზარამათ. იეკთანის შვილთა სახელთაგან მივაქციოთ ყურადღება მესამეს: ეს სახელი ბაქარისეულ ბიბლიაში წარმოდგენილია ასერმოფა-ს სახით, რაც ახლოს არის ბერძნულ Ἀσαρμαθ-თან, ხოლო მცხეთურ ხელნაწერში გვაქვს შესაბამისად ზარამათ. ეს ფორმა კი მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც მეორე ქართული ვერსიისაგან, ასევე ბერძნულისაგან: აკლია თავიღური ა, ხოლო ხ-ს ადგილას წარმოდგენილია ზ. მცხეთური ბიბლიის ზარამათ ფორმის წარმომავლობა ირკვევა სომხური შესატყვისი ადგილის ვათვალისწინების შედეგად. სომხურ ტექსტში კეთილშობით: *Յիկտան ծնաւ զԵլմովդադ և զՍաղափ և զԱրամովթ*⁵.

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო სახელის შესატყვისად გვაქვს *զԱրամովթ*. თავიღური ა აქაც გაუგებარი მიზეზების გამო არა ჩანს, ხ-ს ადგილას გვაქვს ზ. მაგრამ, ქართული ტექსტისგან განსხვავებით, სომხურში ზერბდება თავიღური ზ-ს გაჩენის მიზეზის მიგნება. ეს *զ* — *ზ* აქვს სომხური ტექსტის სამივე სახელს (*զԵլմովդադ* ზელმოდად, *զՍაղაփ* — ზსაღფ, *զԱրամովթ* — ზარამოთ) სრულიად გარკვეული გრამატიკული ფუნქციით. ეს არის წინდებული, რომელიც ამ შემთხვევაში ერთვის ბრალდებით ბრუნვაში დასმულ სახელს და ხაზს უსვამს მის პირდაპირ დამატებად ყოფნას.

მესამე სახელმა *զԱსარմովթ*-ის („ზასარმოთ“) ნაცვლად *զԱրამովթ* („ზარამოთ“) სახე მიიღო ორი მსგავსი მარცვლიდან (*զა* — ზა და *սა* — სა განსხვავდება მხოლოდ სპირანტის მეღერობა-სიყრუით) ერთის დაკარგვით. აქ ჩვენ ცნობილ ფონეტიკურ მოვლენასთან — მარცვლის დისიმილაციურ დაკარგვისთან (ჰაპლოლოგიასთან) გვაქვს საქმე. ქართულ თარგმანში სწორედ ამ ნიშნად მიღებული ფორმა არის წარმოდგენილი; ამასთან სომხურის *զ* — *ზ* წინდებული ფუძის კუთვნილებად არის გაგებული და ამგვარად გადმოყოლილი.

2. ანალოგიურ ვითარებებთან გვაქვს საქმე შემდეგ მაგალითში — I ნეშტ. თა, 121-23. და იეკთან შვა... და კელურამ და ზეზელ და დეკლან და ზირა და კამან და ზაბიმეელ და საბა და სუფირ ზევი და იორამ (მცხეთური). იეკთან შვა... აღორამა, და უზალა, და დეკლუ, და ლამალა, და აბიმეილა, და სავუ და უფირა, და ევილათა და ითავა (ბაქარ.). ბერძნული: Καὶ Ἰησοῦς ἐξένησεν... καὶ τὸν Κεδουρακ καὶ τὸν Ἀνζυλ καὶ τὸν Δεκλα(μ) καὶ τὸν Γεμιαν καὶ τὸν Ἀβιμαεθλ καὶ τὸν Σαβαν καὶ τὸν Ουφειρ καὶ τὸν Ευι(λα) καὶ τὸν Δραμ.

⁴ ვიყენებლით: Septuaginta edidit Alfred Rahlfs vol I, Stuttgart, 1952

⁵ ვიყენებლით: Աստուածաշունչ Մատնան ին և նոր կտակարոնաց բոտ նշգրիտ արգմանութեան ճախնեաց մերոց. ի նկլկենական ճառատարմաբոյն բնագրէ ի հայկական բարբոս: Վեներիկ, 1805; აგრეთვე 1895 წლის კონსტანტინოპოლის გამოცემასაც.

როგორც ვხედავთ, აქაც მცხეთურ ბიბლიაში სამ სახელს — ზეხელ, ზევი, ზაბიმეელს % ზედმეტად აქვს სხვა ქართულ ვერსიებთან და ბერძნულ ტექსტთან შედარებით. სომხური ტექსტის მოშველიებას აქაც გარკვეულობა შემოაქვს: *მხსთან ძნა... ღ ყხყრორან ღ ღხღღ ღ ღზხღან ღ ღჰამაან ღ ღღრღღღღ ღ ღშარა ღ ღშიქრ ღ ღღღ ღ ღიქრამ*. აქ ჩამოთვლილ სახელებში სომხურში სრულიად კანონზომიერად ყველა სახელს მართავს წინდებული *ღ*. მცხეთური ბიბლიის ამ ადგილის მთარგმნელს აქაც, ჩანს, წასცდა და ყველა ამ სამ სახელს გადმოაყოლა სომხურის ეს *ღ*—% წინდებული. ეს კი აშკარას უნდა ხდიდეს მცხეთური ბიბლიის ამ ადგილის სომხურ ტექსტზე დამოკიდებულებას.

3. ამავე რიგის შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე I ნეშტას მერვე თავის მეორე მუხლში:

ბენიამინ შვა ბალე პირშო მისი და იასბელ მეორე და ზარა მესამე (მცხეთური). ბენიამინ შვა ბალე პირშო მისი და იასბელ მეორე და არა მესამე (ჯანაშვილისეული A—646). ბენიამინ შვა ბალე პირშო მისი და იასბელ არა იოელ (ჯანაშვილისეული A—570). ბენიამინ შვა ვალა პირშო თვისი და აზვილა მეორე და დიერი მესამე (ბაქარისეული). ბერძნული: Βενιαμιν ἑξέστηθεν τὸν Βαλε πρωτοῦτον αὐτοῦ καὶ Ἀσβηλ τὸν δευτέρου, Ἀρα τὸν τρίτου. სომხური: *ბენიამინ ძნა ვალა პირშო თვისი, ღ ღღღღღ ღღღღღღღღღღ, ღ ღღღღღღღღღღ, ღ ღღღღღღღღღღ*.

როგორც ვხედავთ, ზარა (*ღღღღღ*) მხოლოდ მცხეთურ ხელნაწერშია და სომხურ ბიბლიაში, სხვაგან კი ყველგან არის არა, ბერძნულში—*Ἀρα*. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სომხურში ეს თავკიდური *ღ* — % სრულიად კანონზომიერია: ის არის თანდებული, მაგრამ სრულიად უადგილოა ქართულში. აქაც აშკარაა, რომ მცხეთური ხელნაწერი დამოკიდებულია სომხურ ტექსტზე.

4. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი მაგალითი: I ნეშტას III თავის მერვე მუხლში ჩამოთვლილია დავითის ძეგბი: ...და ელიფალეთ და ნალის, და ნაფეთ, და იაფიე და ელისამა, და ელიადაკ, და ელიფალეთ ცხრა (ბაქარ.). ...და ელიფალეთ და ნაგე და ნაფეკ: და იაფე: და ელისამა: და ელიადა და ელიფალეთ ყოველნი ესე ძენი დავითისნი ცხრა (ჯანაშვილისეული A—646) ...და ელიფალეთ და ნაგებ და ნაფეკ და ნაფია და ელისამა და ელითადა და სოქაინ ყოველნი ესე ძენი დავითისნი ცხრა (მცხეთური). თუ დავაკვირდებით აქ მოტანილ ადგილს, დავინახავთ, რომ მცხეთურ ბიბლიაში, სხვა რედაქციებთან შედარებით, ზედმეტია სოქაინ.

ვნახოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ბერძნულ ტექსტში: *Και Ελισαμα και Ελιφαλετ και Ναφε και Ναφακ και Ιανουε και Ελισαμα και Ελιαδα και Ελιφαλετ, ἕννεα πάντες υἱοὶ Δαυιδ* ეს „საკუთარი სახელი“ სოქაინ, როგორც ვხედავთ, ბერძნულსაც აკლია. მივმართოთ ახლა სომხურ ტექსტს: *...ნეჟიჟაქა ღ ნაფიერ, ღ ნაფიხი, ღ ნაფიხი, ღ ნეჟიჟამა, ღ ნეჟიჟაყა სიერა ღნნ ღ თაან ირჟი ჴაიქაქ*. (ვარიანტ. *სიერა ღნნ ამხნხეხან აციიქიქ ნნ ირჟიქ ჴაი*.)

სომხურმა ტექსტმა ცხადი გახადა მცხეთურ ხელნაწერში არსებული ზედმეტი „საკუთარი სახელის“ სოქაინ-ის წარმომავლობა. იმის გამო, რომ სომხურ ხელნაწერში სიტყვები არ იყო ერთმანეთისაგან გამოყოფილი, მცხეთური ბიბ-



ლის ამ ადგილის ტექსტის მთარგმნელმა ან რედაქტორმა გააერთიანა ორი სომხური სიტყვა — *սიքა* „სოქა“ (ჩვენებითი ნაცვალსახელი — ესენი) და *ჩხნ* — იხნ (რიცხვითი სახელი — ცხრა) და მიიღო „საკუთარი სახელი“ სოქიან.

5. I ნეშტას 11 თავის 36-ე მუხლში ვკითხულობთ:

ჯანაშვილისეული (A—646, A—570). აქია ფელონელი. ბაქარისეული: ახია ფელონინ. მცხეთური: აქია ოფელონელი. სომხური: *Աբխა Ռիხიդանացի* (1805 წ. გამოც.), *Աբխა Փիզინացի* (1895 წ. გამოც.) ბერძნული: *Αχια ὁ Φελαωνι*.

როგორც ვხედავთ, სომხურ და მცხეთურ ბიბლიებში სადატურობის აღმნიშვნელ სახელთან — ფელონელი — ზედმეტი *ო.* ჩვენი აზრით, ეს *ო* სხვა არა არის რა, თუ არა ბერძნულის ართრონი *ὀ*. *Αχια ὁ Φελαωνι*-ში. ეს ადგილი მცდარად ამოიკითხა ბიბლიის მთარგმნელმა — ართრონი *ὀ* შეუერთა *Φελαωνι*-ს და მიიღო *Οφελαωνι*... აქედან გვაქვს სომხურში *რიხიդანაცი*; ასევე მცხეთურ ხელნაწერში (სომხურის გზით?).

6. საინტერესოა აგრეთვე შემდეგი ადგილი: ჯანაშვილისეული (A—646) ბანაია ფართონელი ური ნაქალაქასით. ჯანაშვილისეული (A—570): ბანაია ფართონელი ურინა ქალუბ ასით. ბაქარისეული: ვანეიუ ძე ფარფონიევისა ურ ნეალსგან. მცხეთური: ბანიას ფართონელი ური ინექალესისა. სომხური: *Բանաս Գարաֆինացի Ուրի ի Նեքեղայ*. ბერძნული: *Βαναίας ὁ Φαραφασυ Ουρι ἐκ Ναχαλιγασ* (I ნეშტ., 11₃₂).

როგორც მოტანილი ადგილიდან ჩანს, მცხეთურ ნუსხაში სადატურობის აღმნიშვნელ სახელს ნექალ... წინ დართული აქვს კიდევ *ი*: ინექალ. სხვაგან არსად, არც ქართულში და არც სომხურსა და ბერძნულში, ეს *ი* არა ჩანს.

თუ დავუკვირდებით აქ მოტანილ სომხურ ადგილს *Ուրի ի Նեքեղայ*, აშკარა ვახდება, თუ საიდანაა მცხეთურში ეს *ი*. სომხურში *ի* — *ი* წინდებულა, ნახმარია გენეტივთან და იძლევა აბლატივის ფორმას. ჩანს, აი ეს *ի* წინდებული მცხეთური ბიბლიის მთარგმნელის მიერ ამოკითხულია *ნეքეղայ*-სთან ერთად (*ჩხნეղայ*), ვაგებულია გენეტივად და ისევე გენეტივის ფორმით, *ի*-ს შეხორცებით მომღვენო სახელთან, გადმოღებულია „ინექალესისა“-ს სახით მცხეთურ ხელნაწერში.

7. ვანეხილოთ კიდევ ერთი ადგილი, რომელიც ქართული ტექსტის სომხურ ტექსტთან სიახლოვეს ამჟღავნებს (II მეფე 18₁).

ოშკური ბიბლიაში ვკითხულობთ: მას ჟამსა შინა ადერზ-ყო დავით ერისა მის თვისისა. იერუსალიმურში: მას ჟამსა აღიხილა დავით ერი თვისი. მცხეთურში: მას ჟამსა ახილვა ყო დავით ერისა მის თვისისა. ბაქარისეულში: და აღრაცხნა დავით ყოველნი ერნი.

გასარკვევია ოშკური ბიბლიის ადერზ-ყო-ს მიმართება სხვა ქართული ხელნაწერების „ახილვასა“ და „აღრაცხვა“-სთან. სომხური ბიბლიის შესატყვის ადგილის გათვალისწინების შემდეგ (*Նւ հանդէս արար Դաւիթ զիրոն որ ընդ Նոյն*), გასაგები ხდება ოშკური ბიბლიის ადერზ-ყო-ს წყარო. ქართველ მთარგმნელს ვერ გაუგია მნიშვნელობა სომხური *հանդէս արար*-ისა, თუმცა *սანსկ* ზმნის მნიშვნელობა მისთვის ნათელი ჩანს და სწორადაც თარგმნის მას. შემოთ მოყვანილ მონაკვეთში ეს ზმნა არის ნამყო წყვეტილის შესამე პირში,

სოლომით რიცხვში—*არარ* და ოშკურ ბიბლიაში სწორად არის ნათარგმნი-„ყო“, მაგრამ რომ *ჰანყქა ათხი* არის სომხურის მყარი შესიტყვება და ნიშნავს აღრიცხვას, დათვალიერებას, როგორც ჩანს, მან არ იცის; ამიტომ *ჰანყქა*—„პანდეს“ დატოვა უთარგმნელად და მიიღო ადერზ-ყო⁶. ბერძნულში ეს ადგილი ასე იკითხება: *Kai êxaxxêxatx Daxim tøn laxøn max'axatøn*. აქ, როგორც ვხედავთ, შემასმენელი ერთი სიტყვით *êxaxxêxatx*-თია წარმოდგენილი ასევე ერთი სიტყვით, როგანულად არის წარმოდგენილი იერუსალიმურ და ბაქარისეულ ბიბლიებში შემასმენელი. იერუსალიმურში: აღიხილა, ბაქარისეულში—აღრაცხნა, ხოლო მცხეთური ხელნაწერი, მსგავსად სომხური ტექსტისა, შედგენილი შემასმენლით ვადმოსცემს ამ შემასმენელს: ახილვაყო დავით, რაც *ჰანყქა არარ*-ის სიტყვა-სიტყვითი თარგმანია. ამდენად ჩვენ მიგვაჩნია, რომ მცხეთური ტექსტი ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ოშკური, დამოკიდებულა სომხურზე, ხოლო იერუსალიმური და ბაქარისეული ბერძნულზე.

8. ყურადღებას იქცევს ნეშტთა მეორე წიგნის პირველი თავის მეცამეტე მუხლი. მცხეთური: მოვიდა სოლომონ ზმით, რომელ არს გაბათონისა იერუსალშმს. ჯანაშვილისეული (A—646): მოვიდა სოლომონ ზამათ, რომელ არს გაბათონისა იერუსალშმდ. ბაქარისეული: მოვიდა სოლომონ მილლითგან გაბათონისა იერუსალშმს შინა. ბერძნული: *Kai êximx Sxaxapax êx βaxax tês ên Γaxaxan ês Iepousaxêxax âtx πpoxâpox sxêvêx maxpuxioux xai êxaxxiexax êπι Ισραêλ*. სომხური: *ხე სქნ შიგიმინ ქ რამა ჴარაინი მხროსაიქქა*:

მცხეთურ, ჯანაშვილისეულ და სომხურ ტექსტებში ბერძნული *βaxax*, რაც ნიშნავს „ამაღლებულ ადგილს“, გაგებულია ადგილის საკუთარ სახელად და უთარგმნელად არის გადმოტანილი. ბაქარისეულ ბიბლიაში ეს ადგილი სწორად არის გაგებული: *βaxax*-ს ადგილას ვკითხულობთ: *მიღლითგან*.

ამჟამაა ქართული და სომხური ტექსტების დამოკიდებულება ბერძნულზე, მაგრამ რა სახისაა ეს დამოკიდებულება შუალობითი თუ უშუალო? გამოორიცხული არ არის, რომ ქართულ ტექსტში „ზამა“ ბერძნულიდან სომხურის მეშვეობით გადმოსულიყო, თუმცა ორივე ტექსტში ურთიერთდამოუკიდებლად ამგვარი ფაქტის გაჩენა აბრიორულად უარსაყოფი არ არის.

9. ანალოგიურ ჩვენებას იძლევა შემდეგი ადგილი ნეშტთა პირველი წიგნიდან (626): მცხეთური და ჯანაშვილისეული (A—570, A—646): სუფი ძე მისი და კანათ ძე მისი. ბაქარისეული: სუფი ძე მისი და ნათ ძე მისი. ბერძნული (I ნეშტთა, 611) *Σουφι: υιê: axtøn xai Naxθ υιê: axtøn* (ვარიანტ. *Kaxvaxθ*) I ნშტ. 6₁₁ სომხური: *სოფი ირქი ნორა ჴანაშ ირქი ნორა* (ვარიანტ *სოფი ირქი ნორა, ჴანაშ ირქი ნორა*—იხ. 1895 წ. გამოცემა).

ამჟამაა, რომ ბერძნულს... *xai Naxθ*, რაც ნიშნავს „...და ნათ“, ქართულში (მცხეთურ და ორივე ჯანაშვილისეულ ხელნაწერებში) ერთ სიტყვად არის შეერთებული და ამ გზით არის მიღებული საკუთარი სახელი კანათ „და ნათ“-ის ადგილას. იმავე ფორმას *ჴანაშ* ვხედავთ სომხური ტექსტის შესაბამის ადგილას, ამიტომ აქაც, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ისმის ძნელად გადასაჭრელი საკითხი: ქართული კანათ უშუალოდ ბერძნული ტექსტიდან მომდინარეობს თუ სომხური ტექსტი უნდა ვიგულისხმოთ შუამავლად.

⁶ ანალოგიური შემთხვევა შემნეული აქვს ნ. მარს: *Христ. восток II*, გვ. 163—165.

⁶ „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 2



10. მცხეთურ და ჯანაშვილისეულ ხელნაწერებში შეინიშნება ისეთი ბერძნობებიც, რომელთა უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობა ექვს არ იწვევს. II ნეშტას 26-ე თავის მე-7 მუხლში იკითხება — მცხეთური: და განაძლიერა იგი უფალმან უცხო თესლთა ზედა და არაბელთა, რომელნი მკვდრ იყუნეს პეტრას და მივნეელთა ზედა. ჯანაშვილისეული (A—646): და განაძლიერა იგი უფალმან უცხო თესლთა ზედა და არაბიელთა რომელნი მკვდრ იყუნეს პეტრას და მივნეელთა ზედა. ბაქარისეული: და განამაგრა იგი უფალმან წინა აღმდგომ უცხო თესლთა და წინააღმდგომად, არაბიელთა, რომელნი დაივანებდეს კლდოვანთა შინა და წინააღმდგომად მინოესა. ბერძნული: *Kai autichysan auton Kyrios epi tous allopulou, kai epi tous Arabas tous katekhyous epi tes petras, kai epi tous Minaious* სომხური: *ხე ვორავიჯ ვნა თერ ხ ქირაქ აკკაიფსაგნ, ხ ხ ქირაქ არარავიიგნ ირე რნაქტხ ხ ქჩჩჩ, ხ ხ ქირაქ მჩხხეიგნ.*

ბერძნულის *πετρα*, როგორც ცნობილია, „კლდე“ ნიშნავს. ძველი აღთქმის ამ წიგნის ქართველ მთარგმნელს იგი მიუხედავად გეოგრაფიულ სახელად და უთარგმნელად გადმოუტანია: რომელნი მკვდრ იყუნეს პეტრას და მივნეელთა ზედა. ასევე უთარგმნელად არის გადმოტანილი ეს სახელი ჯანაშვილისეულ ხელნაწერში. ბაქარისეულ ბიბლიაში კი შეცდომა გასწორებულია: რომელნი დაივანებდეს კლდოვანთა შინა. ძველი ქართული რედაქციების საპირისპიროდ, ეს ადგილი სწორად არის გაგებული სომხურში: *ირე რნაქტხ ხ ქჩჩჩ, ხ ხ ქირაქ მჩხხეიგნ.*

ამდენად, აქ განხილული ადგილი ამქვეყნებს ქართული ტექსტის ბერძნულთან უშუალო კავშირს.

განხილული მაგალითები ასე შეიძლება დავაჯგუფოთ: 1. არმენიზმები — ზარამათ, ზეზელ, ზირა, ზაბიმეელ, ზარა, სოქაინ, ინექალესი, ადერზ-ყო. 2. ბერძნული ტექსტის გავლენის ფაქტები, რომლებიც შესაძლებელია სომხურის მეშვეობით აღმოჩნდა ქართულ ტექსტში, რადგან სომხური და ქართული იდენტობას იხენენ — ოფელონელი, კანათ. 3. აშკარა ბერძნობი — პეტრა. როგორც ვხედავთ, უცხო ტექსტებთან მიმართების თვალსაზრისით საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს.

ზემოთ წარმოდგენილი მასალა, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ ავლენს ძველი აღთქმის წიგნების ქართული ვერსიების (ძირითადად მცხეთურის) კავშირს როგორც სომხურ, ისე ბერძნულ ტექსტებთან. ამასთან, ჯერჯერობით ძნელია განსაზღვრა, ესა თუ ის ბერძნობი თუ არმენიზმი სათარგმნი წყაროდან მომდინარეობს თუ რედაქტირებისას შეჯერების შედეგია. ეს საკითხი მომავალში უფრო დაწვრილებითა და უფრო ფართო მასალაზე დამყარებულმა კვლევამ უნდა გადაწყვიტოს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა.)



თამარ ხალარიძე

ალგათის ხმოვის ქართლური

დარგობლივა ლექსიკიდან

წინამდებარე წერილი წარმოადგენს შედარებით ვრცელი ნაშრომის ერთ-ერთ ნაწილს. იგი ემყარება ქვემო ქართლის (თეთრი წყაროს რაიონის) რიგ სოფლებში წლების მანძილზე შეკრებილი ლექსიკური ხასიათის მასალას. ალგათის ხეობის სოფლებში, ქართლური დიალექტის გარდა, მთიულურიცაა წარმოდგენილი. აქაური ქართლულების ენაში (უშვთაერესად ლექსიკაში), რა თქმა უნდა, იგრძნობა მთიულულებთან ახლო მეზობლობის კვალი. იგი ჩვენს მასალაშიც აისახა: აქ შიგადაშიგ წარმოდგენილია ადგილობრივ მთიულთა მეტყველების ნიმუშებიც, რაც უმეტეს შემთხვევაში ქართლურთან შედარების მიზნითაა მოტანილი.

განმარტებულ სიტყვებსა თუ გამოთქმებს ჩვეულებრივ თან ახლავს სოფლის ან სოფლების დასახელება, სადაც ესა თუ ის ლექსიკური ერთეულია ჩაწერილი ან დადასტურებული; მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მისი ხმარების არე მხოლოდ დამოწმებული სოფლითა თუ სოფლებით შემოსაზღვრებოდეს.

1. ბუნების მოვლენები და ფედაიჭის რელიეფი

ადრე დილას, მზის ამოსვლამდე, დ ი ლ ა ბ ი ნ დ ს („დილაბინდი იყო, რო ავღქეი“. ჩხ.) ან დ ი ლ ა ბ ე ლ ს („დილაბნელზე ზეზე არიან“. კლდ.) ეტყვიან. ნაცვლად სიტყვისა „დილით“, ამბობენ დ ი ლ ი თ ი („საღამოთი“-ს ანალოგიით?). როცა უნდათ თქვან „ანათებსო“, ზოგჯერ იტყვიან ა ს ი ნ ა თ ე ბ ს ო („ავტანობილმა რო აიაროს, აქ ასინათებს“. ჩხ.). „გამოჩნდება“-ს ნაცვლად ზოგჯერ და ჩ ნ დ ე ბ ა-ს ამბობენ („ეხლა არ დაჩნდება სოფელი, ნისლია!“. პ. თონ. შდრ. გლ.). დღის გათავებას დ ღ ი ს და ბ ე რ ე ბ ა-ს ეტყვიან (თონ., კლდ.) („დიდი დღეა და გვიან ბერდება, გვიან ღამდება“, „დღეს როგორი დღე დაბერდება, არ ვიცით!“. თონ.). ზაფხულის დიდ დღეს ქ ა ლ ა ქ ი ა დ ღ ე ს ე ტყვიან (თონ., კლდ.) („ამ ქალაქია დღეს მამ ვერ მოასწრეფ?! თონ.).

მთვარე რომ დაძველდება (15 დღემდე), იტყვიან მ თ ვ ა რ ე მ გ ვ ე რ დ ი მ ო ი ტ ე ხ ა ო ან მ თ ვ ა რ ე ს გ ვ ე რ დ ი ჯ ე რ ა რ მ ო უ ტ ე ხ ი ა ო (თონ.). დ ღ ე და დ ღ ე ნიშნავს ყოველდღეს (თონ.). „მუღამ“-ის ნაცვლად ხშირად გაიგონებთ ნ ი ა და გ ს ი ტყვას (თონ., პ. თონ.), ე ხ ლ ა და ე ხ ლ ა ო, იტყვიან, როცა უნდათ თქვან „ბოლო ხანებში, ბოლო დროს“-ო (გოლთ.).

დიდი ხნის წინანდელ ამბავზე იტყვიან ა და მ-პ ა პ ი ს დ რო ის ა ა ო (მაწ.) („ადამ-პაპის რამეს მოგიყვება“. მაწ.).

როცა უნდა თქვან „წინათ“, „უწინ“, „ჯერ“ ან „პირველად“, ხშირად იტყვიან: წ ი ნ წ ი ნ (თონ., პ. თონ.), წ ი ნ და წ ი ნ (მაწ., ჩხ.), წ ი ნ ა წ ი ნ (გოლთ., მაწ., ჩხ.) (მთიულები ამბობენ: წ ი ნ ა ე ან წ ი ნ ა ვ ა. მაწ.). ამის შესაბამისად „წინანდელი“ ან „პირვანდელი“ იქნება წ ი ნ წ ი ნ დ ე ლ ი (თონ.) ან წ ი ნ და წ ი ნ დ ე ლ ი (სადრ.).



„მაშინვე“-ს ნაცვლად ზოგჯერ ამბობენ მაშვე (მაწ.), მაშვეთი (მაწ., ტბ.) ან მაშინვეთი (თონ.). ხელდახელ ნიშნავს „მალე, სწრაფად“, „ახლავე“ (თონ.) („ხელდახელ მოვარბინეფ“. თონ.).

წყნარ, უქარო და თბილ ამინდს შემკობილ ამინდს უწოდებენ (თონ., ტბ.), თავ-თავის დროზე წვიმა, დარი და ნიაეიც (როგორც მოსავალს მოუხდება) შემკობილ ამინდად იწოდება (საღრ.).

თონეთელებისათვის ზენა ნიაევი ჩრდილო-დასავლეთის ნიაეია, მოდის მთიდან. ზენა ნიაეზე კარგად ნიაედება ნალეწი (თონ.). ქვენა ნიაევი კ აღმოსავლეთის ნიაეია. ზენა ქარი ცივი და უსიამოვნო ქარია, „მოსავალს არ უხდება, მარცვალს აშრობს, როცა ეს ქარი ქრის, მთელი სოფელი ტირის“ (თონ.). ქვენა ქარი სამხრეთის გრილი და სსიამოვნო ქარია, „მოსავალს ძალიან აკეთებს, კაი მარცვალს გამოდის“ (თონ.).

ჩხიკეთელებისათვის ზენა მხარე ანუ ზეით მხარე თონეთისა და მანგლისის მხარეა („ზენა ხრის ნიაეს ვებვეწები, იმის ამბავი მაიბტანე-მეთქი“. ჩხ.). ზემო უბანს ზედა უბანს ეძახიან, ქვემო უბანს, ქვეშა უბანს ან ქვეშუბანს („ეს ქვენა ნიაეი ქვეშა უბნისა არის“. თონ.; „ე გოგო ქვეშუბნელია“, თონ.).

ქარი ხან დაიძინებს (ჩადგება) (თონ.), ხან ამოვარდება. როცა ქარი ერთი და იმავე მიმართულებით ხშირად ქრის, მას გაბატონებულ ქარს ეძახიან (თ. წყ.). ერთ-ერთი მამულის სახელწოდებაა ქარის მიწები, რომლებიც გაბატონებული ქარის (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ) მიმართულებით არის გადაქიმული (თ. წყ.).

ცა თუ სადამოთი წითელია, მეორე დღეს ან ქარი, ან ავდარი იქნებაო (თონ.). უქარო, მზიან ადგილს ყუდროს ეძახიან (თონ.) (ჩვეულებრივი მნიშვნელობით ეს სიტყვა აქ არ იხმარება). როცა სცივათ და გასათობად ყუდროში დაჯდებიან, — ყუდროს გაუყუჩდებაო, იტყვიან (თონ.) („ბებრები სადამოთი ყუდროს გაუყუჩდებით ხოლმე“. თონ.). აქაური მთიულები ჩრდილს ნაგრილს ეძახიან (მაწ.).

პაპანაქება სიცხის დროს ცხელი ჰაერის ლაზლას სიცხის ლული ეწოდება (თონ., კლდ.), იტყვიან აგრეთვე ბურქო ტრიალებსო (გორჯ.), ანდა სიცხის ბურიო (ჩხ.). ზაფხულის დასასრულს (მარიამობისთვეში) რომ ჰაერი შეიცვლება და აგრილდება, ჰაერი გატყდაო იტყვიან (თონ., კლდ.). მთვარის გამოცვლას მთვარის შესლას ეძახიან (თონ.).

ღრუბლიანზე იტყვიან დაღრუბლულიო (ჩხ. შდრ. გლ.), ანდა — როგორ მოიბუღაო (მოიღრუბლაო) (ენაგ.). წვრილ, უუქუნა წვიმას თქორი (თონ.) ეწოდება. ასეთი წვიმა ან ღრუბელი და ჯანლი რომ წამოვა, თქორავსო¹, იტყვიან. ასეთ ამინდს ეინჟელი ავდარიც ეწოდება (თონ.). ზოგჯერ ითქმის წვიმიანი და არა წვიმიანი ამინდი („წვიმიანში კომბანი ვერ შედის“. კლდ.). ავდარს წვიმის წყალსაც ეძახიან („ქერში ავდარი ჩამოვიდა“. თონ.) და წვიმას კი — ავდრობასაც (თონ.) („ავდრობა წამოვიდა“. თონ.). ქერიდან ჩამოსულ წვიმას (ტბ., ფარცხ.) და თხელ ლაფს (გროთ.) წუნწუნხსაც ეძახიან (წუნწუხი ჩნდება ხოლმე გომურშიც საქონლის შარდისა და სხვა სიბინძურისაგან). ხშირ, გაბმულ წვიმებზე იტყვიან მოჟინებული წვიმებია ან მოჟინებული ავდარიო (ჩხ.). წყლით გაქუნთილს

¹ შდრ. ქართლ.: გათქვარავს. თ. სალარიძე, ქართლური ლექსიკიდან. ივე, XVII, 1970, გვ. 306.

ნითულები გაჟინთულს ეძახიან (მაწ.). წვიმაში დასველებულზე იტყვიან, გაიხუნუნლაო (თონ.). ბევრი წყალი რომ დაიქცევა, დაქოქდაო, იტყვიან (ტბ.), მითულები დაქცია-ს ნაცვლად და აღვრია-ს ამბობენ (მაწ.). წყლის ერთბაშად შესხმას შეხივლებას² ეტყვიან (გოლთ.) ძალიან ცოტა წყალს, წყლის წვეთს ჟდინტის||ჟდინტლს ეძახიან. უფრო უარყოფის დროს ითქმის: ჟდინტიც კი არ იყოო, იტყვიან (თონ.).

ნამს, სისველეს ტენი ეწოდება (თონ.), ნამიანს — ტენიანი (თონ., ჩხ.), დანესტიანებას კი — დატენიანება (თონ.) („ნაალი დატენიანებულა, გაიტა მზეზე“. თონ.; „ხორბალს რო დატენიანდება, აღარ დაიფქვის“. თონ.). ჰაობიან ალაგს ჰანჰრობს ეძახიან (კლდ.). ადგოლს, სადაც დამდგარი წყალია, ბჟანტობსაც ეტყვიან (პ. თონ., ჩხ., გოლთ.). ერთ-ერთ წყაროს პატარა თონეთის ტყეში დამპალი წყალი ეწოდება. სოფლის მკვიდრთა ცნობით, ეს წყალი „ჟანტია“ (<ბჟანტი) („ლაფის გემო აქს“) და „სასმელათ არ ვარგა“. დამპალმიწები ს. კლდეისის სახნაგ-სათეს მიწებს ეწოდება, რომლებიც „წვიმიანში“ გვიან შრება (კლდ.).

დიდი სეტყვა რომ მოვა (ჯორჯ., ტბ.), დიდი წვიმა (პ. თონ., ტბ., საღრ., კლდ.) ან დიდ წვიმასთან ერთად წვრილი სეტყვა და ქარიშხალი — სელგა მოვიდაო იტყვიან. წვიმას რომ გადაიღებს, გაიდარაო ამბობენ (თონ.), ანდა გადიფელიკა, გაიფელიკა, გამოიფელიკაო (კლდ., ენაგ.). ს. თონეთსა და პატარა თონეთში სეტყვას ხოშკაკალას||ხუშკაკალას ეძახიან, ძალიან მსხვილ სეტყვას კი სეტყვას (პ. თონ., ფარცხ.). წვრილი სეტყვა ქვემო ქართლულებისათვის ხორხოშელაა (მაწ., ტბ., ფარცხ., ჯორჯ., ჩხ.). ორშაბათი სეტყვის უქმედ ითვლებოდა. ამ დღეს სამღვთოდ დაკლავდნენ ერთ თხას „ელიას უყვარსო“, ცხვრებს, მოიტანდნენ ღვინოს, სხვა სოფლულებსაც დაჰპატიებდნენ და დროს ატარებდნენ (გოლთ.).

ცივ, ბურუსიან დღეს ცრიატი დღე ჰქვია (პ. თონ.), კარგი ამინდი რომ შეიცვლება (მოიღრუბლება, ბურუსი და ქინქლი წამოვა, აცივდება), გაცრიატდაო იტყვიან (პ. თონ., ჩხ.).

ხეხილს (ან სხვა რამეს) ჰირხლი რომ დაედება, შეშჰირხლა (ჯორჯ.), დაიჰირხლაო (საღრ.) ამბობენ. როცა ჰაერში სუსხია და ყველაფერს ჰირხლი ედება, იტყვიან ჰირხლიანი ამინდია (ჯორჯ.), ჰირხლავესო (საღრ.).

დღეები რომ აირევა და აცივდება, იტყვიან, „ჩაკლაკი (წერო, წეროების გუნდი) მოდის, ეხლა თოვლი უნდა მოვიდეს, ჩაკლაკის დღეა დღესაო“ (კლდ.). ამბობენ, აგრეთვე, წეროს გუთანი უბიაო (წეროების გუნდი დწყობილად რომ მიფრინავს) (კლდ.).

თოვლიან ქარბუქს ჩოდუმს ეძახიან (პ. თონ., ჯორჯ., ჩხ.), ქარიშხალი რომ ამოვარდება, თან მოჰყვება წვიმა და ცა მოიბურება, იტყვიან, როგორ გაჩოდუმდაო (პ. თონ., ტბ., ბგვ., ჩხ.).

დიდ სიცივეს დურადს ეძახიან (ჩხ., ტბ., კლდ.), ძალიან თბილად რომ ჩაიცვამენ, გდურადავსო? (ძალიან გცივაო?), ანდა: დაგდურადა? (კლდ., ჩხ.), დურადი ხომ არ მოგსვლია, დადურადული ხომ არახაო? შეეკითხებიან.

² შდრ. ქართლ.: ჩაახივლებს. თ. სალარიძე, ქართლური ლექსიკიდან, ივე, XVII, 1970, გვ. 317.



ზამთრის თბილ, ოდნე მოღრუბლულ დამეს (აქა-იქ დღესაც, ტბ.) მარაგო დამე ეწოდება („ამაღამ მარაგი დამეა“. ჯორჯ.) ან — მარანგიანი დამე (ჯორჯ., ფარცხ., ტბ., პ. თონ.). („მარანგიანი დამე იყო და გათენებამდინ ნუშაობდა წისქვილი“. პ. თონ.). ზამთარშივე რომ მოთბება, დამარაგდაო (დაბბაო) (ფარცხ., ჯორჯ.) იტყვიან.

ქარ-მზიანი ამინდი თოვლს რომ შეაღობს, ლედმა ჰკრათ ამბობენ (თონ.).

ქვეყნიერებას ალგეთლები ევროპიას || ეროპიას უწოდებენ ხშირად („მაშ მთელ ევროპიას აშუქებს ეს მზეუ“ თონ.). ევროპია აგრეთვე მთელი ქვეყნის ხალხი, ან ბევრი ხალხი („ეროპია დადიპ ამ ადგილითენ, ისე მოსწონთ“. თონ.).

ირიბ გზას (უფრო აღმართში) გეზი გზა ეწოდება (თონ., პ. თონ., ფარცხ., ტბ.). ამა და ამ ადგილამდე რომ მიხვალ, მერე გეზივ უნდა გაბრუნდეო იტყვიან (პ. თონ.). როცა ურემს აღმართში უჭირს, დაუგეზავებუნ, რომ შეღავათი მიეცეს (პ. თონ.). ამას დაქეშავებასაც ეტყვიან, — ცოტა დაუქეშავო (პ. თონ.). დაირბებული გზის შესახებ იტყვიან, გზა ეშათ (ირიბად) მიდისო. თავქვეში გზიდან რომ გადაუხვევენ, დაუხვიეს იტყვიან (პ. თონ.), სწორ გზაზე კი — მოუხვიეს. თავქვეს დათავქვევებასაც ეძახიან (კლდ.). იტყვიან: აღმაური, თავქვეური³ (კლდ.) „უკან დაბრუნდი“-ს ნაცვლად იტყვიან უკან დატრიალდიო (პ. თონ.).

თუ მიწაზე ბილიკი არ არის, ბევრი სიარულით ბეღიკას დაჰქნიან (მიწას გატკეპნიან, ბილიკს გააჩენენ) (თონ.). ერთბაშად დიდი ავღარი რომ მოვა, დედამიწა, გზები გაიხეპება (პ. თონ.) || გაიხეკება (თონ., ჩხ.), გაიტყვიპება (დაიტკეპნება), „როგორც საგორავი გადაატარო და გატყვიპო“. გახეკილ ადგილზე აღარაფერი მოდის (ჩხ.). გაბმული წვიმისაგან დედამიწა მოილინტყება (ჩხ.), ლიტყით (თონ.) || ლინტყით (ჩხ.) (თხელი ტალახით) დაიფარება. მოლინტყულზე კაცი ფეხს ვერ მოიკიდებს, „აცურდება“. ტალახს ფოლოცსაც ეძახიან: სუ გაფლოცავდა (გატალახდა) გზაო (კლდ.). დიდ ტალახს ხლარცი ეწოდება (თონ., კლდ.). საქონლის ან ურმისაგან აქიჟყნილ და ისევე გამხმარ ტალახიან ადგილს თუ გზას კოპიჟნარი (ჩხ., ბვე, საღრ.) || კოპიჟკნარი (პ. თონ.) ეწოდება. კოპიჟნარი სასიარულოდ ცუდია, მგზავრს ფეხებს ამტვრევს. ნაავგრებული მიწის ნატეხები) (ტბ., მაწ.) ანუ გორახები (ჩხ., გოლი., ტბ.) || გორახები (კლდ.) ჩნდება. ნაგორახები ეწოდება ერთ ადგილს ს. ჩხიკვთასთან.

დიდ ვაკეს, ტრიალ მინდორს დუზი ეწოდება (ჩხ., გოლი., თონ., მაწ.) („დიდი დუზი ვაკე იყო თვალგაუწვდენელი“. თონ.; „დუზზე დაბი ცხვრები, ფერდა არ იყოს, არ დაიხონი“, მაწ.). დაბლობს დაბალს ეძახიან. ერთ-ერთ საოკარს მანგლისთან კოკას დაბალი ეწოდება (თონ.).

მწირ, უბალახო ან დაბალბალახიან მაღალ ადგილს გოხი ჰქვია (კლდ.). გოხს ეძახიან აგრეთვე შიშველ კლდოვან სერებს (მაწ.). ს. თინეთის ერთ-ერთ სახანაეს შუა გოხი ეწოდება, მეორე ადგილ-მამულს კი გოხნარი (წალკასთანაა, შემდეგ იქ ამავე სახელწოდების სოფელიც გაჩენილა)⁴. ამავე გოხთან უნდა იყოს სემანტიკურად დაკავშირებული მეხილეობის ტერმინი გა-

³ ამავე წარმოებისაა სოფ. ფარცხისში ჩაწერილი იქვეური.

⁴ უწინ ვიხნარადან მოჰქონდათ გლეხებს კობი კვრების მოსაკობად.

იხევა (მკვახე ხილის გაკრეფა) (გოლთ., ბგე.) და სხვა პრევერბებიანი ფორმე-
მ სიტყვისა. გოხს ენათესავენა მნიშვნელობით კრია (გამზმარი კლდოვან-
ადგილი) („კრიას გადაივლი და მერე ტყე გამოჩნდება“. პ. თონ.) ანუ კრი-
ა (ჩხ., მაწ.). სიტყვა კაპანი (იხ. საბა) შემორჩენილია ტოპონიმში კაპან-
ლდეები (ქვიანი ჩასაველია ტყიანიდან, ვიწრო ბილიკი) (კლდ.).

მცირედ ჩავარდნილ ადგილს გადახრამულს ეძახიან („საცა პატარა
დახრამული ალაგია, ისე სტოვებს კომბაინი, ვერ უდგება“. პ. თონ.). ჩამზღე-
ულ კლდოვან ადგილს ჩაფლატული ეწოდება, გეოგრაფიული სახე-
ია ჩაფლატულები (პ. თონ.). ფოტორა ადგილს ეტყვიან კლდიან
ტყიან უხერხულ ადგილს, სადაც კაცს უჭირს მოძრაობა (კლდ.).

მიწაში, მდინარის ფსკერზე ჩაღრმავებულ ადგილს ამოქვავულს
ტყვიან („ამოქვავული იყო, იქ შაიტაცა წყალმა“. ჩხ.). ასეთი ამოქვავულის
წალს, ღრმა და ვიწრო მორევს ღურღურს ეძახიან („თურმე, ესე, ღურ-
ღური არი ჩასავარდნი“. ჩხ.) მას მოხვრინაეიც (ჩხ.) || მოხვრივანიც
(ჩხ.) ეწოდება („დიდი მოხვრინაეებია ალგეთში, ვინც ფოინი(?) იცის, გავა-
ინც ფოინი არ იცის, ვერ გავა“. ჩხ.).

როცა მდინარეში გასვლა უნდათ, თუ თხელი წყალია, ქვახიდას (ჩხ.,
სადრ.) გააკეთებენ ხოლმე (ერთმანეთის მიყოლებით ჩააწყობენ დიდ ქვებს).
ახელდახელოდ ხიდის გადებას გახიდვას ეტყვიან (კლდ.). პატარა ჩანჩქერს
აშხრიალას ეძახიან (თონ.).

წყაროს წყალი ხმელია ანუ ხამია, დასაბან-დასარეცხად არ გა-
ოდგება (თონ.). წყალს, რომელიც მალე უკლავს წყურვილს; მადლარ
წალს ეძახიან (მაწ.). „მგლის წყარო ისეთი წყალია, ერთ ჰქიქას ველარ და-
ღვე, მადლარი წყალია!“. მაწ.).

თბილ, დასალევად უსიამოვნო წყალზე იტყვიან დუბელააო (თონ.)
სადრ. დუბე, აქვე, გვ. 88).

2. ხანა-თისვა

მიწის იმ ნაწილს, რომელიც მცენარეს საკვებს აწვდის (ზედა ფენა), ალგე-
ტელები ნიადაგს ეძახიან (თონ., ჩხ., გოლთ.). ამიტომაა, რომ თავიდანვე
თუხნავ, ნოყიერ მიწას განიდაგებულ მიწა ეწოდება (თონ., ჩხ.,
გოლთ., თ. წყ.). ეს იგივე ყამირია. (ამ ნიადაგს ერთმა კლდისელმა გლეხმა
მიწა უწოდა: „მოძრავ ფენას, სახნავ-სათესს მიწა ჰქვია“-ო).

ნიადაგი საპირისპირო მნიშვნელობითაც იხმარება: ესაა მიწის ქვედა,
მაგარი შრე, რომელიც უსარგებლოა მოსავლისათვის. იტყვიან: „ნიადაგზეა
დასული მიწა და იმიტომ არ მოდის კარგი მოსავალი“ (თონ.). სახლის
შენების დროს „სანამ ნიადაგს არ იპოვნიან, საძირკველს არ ჩაყრიან“
(თონ., სადრ.).

ნიადაგი პირველი მნიშვნელობით ანუ (ზედა, „მოძრავი, სახნავ-სათე-
ხი ფენა“ (კლდ.) შეიძლება იყოს თიხნარი (ჩხ.), იგივე თიხამიწა (კლდ.),
ქვიშნარი (ჩხ.), იგივე ქვიშრობი (მაწ.) (ქვიშიანი და ქვიანი მიწა,
კლდ.), აყალო მიწა (ჩხ.) და შავი მიწა (ჩხ., კლდ.). ეს უკანასკნელი სა-
უკეთესო მიწად ითვლება. ადგალობრივი მთიულები მას „შავნა მიწა“-ს და
„მდებიარე მიწა“-ს უწოდებენ (მაწ.).

თიხნარი ნიადაგი უეარვისია მოსავლისათვის. ზოგი გლეხი თიხნარს
და საერთოდ მწირ ნიადაგს (ჩხ.) ქერა მიწას ეძახის (ჯორჯ., ჩხ.) (არის

ქერა მიწის სინონიმია თეთრი მიწა (ჩხ., მაწ., კლდ.). თეთრი მიწას ეძახიან აგრეთვე კირსმაგვარ მიწას, რომელსაც დაწვა არ სჭირდება. მას კირის ნაცვლად იყენებენ კედლის გასალესად (ჯორჯ.). თიხნარს კლდეისებრი წითელ მიწას ეძახიან, აგურისა და კრამიტის გასაკეთებლად გამოდგებაო, ზოგი კლდეისელის თქმით კი წითელი მიწა „კედელშია კარგი“ (კედლის გასაკეთებლად). ს. კლდეისის მცხოვრებნი შავი მიწისა და წითელი მიწის ანუ თიხის ნარევს ლომა მიწას ეძახიან, „ლომა ფერია, მოწითლო ფერით“, ლომა მიწა თირივით რბილიაო. ზოგ გლეხს მოსწონს მასში მოყვანილი მოსავალი, ზოგს — არა. ლომა მიწას იგივე კლდეისებრი სარია მიწასაც ეძახიან.

სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთს მამული ეწოდება (თონ., კლდ.). დაბალ ჩავარდნილ ვაკე ადგილს დუბეს ეძახიან („დუბეში ჩავედეთო, იტყვიან, ეს ხო მთა ადგილიაო, მაწ.“; „კარტოფილი გვაქ ამოსაღები დუბეებში“, ჯორჯ.). ასეთი ადგილის მიწა ფიცხი მიწაა (ჯორჯ.), „მუხრვალეა“ (ტბ.) და მოსავალს არ იძლევა (ტბ., ჯორჯ.). ფიცხი მიწა თიხნარიც, რომელსაც „ყანა არ მოჰყავ“ (ჯორჯ.). ს. თონეთის ერთ-ერთ სახნავ-სათეს მამულს ფიცხისი ეწოდება. ჩავარდნილ ადგილს ტაფობსაც ეძახიან (ჩხ.). ფერდობის მიწა უვარგისად ითვლება, ჩვეულებრივ იგი ხროვს წარმოადგენს, რადგან საკვები ნივთიერების შემცველი ფენა ავდრებისგან არის ხოლმე გადარეცხილი.

ნოყიერს, შავ მიწას, ღონიერ მიწას უწოდებენ (მთ. ღონიერი), რადგან მას კარგი მოსავალი მოჰყავს. ასეთ მიწას დალიანსაც ეტყვიან. კარგ მიწაზე იტყვიან, აგრეთვე, მთავარი მიწააო (ჩხ.). მწირ მიწას უღონო ან უძალო მიწას ეძახიან. ასეთია ქერა მიწა, მას ძალა არა აქვს და მცირე მოსავალი იცის (ჯორჯ.). უღონო მიწას უწილოსაც ეტყვიან. ასეთია ქვიშნარი (საღრ.). უძალო ადგილს ხირხატიც (ჯორჯ.) || ხირხოტიც (კლდ.) ეწოდება. „არაფერი არ მოდის, ხირხატი ადგილიაო“ იტყვიან, ან კიდევ: „ხირხოტი ქვიშანი მიწაა, წვრილი ქვარო ურევია შიგაო“ (კლდ.). მიწას, რომელიც „მუდამწელიწადს“ იხენება და ითესება, — ცვდება, იფიტება, მოღლილ მიწას ან გამოდალულ მიწას უწოდებენ. უღონო მიწას სუსუქს დაყრიან (ჩხ.), შიგნაკელს შეიტანენ (საღრ., მაწ.) და ამგვარად გააღონიერებენ (ჩხ.) || გააღონიერებენ. „ერთი გაღონიერებულ მიწა ორსა და სამსა შჯობიაო“, ამბობენ (პ. თონ.). საქონლის სასუქით („ნეხვით“) განოყიერებულ მამულს ნანეხეს ეტყვიან, ნანეხვია აგრეთვე საქონლის საყარი (შღრ. გლ.). საცხოვრებელი სახლის მიდამოებში მდებარე საუკეთესო მამულს ნაფუზარი ეწოდება. ნაფუზარს ყოველწლივ საქონლის პატის აყრიან და ამის გამო ძალიან ნოყიერდება (თონ.). ნაკელი ახალი შემოტანილი სიტყვაა (საღრ.). ადგილობრივი მთიულები ნაკელს ნავავს ეძახიან. მიწის ნაკვეთს, რომელსაც ბევრი ხვრინჭა (ძალიან წვრილი ქვა საღრ., ტბ.) ურევია, ხვრინჭიანს ეძახიან (შღრ. ხვრინჭიანი სალესავი. ჯორჯ., საღრ.). თუ მიწის ნაკვეთი ბუჩქნარით არის დაფარული, ჯერ უნდა გაიჯაგოს (თონ.) და შემდეგ მოიხნას. საყანე მიწის სიმცირის შემთხვევაში ზოგჯერ ტყის გაჩეხაც უხდებათ. განაჩეხ (ნატყევიარ) ადგილს (თონ.) ვასუფთავებენ (ჩხ.): ჯირკვებს (თონ., მაწ.) ანუ კუნძებს (ჩხ.).

5 ხორკლიანი სალესავია, რომლითაც ცელს ლესავენ.

(მიწაში დარჩენილ მოჭრილი ხის ძირებს) ამოჰყრიან. ამას ნაკვეთის გაჯირკვა (თონ.) ანუ ამოჯირკვა (თონ., ჩხ., კლდ.) ეწოდება („ნახევარი ღლის მიწა ამოვჯირკვეთ“. ჩხ.).

მიწას, რომელიც არასდროს არ მოხნულა, უძრავი მიწა ეწოდება. მას გაუტეხავ მიწას („პირველათ გასატეხი მამული“, თონ.), ხამ მიწას (თონ., გოლთ., კლდ., მაწ.), კორდ მიწასა („კორდი გავტეხეო“. კლდ.) და ყამირსაც (კლდ. თონ.) ეძახიან („ყამირი არის ხამი, მოუხნავი მიწა, პირველათ რო მოხნამენ, განიდადებულ მიწა“. თონ.). ყამირს ადგილობრივი მთიულები ბორტს ან ხამ მიწას უწოდებენ („თუ ყანა არა თესებულა და ხამია მიწა, იმას ბორტ ვეძახით“. მაწ.). ასეთი მიწის დამუშავება ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ უხვ და კარგ მოსავალს იძლევა, რადგან „სუ დასვენებულა“ (ჯორჯ.). თუ მამული ერთხელ მაინც არის მოხნული, ის უკვე ნაძრავა („ნაძრავი მიწა სხვა არი, ბორტი მიწა სხვა არი“. მაწ.). ხამი მიწის პირველად მოხვნას მიწის გატეხვა (გოლთ.), ყამირის გატეხვა ეწოდება. ერთხელ გატეხილი მიწა ყამირთან შედარებით უფრო ადვილი მოსახნავია. მოსავალადებულს და ხელმეორედ მოხნულ (დაბარულ) მიწას ნარბილი (თონ., ჩხ., კლდ.) ჰქვია. საერთოდ, ნარბილია მიწა, რომელიც ითოხნებოდა ან კიდევ მეორე წელიწადსაც მოიხნა (კლდ.).

ნარბილ მიწას ხშირად სხვა თესლის დასათესად იყენებენ. მაგ., ნაკარტოფილევ ადგილს გადაბარავენ და ქერს დათესავენ ან პირუტყვ. მოხნული და შემდეგ გამაგრებული მიწის გაფხვიერებას განარბილებას ეტყვიან. მაგ., ანეულს გაანარბილებენ ხოლმე აჩაჩით. იმ მამულს, სადაც ყანა ეთესა, ნაყანევი (მაწ., კლდ.) || ნაყანები (თონ., კლდ.) ან ნაყანობი (ჩხ.) ეწოდება (იხ. აგრეთვე ნაოში, გვ. 94). „ნაყანებში დათესილი კარტოფილი უფრო კარგი მოვაო“ (თონ.). უწინ ნაყანევს ერთა წლით ან მეტით ასვენებდნენ, აღარ ხნავდნენ, რადგან „მუდამ წელიწადს რო გადახნამ და გადმოხნამ, ის არი მოღლილი მიწა, იმას აღარა აქ სინოყვირე და ძალა. ერთ წელიწად რო დავთესამდით, მეორე წელიწად დავასვენებდით, ახლა სხვა მიწაზე დავთესამდით“ (სადრ.). ერთი წლის დასვენებულ მიწას ნაჩხატი (ჩხ., თონ., პ. თონ.) || ნაჩხარტი (თონ., პ. თონ.) ეწოდება. ნაჩხატში კარგი ბალახი იცის, რომელსაც თივად იყენებენ. ნაჩხატს ეძახიან აგრეთვე ხნულში უხნავად დარჩენილ გაბალახებულ ხარვეზს და ხნულებს შორის უხნავ ზღვარს (კლდ.). ზოგი გლეხი ნათიბსაც ნაჩხარტს ეძახის (თ. წყ.). თუ ნაჩხატი მეორე წელიწადსაც ან უფრო მეტ ხანს უხნავ-უთესად დარჩა, რცხალი იქნება (შდრ. საბა: კრცხალი) („ის მამული რცხლათ დარჩა“. თონ.; „რცხალი გავთიბე“. კლდ.; „რცხალმა კვი პურის მოყვანა იცის“, პ. თონ.). ს. კლდესის მცხოვრებთა მფლობელობაშია სათიბები (დასვენებული მიწები), რომლებსაც ახლაც რცხლებს ეძახიან.

დიდ მინდვრებში მიწები ერთიმეორეს მისდევს. მიწის ყოველ დიდ უბანს, მონაკვეთს ტანი ეწოდება (კლდ., თონ.). იტყვიან: პირველი ტანის მიწა, მეორე ტანის მიწა და ა. შ. „ერთ ტანზე არის კარგი, მოსავლიანი მიწაცა და ცუდი, უმოსავლო მიწაცა“ (კლდ.). ს. თონეთის ერთ-ერთ

6 არაბული „ყამირის“ შემოსვლამდე და სალიტერატურო ქართულში მის განმტკიცებამდე, ხომ არ ვაჩნდა ქართულს ამ ცნების აღსანიშნავად საკუთარი ტერმინი „უძრავი მიწა“, რომელიც დიალექტმა შემოგვინახა?

სახნავ-სათეს ტყიან ადგილს მოკლე ტანებს ეძახიან. ტანს თარგსაც ეტყვიან (კლდ.).

გაშლილი, ვაკე ადგილის მიწებს ვაკე მიწებს ან ველს ეძახიან (კლდ.). ს. კლდეისს ეკუთვნის გამოღმა ვაკიები (<ვაკეები) და გაღმა ვაკიები. მასვე ეკუთვნის დიდველი, რგვალი ველი და სხვ.

მიწის ნაკვეთს, მამულს, აქვს თავი და ბოლო. კლდეისელებს აქვთ სათიბები, რომლებსაც კალატოზიანთ მიწის ბოლოებს ეძახიან (კალატოზიშვილებისა ყოფილა ძველად). ზოგ მიწას თავი წვრილი აქვს და ბოლო განიერი. ასეთ მიწებს თავწვრილ მიწებს ეძახიან (კლდ.). მიწა შეიძლება იყოს გრძელი და მოკლე. ს. კლდეისს აქვს გძელი მიწები, ს. თონეთს კი ზემოდასახელებული მოკლე ტანები. განდაგან მდებარე მიწებს განის მიწებს უწოდებენ (თონ., კლდ.). მიწას, რომელიც ჯერ სწორად მიდის, შემდეგ კი მობრუნდება, მოუხვევს, ნამგალა მიწას ეტყვიან. მიწა რომ შეღმა მიდის, იმას პირაღმა მიწას ეძახიან, ფერდა ადგილის მიწებს კი ფერდი(ს) მიწებს ან სერი(ს) მიწებს (კლდ.). ასეთი მიწები ძნელი სახნავია, ტრაქტორი ვერ უდგება, ამიტომ განდაგან და ცალღთივ (ცალი მხრიდან) იხენის. კლდეისელებს ეკუთვნით ნოყიერი მიწები, რომლებსაც სართაულებს ეძახიან: ანუ ზღად ანუ ორჯერ მოხვნის ნაცვლად ერთხელ უხნავენ, ამის გამო ბალახი მოერევა ხოლმე და ძნელი გასამარგლიაო (შდრ. სართი ქვა — ძნელად დასამუშავებელი, მაგარი ქვა. კლდ.).

ადგილმდებარეობის მიხედვით არის გაღმა მიწები (კლდ.), უკანმიწები (კლდ.), ზემოდასახელებული გაღმა ვაკიები, გამოღმა ვაკიები და სხვ.

მიწის სახელს ხშირად მასთან ახლოს მდებარე ტყე, ტბა ან სხვა რამ განსაზღვრავს. ასე, მაგ., ს. თონეთს ეკუთვნის: ტბა (საყანე ადგილი ტბით, ვაკით და ფერდათი), უკანტყე (სახნავ-სათესი ადგილი ტყით), სისხლი(ს) მიწები, ვარდის მიწები და სხვ.

პირველად რომ გუთანს გაიტანდნენ⁷, უნდა ყოფილიყო ორშაბათი, სამშაბათი ან ხუთშაბათი (ოთხშაბათი და პარასკევი „ნავს“ დღეებად ითვლებოდა. კლდ.). ხვნის დაწყებამდე (ზოგჯერ წინა საღამოს. თონ.) ჯერ ღვედ-იარაღს გამართავდნენ (თონ.): დაკეცილ ღვედს გაშლიდნენ, ზედ უღლებს დააწყობდნენ, დაახლოებით ორ-ორი მეტრის დაშორებით, რაც ერთ უღელს ხარის გამართვას სჭირდება, და შეჰკრავდნენ ღვედზე კულამებით (კულამა ორწვერად შეგრებილი მოკლე და ვიწრო ტყავია. კლდ.). ამას უღლების გაშლას ეძახდნენ. მოამზადებდნენ აგრეთვე დანარჩენ იარაღს: ჭაპანს, აბურებსა და ტაბიკებს. ღვედ-იარაღის გამართვას, ან უფრო მოკლედ ღვედის გამართვას (ჩხ., კლდ.), ერთმა თონეთელმა გლეხმა გუთნის გაშლაც უწოდა. როცა მზის ჩასვლამდე საკმაო დროა დარჩენილი (თონ.), ან „მზე რო დავა ჩასასვლელათ“ (კლდ.), იტყვიან: „ჯერ მზე ერთი გუთნის გაშლაზეაო“ (თონ., კლდ.).

გუთანში შესაბამელად წინა საღამოსვე ან მეორე დღით ადრე მორეკავდნენ ხარ-კამეჩს, ზოგი ღამიანად შეაბამდა და მთვარიანზე ხნავდა (კლდ.). კვირას ისვენებდნენ. „თუ სოფელში კაცი მამკვდარიყო“, გუთანს იმ წუთსვე გამოუშვებდნენ და დასაფლავებამდე გუთნის იარაღი მინდორში ეყარა (კლდ.).

⁷ ადგილით შეზღუდულობის გამო გამოუტოვეთ მონაკვეთი: „გუთანი, გუთნული, გუთნის დედა და მებრები“.

ხენის დაწყებამდე გუთნეულის წინა ხარს შელოცვილ კვერცხს დაახლოდნენ თავში, რომ გუთანმა თვალი არ აიღოსო (ცული თვალის პატრონმა არ დათარსოსო. მაგ., „ერთი კაცი ცული თვალის კაცი იყო, რომ შეაბამდა ხარსა, ხარი აღარ გასწევდა“. კლდ.).

ხენის დასაწყებად მიწას გუთანს მოუკიდებენ (კლდ.), „ჩააგდებენ კვალში“. პირველად რომ შევიდოდნენ მამულში, ჯერ მიწას დაიკვალავდნენ (გუთნით კვალს შემოაელებდნენ ნაკვეთს) (ჯორჯ.). დაკვალვა აერთოდ ხენის დაწყებასაც ნიშნავს: „პირველში მიწას რომ გაშპრიან, იტყვიან, დაიკვალაო“ (კლდ.). ს. თონეთის ერთ-ერთ საყანე ადგილს დაკვალულეები ეწოდება. სხვადასხვა მეპატრონეთა ხნულებს შორის მიჯნად ტოვებდნენ მოუხნავ ზოლს, რომელსაც ზღვარი (თონ., პ. თონ.) || მზღვარი (მდრ. გლ.) ეწოდებოდა. ზღვარს კორღანსაც ეძახდნენ, ოღონდ კორღანი ქვების გროვას წარმოადგენდა (ფარცხ.).

მიწის მოუხნავ მხარეს ველი ეწოდება, მოხნულ მხარეს კი კვალი. იტყვიან: გუთანს კაი ველი მიაქვსო (მიწის განიერ ზოლს ქრისო), გუთანს პატარა ველი მიაქვსო (ვიწრო ზოლს ქრისო), გუთანს ველი მიეციო („დიდ ველს რომ დაუგდებენ, რომ ბევრი მოხნას, განიერი იყოს, ვიწრო არ იყოს“. შავს.). თვალს, რომელიც ველზე ანუ მშრალზე დაგორავს (პატარაა), ველის გოგორა ეწოდება (თონ., კლდ.). გუთნის დიდ თვალს, რომელიც კვალში დადის, კელის გოგორა ჰქვია (თონ., კლდ.). ველის მხარეს მავალი ხარი ველის ხარია (კლდ.), კელის მხარეზე მოსიარულე ხარს კელის ხარს ეძახიან (კლდ.).

მიწა ორნაირად იხვენებოდა: კვალზე (ჯორჯ.) და ნაზურგზე (ჯორჯ.). კვალზე ხენის დროს (გარშემო უვლიან მიწას) მიწის შუაგული ფოსოვდება (ჯორჯ.), გამონადრება (კლდ.), ამიტომ მეორე წელიწადს ნაზურგზე ხნავდნენ („აქედან გაუვლის, იქიდან გამოუვლის, შუაში იქნება ნახნავი და ის არი ნაზურგი“. ფარცხ.). ნაზურგზე ხენის დროს მიწაში რომ შევიდოდნენ, ჯერ შუაზე უნდა „შეეგდოთ“ გუთანი, შუაზე გაიკვალავდნენ და ნაპირები რომ დარჩებოდა, ნაზურგზე აყრიდნენ კიდევ (ჯორჯ.), და ანაზურგებდნენ, დანაზურგებოდა (შუაზე „ამონადრული“ მიწა სწორდებოდა. კლდ.). შემდეგ წელიწადს ისევ კვალზე მოხნავდნენ, რადგან მუდამ ნაზურგზე ხენით მიწის შუაგული მაღლდება, „მაღლაურდება“ (ჯორჯ.).

ვაკე მიწა ორ კვალზე (კლდ.) ანუ ორ ფთივ (კლდ.) იხენის „გინდა დანაზურგება, გინდა გამონადრება“ (კლდ.), ფერდა მიწა კი ცალ კვალზე ანუ ცალ ფთივ (ცალი მხრიდან) და სივანეზე იხვენებოდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გუთანი „არ მეკვიდებოდა, ხარვეზი ბევრი ჩაჰყვებოდა“ (კლდ.). ფერდაში ხენის დროს გუთანი „წამოწოლილი“ რომ მიდის, გუთანი მხარზე წამოუწვიაო (ჯორჯ.), იტყვიან.

გუთნეულის მოსაბრუნებელ ადგილს ხენაში საქცევი (თონ., პ. თონ., ჩხ.), მოსაქცევი ანუ მოსაბრუნე (მთ.) ეწოდება. საქცევი რომ გავიდოდნენ („თავში რომ გავიდოდა გუთანი“. კლდ.), წინა მხარე ჩამოვიდოდა, ხარებს მოაბრუნებდა და გუთანს აუგდებდნენ (ჯორჯ.), აუშვებდნენ (ჩხ.) ანუ აგლეჯდნენ (კლდ.) (ალბათ გუთნის დედა აუგდებდა) (კელიდან ამოიღებდნენ), რომ ახალ კვალში მოეკიდებინათ. გუთნეულის საქცევიმ გასვლასა და შემობრუნებას გასაქცევება ეწოდება. „აბა, გაუსაქ-

ცევით, კარგა გადით, გავიდა გუთანიო!“ (პ. თონ.), შეეხმარებოდა გუთნის დედა მეხრეებს. საქცევში ყველაზე დიდი ძალა საძირის უღელს ადგება, ამიტომ ამ უღელში კამეჩებს უბამდნენ (ჩხ.). ხენის დამთავრებისა და გუთნის აშვების შემდეგ გუთანს მიჰკეცავდნენ (გაშლილ ღვედს მიჰკეცავდნენ და უღლებს მიაწყობდნენ) (პ. თონ., ჩხ.). ამას ღვედ-იარაღის მიკეცვაც ეწოდებოდა (კლდ.). თუ გუთნის იარაღი შინ არ მიჰქონდათ, ისევე გაშლილ ტოვებდნენ მინდორში (კლდ.). ხენის დროს გუთანი რომ „ყელში აიღენდა“ (კლდ.) ტალახს, ჩეკით (ბრტყელობოლიანი ჯოხით) გაასუფთავებდნენ, გაფხეცდნენ. გუთნის ღერძს (ურმისასაც) შიგადაშიგ საპნით პოხავდნენ, რადგან ცხელდებოდა (ალბათ იწვოდა) და „ღრიტინებდა“. გამოშვებულ ხარებს მთელი ღამე აძოვებდნენ, მეორე დილით ადრინადად მორეკავდნენ და განაგრძობდნენ ხენას, თან „ჰოროველას“ მღეროდნენ (ენაგ.) (ურემზე კი „ჰალალოს“ მღერა იცოდნენ. ენაგ.). ხენაში გუთნის გეზს გუთნის დედა აწესრიგებს: თუ გუთანმა ნახნაისკენ, ე. ი. კვლისკენ, გაიწია, გუთნის დედა მეხრეებს დაუძახებს: გამოიშო! (თონ.) || გამაიშო! (ჩხ.), ე. ი. გუთანი ველისკენ მოსწიეთო, თუ გუთანი კვლიდან ამოსხლტა, ამოვარდა და ველზე აღმოჩნდა, — ზედა-ო გასძახებს გუთნისდედა, ესენიც (მეხრეები) „მიიკრამენ ხარს ისევე“ და კვალში ჩადგება გუთანი (მაწ.) (შდრ. დაიხედავე, აქვე). საქცევში მობრუნების დროს ზოგჯერ ღვედი ჩაიკეცება || მოიკეცება ხოლმე, ხარი გაშალეთო, ღვედი მოიკეცაო! დაიძახებენ ამ დროს (მაწ.), წინა ხარებს „გაუჭვარდებიან“ და ღვედი გაიჭიმება. ზოგჯერ დროზედ ვერ შეამჩნევდნენ და საქონელს ფეხი გაეხლართებოდა ღვედში, მაშინ დამნახავი დაიძახებდა: ხარი (კამეჩი) დაიღვედაო, გააჩერეო! (ჯორჯ.), ან კიდევ: დააყე, დააყე, დაიღვედაო! (თონ.). თუ არ გააჩერეს, შეიძლება საქონელს ფეხი მოსტყდეს, როცა ღვედი გაიჭიმება. უფრო გუთნის თავის ხარები იღვედებოდა. შეიძლება ურემში შებმული საქონელიც დაიღველოს („ურემშიც და გუთანშიც, როცა ყევირა უბია“. შავს.). ამ დროს გუთანში წინა ხარებს გააჩერებენ, ურემში — ურმის თავის ხარებს. გაუტეხავი მიწა და საერთოდ ძნელად დასამუშაებელი მამული სუფთად არ იხვნებოდა, აქა-იქ ჩაჰყევიდა მოუხნავი მონაკვეთები, რომლებსაც ზედ ბელტი გადაეფარებოდა, ამანედ იტყოდნენ: წიწილა ჩაჰყვაო. ხნულის შუაგულში ან სხვა ადგილას მოუხნავად დარჩენილ თუ დატოვებულ ადგილს ნაღარი ეწოდება. ნაღარის მოხვნა შედარებით ძნელია ამიტომ შიგ ხარებს ატრიალებდნენ და ისე მოხნავდნენ, გამონაღრავდნენ. კვლებს შუა შიგადაშიგ შეყოლილ მოუხნავ ადგილებს ხარვეზს უწოდებდნენ. „არიქა, ბიჭო, აქეთ მოუშვი ხარი, ხარვეზი ჩაჰყვაო!“ (მაწ.), ან კიდევ: „დაიხედავე, ბიჭო, ხარვეზი დარჩაო!“ (კლდ.), დაუძახებდა გუთნის დედა მეხრეებს. კვლიდან გუთანს გადააყენებდა და ხარვეზს ააღებინებდა (კლდ.) (ხარვეზებით მოხნული მიწა უხარისხო ნახნავად ითვლებოდა). ხენის დამთავრებამდე ზოგჯერ ერთი-ორი მეტრის ოდენა მიწის ნაჭერი დარჩებოდათ ხოლმე მოსახნავი, რომელსაც ნეკს⁸ უწოდებენ (კლდ.), „ნეკი დარჩა მოსახნავიო!“ დაიძახებდნენ, გუთანს მოაბრუნებდნენ და გამოხნავდნენ. ნეკის გამოხვნას გამონეკვას || გამონეკას (კლდ.) ეძახიან.

ყამირის გატეხას აძნელებს ხოლმე ბურთივით ამობორცვილი გამკვრივებული მიწა, ჩვეულებრივ გაბალახებული. ასეთი მიწა ქაობებშიც იცის და მას

⁸ შდრ. ნეკა (ქართლ.) (სამკუთხედად დარჩენილი ნაკვეთი მიწისა). თ. ხალარაძე, ქართული ლექსიდან, ივე, XVII, 1970, გვ. 314.

კორომის ან კორუმის ეძახიან. რამდენიმე კორომზე იტყვიან: კორომ-კორომი აო ან კორომი და კორომი აო (თონ.). როცა ვარგისი მამულია და კარგად, ღრმად იხვნება, იტყვიან: კარვი პირი ვადააქვსო (თონ), კარვი პირი ამაიტანაო (მაწ.). მცირე ადგილი რომ დარჩება მოსახნავი, იტყვიან: ერთი გუთნის პირი და არიო (მაწ.), ან ერთი გუთნის კვალა და დარჩაო (ჯორჯ., ტბ.).

ხენაში რამდენიმე პირი შეამხანავლებოდა, რადგან ყველას არ ჰყავდა საკმარისი რაოდენობის გამწევი ძალა ან არ ჰქონდა სახნავი იარაღი („სამყოფი ხარი არა მყამდა“. კლდ.). პირველ დღეს იხვნებოდა გუთნისა და ღვედის პატრონის მიწა, შემდეგ რიგრიგობით დანარჩენ ამხანაგებსაც მოუხნავდნენ, რაც გრძელდებოდა დაახლოებით 20 დღეს. მთელი კვირა მუშაობდნენ, შაბათს ან კვირას (კლდ.) ისვენებდნენ, ან სულ არ ისვენებდნენ.

შრომის ანაზღაურება შემდეგნაირად ხდებოდა: გუთნისდევას ორი დღისა, ანუ ორი ალო (ჯორჯ.) ერგებოდა, ღამის მეხრეს — ორი (ჯორჯ., ენაგ.) ან ერთი ალო. თუ დღისითაც იმუშავებდა, ერთ ალოს ნახევარი ალოც ემატებოდა (კლდ.) („კვირა საღამოს აძოვებდნენ ღამის მეხრეები, ეძლეოდათ ერთი ალო, თუ ისინი დღისითაც იქნებოდნენ, — ნახევარი ალო ემატებოდათ“. კლდ.), დღის მეხრეს ერთი ალო ეძლეოდა (ენაგ.).

სახნის ეძლეოდა ორი ალო, გუთანს (გუთნის ყელს) — ერთი ალო, ღვედს — ერთი ალო, საკვეთელს — ნახევარი ალო, ჯამბარას — ნახევარი ალო (კლდ.).

ვისი ალოც იხვნებოდა, პურის ის აკმევდა მუშას. დიასახლისი დაამზადებდა საკმელს (ლობიოს შეჭამანდი, მაწვნის კერძი, რძიკორკოტა, პურისა და ერბოს ხარშო...) და ჯერათ (ფარცხ.) წაუღებდა გუთანზე ან გაატანდა ვისმე ჯამჭურჭელთან ერთად. ჯერის წამლები ქალი ანუ მოსადილე (თონ.) მუშებს გაუკერძავდა || გაკერძავდა (კლდ.) საკმელს, რომელსაც ეზიდებოდნენ, ჩვეულებრივ, ხელადით (პირგანიერი ყურიანი თიხის ქილა, „გუთანზე წაიღებდნენ კერძა“. თონ.) ანუ გუთნის ხელადით (თონ., ფარცხ.). გუთნის ხელადა ყურიანი „მოუკალავი“ წითელი თიხის ქილა იყო, ძირვიწრო, პირვიწრო და მუცელგანიერი, 7-8 კაცის კერძი ჩადიოდა შიგა (ფარცხ.). საკმელს ხარშავდნენ გუთნის ქვაბში (მოზრდილი ქვაბი სპილენძისა) (თონ.).

მუშას დღეში სამჯერ აკმევდნენ: დილის საკმელსა და დილის პურის ჯამას სადილი ეწოდებოდა (თონ., ჩხ., კლდ.) (შდრ. საბა) („დილით წავედი, სადილი წაუღე მუშებსა“. თონ.; „... გუთანზე წაუღებდით ხომე სადილ, ადრინათ ავდგებოდით ხომე, რომ მოგვეწრო კერძის დამზადება“. ჩხ.), შუადღისას — სამხარი (კლდ.), საღამოსას კი — ვახშამი. ზოგიერთი გლეხი შუადღის საკმელსა და პურის ჯამასაც სადილს ეძახდა, იტყოდნენ: დილის სადილი, სამხარის სადილი (თონ., ჩხ.). ზოგიერთ სოფლებში (კლდისი...) ვახშამი აღარ იცოდნენ: გუთნის გამოშვების შემდეგ ღამის მეხრეები წაასხამდნენ ხარებს საძოვარზე, დანარჩენები თავთავიანთ სახლებში წავიდოდნენ და იქ ვახშამობდნენ.

წლის დროის მიხედვით მიწა სამგვარად იხვნებ-ითესებოდა:
 ა) ანეული მაისიდან ივლისამდე მოხსნული მიწაა, რომელიც შემოდგომით ითესება. მოხვნა სჯობს მაისში, რადგან ივნის-ივლისში მიწა გამოგვა-

9 (ერთი) დღის მიწა არის ერთ დღეში შეიდი-რვაუღელა ხარის მიერ მოხსნული მიწა.

ლ უ ლ ი ა, გამაგრებულია მზისაგან და გუთანი ძნელად ჭრის (კლდ.). ანულო გათიბულზე იხენება, მაგრამ ვისაც თევა არა სჭირდება, გაუთიბავად მოხნავს. შემოდგომამდე ბალახი ლეება, მზე კი ბელტებს შლის და აფხვიერებს. ს. კლდე-ის აქვს სახნავ-სათესი მიწები, რომლებსაც ანიულეებს ეძახიან. ეს ანიულეები „კაი მიწებია, ვაკე მიწები ყოფილა და მომკიდნენ თუარვე, მაშინვე ხნამდნენ, ხნული დაიწოდა მზეზე დათესის დრომდინა“ (კლდ.). ანულოდ მოხნულმა მიწამ კარგი მოსავალი იცის, მაგრამ დათესვამდე გაბალახდება და გამაგრდება ხოლმე, განსაკუთრებით ავღრების დროს (თონ., ტბ.), ამიტომ მიწას ხელმეორედ არაღრმად გადახნავენ, რომ მიწა გაფხვიერდეს და სინესტე გაახლდეს. ამას აჩუთვას (თონ., ჩხ., ტბ., მაწ.) ეტყვიან („ავღრებისგან გატყიპულ ხნულს აფხუთამდით“ თონ.). აჩუთვა ხდება აჩაჩით („როცა მოხნულია და დიდი ხანი გავა, ... თესვას რო დაიწყებენ, აჩაჩით უნდა გაიარო, რო გაანარბილოს“. ტბ.). აჩაჩა პრიმიტიული სახენიელია („აჩაჩას ერთი ხე აქვს, გაჩაჩხული ძირი, ისა ხნამს და ორი ტარი, ვისაც აჩაჩა აქ, აჩაჩითა შჩიჩქინან“. ტბ.). აჩუთვა ჩუთითაც ხდება, რომელსაც აქაური მთიულები კავს უწოდებენ. ჩუთი ანუ კავი (ტბ.) აჩაჩასთან შედარებით გაუმჯობესებული იარაღია. წარმოადგენს პატარა ხის სახნისს, ზოგჯერ რკინაწამოცმულს, რომელიც არაღრმად, ზერელედ ხნავს და აახლებს ხნულს („ჩუთი, აი კავიანი ხე არის, იმ კავზე რკინას გაუკეთებენ და აშჩუთამენ“. ტბ.); „ჩუთი უფრო კარქია, ვიდრე აჩაჩა“ ტბ.). ჩუთში აბამდნენ ორულელა ხარს. ჩუთს მთიულები დათესილი ხნულის დასაფარცხავადაც იყენებდნენ (მაწ.). ხნულის ხელმეორედ მოხვნას გადახვნასა (თონ., გოლთ., მაწ.) და მიწის გადაბრუნებასაც ეტყვიან (გოლთ.). გადახვნა მოუხნავი მიწის მთლიანად, ერთიანად მოხვნასაც ნიშნავს (გოლთ.).

ბ) გაზაფხულზე მოხნავენ და მაშინვე დათესავენ პურსა (დიკა, პოშოლა) და ქერს.

გ) ნაოში მოსავლის აღების შემდეგ შემოდგომით მოხნული მიწაა, ნაყახეგია, რომელსაც მაშინვე თესავენ. ამიტომ ნაოშს ზოგი ნაყანეცს || ნაყანებს ან ნაყანობს უწოდებს („ნაყანევი“ და სხვ. იხ. აგრეთვე გვ. 89) („თუ ანუელი სამყოფი არ არი, მაშინ შემოდგომაზე ყანას რო მოგმკით, ნაყახეგს ისევ მოვხნამთ და მაშინვე დაეთესამთ, ეს არის ნაოში. ზოგი ნაოშ ეტყვის, ზოგი ნაყანევი“. კლდ.; „ანუელ აჩუთამენ და ერთათ დათესამენ ანუელსაც და ნაოშსაცა“. ჩხ.).

ხნულს აფხვიერებდნენ დათესვამდეც და დათესვის შემდეგაც. დათესვის წინ, დიდ-დიდი ბელტების დასამტვრევად ზოგჯერ ხნულს გათოხნიდნენ (ჩხ.) || დათოხნიდნენ (მაწ.) ხოლმე. ხნულის მოსასწორებლად და ბელტების დასამტვრევად კაბდო-ხელნასაც ხმარობდნენ (თონ.). კაბდო (თონ., კლდ.) მოგარძო, მძიმე ფიცარია, რომელსაც აქეთ-იქიდან თითო ხელნა აქვს გამობმული. ხელნებში უღელია გაყრილი. კაბდო-ხელნას ფარცხის წინ უბამდნენ და დათესილ ხნულზე გადაატარებდნენ. თუ მიწა მაგარი იყო და კაბდო ვერ ერეოდა („ზოგი ბელტი ისეთი მაგარია, რო კაბდო ვერა სტეხამს, გადაუღლის გორახს მაღლა და წავა“. ტბ.), მაშინ ფარცხის წინ ფოჩხს მოუბამდნენ. ფოჩხი (თონ., კლდ.) ოთხკუთხად შეკრული ხის ჩარჩოა, შიგ ჩასმული პარალელური ფიცრებით, რომლებიც ქვემოდან დაფარულია ხის ან რკინის თითებით (კლდ.). ფოჩხის თითები კარგად შლიან, აფხვიერებენ, ასწორებენ მიწას, თან ბალახს გლეჯენ გაბალახებულ ხნულში (თონ., ჩხ.), ჩალაბულისაგან

წმინდენ. ფოჩხში აბამდნენ უღელ ან ყვეარა ხარსა (თონ). ზოგჯერ ფოჩხს წინიდან კაბდო-ხელნასაც გამოუბამდნენ უღლითურთ (თონ). ადგილობრივად მოსახლე მთიულებსათვის ფოჩხი (ფოცხიცი) ნათიბის მოსაგროვებელი იარაღია, რომელსაც უპირატესად საფარცხველს || საფარცხს უწოდებენ („ფოჩხი და ფოცხი ერთია, შვილო, ჩვენ საფარცხველს ვეძახით“. მაწ.). ფოცხი ქართულში ბალახის მოსაგროვებელი და მიწის გასაფხვიერებელი ხელით სახმარი იარაღია, როგორც ჩანს, ფოცხისაგან განსხვავებული მნიშვნელობით დამკვიდრებულა (უმთავრესად დიდსა და პატარა თონეთში) მისი ფონეტიკური ვარიანტი ფოჩხი. ფოცხის ძირითადი მნიშვნელობა საბას მიხედვით ასეა: „... ჭნულთ ასაოშავი თითებიანი კაბდოსავით“. იმავე საბასათვის მეორეულია მისი დანიშნულება, როგორც „... ბალახთ მოსაგროვებელი“-სა. შდრ. ცელის ფოცხი, რომელსაც აქვს დედანი და თითები, იხმარება ყანის ცელით თიბვის დროს (ცელის ტარზე ამარებენ ცელის პირთან): თავთავს ერთ მხარეზე აწვენს, აწყობს. ფოჩხი ამჟამად რკინის კლაკილა ფარცხმა შეცვალა, რომელიც მოსახლეობაში რუსული სახელწოდებით არის შესული, ოღონდ აფრიკატიზებული სახით: „ძიგძაგი“ (<дзорона — зигзар) (ტბ., მაწ.). „ძიგძაგით“ ხნულის გაფხვიერება კი „დაძიგძაგება“ (მაწ.). ფოჩხი და „ძიგძაგი“ (კლაკილა ფარცხი) გლეჯს, არჩევს ჭანგას, კარგად ჩენჩხავს (ტბ.), აწვრთმალეხს (მაწ.) გორახებს, კორხლებს და კონდოლებს. კონდოლი (მცირე ბელტი) (პ. თონ.) გეოგრაფიულ სახელადაცაა ქვეული (სოფელია თელავის მისადგომებთან).

მიწის კარგად დამუშავებას, წმინდად გაფხვიერებას გათქვეფას უწოდებენ, კაი გათქვეფილი მიწააო (ჩხ.) იტყვიან.

დათესვის დროს მივლენ და თესლს დააპნევენ (კლდ.). მთესველს ფეშტამალში (დიდი წინსაფარი) აქვს თესლი, მარჯვენა ხელით ამოიღებს და აქეთაც ააპნევეს, — იქითაც, თან მიწის თესლის პირს (დათესილი მიწის ზღვარს) მიჰყვება, რომ ორმაგი ნათესი არ გამოვიდეს. ხნულის ბოლოში რომ გავა და შემობრუნდება, — ნაფთევს შეჰკრავს (თესლს „გადაბამს“), რომ ხამი (დაუთესავი) ადგილი არ დარჩეს და მიწა არ მოსცდეს (კლდ.).

თესლის გადაბნევის დროს მთესველი პირველად ვადაიწერდა და იტყოდა: „ღმერთო შენ მიეცი ბრაქა ხარის ქედსა, გუთნის კვალსა და ჩვენს მოსავალსა!“ მერე გადაბნევედა მარცვალს და იტყოდა: „ეს თავგებსაო, ეს ჩიტებსაო, ესაც სტუმრებსაო!“ (ჩხ.).

თესავდნენ თანაბრად და თხლად, რადგან თხლად ნათესს აქეთ-იქიდან ნიავე ხედება, სქლად ნათესმა კი სიმხურვალე იცის და ყანა წაიჩეხება ხოლმე (ბგვ.).

ჩვეულებრივ მთესველს უკან ფარცხი მიჰყვებოდა („... თან ითესებოდა, თან იფარცხებოდა“. ენაგ.), ანდა ფარცხვა დათესვის შემდეგ ხდებოდა. ფარცხი კეთდებოდა ბრტყლად შეკრული კვრინჩხის ფიჩხისა ან წნელით დაწნული ლასტისაგან. საფარცხე ლასტისათვის იყენებდნენ შინდისა ან რცხილის წნელს. ფიჩხის ფარცხს ბოლო გაშვებული ჰქონდა. ზოგი ფარცხი ტვინებში წნელის ჩაწვნით კეთდებოდა. ერთი ტვინი (გრძელი ხე, ლატანი) წინ უკეთდებოდა, მეორე — უკან, მოჭრილ წნელს შიგ [ჩა]აწნავდნენ ტვინებში (კლდ.). ზოგ ფარცხს ერთი ტვინი ჰქონდა და მას დედახესაც ეძახდნენ, დედახე კაბდოზე იყო მობმული (ენაგ.).



ფარცხის გატანაზე იცოდნენ ხალიფაფის გაკეთება (ჩხ.)¹⁰ ცხით ხნულის ბოლოში რომ გავლენ და შემობრუნდებიან, — ცდილობენ ხარები ნაფარცხის პირზე (დაფარცხული მიწის ზღვარზე) ატარონ, რომ ხარვეზები არ დარჩეს, ან კიდევ ხელმეორედ არ დაიფარცხოს. ამ დროს პატრონი მიმართავს ხარს: „ნაფარცხის პირი დაიჭირეო!“ ან „ნაფარცხის პირზე მიდი, ხაროო!“ (ჩხ.).

ჩვეულებრივ, ფარცხს ბოლოზე საფიჩხეს¹⁰ (ხის მორს) [და]უდებენ ან [და]აბამენ ზედ, რომ ფარცხი დამძიმდეს, მიწა კარგად დაიფარცხოს და თესლი ღრმად დაიმალოს (თონ., ჩხ.). თუ საფიჩხე არა ჰყოფნის, მაშინ ფარცხს დაბელტავენ (ზედ დიდრონ ბელტებს დააწყობენ) (თონ., ჩხ.). გამხმარი მიწის დაფარცხვა ძნელია. აედრის შემდეგ მიწა რომ გაჟივდებოდეს და დაჟივდებოდეს (წყლით გაიქვინებება, გაფუფუნდება) (თონ.), მაშინ კარგად იფარცხება. აღგეთის ხეობაში მოჰყავდათ სხვადასხვა ჯიშის ხორბალი და ქერი, როგორც გაზაფხულისა, გაზაფხულური ანუ ახალი თესლი ახალთესლი, ისე შემოდგომისა, შემოდგომური ანუ ძველი თესლი ძველთესლი.

გაზაფხულის ჯიშებიდან ითესებოდა პოშოლა (თონ., შავს., ჩხ.). პოშოლამ ფხა არ იცის, მარცვალი მსხვილი აქვს, „ბლუნძურა“; პური თეთრი და გემრიელი ცხვება, „თავი პურია“ (თონ.). პოშოლა მალე შემოდის და დროზე თუ არ მოიმკო, ერთიანად მიწაში ჩაიბნევა (ჩხ.). მას პოშოლა-პურსაც ეძახიან (ფარცხ., კლდ.). პოშოლას ზოგი მთესველი ერთ წელიწადს გაზაფხულზე თესავდა, მეორე წელიწადს შემოდგომაზე. ამგვარად დათესილი უფრო კარგი მოდიოდაო (მაწ). გაზაფხულისა აგრეთვე: დიკა (თონ.), კარახინა (ძველი თესლიც არის!) (თონ.), გომბური (<გომბორულა? იხ. გლ.: პოშოლა-პური) (ჩხ.) და ახალთესლი ქერი (ფარცხ., ენაგ.).

შემოდგომური ჯიშებიდან გავრცელებული იყო დოლი (თონ., ჯორჯ.) ანუ დოლის პური (თონ., კლდ.), კარახინა (წერილი თავთავი აქვს) (თონ., მაწ., ჯორჯ., ფარცხ.) და ძველი თესლი ქერი (თონ.) ანუ ძველთესლი ქერი (ენაგ.). სხვა ჯიშებიდან ითესებოდა: თათუხი წითელი (თონ.), რომელსაც ზოგი თეთრ თათუხს ეძახის (ჯორჯ.), შავი თათუხი ანუ თათუხი შავფხა (თონ.), რომელსაც ზოგი შავფხას (ჯორჯ., ჩხ.) ან შავფხა პურს უწოდებს (ფარცხ.), ხოტორა (თონ.), ასლი (თონ., ჩხ., მაწ.), „ბანათკა“ (მაწ.), „ცხრათაველა პური“ (ამის თესლი ერთ მაწვენელ გლეხს წამოუღია ზესტაფონიდან), „ადესა პური“ (კლდ.). ახლა ითესება რუსეთის პური (ჯორჯ.). თესავდნენ აგრეთვე ფეტვს. თონეთის ერთ-ერთ მამულს ნაფეტვრებს ეძახიან (თონ., თ. წყ.).

ხორბლეული ითესება შემოდგომაზე და გაზაფხულზე. შემოდგომაზე ითესება ძველი თესლი, გაზაფხულზე — ახალი თესლი. თესლი, რომელიც წლების მანძილზე შემოდგომით ითესება, — ბერდება. (ფარცხ.), თესლი რომ დაბერდება, იმდენი მოსავალი აღარ მოჰყავს (შავს.), მერე გაზაფხულით უნდა დაითესოს, რომ თესლი გაახლდეს, კარგი თესლი მოვიდეს (ფარცხ.). შემოდგომაზე დათესილი თესლი გაზაფხულზე გაახლდება („... გაზაფხულური თესლი შემოდგომით არ მოვა კარგი, შამოდგომისა კი გაზაფხულით დაითესება,

¹⁰ შდრ. ჩაუფიჩხებს (ქართლ.) (ფარცხს დაამძიმებს რითმე). თ. სალარიძე, ქართული ლექსიკიდან, იკე, XVII, 1970, გვ. 318.



კარგი მოვა, ახლდება, გაახლდება თესლი...“ ფარცხ.). თესლს სხვაგვარადაც აახლებენ. სხვა მხრიდან მოითანენ და იმას დათესავენ, გამოსცვლიან (შავს.). თესლის გაახლებას გადაახლება საც ეძახიან. (სადრ.).

სათესლედ წვრილი მარცვალი არ ივარგებს, სავსე (გოლთ.), მსხვილი მარცვალი უნდა იყოს. ასეთი თესლის მისაღებად თავთავის დაყვერვას (ჯორჯ., სადრ., ფარცხ.), ანუ თავთავის დაკოდვას (შავს.) მიმართავენ: კალოობის დროს კალოზე დასხდებოდნენ, თავთავს თავბოლოს (შავს.) წაამტვრევდნენ და შუაგულს, მსხვილმარცვლებიანს, სათესლედ აგროვებდნენ, შემდეგ დაბეგვავდნენ, ან, თუ ბევრი დაგროვებოდა, გალენავდნენ. დაყვერილი თავთავი საუკეთესო ხარისხის სათესლეს იძლეოდა: „ერთი ლიტრა რო დეგეთესა, ორ თადარ სუფთა ხორბალს ვიღებდით...“ (ჯორჯ.). დაყვერვა სიმინდისაც¹¹ იცოდნენ: ტაროს თავსა და ბოლოს მოაფხვნიდნენ და შუაწელს შეინახავდნენ სათესლედ (სადრ.). ყვერავენ ნიორსაც: აღმოცენებული ნივრის ფოჩებს ერთმანეთზე გადაკვანძავენ, რომ მაღალი არ გაიზარდოს, ძალა ძირში დაბრუნდეს და დიდი თავები გაიკეთოს.

მარცვლეულისა და ზოგიერთი სხვა მცენარის ახალ აღმონაცენს (წვერს რომ ამოჰყოფს) დივი, ღოღი ან ღოჯი ეწოდება, საკუთრივ მარცვლეულისას — ჯეჯილიც, თესლის აღმოცენებას გაღივებას, დივის გამოტანას, აღოღებას, გაღოღებას, გაღოჯებას, ამოღეჯეჯებასა და აჯეჯილებას ეტყვიან (თითზე რომ საბეწვე ამოუვათ, იმაზეც იტყვიან: „საბეწვე ამამიღეჯეჯდაო“. თონ.). მოქინებული ავდრების დროს კალოებში პური გაუღოჯდებოდათ (კლდ.). ასეთი (ღოჯიანი) ხორბლის პური ჭყინტლი ანუ ტინტული (უფუარი და სველი, გამოუშუშავი) ცხვებოდა (კლდ.).

მიწაში ჩათესილი თესლი ზოგჯერ გაცუდდება, არ აღმოცენდება. ამანე იტყვიან თესლი გაიბუტაო. გაბუტვა ხშირად იცის ნიახურმა, ყველა მწვანილზე ადრე ნიახური უნდა დაითესოს, რომ არ გაიბუტოს (ბგვ.).

ყანა რომ ზრდას დაასრულებს, იტყვიან, უკვე მუხლშია ყანაო (როცა უკვე ორი მუხლი აქვს გაკეთებული, ჰყავის და მალე ნაყოფი უნდა გამოიღოს). ამ დროს ერიდებიან ყანაში გავლას. მუხლი ეწოდება პურეულის ღეროს სახსარს (ჩხ., ჯორჯ.). მუხლს კოქსაც ეძახიან (პ. თონ., ჯორჯ.), ყანამ უკვე კოჭი გაიკეთაო იტყვიან (პ. თონ.). თავთავის ყუნწს კინწსაც ეძახიან. „ძალა მოსგლია პურსა, კინწში სწყდება თავთავიო“ იტყვიან (პ. თონ.).

სიმინდის წვერში ამოზრდილ ყვავილედს, ზოგჯერ კი სიმინდის ტაროს ბეწვებსაც (თმას) ქოჩოჩს, ქუჩეჩს და ქუცეცს ეტყვიან. ქოჩოჩსა და მისთ. ზოგჯერ თავთავის წვერს და საერთოდ მცენარის (მაგ. ხახვის) ყვავილედს თავსაც ეძახიან (თონ.). ერთმა ტბისელმა ქალმა მოცხარის ნაყოფის შესახებ თქვა: „ზედ პატარა ქუჩეჩებივით აქ, როგორც ზღმარტლსაო“.

სიმინდი რომ „ქოჩოჩს ამაიტანს“, მაშინ „წმინდავდება“ და ტაროც ამოაქვს.

პურეულს რომ ნაყოფის ჩანასახი გაუჩნდება (ჩხ.) (წყალივითაა ხოლმე), იტყვიან: მარცვალი დამაწვნებულაო, „ჯერ დამაწვნდება მარცვა-

¹¹ შდრ. ზებების შემოყვერვა (რამ.) (ა. რთბაქიძე, რაჭის ეთნოგრ. მიკლინების ინვარიში, 1939, ენიშის „მოამბე“, IV, გვ. 315).



ლი, მერე ოდონი გახდება“ (ჩხ.). ქირანხული რომ შემოვა და გული ცოტათი ვაუმაგრდება, ო დ ო შ ს (თონ., ჩხ.) ან ო დ ო შ დ ე რ ს || ო დ ო უ დ ე რ ს (თონ., ჩხ.) უწოდებენ („პოშოლა... მალე შამოდის და ოდიშლერი თუ არ მომკე ისა, მალე იპნევა“; ჩხ.). ნედლ, შემოუსვლელ ყანას და მარცვალს ჭ ა ნ ა რ ყ ა ნ ა ს ა და ჭ ა ნ ა რ მ ა რ ც ვ ა ლ ს ე ტყვიან. „ეს ხორბალი ჭანარია, არ დაიფქვებო“ იტყვიან (პ. თონ.). ჭ ა ნ ა რ ი საერთოდ სველის, ტენიანის აღმნიშვნელიცა: ჭ ა ნ ა რ ი შ ე შ ა, ჭ ა ნ ა რ ი თ ი ვ ა (მაწ.). ნედლის, რბილის აღმნიშვნელია აგრეთვე ჭყლინტი || ჭყინტლი: ჭყლინტი სიმინდი (ფარცხ., ტბ.), ჭყლინტი ნიგოზი (ფარცხ.), ჭყლინტი ხორბალი (ჩხ.). ჭყინტლი პური (იხ. გვ. 97).

ყანა რომ დამწიფდეს და კარგი მოვიდეს, თავის დროზე უნდა ჰქონდეს მზე, ნიაგი და წვიმა. ასეთი შემკობილი ამინდითა და კარგი მოვლით ნათესი გალალდება. სარწყვაში დათესილი ზოგი თესლი „ისეთი მოვა, ისეთი მოვა, რომ მეერთ არ მოიგონებსო“ (ძალიან გალალდება, უხვმოსავლიანი იქნება) იტყვიან. გალალდება მიწაც (გაფუფუდება და „კაი ნყოფს მოგვემს“), როცა მას ნეხვს დააყრიან და გათოხნიან (ბგვ.). თუ აედარმა თავის დროზე მოუსწრო, მარცვალიც დასრულდება და „სუ ზ ი მ ზ ი მ (მძიმედ მოძრაობას და ბზინვას) დაიწყებს ყანა, მოსავალი“. ალგეთელების მოსავალს ძალიან უხდება აგრეთვე ქვენა ქარი (იხ. გვ. 84).

სავსე თავთავს მაძღარ თავთავს (კლდ.) ეტყვიან, პარკოსანი მცენარეების სავსე პარკს კი მაძღარ პარკს. იტყვიან ასეც: მაძღარი პური იაო, ან მაძღარი ლობიო იაო. ამ ყანას კაი თავთავი უჭირამო ან კაი პური უჭირამო (თონ.) ამბობენ, როცა ნახავენ, რომ მოსავალს კაი პირი უჩანს (სადრ.). ზრდადასრულებულ მარცვალს სრულ მარცვალს (კლდ.), სავსე მარცვალს ეძახიან, მსხვილ მარცვალს კი — ბღუნძურა მარცვალს (თონ., ჩხ.), მსხვილ მარცვალზე იტყვიან აგრეთვე: ისეთია, შინდის კურკასავით მარცვალ იაო.

უხეირო ამინდი (გვალვა, მომეტებული ქარი და აედარი) ყანას დამწიფებას არ აცლის. ალგეთელების მოსავალს განსაკუთრებით აზიანებს ზენა ქარი (თონ. იხ. გვ. 84), რომელიც მარცვალს აშრობს, გვალვასთან ერთად [ა] შუ შავს (ახმობს, წვეს) ყანას, ლობიოს (გოლთ., თონ., მაწ.). ისეთია ყანები, სუ აშუ-შულიაო იტყვიან (თონ.), „სიმინდი აიშუ შაო“ (მაწ.), ამის გამო თავთავი და მარცვალი ბეტი (ჩხ., ბგვ., მაწ., სადრ.) || ფ შ ი ტ ი (წვრილი, გამოფიტული) (კლდ.) გამოდის. მაზიანებელი ამინდისაგან მოცდენილ ყანაზე, თავთავზე ან პარკოსან მცენარეებზე იტყვიან აგრეთვე ამ შეუღლიაო (ბგვ.). აშუღლის სინონიმებია: მ შ ი ე რ ი (თონ., ჩხ.), წ ვ რ ი ლ თ ვ ა ლ ი (ფარცხ.) და ა შ რ ე ტ ი ლ ი (გოლთ., ჯორჯ., სადრ., ჩხ., ენავ.). („აშრიტა ქარმა თავთავი“. ჯორჯ.; „მზემ აშრიტა ლობიო“. ჯორჯ.; „პური აიშრიტა, არ მოვიდა, სუ აშრიტელია“. გოლთ.), ანუ მ ო შ რ ე ტ ი ლ ი (თონ.) („პური ყვავილში მოიშრიტაო“. თონ.). იციან წყევლა: „შენ კი მოიშრიტეო!“ (მოისპეო), ანდა მუქარა: „აბა გაბედე, ისე მოგშრიტო, რომა!“ (თონ.). სიცხე და ქარი რომ მოასწრაფებს მოუსვლელ თავთავს („ქირანხული რო მოვა და ქარები რო აუდგება და შუშამს, იმას ეტყვიან მოასწრაფაო“. ჯორჯ.), იტყვიან აგრეთვე: თავთავმა აიოდაო (აიოდაო, ამბობენ წვრილფეხზეც, ფრინველებზეც). გვალვისაგან დამწვარ მოსავალს მოტუსუს და მოხახუსაც ეძა-



ხიან: „მინდორში სუ მოტუსულია ყველაფერი უწყლობითაო“ (თონ.), ან კიდევ: „ყველაფერი მოიხაზა უავდრობითა, დავრჩით მოხაზულებითა“ (თონ.).

დიდი გვალვის დროს ყანებში გამოდის გუ და ფ შ რ უ კ ა (<გუდაფშუტა), რომელიც აფუტებს ყანას, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ყვავილშია („პური ყვავილში მოიშრიტება, როცა გვალვაა და გუდაფშრუკა გამოვა“. თონ.). გუდაფშუტანარევი პური თალხი გამოდის („გუდაფშრუკა ჰაერმა იცის, როცა პეტისმეტ გვალვას დაიჭერს, — შავათ არი გამოსული სოკოსეფა, რო გასრესამ, როგორც შავი ნაცარი, ისეა“. თონ.).

ძალიან თხელი ყანის შესახებ იტყვიან: თ ა ვ თ ა ვ ი ა ქ ა ი კ ი ვ კ ი ვ ე ბ ს ო (პ. თონ.). მოცდენილ ყანაზე ამბობენ: გ ა მ ქ რ ა ლ ი ა ყ ა ნ ა ო (თონ.). თუ ნათესი ისე გახმა, რომ ავდარი ველარ უშველის, იტყვიან: ყ ა ნ ა (ლო ბ ი ო, ...) გ ა ბ რ უ ნ დ ა ო.

ძალიან გაბატივებულ მიწაში („ნანხვზე“) დათესილი ან ძალიან სქლად დათესილი („ხშირი რთა“) ყანა, პამიდორი და სხვა მცენარეულიც ა ჩ ო ყ დ ე ბ ა — ძალიან მაღალი, სუსტლეროიანი აიზრდება და ნაყოფი კი მოუცდება, „თავი თავს ათამამებს და ნაყოფ არაფერ გამიიღებს“ (სადრ.). ასეთი ყანა წ ა ი ჩ ე ხ ე ბ ა, წ ა ი ქ ც ე ვ ა, ჩ ა ი ქ ე ლ ე ბ ა ხოლმე. ამგვარ მოსავალზე იტყვიან აგრეთვე: ა ი ჩ ა ლ ა ო (ჯორჯ., ბგვ., თონ., ფარცხ.). „აჩალვა“ მარტო პურეულზე ითქმისო¹² (ჯორჯ.). ა ჩ ა ლ ვ ა ა შ რ ე ტ ი ს სინონიმითაა („გვალვამ სუ აჩალა თავთავი“ 'მარცვალი დაუშრიტა'. თონ.; „მარცვალი რო არ უსრულდება, ეგ არი აჩალვა“. ჩხ.; „გვალვა როა, აჩალება ყანა“. მაწ.).

მოსავალი, ყვავილი ან სხვა მცენარე რომ გალადდება, ე. ი. ყლორტები რომ ძალიან გაუზრდება და გაუხშირდება, იტყვიან ა ყ ვ ე რ დ ა ო („როგორ აყვერებულა ჩვენი ვარდი“. მაწ.; „მეაუნა აყვერდა“. მაწ.).

მცენარე თუ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს დაკარგავს და ახალს შეიძენს, გ ა დ ა ჯ ი შ დ ა ო იტყვიან („როგორღაც გადაჯიშებულა იქაური ცოცხი, უფრო მაღალია, ყვავილიც სხვანაირი აქ“. თონ.). გ ა დ ა ჯ ი შ ე ბ ა ნიშნავს აგრეთვე სასარგებლო თვისებების დაკარგვას, გადაგვარებას. გადაჯიშდება ყველაფერი: თესლი, მოსავალი, საქონელი („ჩვენი კარტოფილი გადაჯიშდა, გაბერწდა“. მაწ.; გადაჯიშება არის „კარგს რო დათესამ და ცუდი ამოვა, საქონელი რო აღარ გასარგებლებს, აღარც იწველის“. ჩხ.; „რო გადაგვარდება, რალა... კაი საქონელი რო წაიყვანო უხეირო ბუღასთან, უხეირო საქონელი ჩამოვა“. გოლთ.).

სქლად ნათეს სიმინდს პირველ გათონხაზე გ ა ა თ ხ ე ლ ე ბ ე ნ (ჯორჯ., მაწ.) ანუ შ ე ა თ ხ ე ლ ე ბ ე ნ (ზედმეტ აღმონაცენს ხელით ან თხით მოაშორებენ, გამარგლიან), რადგან „ერთად რო არი, არა გვარობს“ (ჯორჯ.) ა თ ხ ე ლ ე ბ ე ნ ზოგიერთ ბოსტნეულსაც. სიმინდს (კარტოფილსაც) მეორე გათონხაზე შ ე მ ო უ ყ რ ი ა ნ ან შ ე მ ო ა ყ რ ი ა ნ (ირველივ მიწას აუბეჭებენ) ხოლმე (ჯორჯ., ტბ.). ადგილობრივი მთიულები და რაჭველები ამას შ ე მ ო ყ ე ლ ვ ა ს ეძახიან: შ ე მ ო ვ ყ ე ლ ო თ ო (მაწ.) ან შ ე მ ო უ ყ ე ლ ო თ ო („შემოუყელოთო“, რაჭველებმა იციან“. ჯორჯ.).

არახელშემწყობი ამინდის გარდა, ნათესის მტერია მინდვრის თავიცი. კარგი მოსავალი თავგმა რომ არ დააზარალოს, ჯეჯილებში სოროებს კენჭებით ამოავსებენ, ან ჩ ა ქ უ ს ლ ა ე ე ნ (ფეხით ჩატკეპნიან) (ტბ.), რომ თავი ველარ ამოვიდეს, — ამას ს ო რ ო ე ბ ი ს ჩ ა ქ ე ლ ვ ა ს (თონ., ჩხ., მაწ., ფარცხ.)

¹² შდრ. „ყანა, ლობიო, სიმინდი არ მოვიდა, აჩალა“ (ჯორჯ.).



(„თავის სიბრძნე ჩაუქლამდით კენჭებითა, — ავღარი თუ იქნებოდა, დიდი თოვლი, — თითონ ამოიხიზნებოდნენ“. თონ.) ან სიბრძნის დაბრძანებებს (გოლთ., ფარცხ.) ეტყვიან. სიბრძნის დახვეწას და ქალკადაც¹³ ეძახიან (გოლთ.) („თავის სიბრძნე დაეჭულათ, როცა ბრიგადელი დაგვიძახებს“. გოლთ.). ყანის ერთ-ერთი მტრის, ჩიტების დასაფრთხობად ყანაში აკეთებენ საფთხურს (ტბ.). ჩიტების მოსაშორებლადვე იციან ჩიტიფაფობა: „... შავ ორშაფათს (ყვერიელში) სიმინდისა, გინდა პურის ფქვილის ფაფას გააკეთავენ, შიგ ჩადებენ ერბოსა, გაიტანენ და ღობებზე, ნაფოტებზე, კრიშაზე ცოტ-ცოტას დაასხამდნენ ჩიტებისათვის, რომ ჩიტებმა ყანები არ გაგვიფუჭონო, თანაც ვიტყვით ხომე:

— დედავ, დედავ რას აკეთამ? — ჩიტი ფაფასა. — ჩიტები სად არიან? — მტრისა ყანასა (მეორე ვარიანტი: სხვითა ყანასა), ეგრე რომ ვიტყვი, ვითომ სხვის (მტრის) ყანას მოსძუენ“ (თონ.).

ყანებისა და ყორღლების მეთვალყურეს მეველე ერქვა. წლის ბოლოს მეველეს თავის გასამრჯელოდ დლიურზე ერთ ჩანახ პურს (10 გირვანქა იყო) უხდიდნენ, რასაც სამეველო ეწოდებოდა (ჯორჯ. ჩხ., ტბ., მაწ.). გაძობებული მამულის სანახლად ჯარიმა იყო. „თუ მეველე ვერ იპოვიდა მძებელსა, თითონ ხდილობდა ჯარიმასა“ (ჯორჯ.). ზარალის ღირებულებას წანახედი (<წანახდენი) ეწოდებოდა („წანახედს იტყვიან, აი, საქონელი რომ წინახულს გააფუჭებს, მივალის (მთ. 'მივა') კომისია და აქტს შეადგენს: წანახედი(სა) გადაეწყვიტეთ ამდენით“. (მაწ.) მეველეს შეეძლო პირადად დაესაჯა მზარალბედი საქონლის პატრონი (უფრო ახალგაზრდებს სჯიდნენ ამგვარად): თუ მწყემსი ყანაში პირუტყვს შეუშვებდა, მეველე ხალათს წაართმევდა, ქამარს შემოხსნიდა და ტანისამოს ხვეწის შემდეგ უბრუნებდა. ამას გატიტვლებას ეძახდნენ (ჩხ., მაწ.), მეველემ გაატიტვლო იტყოდნენ.

მოუსავლიან წელიწადს (მ)სუბუქსუმიბუქ წელიწადს უწოდებენ (თონ., ჩხ.). წრეულ ძალიან სუბუქი წელიწადიაო. იტყვიან (თონ.) ან: სუბუქმა წელიწადმა გაიარაო (ჩხ.). (მ)სუბუქი წელიწადი. უთოვლო წელიწადსაც ნიშნავს. საპირისპიროა მძიმე წელიწადი, რომლის ზამთარიც დიდთოვლიანი და ზანგრძლივი სუსხიანი ამინდებით აღინიშნება (მაწ.).

შემოკლებათა ზახსნა

ბგვ.	—	სოფ.	ბოგვი	ჯორჯ.	—	სოფ.	ჯორჯიანული (ყოფ. დიდი ენაგეთი)
გოლთ.	—	"	გოლთეთი	მთ.	—	"	მთიულური კილო
ენაგ.	—	"	ენაგეთი	რაქ.	—	"	რაქული კილო
თ. წყ.	—	"	თეთრი წყარო	ქართლ.	—	"	ქართლური კილო
თხს.	—	"	თონეთი	გლ.	—	"	ქართული ენის გამარტებული ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I—VIII, 1950—1964.
ქლდ.	—	"	ქლდისი	საბა	—	"	სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შალისის რედაქციით, ტფილისი, 1928.
მაწ.	—	"	მაწვეანი				
პ. თონ.	—	"	პატარა თონეთი				
სალრ.	—	"	სალრამევი (ყოფ. არაშენა)				
ტბ.	—	"	ტანისი				
ფარცხ.	—	"	ფარცხისი				
შავს.	—	"	შავსავდარი				
ჩხ.	—	"	ჩხაყეთა				

¹³ ჩაწერილი გვაქვს აგრეთვე მთ.: მოქოლავს (მოხურავს) („ქარები მოქოლეს“ ტბ.); შდრ. მოქოლვა (საჯის ძირის დაფარვა წყალში არეული ნაცრით, რომ გამოსაცხობი ლევაში არ დავიწვას) (ჯორჯ., მაწ.).



თემა ვერძოვა

კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მითის
ინფორმულ-კავკასიურ ენაში

კაუზატივის, როგორც ზმნის მორფოლოგიური კატეგორიის, ჩამოყალიბება დაკავშირებული უნდა იყოს ზმნის პოლიპერსონალიზმთან. ეს კი იმაში მდგომარეობს, რომ პოლიპერსონალურ ენებში კაუზატივის წარმოება სინთეზურია — კატეგორიის მაწარმოებელი მორფოლოგიური ელემენტი ზმნის ფუძეში გვხვდება; მონოპერსონალურ ენებში კი კაუზატივის წარმოება აღწერიითია (ეს დებულება ვრცელდება ჩვენთვის ცნობილ ყველა ენაზე); ე. ი. ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურში, როგორც პოლიპერსონალურ ენებში, კაუზატივის სინთეზური წარმოებაა ნიშანდობლივი, დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებში კი ანალიზური წარმოება.

კაუზატივის წარმოება ძველ ქართულში

ძველ ქართულში კაუზატივი მკვეთრად ჩამოყალიბებული ზმნური კატეგორიაა. იგი ჩვეულებრივ გვხვდება გარდამავალ სამპირიან ზმნებში. ეს გასაგებობაა, რადგან ამ კატეგორიის არსი გულისხმობს სამი პირის — სუბიექტის, ირიბი და პირდაპირი ობიექტების — მიმართებას: სუბიექტი აიძულებს ირიბ ობიექტს იმოქმედოს პირდაპირ ობიექტზე.

კაუზატივის წარმოება ძველ ქართულში ნაწილობრივ ემთხვევა სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში არსებულ მდგომარეობას. ადგილი აქვს სხვაობასაც. ძველი ქართული კაუზატივის მაწარმოებლად იყენებს -ევ სუფიქსს, შედარებით იშვიათად -ინ-ს; -ევიან სუფიქსი უცხოა, როგორც კაუზატივის მაწარმოებელი. მაგალითები:

„ყავ რააცა გნებას რ“ შენ თანა არს ეშმაკი, რი გაქმნევს მგას“ (კიმ, I, 145,18). „რამეთუ უჯროსა გუაქმნევლა ჩუენ ჰამანი“ (ესთერ. 8). „რომელსაცა სული ათქუ შევლა“ (მარხ. 86ა). „აღდეგ და გამოუცხადე თაგი შენი მათ რამთა გულისქმა-ყონ ძალი მისი, რომელი აქმნევს მათ ეშმაკი ბოროტსა“ (აპოკრ. 35, 38). „და ვითარცა ვერარაბ სხუად ათქუ მია მამინ ჰრქუა მას პატრეაქმან: წამოდევ და წირე დღეს ეამი“ (ლიმონარი, 67,8). „უბრძანა მეფემან და შეაქმნია ლესკუშად ოქროსად და ვეცხლსად“ (კიმ, I, 165, 10). „ნუუკუე გაქმნიოს ბოროტი“ (მარხ. 3, 30). „და იგი არს მამად ჩემი და დედად ჩემი, რომელმან მაქმნიოს მე საქმეჲ კეთილი“ (ქრისტინა, 185,19). „მამინ დაჯერის მათ და ათქუ მიის ესევითარი და მსგავსი ამასი მრავალი“ (სწავლ. 46,17). „... და თვისა მონასტრისა, ბარალამ წმიდისათვის და აწერინა და წმიდასა ამას ბერსა ღიდად ჰატეე უპყრა“ (ლიტ. ქრესტ., I, 206,44). „და მოაღებინა ნაგვეთაგან სკოლჲ მყრალი“ (ბალავარ. 43,7). „მოვიდა მიქაელ და წარმოგადგინა შენ და თაყუანის გაცემინა შენ ღმერთსა“ (ლიტ. ქრესტ., I, 5,21). „და ოდეს მოუწოდა მიქაელ და ყოველთა თაყუანის გაცემინა...“ (ლიტ. ქრესტ., I, 5,24). „რამთამცა ყოველნი კაცნი თაყუანის აცემინენს კერპთა“ (ლიტ. ქრესტ.,



I, 168,12). „კულად განაგდეს ბაღს და შეიყენეს კაცი და თაყუანის ვაცემინეს ცეცხლსა“ (ლიტ. ქრესტ., I, 168,15). „და თაყუანის ვაცემიე იგი პატოსანსა ჭუარსა...“ (ლიმონარი 51,5).

კაუზატივის მაწარმოებლად -ინ-ის გამოყენების შემთხვევები სულ შეიდი მაგალითითაა დადასტურებული. აქედან — ხუთი ერთი და იმავე რთული ზმნის ფუძიდან. -ინ-თან შედარებით -ევ სუფიქსის გამოყენების არე უფრო ვრცელია.

ქართული დიალექტებიდან ხევსურული (ნაწილობრივ გურულიც) ძველ ქართულს უახლოვდება. აქ კაუზატივის მაწარმოებლად ჩვეულებრივია -ევ (რაც უცხოა ბარის დიალექტებისათვის), -ინ-ის ხმარება შედარებით შეზღუდულია, -ევინ კი საერთოდ არ გვხვდება. მაგ.:

„უძახებდ თავის ამხანივ ეშვავს, დაამკევდ ყანათ“ (ხევს. 21,21). „დასტურქლოსნებ სრუ იმის ცდაში არიან, რა ათქმვივან რაჲ (ხევს. 9,20). „თუ დალაქა, მაშინ ის ჯრუმს გადააქდევს“ (ხევს. 12,9). „თვერ დაარტყით კარქათო, მაშინ იმასაც კი დამარტყმიეთ, რომელცხაია დასარტყელი“ (გურული, 425,6 ჭკ).

ბარის დიალექტები კაუზატივის მაწარმოებლებით სალიტერატურო ქართულს უახლოვდება. ამ დიალექტებში კაუზატივის მაწარმოებელი სუფიქსია -ინ და -ევინ. მაგალითები:

„რკინის დუქარდი გააკეთებინე“ (ქართლ. 283,1). „ჯალათს თავი უნდა გაგადებინოთ“ (ქართლ. 326,32). „იმ ქალმა ერთი წყარო გააკეთებინა, იმ წყაროს თავზე თავის ჭურათი დააკიდებინა“ (კახური, 187,15—16). „ორთავ ხელებში მამაგდებინა შენი თავი და გაჩვენებ შენ სვირსაო“ (კახური, 188,18). „რაც შენ ოქრო-ვერცხლი გაქ, სულ ჩემ კოშკში ამაზიდინეო“ (კახური, 206,24).

-ინ სუფიქსით მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. იგი სალიტერატურო ქართულსა და ბარის დიალექტებში კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებლებს შორის ყველაზე პროლექტიული სუფიქსია.

რაც შეეხება -ევინ სუფიქსს, მისი ხმარება -ინ-თან შედარებით უფრო შეზღუდულია. იგი გვაქვს თითქოს მაშინ, როდესაც უშუალო გზის ფორმებში -ევ სუფიქსი დასტურდება, მაგ.:

„სუ თითით გვარჩინებენ თელს“ (ქართლ. 277,8). (ვარჩ-ევ — ვარჩ-ევინ-ებ).
 „დააღვინებს თავის დასა მზის ბირის ნაბანსა“ (ქართლ. 283,2). (ვლ-ევ — ვალ-ევინ-ებ).
 „წიხლი სდრუხა და კბილები ჩამატვრეინა“ (ქართლ. 302,38). (ვამტვრ-ევ — ვამტვრ-ევინ-ებ).

გვაქვს გამონაკლისები:

„... მოაჭრევეინებს ამ ჭინდარ“ (კახური, 196,19). (ჭრის — აჭრ-ევინ-ებ-ს)
 „... ძაღლებიც გადაახნვეინა“ (კახური, 203,8 ჭკ). (ხსნის — ახსნ-ევინ-ებ-ს) „... ორთავე თვალი დავათხრევეინე“ (ქართლ. 319,19). (სთხრის — ათხრ-ევინ-ებ-ს).

ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა ვეფხისტყაოსანი. როგორც გარდამავალი პერიოდის ძეგლში, მასში დაცულია ძველა ქართულის ნორმები, შესულია აგრეთვე ახალი; გვხვდება როგორც -ევ, ისე -ინ და -ევინ სუფიქსები:

„ისმენდი მიეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა,
 საუბართა და საქმეთა ვითა ძლიე ვათქმევ ენასა“¹.

¹ ყველა მაგალითი მოყვანილია ვეფხისტყაოსნის O (K—205) ხელნაწიდან.

„დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ ვერ ვიქნები შუა კვლად“.
 „თუ დარბაზს მივა იგი ყმა შეიღოთა დამაჰმევეს პირითა“.
 „მოვიდეს, გააშევიბინეს დიდი ხვარაშთა მფლობელი“.
 „გავგზავნე ყოვლით ლაშქარნი ალაფი ავალე ბინე,
 ერთობ საყენი მოვიდნენ თავიკა ვალადე ბინე,
 სისხლსა მებრძოლთა ჩემთასა მინდორი შევადებინე,
 არ ვბრძოლე კარი ქალაქთა უომრად გავალე ბინე“.
 „აღარ ვის მოვაქვლევინებ მეფე არს წაღმარაბული“.
 „ბუქსა იყრას აქნევი ნეთ ყოვლი საქმე ჩემგან ქნელი“.
 „მან ათქმევინოს ნუთუ რა, ჩვენცა ეცნათ გაცხადებელი“ და სხვ. მრავალი.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ნათელია, ძველ ქართულში (პარალელურად დიალექტებსა და ვეფხისტყაოსანში) კაუზატივის მაწარმოებლად გვხვდება -ევ-, -ინ-, -ევი აფიქსები. ძველი და საშუალო ქართულისათვის და მთის კილოებიდან ხევსურულისათვის (ნაწილობრივ გურულისთვისაც) ჩვეულებრივია კაუზატივის მაწარმოებლად -ევ-, შედარებით ახალი ჩანს -ინ და -ევი. ამას სათანადო მაგალითები გვავარაუდებინებს. ბარის დიალექტები სალიტერატურო ქართულის მსგავსად იყენებენ -ინ-, -ევი სუფიქსებს.

როგორც ვიცი, ქართული ავლუტინაციური ტიპის ენაა; მასში თითოეული მორფოლოგიური ნიშანი გარკვეული ფუნქციის მქონეა. ერთ აფიქსს ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება ერთზე მეტი დანიშნულება ჰქონდეს ან, პირიქით, ერთი კატეგორიის საწარმოებლად ორი და მეტი აფიქსის გამოყენება მეორეული მოვლენა². ამიტომაც კაუზატივის კატეგორიის განიღვისას ისმება კითხვა: რას უნდა გამოეწვია მაწარმოებელთა სიმრავლე? როგორი სახე ჰქონდა ამ კატეგორიის ჩამოყალიბებისას? რომელი მაწარმოებელია სპეციფიკური, თავდაპირველი?

ზემოთ მოყვანილი მაგალითების ანალიზისას ცხადია, რომ კაუზატივის კატეგორიის წარმოებაში სუფიქსებთან ერთად არანაკლებ როლს ასრულებს პრეფიქსი. ეს იმაში მდგომარეობს, რომ პრეფიქსის (კერძოდ ა- პრეფიქსის) გარეშე კაუზატიური ზმნა არ გვხვდება. პრეფიქსის როლი ამ კატეგორიის წარმოებაში არ უნდა გამოვრიცხოთ (როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული).

ამ შემთხვევაში ჩვენ არ შეიძლება არ მოვიშველიოთ ქართველური ენებზე და არ გავავლოთ პარალელი კაუზატივის კატეგორიის წარმოებასთან ამ ენებში. მაგალითები:

ზანური: რ-ზუმ-ავ-ამ-ს	ქართ. ა-ზომ-ე-ინ-ებ-ს
რ-კვათ-ავფ-ამ-ს	ა-ჭრ-ეე-ინ-ებ-ს
რ-თას-ავფ-ამ-ს	ა-თეს-ე-ინ-ებ-ს
სვანური: ზ-მ-ჰმ-უნ-ე	ქართ. ა-თიბ-ე-ინ-ებ-ს
ზ-მ-ჰლ-უნ-ე	ა-ხლ-ეე-ინ-ებ-ს
ზ-მ-გმ-უნ-ე	ა-შენ-ებ-ინ-ებ-ს

ზანურისა და სვანურის კაუზატიურ ზმნებში ა- პრეფიქსის კანონზომიერი შესატყვისი ხმოვანი დასტურდება. ქართველური ენების კაუზატიურ ზმნებში კანონზომიერი შესატყვისობა სწორედ პრეფიქსებში დგინდება. ზანურში ამ კატეგორიის მაწარმოებლად სუფიქსთან ერთად პრეფიქსიც არის აღიარებული³.

² არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. 1, თბ., 1950, გვ. 031.

³ არნ. ჩიქობავა, ზანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 157.



ჩენი აზრით, არაფერი შეუშლიდა ხელს, თუ ასეთივე მაწარმოებლები (ე. ი. პრეფიქს-სუფიქსი) იქნებოდა გამოყოფილი ქართულსა და სვანურშიც. შესატყვისობის თვალსაზრისით სუფიქსები გვიჩვენებენ მკვეთრ გადახრას, რაც უნდა მეტყველებდეს მათ მეორეულობაზე.

ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას იძლევა ძველი ქართული ენის ძეგლების განხილვა. ძველ ქართულში კაუზატივის პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების გვერდით გვაქვს მარტივი, ოდენ პრეფიქსული კაუზატიური ფორმები. ძველი ქართლისათვის ოდენ პრეფიქსული წარმოება გვეჩვენება უფრო ნიშანდობლივი და სპეციფიკური (რაოდენობრივადაც ეს წარმოება გაცილებით სკარბობს პრეფიქსულ-სუფიქსურს). ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს როგორც კონსტრუქციით, ასევე შინაარსით წმინდა კაუზატიური ზმნები. მაგ:

„და გამორჩილნა მდინარენიცა ქრისტემან, ღმერთ-შემოსილო დიდო თველსი“ (მოღრ. 221,4). „და დედამან ფებრონია შეაწყნარა წმიდასა მას უმანკოდ იფკრავი მწყემსსა მას კეთილსა“ (ხანძელის ცხოვრ. იმ, 25). „... და თანა კაცი წარმოაყვანნა შესასწავლად“ (ხანძელის ცხოვრ. იგ, 6). „ხოლო მეფე განმზიარულდა სიტყუათაგან ნეტარისა გრიგოლისთა და ფრიადი სარწმუნოება და სიყუარული დაამტკიცნა გულსა მისსა უდაბნოთა მიმართ კლარჯეთისათა...“ (ხანძელის ცხოვრ. კე, 21). „ხოლო მან სიმდაბლით დაარწმუნა წმიდასა მას თავისა თვისისა სწავლად სწორად სხუათა მათ მამათა“ (ხანძელის ცხოვრ. მ, 1). „და განაილდ მოახილვა ყოველსანაზე ხანძოსიას“ (ხანძელის ცხოვრ. მ, 37). „ხოლო მონაზონი იგი ამა მოდისტოს, რომელი წარველინა ბატრიაქსა შეკრებად ბერქენთა ლაშქრისად, რათა შემწე გეყენჭირსა მათსა, დააჭერა მათ მოსლვამ“ (წარტყ. იერუს. იე, 8). „ქალსა ვის-მე საწვალობელსა, რომელსა იგი მათ დღეთა ოდენ ეშვა ყრმაჲ, აღუტუეს ფასი და დაარწმუნეს მას, რათა შეასმინოს იგი მეფისა“ (წარტყ. იერუს. ნდ, 23). „და მოციქული იტყუ: „ყოველივე დაემორჩილოს ქრისტესა, გარნა მამამ რომელმან დაამორჩილა მას ყოველი (სახსწ აღუტუმისაჲ, 346,9). „ესრეთ ღირს იქმნა ნეტარი გრიგოლი მადლსა მოციქულობისასა და ერნი აურაცხელი მოსტაცენა ეშმაკსა და შეაწყნარნა ქრისტესა“ (კიმ. I, 131,34). „სპარსნი და არაბნი მან მოაქცინა ცეცხლისა მსახურებისაგან და ღმერთსა შეაწყნარა“ (ლიტ. ქრესტ., I, 236,34). „რამეთუ თავისუფალ ვიყავ ყოველთაგან და ყოველთა თავი ჩემი დავამონე, რამათა უბრაულენსი შევიძინე (I კორინთელთა მიმართ, 9,19). „მონაზონებითა დაამორჩილე მას გონება (მოღრ. 223,34). „სულსა დაამონე განზრახვაჲ ქორცილამ“ (მოღრ. 222,40). „განდგომენნი დაამორჩილნა მამასა“ (მოღრ. 392,21). „... ვითარმდ ძილსა დაეპყრენით და ძილი საუკუნოჲ და გუაძინოს ჩუენ“ (სინური მრ. 153,3). „... დაამონებს თავსა თვსსა დედათა“ (მამათა სწავლ. 110,26). „აწ ოლეს ესე გულისკმა-ვიყოფეს, დააჭერე სულსა შენსა მოთმინება (მამათა სწავლ. 12,35).

აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ ამავე ძეგლიდან მეორე მაგალითი, რომელშიც არ ჩანს გაშუალებული მოქმედება. ეს ზმნა ორპირიანი, უშუალო გზის:

„აწ უკუე ისწრაფე, რომელ დააჭერო ღმერთი და არა კაცი“ (მამათა სწავლ. 10,13). (შემთხვევითი არ უნდა იყოს ორპირიანი გარდამავალი (უშუალო გზის) და სამპირიანი კაუზატიური ზმნის ფორმების დამთხვევა).

„შეაძრწუნე წყალთა ბუნებაჲ, უფალო, მოსლვითა შენითა“⁴ (მოღრ. 199,28). „და მათ აიძულეს რა დასჯდეს საშუალ მათსა და დიდითა ვედრებითა დააჭერეს

4 საინტერესოდ მიგვაჩნია ამ წინადადების პარალელურად შემდეგი წინადადებების განხილვა: „მამამ შენმან შეაძრწუნა ქუესენელი“ (მოღრ. 385,37). „ვერ შეგაძრწუნა ნეტარო იაკობ სიქადელმან“ (მოღრ. 331,17).

მაგალითები მოყვანილია ერთი და იმავე ძეგლიდან. ზმნები ფორმის თვალსაზრისით ერთ-

ყოფად ესე“ (Q—16, გვ. 5). „მცირეთა ყრმათა და ასწავლნა ზებირით ფილოსოფოსთა ძმელთა წიგნი (Q—15, გვ. 3). „ხ“ მე ვითარცა ვხედავ არცაღა თავი თვისი ვიყუარს. უგონურებითა შენითა რამეთუ მოაძულე იგი სულსა წმიდასა“ (ი. ბოლნელი, 83,29). „კურთხეულ არს უფალი, რომელმან დაგამტკიცა შენ ღლეს-შვილებაა წოდებად სახელი შენი ისრაჲლსა შოვრასა“ (რუსთ. 4,14) და სხვ.

მაგალითები ვეფხისტყაოსნიდან:

- „სამეფოსა ვაპატრონოთ სახელმწიფო შევანახოთ.
- არ ამოვწყდეთ მტერთა ჩვენთა ზრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ“ (O (K—205)).
- „ერთმანეთსა შეგამეცნე თავი შენი შეგაყუარო“ (M(Q—1075)).
- „თავი ჩემი სამსახურად თუცა ავად მოგაწონე“ (M(Q—1075)).
- მოუკოცნე ყოვლი ასო თავი ამად მოვაძულე“ (M(Q—1075)).

ვეფხისტყაოსანში კაუზატივის ოთხივე მაწარმოებელი დასტურდება. როგორც გარდამავალი პერიოდის ძველი, რომელშიც ერთმანეთის პარალელურადაა მოცემული როგორც სახელის, ასევე ზმნის ძველი და ახალი ფორმები, ამ მხრივაც მეტად ანგარიშგასაწევია.

ამრიგად, ძველ ქართულში კაუზატივის წარმოების ორი ტიპია ნიშანდობლივი: ოდენ პრეფიქსული და პრეფიქსულ-სუფიქსური, სადაც პრეფიქსი უცვლელია, სუფიქსებად კი განსხვავებული ოდენობებშია გამოყენებული. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აგლუტინაციური ტიპის ენისათვის ასეთი მოვლენა მეორეულია. ერთი კატეგორიის აღსანიშნავად ნიშანდობლივია მხოლოდ ერთი მაწარმოებელი. მაწარმოებლის გართულება სუფიქსებით შემდგომ პერიოდს ეკუთვნის.

კაუზატივის პრეფიქსული წარმოება ქართული ენის ძირითადი და ამავე დროს არქაული ფენის კუთვნილება უნდა იყოს. ეს ფენა აკავშირებს ქართულს სხვა ქართველურ ენებთან. ამას ის გვაგარაუდებინებს, რომ პრეფიქსი გვხვდება ამ კატეგორიის დამოუკიდებელ მაწარმოებლად, ჩვეულებრივია სუფიქსებით წარმოებისასაც და, რაც მთავარია, ქართველურ ენებში საერთო კანონზომიერება კაუზატიური ფორმების წარმოებისას, სწორედ პრეფიქსებში დგინდება. რაც შეეხება სუფიქსებს, მათი მეორეულობა თითქოს ექვს არ უნდა იწვევდეს. კაუზატივის ფუძის გართულება სუფიქსებით შეიძლება უკავშირდებოდეს აწმყოს ფუძის ჩამოყალიბებას.

კაუზატივის წარმოება ადიღეურსა და აფხაზურში

ადიდურში კაუზატივის მაწარმოებელია ღ- პრეფიქსი. ღ- პრეფიქსის საშუალებით ორპირიანი გარდამავალი ზმნიდან იწარმოება სამპირიანი კაუზატიური ზმნა, რომელშიც მოქმედებს ორი სუბიექტი: უშუალოდ მოქმედი და ხელმძღვანელი. მაგალითები:

მანეთს ემთხვევა, განსხვავება პირებშია. ორივე შემთხვევაში ზმნა გარდამავალია; პირველ შემთხვევაში — სამპირიანი, კაუზატიური; ორ დანარჩენ შემთხვევაში — ორპირიანი, უშუალო გზის. ასეთი შემთხვევები არაა იშვიათი ძველ ქართულში. თვით ფაქტი მეტად ანგარიშგასაწევია.

შენიშვნა: „ღაარწმუნა“, „შეადრწუნა“ ფორმებში —უნ სუფიქსს ვერ გამოვყოფთ, როგორც კაუზატივის მაწარმოებელს, რადგან ის პასიურ ფორმებშიც დასტურდება „შეპრწუნდა“, „ღარწმუნდა“ (ლ. კიკნაძე). აქ კაუზატივის მაწარმოებელია პრეფიქსი.

5 ამ მაგალითთან დაკავშირებით ავ. შანიძე იქვე აღნიშნავს: „მოსალოდნელი იყო: «ღა-გომტკიცა, ან არა და «ღაგამტკიცა» ზმნა სამპირიან ფორმად უნდა გავიგოთ». ამ ზმნის სამპირიანი ფორმები ძველ ქართულში დასტურდება; იხიან კაუზატივის შინაარსის მატარებელნი არიან.

- აშ არ აშ-დშ—ის მას ამბობს.
 აშ აშ არ რ-აშ - ღა- დშ—ის მას მას აამბობინებს.
 აშ არ აშ-შბ-ღ—ის მას ჭამს.
 აშ აშ არ რ-აშ-ღ-შბ-ღ—ის მას მას აქმევს.
 აშ არ აშ-თბ-ღ—ის მას წერს.
 აშ აშ არ რ-აშ-ღ-თბ-ღ—ის მას მას აწერინებს.
 აშ არ აშ-შშ—მას ის მიყავს.
 აშ აშ არ რ-აშ-ღ-შშ—ის მას მას (წა)აყვანინებს.

აფხაზურში კაუზატივის კატეგორიას აწარმოებს რ- პრეფიქსი. იგი მარტივი ფუძის მქონე ზმნებში მუდამ პრეფიქსად გვევლინება; რთული ფუძის ზმნებში კი ხან ჩართულია ძირის წინ რთულ ფუძეში, ხან კიდევ, მარტივი ფუძის მქონე ზმნათა მსგავსად, მთელი ამ რთული ფუძის წინაა წარმოდგენილი. მაგალითები:

- ა-რ-ემ-რა—სმევა (ალევიებს).
 ა-გო-რ-ფხ-არა—მოწონება (აწონებს).
 ა-რ-ყაწარა—გაყეთება (აყოთბინებს).

პირველი მარტივი ფუძეა, მომდევნო ორი კი რთული. პირველ შემთხვევაში კაუზატივის პრეფიქსი წესისამებრ ფუძის წინაა მოქცეული, მეორე მაგალითში რთული ფუძის შიგნით. ამ წესს რამდენადმე არღვევს მესამე მაგალითი, რომელშიც კაუზატივის რ- პრეფიქსი მარტივი ფუძის მქონე ზმნათა მსგავსად თავში დაერთვის. რთული ფუძის მქონე ზმნებში ასეთი წარმოება შედარებით ახალი მოვლენაა.

ადილეთურში კაუზატივის მაწარმოებელი ღ- პრეფიქსი დაისმის ძირის წინ და ფუძეში შედის. ქართული ენის მსგავსად აქაც პირის ნიშნები ყოველთვის კაუზატივის მაწარმოებლის წინაა მოქცეული. მაგალითები:

- სშ ტშ არ ტშ-ს-შ-ღ-ა-დშ—მე შენ მას გაამბობინებს.
 სშ ტშ აშ ტშ-ს-ღ-ა-შშ—მე შენ (თავს) მას წააყვანინებს.
 ტშ სშ არ სშ-ჟ -ღ- ღშ—შენ მე მას მაკერინებს.
 აშ აშ არ რ-აშ-ღ-თბ-ღ—ის მას მას აწერინებს.

თუ კაუზატიური ზმნა იწარმოება რთული, პრევერბიანი ზმნიდან, მაშინ ხდება კაუზატივის მაწარმოებლის ინფიქსაცია, ე. ი. კაუზატივის მაწარმოებელი ყველა შემთხვევაში ძირის წინაა მოქცეული. კაუზატივის მაწარმოებელი ჩაჯდება საწარმოებელი ფუძისა და სიტყვის მაწარმოებელ პრევერბს შორის. მაგალითები:

- აშ არ გ-ღ-შშ-შთ—წაიყვანს; აშ აშ არ რ-ი-ღ-შშ-შთ—წააყვანინებს.
 აშ არ ჯ-აშ-ჰშ—შეაქვს; აშ აშ არ ხ-ღ -რ-აშ-ღ-ა-ჰშ—შეატანინებს.

კაუზატივის მაწარმოებელი ღ- პრეფიქსი არაა სპეციფიკური მხოლოდ და მხოლოდ კაუზატიური ზმნებისათვის. ღ- პრეფიქსით იწარმოება აგრეთვე გარდაუვალი ზმნიდან (როგორც ერთბირიანი, ისე ორ- და საპირიანი ზმნიდან) გარდამავალი ზმნა. ეს დებულება შეიძლება განვსოგადოთ: ღ- პრეფიქსით ნაწარმოები ყველა ზმნის ფორმა გარდამავალია. მაგალითები:

- არ მა-ზიზ—ის ხარშავს (ხარშავს ეწვევა).
 აშ არ ძა-ლა-ზ, იზ—ის მას ხარშავს.
 არ შა-ტესუ—ის ჯდება.
 აშ არ ძა-ლა-ტესუ—ის მას სევას (რგავს).
 არ შა-დუ—ის კერავს (კერავს ეწვევა).
 აშ არ ძა-ლა-დუ—ის მას აკერიწებს (საერთოდ).
 არ მა-ზ, ა—ის წვეავს (შეწევას ეწვევა).
 აშ არ ძა-ლა-ზ, ა—ის მას წვეავს.

გარდამავალ ზმნებს ვლბულობთ ჩვენ კაუზატიურობის ლა- პრეფიქსით სახელიდან (კერძოდ ზედსართავი სახელიდან) ზმნის წარმოებისას.

- ძა-ლა-დაზ ა—ალამაზებს (დაზა—ლამაზი).
 ძა-ლა-მაქაა—აბატარაებს (მაქაა პატარა, მცირე).
 ძა-ლა-სკაფა ა—ამართლებს (სკაფა—სიმართლე).
 ძა-ლა-ჟაბა—ათბობს (ჟაბა—თბილი).

აფხაზურშიც რ- პრეფიქსის ერთ-ერთი ფუნქციაა გარდაუვალიდან გარდა- მავალი ზმნების წარმოება. ამ ენაშიც კაუზატივის რ- პრეფიქსით ნაწარმოები ყველა ზმნის ფორმა გარდამავალია:

- ლაგალტ—დადა ის.
 ლარგალტ—დააყენა მან (მამაკ.) ის.

მართალია, ეს ზმნები კაუზატიურობის ლა- პრეფიქსითაა ნაწარმოებში, მაგრამ ასეთი ზმნის ფორმებს ჩვენ კაუზატიურად ვერ მივიჩნევთ, რადგანაც მათში გამოირიცხულია გაშუალებული მოქმედება. ზმნა ორპირიანია. ამდენად უშუალოდ მოქმედი სუბიექტი და სუბიექტი ხელმძღვანელი არ ივარაუდება. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ჩვეულებრივ გარდამავალ ზმნებთან: „Если же глагол, содержащий префикс ла-, требует лишь дополнения адыг. ла-ზ, ია-ნ, каб. ла-ვა-н „сварить“, то он является не каузативным, а транзитивным“⁶. იგივე აზრი ვრცელდება სახელიდან ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებზედაც: „...эти глаголы, образованные от именных основ с помощью аффикса ла- нельзя отнести к побудительным глаголам“⁷.

ასეთ ზმნებში გაშუალებული შინაარსის შესატანად და მათი ნამდვილ კაუ- ზატიურ ზმნებად საქცევად საჭიროა მეორე ლა- პრეფიქსის დართვა. მაგალითები:

- აშ არ ძა-ლა-ზ, ია—ის მას ხარშავს.
 აშ აშ არ რ-ძა-ლა-ზ, ია—ის მას მას ახარშეწებს.
 აშ არ ძა-ლა-ტესუ—ის მას რგავს
 აშ აშ არ რ-ძა-ლა-ტესუ—ის მას მას არგვეწებს.
 აშ არ ძა-ლა-ზ, ა—ის მას წვეავს.
 აშ აშ არ რ-ძა-ლა-ზ, ა—ის მას მას აწვევეწებს.

⁶ М. К у м а х о в, Морфология одыгских языков, Москва-Налчик, 1964, стр. 152.
⁷ იქვე, გვ. 157.



საქართველოს
მწერთა კავშირი

აშ არ მწ-ღმ-დაბ-ღმ — ის მას აღამაზებს

აშ აშ არ რ-მწ-ღმ-ღმ-დაბ-ღმ — ის მას მას აღამაზებინებს (სახელიდან დაბ-ღმ — ღამაში).

აშ არ მწ-ღმ-ღმ — ის მას ათბობს.

აშ აშ არ რ-მწ-ღმ-ღმ ღამაში — ის მას მას ათბობინებს (სახელიდან ღამაში — თბილი) და ა. შ.

ე. ი. კაუზატივის ღმ- პრეფიქსი გვევლინება ერთსა და იმავე დროს როგორც გარდაუვალადან გარდამავალი ზმნების მაწარმოებლად, ისე გარდამავალიდან კაუზატიური ფორმების საწარმოებლად. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კაუზატივის ღმ- მაწარმოებლით ნაწარმოები ყველა ზმნის ფორმა გარდამავალია. ამ ძირითადი თვისებით კაუზატივის აფიქსი ემიჯნება ყველა იმ სამიმართებო აფიქსებს, რომლებიც ამ ენას გააჩნია. კაუზატივის აფიქსი ამ სამიმართებო აფიქსებს შორის ერთადერთია, როგორც ამ ფუნქციის (გარდამავლობის) მატარებელი. ყველა დანარჩენს ზმნაში შეაქვს ირიბი ობიექტური პირი და ამდენად ზმნის გარდამავლობას არ ცვლის. „ყველა ორპირიანი (და სამპირიანი) გარდაუვალი ზმნა ნაწარმოები ფუძის მქონეა. ისინი იწარმოებიან ერთპირიანი (მარტივფუძიანი) გარდაუვალი ზმნისაგან სხვადასხვა სამიმართებო სიტყვაწარმოებითი აფიქსების საშუალებით. ასეთ აფიქსებს ზმნაში შეაქვს ერთი პირი, ჩვეულებრივ ირიბი ობიექტის პირი. სამიმართებო აფიქსებია ვერსიის, თანაობის, უნებურობის, კაუზატივის პრეფიქსები და აგრეთვე ზოგი პრეფერბი.

მაგ., აღილეური არ მაქაშ — ის მიდის — მარტივფუძიანი, ერთპირიანი გარდაუვალი ზმნისაგან სამიმართებო აფიქსების საშუალებით იწარმოება ორპირიანი გარდაუვალი ზმნა:

სწ აშ სუ-ქმ-ქმ — მე მისთვის მივდივარ.

სწ აშ სუ-ღმ-ქმ — მე მასთან ერთად მივდივარ.

სწ აშ სუ-ღმ-ქმ — მე მასზე ვიმარჯვებ — სიტყვასიტყვით: მე მასზე გადავდივარ⁸.

მაგრამ — სა არ სწ-ღმ-ქმ — მე მას ვგზავნი — ზმნა გარდამავალია, დაემტება პირდაპირი ობიექტის პირი. ანალოგიურია წარმოება ორპირიანი გარდაუვალი ზმნიდან: „კაუზატიური წარმოებით შეიძლება სამპირიანი გარდამავალი ზმნა მივიღოთ ორპირიანი გარდაუვალისაგანაც: აღილ. არ აშ მწ-ქმ. „ის მას უცდის“ (ორპირიანი გარდაუვალი): აშ არ აშ რ-მწ-ღმ-ქმ „ის მას მისთვის აცდევინებს“ (სამპირიანი გარდამავალი)⁹, ე. ი. კაუზატიურობის ღმ- არაა ტოლფასი ქცევის, თანაობის, უნებურობის კატეგორიების მაწარმოებლებისა.

ორპირიანი გარდამავალი ზმნიდან კაუზატიური ზმნის წარმოებისას ზმნა ერთი პირით მატულობს. ეს პირია ირიბი ობიექტის პირი. ერთი პირი ემატება ზმნას აგრეთვე ერთპირიანი და ორპირიანი გარდაუვალი ზმნის ფუძეზე კაუზატივის პრეფიქსების დართვისას, ოღონდ პირი — პირდაპირი ობიექტისა. ე. ი. ეს პრეფიქსები ერთ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტის შემტანია ზმნაში, მეორე შემთხვევაში ირიბის? რით უნდა ავხსნათ ფაქტი, რომ გარდაუვალი ზმნის ფუძეზე მორფოლოგიური ღმ-, რ- ელემენტების დართვა იწვევს ამ გარდაუვალი ზმნის გარდამავლად ქცევას. იგეგე ელემენტები გარდამავალი ზმნიდან კაუზატიური ზმნის მაწარმოებელიცაა. ეს ფაქტი ზუსტად თავსდება იმ ზოგადი დებულების ყალიბში, რომელიც გულისხმობს: „შეიძლება გაერთიანებულ იქნეს

⁸ გ. როგავა, ზმნის პოლიპერსონალიზმის ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე XIII, თბ., 1962, გვ. 46.

⁹ იქვე, გვ. 47 (სქოლიო).



წარმოქმნა გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალი ზმნისა და უშუალო კონტაქტის ზმნისაგან შუალობითი კონტაქტის ზმნისა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ზოგ ენაში (არაბულში, სპარსულში, თურქულში, და სხვ.)¹⁰. ანალოგიურ ვითარებას უნდა ჰქონდეს ადგილი ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურშიც. ვუკავშირებთ რა ამ ფაქტს ზმნის ლაბილურ კონსტრუქციას, იგი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ლაბილური კონსტრუქციის გარდაუვალი ზმნიდან ე. წ. კაუზატივის პრეფიქსის საშუალებით იწარმოებოდა გარდამავალი სტაბილური კონსტრუქციის ზმნა. ხოლო ლაბილური გარდამავალი კონსტრუქციის ზმნიდან იმავე აფიქსის საშუალებით კაუზატიური ზმნა (რა თქმა უნდა, გარდამავალი, სტაბილური). ეს კი გვაფიქრებინებს, რომ გარდამავალი და კაუზატიური ზმნები თავდაპირველად ფორმით არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული. ერთი და იგივე ზმნის ფორმა გარდამავალიც შეიძლება ყოფილიყო და კაუზატიურიც. განსხვავებას მათ შორის ქმნიდა კონსტრუქცია და მასთან დაკავშირებული შინაარსი. ამის სარწმუნო მაგალითები დასტურდება ძველ ქართულ ძეგლებში:

„ჴმამან შენმან შე აძ რ წუნ ა ქუესკნელი“ (მოდრ. 385,37).

(შეაძრწუნა მან იგი, ორბირიანი, გარდამავალი).

„შე აძ რ წუნ ე წყალთა ბუნებაჲ, უფალო, მოსლეთთა შენითა“ (მოდრ. 199,28).

(შეაძრწუნე შენ მას იგი, სამპირიანი, კაუზატიური)

„ხოლო შენ უბიწიებითა ჩემითა შემიწყნარე მე, და მამტკიცე მე შენ წინაშე უქუნი-სამდე“ (ფსალმ. 40,13).

(დაამტკიცე შენ მე ორბირიანი, გარდამავალი).

„კურთხულ არს უფალო, რომელმან დაგამტკიცა შენ დღეს შეილებაჲ წოდებად სახელი შენი ისრაჴლსა შოერის“ (რთ. 4,14).

(დაგამტკიცა მან შენ იგი, სამპირიანი, კაუზატიური).

„აწ უკუე ისწრაფე, რომელ დააჭერო ღმერთი და არა კაცნი“ (მამათა სწ. 10,13).

(დააჭერო შენ იგი, ორბირიანი, გარდამავალი).

„აწ ოდეს გულისქმა-გყოფიეს, და ააჭერე სულსა შესა მოთმინებაჲ“ (მამათა სწ. 12,35). (დააჭერე შენ მას იგი, სამპირიანი, კაუზატიური).

ე. ი. კაუზატივის კატეგორიის ჩამოყალიბება დაკავშირებული უნდა იყოს გარდამავალი ზმნის სტაბილური კონსტრუქციის ჩამოყალიბებასთან.

აფხაზურ-ადიღურთან შედარებით ქართველური ენების მონაცემები მეტ სირთულეს შეიცავს. ეს შეიძლება იმიტ აიხსნას, რომ აფხაზურ-ადიღურში ზმნის ლაბილური კონსტრუქცია მეტ-ნაკლებად დღესაც მოქმედებს; ქართველური ენები კი ამ დონეს საკმაოდ დაცილებულნი არიან.

დასკვნა: იბერიულ-კავკასიური ენებიდან კაუზატივის კატეგორია, როგორც ზმნის მორფოლოგიური კატეგორია, ჩამოყალიბებულია ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში. ეს აიხსნება ამ ენებში ზმნის პოლიპერსონალიზმით. ყველა დანარჩენ ენაში წარმოება აღწერილია.

ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურში კატეგორიის მაწარმოებელი აფიქსია პრეფიქსი (ქართველურ ენებში სუფიქსებით ფუძის გართულება მეორეული მოვლენა უნდა იყოს). კაუზატივის მაწარმოებელი ელემენტი ყველა ამ ენაში გარდაუვალიდან გარდამავალი ზმნის მაწარმოებლადაც გვევლინება, რაც არაა უცხო არც სხვა ენებისათვის.

10 აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 379.

კაუზატივისა და გარდამავლობის წარმოება ამ ენებში ზმნის სტაბილური კონსტრუქციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალებაა.

შემოკლებანი

- აკოკრ. — ც. ქურციკიძე, ქართული ვერსიები აპოკრიფების მოციქულთა შესახებ, თბ., 1959.
- ბალავარ. — ბალავარიანის ქართული რედაქციები, ძველი ქართული ენის ძეგლები, 10, თბ., 1957.
- ბოლნელი — იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი (X საუკუნის ხელნაწერებიდან), საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, № 14, ტფ., 1911.
- გურული, იმერული, კახური, ქართლ., ხევს. — ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1950.
- ესთერ. — წიგნი ესთერისა, ბიბლია, მოსკოვი, 1743.
- კიმ. I — კიმენი, ტ. 1, თბ., 1918.
- კორინთელთა მიმართ — ახალი აღთქუმა, თბ., 1963.
- ლიმონარი — იოანე მოსხი, ლიმონარი, თბ., 1960.
- ლიტ. ქრესტ. I — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946.
- მამათა სწავლ. — მამათა სწავლანი, თბ., 1955.
- მოდრ. — S—425, მიქაელ მოდრეკილის ხელნაწერების კრებული; საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი.
- პარხ. — პარხლის მრავალთავი, ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი.
- რუთ. — რუთისი: წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვეთი II, თბ., 1948.
- სახშ აღთქუმისა — ახალი აღთქუმა, თბ., 1963.
- სინური მრ. — სინური მრავალთავი, თბ., 1959.
- ფსალმ. — ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, თბ., 1960.
- ქრისტიანა — წამებაა წმინდისა ქრისტიანასი, კ. კეკელიძე, ეტაულები, III, თბ., 1955.
- წარტყ. იერუს. — წარტყუენვა იერუსალჴმისაჲ, Н. Марр, Тексты и разыскания, XI, 1909.
- ხანძთელის ცხოვრ. — გ. მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, Н. Марр, Тексты и разыскания, VII, 1911.
- Q—16 — ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი.
- O (K—205), M (Q—1075) — ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

მულნარა ნინუა

-მცა ნაწილაკის ერთი ფუნქციის შესახებ ძველ ქართულში

ამირანდარეჯანიანში არის ერთი ადგილი: ბადრი იამანის ძე ზღვათა მეფის ნებით ებრძვის აზარმანიკს. წინა დღის ომით დაქანცულმა ბადრი იამანის ძემ მეფეს კაცი გაუგზავნა და შეუთვალა: „აწე გამოგზავნე აზარმანიკი, გუშინდელი ომი ლაღობა იყო. სატკივართა ადგილთა პოლოტიკნი რკინანი დააკიდნენ და მეცა აგერე ვიქმ და გარდავსწყვიტოთო. გაუკვირდა მეფესა და ყოველსა კაცსა სისწრაფე ბადრი იამანის ძისა ომისათვის და გამოსცა პასუხი: „ხვალისად მზამცა ხარ?“ (ჩვენი საუნჯე, ტ. 2, 300,13).

ამირანდარეჯანიანის ხუთი სრული გამოცემა არსებობს: პირველად 1896 წელს გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ, მეორედ — 1939 წელს ს. კაკაბაძემ, მესამედ — 1949 წელს ს. ყუბანეიშვილმა შეიტანა ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათის II ტომში, მეოთხედ დაიბეჭდა „ჩვენი საუნჯის“ II ტომში, რომელიც გამოსაცემად მოამზადა ი. ლოლაშვილმა. ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი ამ უკანასკნელი გამოცემიდან არის ამოწერილი. „ხვალისად მზამცა ხარ“ ოთხივე გამოცემაში გაგებულია როგორც შეკითხვა.

მოვიყვანთ შესაბამის ადგილს ყველა გამოცემიდან:

გაუკვირდა მეფესა და ყოველსა კაცსა სისწრაფე ბადრი იამანისძისა, და ებრძანა ომისათვის ხვალისა ვითა მზამცა ხარო? (ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 24,28).

გაუკვირდა მეფესა და ყოველსა კაცსა სისწრაფე ბადრი იამანის ძისა ომისათვის და გამოსცა პასუხი ხვალისად ვითა-მზამცა ხარო? (ს. კაკაბაძის გამოცემა, 20, 21).

გაუკვირდა მეფესა და ყოველსა კაცსა სისწრაფე ბადრი იამანისძისა ომისათვის და გამოსცა პასუხი ხვალისად, ვითა „მზამცა ხარო?“ (ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, ქრესტ., II, 13, 31).

ნამდვილად კი აქ არის არა შეკითხვა, არამედ ბრძანება, ამიტომ ეს ადგილი უნდა იკითხებოდეს ასე: „გაუკვირდა მეფესა და ყოველსა კაცსა სისწრაფე ბადრი იამანის ძისა ომისათვის და გამოსცა პასუხი: „ხვალისად მზამცა ხარ!“ ეს კი ნიშნავს: ხვალისთვის მზად იყავ!“

ამირანდარეჯანიანის ახალ გამოცემაში ეს ადგილი გასწორებულია და ასე იკითხება: «გაუკვირდა მეფესა და ყოველსა კაცსა სისწრაფე ბადრი იამანისძისა ომისათვის და გამოსცა პასუხი: „ხვალისად მზამცა ხარ!“¹.

[-მცა ნაწილაკის განსაკუთრებულ, საყურადღებო სინტაქსურ როლზე ძველ ქართულში პირველად მიუთითა ა. შანიძემ. ეს როლი იმაში გამოიხატება, რომ -მცა ნაწილაკი ვერ იგუებებს კავშირებითი კილოს ფორმებს; მასთან ზმნა

¹ მ. ო. ს. ხ. ო. ნ. ე. ლ. ი., ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, თბ., 1967.



ყოველთვის თხრობითი კილოს ფორმით იქნება. მაგ., რამათა მოკლან იგი (მათე, 27, 1; მარკ. 14, 55), მაგრამ: რამათამცა მოკლეს იგი (მათე, 26, 59).

ორივე ეს წინადადება ერთსა და იმავე აზრს გამოხატავს, მაგრამ პირველი ზმნის ფორმაა კავშირებითი, მეორისა — თხრობითი, რადგანაც ამ მეორეს -მცა ახლავს.

-მცა ნაწილაკის შესახებ ა. შანიძე ამბობს: „ეს -მცა ნაწილაკი რთული შემადგენლობისაა და წარმოდგება მ და ცა ნაწილაკებისაგან. მისი პირველი ნაწილი (მ) ნაშთი უნდა იყოს რალაც სიტყვისა, მეორე (ცა) არის ცნობილი კავშირი, რომელიც მნიშვნელობით უახლოვდება და კავშირს და ლათინურ que-სავით სიტყვის ბოლოს დაისმის ხოლმე: კაცია, სიტყუა...“².

3. გაჩეჩილაძემ სომხური და ბერძნული პარალელების ქართულთან შედარების შედეგად დაასკვნა, რომ ქართული ნათარგმნი ძეგლების ენაში -მცა ნაწილაკიანი ფორმების გამოყენება არ არის შედეგი უცხო (ბერძნულის ან სომხურის) გავლენისა, რადგანაც ქართულის ამ ფორმების შესატყვისად სხვა ენებში სხვადასხვა ენობრივი საშუალებაა გამოყენებული³.

მივყვეთ ბრძანებითის ფორმების განხილვას პირთა მიხედვით.

პირველი პირის ბრძანებითის ფორმა შესაძლებელია მხოლოდ მრავლობითში. მრავლობითი რიცხვის პირველ პირს არ მოეპოვება საკუთარი ფორმა ბრძანებითისათვის და იგი გადმოიცემა კავშირებითის ფორმით. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია, რომ, თუ ზმნასთან -მცა ნაწილაკი აღმოჩნდა დაკავშირებული, ზმნა თხრობითი კილოს ფორმით იქნეს წარმოდგენილი. აქ მოქმედებს იგივე კანონზომიერება, რომელიც ძველ ქართულში კავშირებითი კილოს მნიშვნელობასა და -მცა ნაწილაკს ეხება. მაგალითად:

ნინველთა განუყვეს მრავალი ქველის საქმარი, ჩუენმცა და-ოდენ-ვსცხრებიო მონაგარებდ მოყუასისა თვისისაგან (ი. იმნიშვილი, ქრესტ., II, 34, 18).

„ჩვენმცა და-ოდენ-ვსცხრებით“ ნიშნავს: ჩვენც დავცხრეთ!

ბრძანებითი კილო მეორე პირის გადმოსაცემად იყენებს, სერიათა მიხედვით, წყვეტილის ან უწყვეტლის ფუძეს. განსხვავებას თხრობითისა და ბრძანებითი კილოს ფორმებს შორის, სადაც კი ეს შესაძლებელია, ქმნის მეორე სლბიექტური პირის ნიშნის ხმარება-უხმარებლობა. თუ მეორე პირის ბრძანებითის ფორმასთან -მცა ნაწილაკი გაჩნდა, ზმნა აწმყოში გადავა. მაგალითები:

და ესემცა უწყით, რამეთუ ყოველსა მეძავსა და არაწმიდასა და ანგაპრსა, რომელ არს კერპთმსახურ, არა აქუს მკვდრობაჲ სასუფეველსა ქრისტესსა და ღმრთისასა (ეფეს., 5, 5): გარნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ (ლუკა, 10, 11). ხოლო ესემცა იცით: უკეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა ეამსა მპარავი მოსელად არს, იღუძებდამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თვისისაჲ (მათე, 24, 43 DE). შდრ.: იგი უწყოდეთ, რამეთუ, უწყოდა თემცა მამა-სახლისმან, რომელსა ეამსა მპარავი მოვიდოდა, არამცა უფლო დათხრად სახლისა თვისისა (მათე, 24, 43 C).

მესამე პირში პირველი ბრძანებითიცა და მეორეც ფორმალურად ყველაზე კარგად არის ძველ ქართულში გარჩეული: გვაქვს მხოლოდ ბრძანებითისათვის დამახასიათებელი ფორმები როგორც მხოლობით, ისე მრავლობით

² ა. შანიძე, -მცა ნაწილაკი ძველ ქართულში, თხზ., I, 1957.

³ 3. გაჩეჩილაძე, კვლევა -მცა ნაწილაკის შესახებ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XII, 1961.



რიცხვში. თუ ასეთ შემთხვევაში წინადადებაში -მცა ნაწილაკი აღმოჩნდა, ზმნის თხრობითი კილოს ფორმით იქნება წარმოდგენილი. მაგალითები:

მაშინ შიავლინა ალაბიოს, თანა-შზრახელმან მეფისამან, მესაპრობილეთ მოძღუ-
რისა და ჰრქუა: რაჟამს შიოწიოს ლამშ, მ ზ ა მ ც ა ა რ ი ა ნ სამნი იგი კაცი, რამეთუ
მეფესა უბრძანებია მოკუეთიჲ თავისა მათისაჲ ამას ლამესა (ი. იმნაიშვილი, ჭრესტ. II,
69,16).

მხოლოდ -მცა ნაწილაკთან ერთად არის შესაძლებელი, რომ „არს“ ზმნამ
ბრძანებითი გადმოსცეს.

-მცა ნაწილაკი ზოგჯერ წინადადებას აძლევს ნატურის ელფერს, რომელიც
ბრძანებითს უახლოვდება, მაგრამ ბრძანებითი არ არის. მაგ.:

და მოუქდა მას პეტრე, იწყო მისა ლალვად და თქუა: ლ ხ ი ნ ე ბ ა მ ც ა ა რ ს შ ე ნ-
და, უფალო, და ნუმცა იყოფინი (მათე, 16,22C).

იგივე მნიშვნელობა ჩვეულებრივ გადმოიცემა ბრძანებითის ფორმითაც.
მაგ.:

და მოუქდა მას პეტრე და იწყო ბრალობად მისა და ჰრქუა: შ ე ნ დ ო ბ ა ი ყ ა ე ნ შ ე ნ-
და, არა იყოს ეგრე (მათე, 16,22 DE).

ნატურითის გადმოცემისას -მცა ნაწილაკთან წინადადებაში ზმნის თხრო-
ბით კილოიანი მწკრივის ფორმა ცვლის როგორც ბრძანებითის მწკრივს, ისე
კავშირებითის მწკრივის ფორმას. ამ -მცა-ს გარეშე ოპტატივი ორივე კილოს
ფორმით არის ხოლმე წარმოდგენილი.

განსაკუთრებით ხშირია -მცა ნაწილაკიანი ფორმით ოპტატიური მნიშვნე-
ლობის გადმოცემა საშუალო ქართულში. მაგ.:

ს ვ ე მ ც ა ა რ ს თქვენი სვიანაღ! (ეფთხისტყაოსანი, 463). ს ვ ი ა ნ მ ც ა ა დაელა თქვე-
ნი! (ეფთხისტყაოსანი, 1440). მანეე ქმნას და გაგიმარჯვეს, თქვენი თქვენეე და-ვე-
ბრუნდეს, არ მოებრუნდე, თ ქ ვ ე ნ მ ც ა პსუფეთ, თქვენი მტერი დაძაბუნდეს! (ეფ-
თხისტყაოსანი, 740). კ რ უ ლ მ ც ა ა რ ს დღევანდელი დღე შენის ასრე გახდომისათვის
(რუსულ. 98,35). აგრეთვე უ ჭ ი რ ო დ მ ც ა ა რ ს უკუნისამდე მეფობა შენი, შე ნ ი თ ა მ-
ც ა ნათობს პირი ყოელისა ქუეყანისა, გულ-ნათელი და მზე-უკლებო! (რუსულ. 96,34—
35).

მაშასადამე, თუ -მცა ნაწილაკიან წინადადებაში კავშირებითის მნიშვნე-
ლობაა გადმოსაცემი, მაშინ მოსალოდნელი კავშირებითის ნაცვლად ძველ ქარ-
თულში ყოველთვის გვექნება თხრობითი კილოს ფორმები — უწყვეტლისა ან
წყვეტილისა. ასევე, თუ -მცა ნაწილაკიანი წინადადება შეიცავს ბრძანებითის
მნიშვნელობას, მოსალოდნელი ბრძანებითის ფორმის ნაცვლად გვექნება
აწმყო.

-მცა ნაწილაკითა და ზმნის თხრობითი კილოს ფორმით გადმოიცემა ხოლმე
ბრძანებითის მნიშვნელობა. ეს წესი მოქმედდ იყო საშუალო ქართულშიც.

8. „მაინე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 2

ГУЛЬНАРА НИУА

ОБ ОДНОЙ ФУНКЦИИ ЧАСТИЦЫ -მცა В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ

В древнегрузинском языке существует такая закономерность: в предложении, в котором передается значение сослагательного наклонения, наличие частицы -მცა (-mca) вызывает изменение глагольной формы: взамен формы сослагательного наклонения с этой частицей будет форма изъявительного наклонения (прошедшего совершенного или прошедшего несовершенного ряда). Причем передается все то же значение сослагательности (А. Шанидзе).

В предложении, в котором передается значение повелительного наклонения, с частицей -მცა (-mca) так же не совместима форма повелительного наклонения. В таком случае, значение повеления передается с частицей -მცა (-mca) и формой изъявительного наклонения (настоящего времени).

Эта закономерность действительна и для грузинского языка средних веков.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 კ. კეკელიძის საბ. ზელნაწერთა ინსტიტუტმა)

შპრამ თოფური

წყალ- ფუძის შესატყვისისათვის ზანურში

წყალ- ფუძის ანალიზს ქართველურ ენებში გარკვეული სირთულეები ახლავს. მისი დღევანდელი ზანური შესატყვისი — მეგრ. წყარ-ი, ჰან. წკარ-ი (|| წკა-ი || წარ-ი) — ქართულიდანაა შეთვისებული სესხების გზით¹. ამდენად, წყალ- ფუძის ისტორიული (გენეტური) ფარდი ფუძე ზანურში საარკვევია.

არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ „ზანური კანონზომიერი შესატყვისი წყალ- ფუძისა უნდა ყოფილიყო *ჰყორ.; მეგრულში დაცული ჰორ — ჰორთფა „ხშირი ავდრები“ — ქართ. წყალ-ს უდრის, და, ამრიგად, ააშკარავებს, რომ ქართულში უ შემდგეა განვითარებული: წყალ- ← წალ². ჰორთფას³ „მარტივი“ ფუძე ჰორ — შეიცავს -ორ- სუფიქსს, რომელიც კანონზომიერი ზანური შესატყვისია ქართ. -ალ-ისა⁴.

ვარაუდი, რომ ზანურში წყალ- ფუძის შესატყვისად მოსალოდნელი იყო *ჰყორ⁵, ემყარება რეგულარულ შესატყვისობას ქართულსა და ზანურს შორის — წყ:ჰყ: ქართ. მწყერ-, მწყემს-, წყვიტ-...: ზან. ჰყორ-, ჰყემ-, ჰყვიდ-..., მაგრამ ქართ. წყალ- ← წალ- არღვევს ამ კანონზომიერებას, რამდენადაც დეცისიური პარმონიული კომპლექსი წყ მეორეულია⁶.

¹ არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938, გვ. 182 (ქვემოთ: არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი); მისივე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 21; K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache. Wiesbaden, 1962 (Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes, XXXIV:3), გვ. 156; Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 159—160; გ. შაქავეარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965, გვ. 91; თ. გამყრელიძე, გ. შაქავეარიანი, სონანტო სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 77.

² არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 182; მისივე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 20—22.

³ „ჰოროფა სურთა;—ჰოროფა ზარხული სურთ, დოჟლივო ლო (პროტ. ვოლოფა)“... И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб., 1914, გვ. 392.

⁴ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 21.

⁵ H. Vogt, Remarques sur la préhistoire des langues du khartveliens, „Revue de kartvélogie“, vol. XI—XII (N 36—37), Paris, 1961, გვ. 11, წერილის ქართული თარგმანი იხ.: „სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული“, № 2—3, თბ., 1964, გვ. 97.

⁶ დეცისიური პარმონიული კომპლექსების მეორეულობის შესახებ: არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936, გვ. 13—19; მისივე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 129—130; А. С. Чикобава, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. ИКЯ, II, Тб., 1948, გვ. 266, 277; გ. ახვ-



შესატყვისობა ქართ. წყალ-: მეგრ. ჰორ- სამეცნიერო ლიტერატურაში ეპის ქვეშა დაყენებული. გ. მაჭავარიანის აზრით, „თუ დავუშვებთ, რომ მეგრ. ჰორ- გენეტურად უკავშირდება ქართულ წყალ- ფუძეს, მაშინ ჩვენს წინაშე იქნება უნიკალური შეფარდება ქართ. წყ: მეგრ. ჰ: არ მოიპოვება არც ერთი სხვა მაგალითი, სადაც ამგვარ შესატყვისობას დავადასტურებდით. უჩვეულოა აგრეთვე შეფარდება ქართ. /ლ/: მეგრ.-ჰან. /რ/ /ა/ ხმოვნის მომდევნო პოზიციაში...; ორი უჩვეულო შეფარდება ერთსა და იმავე მაგალითში საქმარისზე მეტიც არის იმისათვის, რომ შეპირისპირება ქართ. წყალ-: მეგრ. ჰორ- ეპის ქვეშ დაყენოთ“⁷.

შეფარდება ქართ. წყ: მეგრ. ჰ მართლაც უნიკალურია, მაგრამ როცა მიუთითებენ წყალ-: ჰორ- ფუძეთა ურთიერთობაზე, იგარაუდება არა წყ: ჰ, არამედ აქ ამოსავალი ქართ. წ: ზან. ჰ, რაც რეგულარულ ხასიათს ატარებს ქართველურ ენებში (წყ < წ: ჰ, ცვლილებით ქართულში). ამასთანავე, მართალია, უჩვეულოა, მაგრამ მაინც შესაძლებელი შეფარდება ქართ. /ლ/: ზან. /რ/ /ა/ ხმოვნის მომდევნო ბოლოკიდურ პოზიციაში: აღ-: ორ- (ურ-). მხედველობაში გვაქვს იმავე წყალ-: ჰორ- ფუძეთა გარდა მეორე სიტყვა: ქართ. ტყემალ-: ზან. ყომურ-⁸. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართ. /ლ/ ფონემის ზანური შესატყვისობების ფორმულები უკვე დადგენილია (იგულისხმება ბოლოკიდური [ლ-]):

- ქართული : მეგრულ-ჰანური
- აღ- : ოღ- (||ულ-)
- ელ- : ალ- (||ერ-||არ-)
- იღ- : ირ- (||ილ-)
- ულ- : ურ-
- ღლ- : ოორ- ||ღურ-||ღორ-⁹

ამ ფორმულების მიხედვით [ლ]ს პარალელურად ზანურში თათქმის ყველგან გვხვდება რ (ორ უკანასკნელში კი მხოლოდ რ). არა გვაქვს რ აღ- მიმდევრობასთან. მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი ორი მაგალითი (წყალ-, ტყემალ-) ვფიქრობთ, უფლებას იძლევა აღ- დაბოლოების შესატყვისად ზანურში ოღ-, უღ-ის პარალელურად შემოვიტანოთ ორ-, ურ- მიმდევრობებიც (თავი რომ დაეანებოთ შესაძლებლობას — ურ < ორ: ყომურ < ყომორ-), რაც პრინციპულად იმავე სურათს იძლევა, რასაც ქართ. ელ-: ზან. აღ- (||ერ-||არ-) შე-

ლედინი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 301—303; გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იკე, IV, თბ., 1953, გვ. 41—51. განსხვავებული თელსაზრისისათვის იხ.: გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 81—96.

⁷ გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 91.

⁸ ამ ფუძის განსხვავებული ანალიზისათვის იხ.: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 76 (მე-3 შენიშვნა). ტყემალ- ფუნისათვის დამატებით იხ.: არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 126; K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion..., გვ. 134. Г. А. Климов, Этимологический словарь..., გვ. 208 (*qamal).

⁹ თ/ გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. შრ., გვ. 78; სათანადო მაგალითები და ანალიზი იხ. იქვე, გვ. 74—79.

ფარდება. წარმოდგენილი ფორმულების თვალსაზრისით აქ არაფერია უჩვეულო და მოულოდნელი¹⁰.

დასასრულ, მიუთითებენ, რომ წყალ- ფუძის შესატყვისი მეგრულში უნდა იყოს არა კორ-, არამედ წყუ „კა“ : წაუ < *წყოუ < *წყოლ¹¹. ეს შეფარდება (ქართ. აღ- : ზან. უ) გვაქვს მხოლოდ ერთ მაგალითში, ამდენად შესატყვისობა ქართ. წყალ- : ზან. წყუ უფრო უნიკალურად გამოიყურება აღ- (resp. ვლ) : უ შეფარდების თვალსაზრისით¹², ვიდრე წყალ- : კორ- აღ- (resp. ვლ-) : ვრ შესატყვისობათა სისტემაში (იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ ითქვა). ამის გამოც შეფარდება ქართ. წყალ- : მეგრ. წყუ ეპვეს იწვევს.

ამგვარად, მართალია, წყალ- ფუძის ზანური შესატყვისის დადგენასთან გარკვეული სირთულეებია დაკავშირებული, მაგრამ ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით უფრო მეტი საბუთიანობა აქვს წყალ- : კორ- შესატყვისობას.

აქვე დავძენთ, რომ კორ- ფუძე შენახული უნდა იყოს სხვა მასალაშიც (მდ. კორ-ოხ'ის სახელწოდება და სხვ.)¹³. ამის შესახებ ცალკე.

Г. В. ТОПУРИА

О ЗАНСКОМ ЭКВИВАLENTE ГРУЗИНСКОЙ ОСНОВЫ

წყალ — cqaI — „вода“

Резюме

В работе приводятся дополнительные доводы для обоснования положения, согласно которого грузинской основе წყალ- cqaI — „вода“ в занском соответствует основа კორ- ჯოგ-, сохранившийся в мегрельском слове ჯოროფა ჯოგორა „сирость, дождливость“ (А. С. Чикобава).

¹⁰ ამ ფორმულებზე დაყრდნობით თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი საერთო-ქართველურ დონეზე სავსებით მართებულად აღადგენენ [*ლ] ელემენტს, რომლის ასახვის წესები მეგრულ-ზანურში მათ მიერვეა დადგენილი: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 78—79; ოღონდ ანგარიში უნდა გაეწიოს ქართ. აღ- : ზან. ორ-(ურ-) შეფარდებასაც და ამდენად „დაშავალი ღიაობის კანონი“ დაზუსტებას შოითხოვს.

¹¹ რ-ს მეორეულობაზე ანალოგიურ ფუძეებში (ოღონდ სხვა ასპექტში) ადრე მიუთითებდა გ. როგავა. იხ. მისი, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან (ქართ. ლ : ზან. რ). ენათმ. ინსტიტ-ის XVIII სამეცნ. სესია, თბ., 1959, მოხსენებათა თეზისები, გვ. 6; მისივე, ფუძის ბოლოკიდურ სონორთა პოზიციური ცვლილებებისათვის ქართველურ ენებში, საზოგ. მეცნ. განყ-ის მოამბე, 1962, № 1, გვ. 228 და შემდ.

¹² გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 91; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 77 (შენიშვნა), 90, 92.

¹³ მაგალითები და ახსნა ამ ფარდობისა იხ.: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. შრ., გვ. 88—94.

¹⁴ კორ- ფუძე დაცულია მეგრულ გამოთქმაშიც: ჭვანა დოპორგ „წვიმიანობამ ყანა გააფუქა“ (ეტიმოლოგიურად: დააწყლიანა, დააღობ). ცნობა მომავლად ქ. ლომთათიძემ.

В специальной литературе (Т. В. Гамкrelидзе и Г. И. Мачавариа-
ни) установлены формулы грузинско-занских соответствий ауслаутного [l].

Грузинский		мегрело-чанский
al-	:	ol- (ul-)
el-	:	al- (er- ar-)
il-	:	ir- (il-)
ul-	:	ur-
Cl-	:	Cor- Cur- Cir-

Некоторые уточнения в эти формулы вносят два примера: груз.
წყალ- cgal- : мегр. ჰორ- ღოგ- „вола“; груз. ტყემალ- tqemal- : мегр. ყომურ-
qomur- (возможно, ← qomog-) „алыча (дикая)“. Следовательно: груз. al- :
зан. ol- (|| ul-), or- (|| ur-).

Основа ჰორ- ღოგ- сохранена и в названии реки ჰორ-ობ-ი ღოგ-ოხ-ი.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

შარანოვ პრემიისპილი

სტრუქტურულ-მტიმოლოგიური ძიებანი

2. გორ || გუარ (→ გვარ) || გუარ (→ გვერ)

გორ || გუარ (→ გვარ) || გუერ (→ გვერ)¹ ძირთაგან წარმოქმნილი ფუძეების საკვირველი სიმრავლე შეინიშნება ქართულში².

გორ ძირის (გორავს, აგორებს...) რედუბლიკაციით არის მიღებულ *გორ-გორ, ამ ფუძეში პირველი სეგმენტის აუსლაუტის რ სონანტის დაკარგვით → გო-გორ (გოგორა — ერქვანთ თვალი საბრუნავი, საბა; ურმის, ეტლის და მისთ. თვალი, ბორბალი, ქგლ II; შდრ. გო-გორ-აქ: გოგორ-აქი — პატარა ურმის თვალი, ურმის თვლის მორგვი, ქგლ II), გო-გორ-ა — ფუძეში მეორე სეგმენტის ხმოვნის რედუქციით → გო-გო-რა (გოგო-რა — ერთწლიანი კულტურული მცენარე... აქეს... ცილინდრული ან ოდნავ მობრტყო ნაყოფი... თავი (ადამიანისა), ქგლ II; შდრ. „ურემს ხის გოგრები აქეს, თითოეულს თვალი ჰქვია, ლუჩხ. მას. აღ.), პირველ სეგმენტში უ-ს მონაცვლეობით ო-სთან → გუ-გო-რა (გუგო-რა — გოგო-რა, კვახი, ინგილ. ქართ. დიალ.)³.

მეორე მხრივ, *გორ-გორ ფუძის ზოლოკიდურა რ-ს დისიმილაციით → გორ-გო-ლ (გორგო-ლა — პატარა ბორბალი, პატარა ბურთულა, ქგლ II; ჯაჭვის ცალკეული რგოლი, მთიულ. კმრ.; გორგო-ლაი — გოგო-რა, თვალი (გუთნისა), ქართლ. ქართ. დიალ.; გორ-გო-ლა-ქ: გორგო-ლა-ქი — პატარა ბორბალი, თვალი, საგორავი... ქგლ II; გორგო-ლი — რკინის რგოლი, რომელიც ცელსა და სხვა იარაღს ტარზე ამაგრებს, მთიულ. კმრ.), მეორე სეგმენტის ანლაუტის თანხმოვნის დისიმილაციით — გორ-გო-ლ → გორ-ჯო-ლ (გორ-ჯო-ლა: გორჯო-ლა — მომრგვალო, გამოუსადეგარი ქვა, ს. ბერიძის ცნობით, ახალციხის რაიონიდან), მეორე სეგმენტში ო-სთან ა-ს მონაცვლეობით

¹ გორ || გუარ || გუერ ძირები ერთმანეთზე დაიყვანება, ოდნოდ რომელია რომლისათვის ამოსავალი, ჩვენთვის ახლა ბოლომდე ნათელი არ არის: ო ხმოვნის დაშლის შედეგად შეიძლებოდა მიგველო უ ა || უ ე კომპლექსები (გორ → გუარ || გუერ) ან პირიქით, უ ა || უ ე კომპლექსების შერწყმას შეიძლებოდა მოეცა ო ხმოვნის (გუარ || გუერ → გორ).

² ზოგიერთი ამ ნაყარ ფუძეთაგან ერთმანეთს აღ. ჭინჭარაულმა დაუყავშირა: „... ძირები: გრ-გო-ლ, რ-გო-ლ, გირ-გო-ლ, გრი-გო-ლ, გრი-გო-ლ, გირ-გი-თო-ლ, სი-გრ-ი-გი-ელ, სი-გი-რ-გო-ლ... გურ-გ-ულ, გურ-გ-ულ || გურ-გ-ულ || გურ-გ-ულ || კურ-კ-ულ-ულ || ლურ-ღ-ულ-ულ... გვირ-გ-ვი-ნ... ერთი დამიწვე ძირის ფონეტიკური სახესხვაობები ჩანს“, აღ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 28.

³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 151.

⁴ გაორმაგებული ძირებისაგან შედგენილ ფუძეებში ფონეტიკური სახეცვლილებების შესახებ აქედ და ქვემოთაც იხ. ფ. ერთელიშვილი, ზნუნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1970.



გორ-გოლ → გორ-გალ⁵ (გორგალი — მრგვლად (ბურთივით) დახვეული ძაფი, მავთული და მისთ., ქგლ II), გორ-გვალ ფუძე შეიძლებოდა მიგველო გორ-გალ-ისაგან მეორე სეგმენტის თავიკიდურა თანხმოვნის ლაბიალიზაციით და ამავე სეგმენტის ო-ს ვა (←უა)-დ დაშლის შედეგადაც. არ არის აგრეთვე გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ მეორე სეგმენტი ამ შემთხვევაში ასახავდეს ამოსავალ ვითარებას (გორგვალი — მორგვი, მრგვლად დახვეული ძაფი, კახ. ქართ. დიალ.).

პირველი სეგმენტისეულ ო ხმოვანთან ო-ს მონაცვლეობით — გორ-გოლ → გირ-გოლ⁶ (გირგოლი — რგოლი, მოხ. ქართ. დიალ., „ცელს აქეს ჩო რ ჩ-ის ნაწილი, რომლითაც ცელი ცელის ტარზეა მიმაგრებული — გირ-გოლი-ით, ხევს. კინჭ.), როგორც ჩანს, არსებობს იგივე ფუძე მეორე სეგმენტში ა გახმოვანებითაც: გირ-გალ (შდრ. სი-გირ-ვალ: სი-გირ-გალი — ორომტრიალი, კოტრიალი: „სამაია ჩავამბიეს, იქნა სიგირგალაიო“, ხევს. კინჭ.), რ-ს მეტათეზისით გირ-გალ → გრი-გალ (გრიგალი — დახვეული, საბა, ... წნული სასიმინდის ერთგვარი სახეა: როდესაც სასიმინდე უკვე მოწნულია, ზვიდანი გადააულებენ წნელს, რომელიც ერთგვარ ხვეულ, ტეხილ ხაზსა ქმნის, იმერ. წერ.; შდრ. გადაგრიგვლა — ლობის-თავის გადაწვნა ტალღისებურად მსხვილი წნელით, იმერ. ქავთ.). გრი-გალ-ს მოეპოვება ვარიანტი მეორე სეგმენტის ლაბიალიზებული თანხმოვნით — გრი-გვალ (გრიგვალი — გრგოლი, რგოლი, ქიზიყ. მენთ.).

სხვა შემთხვევაში გორ-გალ → გურ-გალ, პირველ სეგმენტში უ-ს მონაცვლეობით ო-სთან⁷ (გურგალი — მრგვალი, ქიზიყ. მენთ., მთიულ. კშრ.; სამეგრელოზე — ირგვლივ, გარშემო, მთიულ. კშრ.), ალბათ ორსავე სეგმენტის ბოლოკიდურა სონანტების დაკარგვით არის მიღებული გურ-გალ-ისაგან გურ-გა (შდრ. თვალის გუგა, ქგლ IV).

გამოვლენილია იგივე ფუძე უ-ო (გურ-გოლ: გურგოლი — მრგვალი, მთიულ. კშრ.) და უ-უ (გურ-გულ: გურგული — დადასტურებულია ფშურში, ვიმოწმებთ ალ. ჭინჭარაულის წიგნიდან) გახმოვანებით. ბოლოკიდურა სონანტის მერყეობით გურ-გულ → გურ-გუს || გურ-გუს || გურ-გუს⁸ (გურ-გუს-ელა: გურგუსელა — აგორებული, წაგრაგნილი რამ (მაგ., თივა), ხევს. კინჭ.; გურ-გუს-ალ: გურგუსალი — მოზელილი გუნდა, ლეჩხ. მას. ალ.; გურ-გუს: გურგუსი — კურკუშელა, დაგუნდავებული რამ მაგ., თავსაბანი მიწის გუნდა, გურ. შარ.: გურ-გუსჩელ: გურგუსჩელი — ... მრგვალი რიყის ქვა, ხევს. კინჭ.).

გურ-გულ → *გურ-ულ → გრ-ულ (გრ-ულია: გრულია — გარშემო ირგვლივ, ლეჩხ. ქართ. დიალ.; გრულშემო, ლეჩხ. ალ.; გრულია-შამო, ბერ.)⁹.

გორ-გოლ ფუძე, როგორც ჩანს, გვეჩინდა ო-ი შესაბამისობითაც: *გორგილ, რომლისაგან უნდა იყოს გორდილ (გორდილაძე — ხორბლის,

5 გორ-გალ-თან ანალოგიით?
6 ან გრ-გოლ ფუძეში ო-ს განვითარებით, როგორც ამას ალ. ჭინჭარაული ვარაუდობს.
7 თუ გურ-გალი გურ-გულ-ისაგან არ არის მიღებული (მეორე სეგმენტის ანალუტის თანხმოვნის დელაბიალიზაციით).
8 გურ-გუს, თავის მხრივ, → *გურ-ულ → გურ-ჩ (გურჩი გურგუჩელის პარალელურად და იმავე მნიშვნელობით იხმარება ხევსურულში (ხევს. კინჭ.).
9 აქარულში ამ მნიშვნელობით გვაქვს გური-შამ (გურიშამ — გარშემო, ირგვლივ აქარ. ქართ. დიალ.).

სიმინდის ფქვილს კვებები, წყალში მოხარული, თუშ. ხუბ.; მთიულ. კშრ.), მეორე სეგმენტის ანლაუტის თანხმოვნის დისიმილაციით; ამავე თანხმოვნის გ-სა თუ დ-ს) დაკარგვით → გორილ (გორილა — ბავშვების სათამაშო, მზეზე გამხმარი მიწის კვერი, მთიულ. კშრ.; გორილაჟი — ბავშვების სათამაშო ხის ბურთი, თუშ. ხუბ.).

პირველ სეგმენტში ხმოვნის რედუქციით გორ-გოლ → გრ-გოლ (გრგოლი — ილეკო მომრგვალებული, საბა), თავიდან თანხმოვნის დაკარგვით გრ-გოლ → რ-გოლ (რგოლი — საგანი, რომელსაც წრეხაზის ფორმა აქვს, პატარა სალტე... ქგლ VI), რ-ს (თუ გ-ს) მეტათეზისით¹⁰ რ-გოლ → გ-როლ (გროლი — რგოლი; თუშ., თუშ. ხუბ.).

გორ-გოლ ფუძე გვავარაუდებინებს *გურ-გულ (→ გვარ-გვალ)-ს რომლისაგან არის პირველი სეგმენტის ა ხმოვნის რედუქციით → გურ-გვალ (გურგვალი — მრგვალი; გურგვალათ — მრგვლად; გურ-გვლივი — მრგვლად, ირგვლივ, გარშემო, რაჟ. ქართ. დიალ.; გურ-გვლივი, თავის მხრივ, → *გურ-გლივი → გურ-გლი: გურგლი — მრგვლად, ირგვლივ, გარშემო. რაჟ. ქართ. დიალ.); გურ-გვალ/—გურ-გულ/→ გური-გულ (გურიგული — გორგალი, მორგვი: გურიგული — მრგვლად, მოხ. ქართ. დიალ.; შდრ. მგურიგული, მოხ.).

გურ-გულ → გრ-გული (გრგული — ნახე მრგვალი, круглый. ჩუბ. ნ.; შდრ. გრ-გოლ), თავიდან გ-ს დაკარგვით → რ-გული (რგული — წმალა — круглый корень. ჩუბ. ნ.), რ-ს დაკარგვით → *გული → გვალ (გვალი — მრგვალი, იმერხ. ქართ. დიალ.).

*გურ-გულ ფუძის პარალელურად, როგორც ჩანს, გვქონდა ფუძე ე განხილვებისათვის: *გურ-გულ → *გურ-გვალ, რომლის ბოლოიდურა მარცვლის დაკარგვის შედეგად → გურ-გვ (გურგვი — ხის ან წნელის რგოლი, რომელსაც გადააცვამენ ღობის ორ სარს გასამაგრებლად; რკინის ან ხის სალტე, რომელსაც ჩამოაცვამენ კასრს და მისთ. ტყეების დასამაგრებლად, ქგლ II; შდრ. სახალწლო გურგვი — ვაზის გვირგვინი, ლუჩხ. ჩიქ.).

გვრილ ფუძე (შდრ. გვრილ-შამო — გარშემო, იმერ. წერ.), რომელიც *გვრილ-საგან უნდა მომდინარეობდეს (→ გვირილ → გვრილ), შემონახული გვაქვს გვირ-გვინ-ში (გვირგვინი — ... მრგვლად დაწნული მწვანე ტოტები და ყვავილები თავზე დასახურავად... ქის თავზე დამგული ცილინდრული დანადგამი ... ყვავილყაფარის შიგნითა, ჩვეულებრივ ფერადი წრე... ქგლ II): *გვირ-გვილ → გვირ-ვილ, მეორე სეგმენტის ანლაუტის ლაბიალიზებული თანხმოვნის დაკარგვით (გვირილა, ქგლ II). სხვა შემთხვევაში *გვირ-გვილ → *ვირ-გვილ → გირ-გვილა (გირგვილა — ღობის თავი ამისავით. ბერ.). ფუძის თავიდან (ლაბიალიზებული) თანხმოვნის დაკარგვითა და -ივ სუფიქსის დართვით *გვირ-გვილ → *გვირ-გვილივი → *ვირ-გვილივი, ხოლო ინლაუტისეული ხმოვნის რედუქციით → ირ-გვილივი (ირგვილივი — გარშემო, წრედ, ქგლ IV).

დამოწმებულთაგან ზოგი ფუძის ანლაუტის განხილვანი დისიმილაციის შედეგად შეცვლილია მ სონანტით:

გურ-გვალ → მურ-გვალ (მურგვალი, ფშ. ქართ. დიალ., შდრ. ჰან. მურგვალი || → მურგვალი — მრგვალი, სვან. მურგვალდ — ირგვ-

¹⁰ ან გრ-გოლ ფუძეში მეორე სეგმენტის ანლაუტის თანხმოვნის დაკარგვით.

ლიე) → მრ-გვალ (მრ გვალ ი — რაც წრის მოყვანილობისა ან ჭრილში წრეს იძლევა, ქგლ V), ამ უკანასკნელში რ-ს მეტათეზისით → მგვრალ (მ გვ რ ა ლ ი — მრგვალი, კახ. ქართ. დიალ.). მურ-გვალის უფრო ადრინდელი ფორმისაგან მურ-გუალ → *მრ-გულ → მრ-გულ-ი-ად (მ რ გ უ ლ-ი ა დ დასაწუველი. ქრესტ.); მეორე მხრივ, მურ-გვალ → მურ-გვ (მ უ რ-გ ვ ი — იხ. მორგვი, ქგლ V).

გირ-გოლ → მირ-გოლ (შდრ. მი რ გ ო ლ ა ს — ირგვლივ, გუდამაყ. ქართ. დიალ.).

*გირ-გვალ → მირ-გვალ (*გირ-გვალ-ისათვის შდრ. გირ-გოლ, იხ. ზემოთ; მი რ გ ვ ა ლ ი — მრგვალი; და მი რ გ ვ ლ ე ბ ა — დამრგვალება, თუშ. ხუბ.).

*გირ-გველ → მირ-გველ → მირ-გელ (მი რ გ ვ ე ლ ა ც ი — მრგვალი, თუშ. ქართ. დიალ.; მი რ გ ე ლ ა ც ი — მრგვალი, თუშ. ხუბ.).

გორ-გოლ → *გორ-გვალ → *მორ-გვალ → მორ-გვ (მ ო რ გ ვ ი — ურმის თელის, ან, საერთოდ, ბორბლის კენძი, რომელშიაც გაყრილია ღერძის თავი და დამაგრებულია სოლები... მრგვლად (ბრუნვით) დახვეული ძაფი, გორგალი, ქგლ V).

ქართულში გვხვდება ფორმები, რომლებშიც ორივე სეგმენტის ანლაუტის მეორე გ შესაბამისი ყრუმკვეთრი კ თანხმოვნის სახით წარმოგვიდგება:

გვირ-გვინ || *გვირ-გვილ — კვირ-კვილ (გ ვ ი რ გ ვ ი ნ || კ ვ ი რ-კ ვ ი ლ-ის შესახებ იხ. ზემოთ. კ ვ ი რ კ ვ ი ლ ი (იმერ.), იგივეა, რაც თხილის ყვავილი, ქგლ IV).

გურ-გუშ — კურ-კუშ (გ უ რ გ უ შ ი — იხ. ზემოთ, კ უ რ-კ უ შ ე ლ-ა: კ უ რ კ უ შ ე ლ ა — დაგუნდავებული რამ... გურ. შარ.; შდრ. კ უ რ კ უ შ ა ლ ი — მოკუმშვა, მოგუნდავება, გურ. შარ.; მო კ უ რ კ უ შ ე ბ ა — დახვევა, დაგვერვა. იმერ. ცხად.; კ უ რ კ უ შ ე ლ ა — კვარკვალიტა, კოშტი, იმერ. წერ.; აგრეთვე კ უ რ-კ უ ტ: კ უ რ კ უ ტ ა ი, და კ უ რ კ უ ტ უ ლ ი, და კ უ რ კ უ ტ ე ბ უ ლ ი — მრგვლად გამაგრებული რამ, მაგ. ჭირკვალი, დასველებული ფქვილი, გურ. შარ.).

*გვარ-გვალ — კვარ-კვალ (*გვარ-გვალ-ისათვის შდრ. გურ-გვალ, რომლის ამოსავალი ფორმაა *გუარ-გუალ → *გვარ-გვალ; კ ვ ა რ კ ვ ა ლ ი — ნივთიერებისათვის მრგვალი ფორმის მიცემა, იმერ. ცხად. შდრ. კ ვ ა რ-კ ვ ა ლ-ი ტ-ე: კ ვ ა რ კ ვ ა ლ ი ტ ე — ცერცველა, გორველა, ყვავი-ცერცვა, პარკოვანი სარეველა მცენარე, შავი მრგვალი მარცვლები აქვს, ლეჩხ. ქართ. დიალ.).

*გვერ-გველ — *კვერ-კველ (*გვერ-გველ იხ. ზემოთ; *კვერ-კვერ — კვერ-კვერ: კ ვ ე რ კ ვ ე რ ა — კვერი ბავშვის ენაზე, ქგლ. IV).

[მ]-გრგალ — კრ-კალ (მ გ რ გ ა ლ ი — მრგვალი. მთიულ. ქართ. დიალ.; შდრ. კ რ კ ა ლ ი მოდრეკით გარდაბმული, საბა; მრგულიად მოხრილი ხე ანუ რქა წვერით წვერამდე მობოკული, გინა სალტე მეტალისა, ойруч, крикѣла; ჩუბ. ნ.).

გრი-გალ — კრიკალ (გ რ ი გ ა ლ ი — იხ. ზემოთ; კ რ ი კ ა ლ ი — საც-რის, ცხრილისა და ცხავის რკალი, ქიზიყ. მენთ.).

გირ-გალ — კირკალ (გ ი რ გ ა ლ ი — იხ. ზემოთ; კ ი რ კ ა ლ ი — იგივეა, რაც რკალი... ქგლ IV; შდრ. კ ი რ-კ ვ ა ლ: კ ი რ კ ვ ა ლ ი — ლობიოს მარ-

ცვლებს როდესაც არ მოლესენ და რგვლად შეამზადებენ, იმაზე იტყვიან — „კირკვალი ლობიოვო“, გურ. ულ.).

[მ] გ რ-გ ა ლ — კ რ-კ ა ლ ფუძეთა კონტამინაციური ფორმაა გ რ-კ ა ლ-ი (გ რ კ ა ლ-ი — მობოკვლილი ხე და რქა. საბა; გრგოლი, კარშიკი, КОЛЬЦО. ჩუბ. ნ.), გ ი რ-გ ა ლ — კ ი რ-კ ა ლ-ისა კი გ ი რ-კ ა ლ-ი (გ ი რ კ ა ლ-ი — მუხისა ან არყის ხისაგან გაკეთებული რქალი მეტ-ნაკლები სიდიდისა, ხევს. კინკ.).

ახლა ყურადღება უნდა მიექციოთ იმ ფაქტს, რომ დამოწმებულ ფუძეთაგან ზოგი, მათი ფონეტიკური სახეცვლილების გარკვეულ საფეხურზე, მცენარეული ნაყოფის, მაგრამ მრგვალი ან მომრგვალო ნაყოფის მნიშვნელობას ავლენს:

* გ ო რ-გ ო რ-ა — გ ო-გ ო რ-ა — გ ო-გ რ-ა — გ უ-გ რ-ა (შდრ. გოგრა, ქვლ. II; გ უ გ რ ა — გოგრა, კვახი. ინგილ. ქართ. დიალ.), კ ი რ-კ ვ ა ლ (კ ი რ-კ ვ ა ლ-ი — ლობიოს მარცვლები, გურ. ულ.).

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ვაგვახსენდეს ქართულის კ რ კ ო — რ კ ო ფუძეები. რ კ ო, როგორც ცნობილია, აგრეთვე მუხის მომრგვალო ნაყოფია¹¹.

ამ სახელს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ა. შანიძემ¹². „იშვიათია, რომ სხვადასხვა სახელი ჰქონდეს მცენარესა და მის ნაყოფს (ვახი — ყურძენი) და ამ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის რ კ ო და მ უ ხ ა: დღევანდელ ქართულში რ კ ო ჰქვია ნაყოფს, მუხა კი მცენარეს... რ კ ო, როგორც ნაყოფის სახელი, ძველ ძეგლებშია დადასტურებული... მაგრამ ძველადგვა დადასტურებული ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა, როგორც ხისა... რ კ ო, როგორც ხის სახელი (ე. ი. მუხის სინონიმი), შემონახულია სოფლის სახელში, რომელიც კარგად ცნობილია XIII საუკუნის სიგლით: რ კ ო ნ ი, რომლის პარალელურად კ რ კ ო ნ ი ც გვხვდება და იმასვე ნიშნავს, რასაც მ უ ხ ა ნ ი. ცხადია, კ რ კ ო ნ ი უფრო ძველი ფორმაა, ვიდრე რ კ ო ნ ი. ეს ძველი ფორმა (მაგრამ ნაყოფის აღსანიშნავად) დღესაც შემონახულია მთის კილოებში ოდნავი ცვლილებით: კ უ რ-კ ო (ფშ. თუშ.) ან (პირველი თანხმოვნის დისამილაციით) გ ი რ კ ო (ხევს.), ხოლო მისი უახლესი ფორმა კ ო დღესაც ხეს აღნიშნავს იმერხეულსა და აჭარულში (აჭარულში ნაყოფს კ ო ს კ უ კ უ ლ ი ჰრქმევია).

მ უ ხ ა ც ა და რ კ ო ც ლექსიკურად განმარტოებით დგანან ქართულში: მეგრულ-ჭანურსა და სვანურში არ მოიპოვება ამ სიტყვების შესატყვისი, სამაგიეროდ ერთი მათგანი, სახელდობრ რ კ ო, ან უფრო სწორად, მისი ძველი სახე კ რ კ ო. (კურკო), პარალელს პოულობს quercus-ში, რომელიც თითონაც განმარტოებით მდგომი სახელია ლათინურში: მას არ მოეპოვება შესატყვისი სხვა ინდოევროპულ ენებში (ერნუ — მეიე). ქართული კ რ კ ო-სი და ლათინური კ უ-ე რ კ უ ს-ის ფონეტიკური დამთხვევა შემთხვევით მოვლენად ვერ ჩაითვლება“¹³.

¹¹ რკო ვახის ერთ-ერთი ჯიშის სახელადაც გექონია (რკო... — ვახის ერთ-ერთი ჯიშის, იცის შვილი, მოგრობო მარცვალი: „რკო ზემო ქართლსა, არგვეთში, რაქსა და სამოქალაქოშია გავრცელებული“. ივ. ჯავახ; საბა (ქვლ VI), როგორც ჩანს, ვახს ეს სახელი შეერქვა მარცვლას ფორმის მიმსგავსების გამო რკოსთან. შდრ. აგრეთვე კ რ კ ო ამავე მნიშვნელობით (კ რ კ ო — ... ყურძენი მარცვალმოგრობო და მრგვალი, მოწითანო-მოშავო და საქმელად გემრიელი. საბა, ქვლ IV).

¹² ა. შანიძე, ეტიმოლოგიური ძიებანი, 1, რკო და მუხა, თსუ სამეცნიერო სესიის თეზისები, 1947, გვ. 3—4.

¹³ იქვე, გვ. 3—4.



რკო-ს ძველი ფორმის კრკო-ს თავიკიდურა კომპლექსი ისეთი სტრუქტურისაა (ხშული + სონანტი + ხშული), რომელიც ისტორიულად რედუბლიცირებული ძირებისაგან შედგენილ ფუძეს გვაპარაუდებინებს¹⁴. კრკო ← კო-კო ← *კო-რ-კო ← *კო-რ-კო-ლ, შდრ. ამ უკანასკნელს მისი მეღერი ვარიანტი გორ-გოლ (იხ. ზემოთ), ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, კვარკვალი (ნივთიერებისათვის მრგვალი ფორმის მიცემა. იმერ. ცხად.). გაორმაგებული ძირებისაგან შედგენილ ფუძეზე მიგვანიშნებს აგრეთვე აპარულში შემონახული კოს კუკუ-ლი. კო იგივე რკოა, რომელიც მუხის მნიშვნელობით არის ნახმარი, ხოლო ნაყოფის მნიშვნელობით — კუკუ-ლი, კუკუ-ლი, ცხადია, გაორმაგებული ძირებისაგან შედგება: კუ-კუ-ლ ← *კუ-რ-კუ-ლ-შდრ. გორ-გოლ, *კორ-კოლ, *კურ-კუ-ლ...

*კორ-კოლ-ის პარალელურად სავსებით მოსალოდნელია გვექნოდან *კვერ-კველ ← *კუერ-კუელ (შდრ. *გვერ-გველ → გვერ-გვე, იხ. ზემოთ) → *კუერ-კუ, რომელიც მართლაც საკვირველად ეხმაურება ლათინურის კუერკუს-ს და ამათი კავშირი მით უფრო საინტერესო ხდება, რომ ფუძეს ქართულში ეძებნება სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური საფუძველი, ხოლო ლათინურშიის განმარტოებით დგას...

ვფიქრობთ, ზემოხსენებულ ფუძეებთან უნდა იყოს კავშირში აგრეთვე კურკა (კურკა — მაგარნაპუჭიანი თესლი ზოგი ხეილის ნაყოფისა. ქგლ IV). საინტერესოა, რომ ქიზიყურში „რკოს“ მნიშვნელობით იხმარება კურკო, მაგრამ ამის გვერდით გვხვდება აგრეთვე კურკა (ქიზიყ. მენთ.). კურკა წარმოშობით აგრეთვე რედუბლიცირებული ძირებისაგან შედგენილი ფუძე ჩანს: კურ-კა, შდრ. კურ-კან ფუძეში კურ-კან-ტელ (კურკანტელი || კურკანტელა (იმერ.) — ეკალიჭისა და კუნელის ნაყოფი. ქგლ IV). კურკა-ს ვარიანტი მეღერი ანლაუტით გურკა (გურკა — ხილის კაკალი. საბა; რომელთამე ხისაგანთა ხილთა შორის მაგარი გული, ვითა ძუალი. ჩუბ. ნ.), რომელშიც თავიკიდურა კ უნდა იყოს გამჟღერებული ისევე, როგორც გრკო-ში. კურკა შესაძლებელია მომდინარეობდეს *კურ-კალ-ისაგან. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს საბას შენიშვნა, რომელიც მას გურკა-ს განმარტებისათვის დაურთავს: „რომელთამე კურკლი გურკად აღუწერიათ უმეცართათ“. კურკლ ფუძის ადრინდელი სახეობა მართლაც *კურ-კულ ან *კურ-კალ უნდა ყოფილიყო (თუ განმარტება „რომელთამე“ პირებისა მართლაც „უმეცრების“ შედეგი არ არის).

ამავე გორგულგურგურ ძირს უნდა შეიცავდეს სვანურის ლგ გრე-ე „ვერცხი“. ზანურში რომ ამავე მნიშვნელობის მქონე მარქვალი გვაქვს, ის შეიძლება ქართული მრგვალი-ის სახესხვაობა იყოს (მრგვალ → *მარგვალ → მარქვალ) ან საკუთრივ ზანურში იყოს მიღებული *ქვარქვალ-ისაგან, რომელიც გვარ-გვალ-ის ყრუფშვინიერი ვარიანტს წარმოადგენს¹⁵: *ქვარ-ქვალ → *ქარქვალ, პირველი სეგმენტის ანლაუტის თანხმოვნის დელაბიალიზაციით (შდრ. გარგატ — „ორომტრიალი, ხვევა, რევა“

¹⁴ ფ. ე. რ. თ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, 1970, გვ. 245—252.

¹⁵ შდრ. მეგრულის მი-გვაგვალ-უ || მი-ქვაქვალ-უ || მი-იკაკაკალ-უ; იხ. ტ. გუ-ლა-ე, ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1958, გვ. 15—16.

და გვარ გვატ — „არევა, ტრიალი“), — მარ-ქვალ, პირველი სეგმენტის ანლაუტის თანხმოვნის დისიმილაციით.

გორ || გუარ || გუერ (გვარ || გვერ) ძირთავან ნაყარი ფუძეები ქართულში ალბათ სხვებიც დაიდებნება, გამოსავლენია ზანურსა და სვანურში დამოწმებულ ფუძეთა შესაბამისი ან მათი ნაყარი სახეობანი.

სხვათა შორის, იმ მოსაზრების საილუსტრაციოდ, რომ ინდოევროპულ და აღმოსავლეთკავკასიურ (ნახურ-დაღესტნურ) ენებს შორის შეიძლება გამოვავლინოთ ლექსიკურ-გრამატიკულ დამთხვევათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, სხვა მასალასთან ერთად გ. ჯაუციანს ეს მაგალითებიც მოჰყავს:

„И-е кег „крутить, сгибать“ (греч. κίρκος „кольцо“, лат. cīrcus „круг, цирк“, русск. круг, круглый), — даг.: авар. гир, лак. ккуру гъан „катиться“, анд. гир „ложиться, валяться“, а также авар. гиргун, анд. гиргима, лак. ккуркки, дарг. журуга (*гуруга), лезг. курккур „пузырь“, таб. гергма, арч. гири „круглый“¹⁶.

გ. ჯაუციანი რატომღაც ქართველური ენების მონაცემებს არ იმოწმებს. თუ მის მიერ დამოწმებულ მასალაში ყველა მაგალითი მართლაც ერთმანეთთან კავშირშია, თითქმის თითოეულ მათგანს შეიძლება დაექებნოს შესაბამისი ცალეები ქართულში, თუმცა მხოლოდ ამის მიხედვით რაიმე ისტორიული ხასიათის დასკვნების გამოტანა ნაადრევი იქნებოდა.

შემოკლებანი

- აქარ. ქართ. დიალ. — (აქარული ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1961.
- ბერ. — ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმთა, СПБ, 1912.
- გუდამაყ. ქართ. დიალ. — (გუდამაყრული) ქართული დიალექტოლოგია, 1961.
- გურ. ქლ. — (გურული) ს. ელენტი, გურული კილო, 1936.
- გურ. შარ. — გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, გურული ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, ქართველურ ენათა ლექსიკა, 1938.
- თუშ. ქართ. დიალ. — (თუშური) ქართული დიალექტოლოგია, 1969.
- თუშ. ხუბ. — ბ. ხუბუტია, თუშური კილო, 1959.
- იმერ. ქავთ. — ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, 1963.
- ინგო. ცხად. — ა. ცხადაძე, იმერული დიალექტის მარკვეული მეტყველება, სადისერტაციო შრომა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (მანქანაზე ნაბეჭდი), 1953.
- იმერ. წერ. — ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, 1938.
- იმერხ. ქართ. დიალ. — (იმერხეული) ქართული დიალექტოლოგია, 1961.
- ინგილ. ქართ. დიალ. — (ინგილოური) ქართული დიალექტოლოგია, 1961.
- კახ. ქართ. დიალ. — (კახური) ქართული დიალექტოლოგია, 1961.
- ლეჩხ. აღ. — მ. ალავეტი, მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955; მისივე, ლეჩხუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, 1938.
- ლეჩხ. ქართ. დიალ. — (ლეჩხუმური) ქართული დიალექტოლოგია, 1961.
- ლეჩხ. ჩიქ. — მ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XX, 1941.
- მთიულ. კშრ. — ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, 1967.

¹⁶ Г. Б. Джаукиан. Взаимоотношение индоевропейских хурритско-урартских и кавказских языков, 1968, стр. 141.



- მ თ ი უ ლ. ქ ა რ თ. დ ი ა ლ. — (მთიულური) ქართული დიალექტოლოგია, 1961.
- მ თ ხ. — ო. ქაჩაია, მოხეური დიალექტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია (მანქანაზე ნაბეჭდი), 1953.
- მ თ ხ. ქ ა რ თ. დ ი ა ლ. — (მოხეური) ქართული დიალექტოლოგია, 1961.
- რ ა ჯ. ქ ა რ თ. დ ი ა ლ. — (რაჭული) ქართული დიალექტოლოგია, 1961.
- ს ა ბ ა — სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949.
- ფ შ. ქ ა რ თ. დ ი ა ლ. — (ფშაური) ქართული დიალექტოლოგია, 1949.
- ქ ა რ თ ლ. ქ ა რ თ. დ ი ა ლ. — (ქართლური) ქართული დიალექტოლოგია, 1949.
- ქ ი ზ ი ყ. მ ე ნ თ. — სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.
- ქ ჯ ლ. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950—1964.
- ჩ უ ბ. ნ. — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961.
- ხ ე ვ ს. ვ ი ნ ჯ. — ალ. ვინჯარაძე, ხევსურულის თავისებურებანი, 1960.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. მიძიგურმა)

ნათელა შვანიძე

თანხმოვანთა შეუთავსებლობა გეგმის სამთანხმოვნოანთა ძირებში

არაბულსა და ებრაულში ძირეულ თანხმოვანთა ურთიერთობის, კერძოდ შეუთავსებლობის, პრობლემის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. არაბ და ებრაელ ფილოლოგებს დეტალურად აქვთ აღწერილი ის შემთხვევები, როდესაც ძირში გარკვეულ თანხმოვანთა მეზობლობა დაუშვებელია¹.

სემიტოლოგთა ადრეულ შრომებში, რომლებიც ძირის სტრუქტურას ეხებიან, განხილულია უმთავრესად ბილიტერალიზმის (ორთანხმოვანიანობის) თეორია, ხსენებული პრობლემა კი რამდენადმე მივიწყებულია². ისიც უნდა ითქვას, რომ ისეთ ავტორიტეტს, როგორიც იყო დე სასი, ეჭვი შეჰქონდა არაბ ფილოლოგთა სათანადო მოსაზრებებში³. მისი ინტენსიური კვლევა მოგვიანებით დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მ. კოენის მიერ დაარსებულ სერაას — Comptes rendus du groupe linguistique d'études chamito-sémitiques (GLECS).

ამ სერიაში გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი, რომელიც ზოგად ხაზებში ეხება ძირეულ თანხმოვანთა ურთიერთობას⁴. შემდეგ გამოდის ფუნდამენტური გამოკვლევები, რომლებშიც განხილულია აღნიშნული პრობლემა როგორც ცალკეული სემიტური ენების, ასევე ამ ენათა ოჯახის მიხედვით⁵.

¹ ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია სიბაევის, იბნ ჯინნის, სუჟუთის, ფარისის, ჯანლენის გამოთქვამები, იხ. K. Petráček, Statistische Methode und ihre Anwendung in der semitistik, Archiv Orientalni, XXIV, 1956, s. 623. S. Moscati, A. Spitaler, E. Ullendorff, W. Soden, An introduction to comparative grammar of the semitic languages, Wiesbaden, 1964, p. 72.

² ზოგ ნაშრომში თანხმოვანთა შეუთავსებლობას ჯეროვანი ადგილი ეთმობა, იხ. W. Gesenius—E. Kautzsch, Hebräische Grammatik, Leipzig, 1902, § 30.

³ S. de Sacy, Grammaire arabe, 1810, I, p. 30, § 59: „ეს უფრო მეტად არის არაბულ ძირებზე გრამატიკოსთა დაკვირვების შედეგი, ვიდრე ბუნებრივი შეუთავსებლობა“. H. B. Юшманов, Грамматика арабского языка, Ленинград, 1928 § 9, с. 21. A. Siddiqi, Studien über die persischen Fremdwörter im klassischen „Arabisch“, 1919, 65—66. A. Dillmann, Ethiopic grammar, 1907, p. 124—125.

⁴ GLECS, III, 1939, 49—51. „Entretien sur les incompatibilités de phonèmes dans les racines“. L. Oppenheim, M. Féghali, M. Rodinson, A. Aeschöly, Incompatibilités de phonèmes en hébreu et en araméen, p. 54—56. G. S. Colin, Incompatibilités consonantiques dans les racines de l'ara be classique, p. 61—62.

⁵ J. Greenberg, Patterning of root morphemes in Semitic, Word 6, 1950, 162—181. K. Koskinen, Kompatibilität in den dreikonsonantigen hebräischen wurzeln, LDMG, 1964, Bb 114. H. I. Muftić, Trilitere w arapskom jeziku—Statističko-fonetska studija, Sarajevo, 1953—4 (Orientalni institut u sarajevu), s. 509—551.



გეეზი ამ თვალსაზრისით, სუსტადაა შესწავლილი. ა. დილმანის გრამატიკაში შეხედებით ზოგად დებულებებს⁶. ჯ. გრინბერგის და კ. კოსინენის მონოგრაფიებში წინა პლანზეა წამოწეული არაბული და ებრაული მასალა, გეეზის ძირები კი შედარებისათვისაა გამოყენებული.

წინამდებარე წერილში განვიხილავთ იმ შედეგებს, რომლებიც გეეზში სამთანხმოვნიან ძირებზე დაკვირვებისას მივიღეთ. მასალა ამოკრებილი გვაქვს ა. დილმანის ეთიოპურ-ლათინური ლექსიკონიდან.

თავდაპირველად შევეხებით თანხმოვანთა ხუთ რიგს: ლარინგალებს⁷ ო, ხ, ფარინგალებს⁸, ხ, პოსტგლარს ხ, ველარებს გ, კ, q და ლაბიოველარებს გ^w, კ^w, q^w, ხ^w.

1. გეეზში დასტურდება ერთადერთი ძირი, რომელშიც პირველ თანხმოვანად h გვაქვს, ხოლო მესამედ ო: hd' 'უმოქმედო'. ერთი ძირი შეინიშნება აგრეთვე ორი ფარინგალით ამ პოზიციაში Ih — III' 'დაწყნარება', 'დამშვიდება'. 8 ძირია ლარინგალითა და ფარინგალით. აქედან ოთხი — I—III პოზიციაში, I' — III ხ. 'რხ' 'ხელი', 'მცენარე', 'ხხ' 'პატიება', I' — III' 'მ' 'განროსება' Ih — III' : ხz 'გაქცევა', 'თავშესაფარის ძებნა', ხz', 'დაწყნარება'. სამი ძირია I—II პოზიციაში. I' — II ხ' : ხd 'ერთი', 'ხz' 'ალება', 'ხr' 'ცხვარი', და ერთი ძირია III ხ — III' : ხხ' 'ჩაღდება'.

პოსტგლარი ხ-ს ლარინგალთან და ფარინგალთან შეთავსების 11 შემთხვევა შეინიშნება. 4 ძირში ო პირველი ძირეულია, ხ მეორე: 'ხw' ძმა' 'ხr' 'განსხვავება', 'ხl' 'ხილის გროვა', 'ხz' 'ალება'. II — III პოზიციაში წარმოადგენილია ერთი ძირი. II ხ — III' : ხh' 'დავარდნა', 'დაგდება'. I და III პოზიციაში ხ ლარინგალს და ფარინგალს 6 ძირში ხდება. აქედან ერთი ძირია, რომელშიც ხ პირველი თანხმოვანია, ხოლო ' მესამე Ih — III' : ხz' 'გაჩუშება'.

სამ შემთხვევაში ო პირველ ძირეულს წარმოადგენს, ხ, კი მესამეს, I' — III ხ : მხ 'კონა', 'იხ' 'დაგრძელება' 'იხ', 'უგუნურება', ორი Ih — III' : ხt' 'შეცდომის ჩადენა', 'ხხ' 'დამალვა'.

ერთადერთი ძირია ორი სხვადასხვა ველარით Iq—IIg : qgs 'გველი', პოსტველარ ხ-სთან ველარები მხოლოდ 3 ძირში თავსდება I—III პოზიციაში, სადაც პირველ ძირეულად არის ხ : ხlq 'გალარიბება' ხlq 'შევიწროება', 'შეწუხება', ხdg 'დატოვება'.

ველარები ლარინგალებთან და ფარინგალებთან სამსავე პოზიციაში თავსდება:

Ig — II'1	I' — IIg3	Ig — IIIh2	Ih — IIg1
IIg — III'1	II' — IIIg0	IIg — IIIh2	IIh — IIIg1
Ig — III'2	I' — IIIg2	Ig — IIIh3	Ih — IIIg0
Ig — II'3	I' — IIg4	Ig — IIIh2	Ih — IIg6
IIg — III'7	II' — IIIg0	IIg — IIIh2	IIh — IIIg2
Ig — III'5	I' — IIIg2	Ig — IIIh3	Ih — IIIg3

⁶ იქვე, გვ. 124.

$Ik - II^0$	$I' - IIk0$	$Ik - IIh2$	$Ih - IIk3$
$IIk - III^1$	$II' - IIIk3$	$IIk - IIIh0$	$IIh - IIIk1$
$Ik - III^2$	$I' - IIIk2$	$Ik - IIIh1$	$Ih - IIIk3$
$Ik - II^3$	$I' - IIk2$	$Ik - IIh2$	$Ih - IIk1$
$IIk - III^4$	$II' - IIIk0$	$IIk - IIIh2$	$IIh - IIIk5$
$Ik - III^1$	$I' - IIIk2$	$Ik - IIIh1$	$Ih - IIIk4$
$Iq - II^0$	$I' - IIq0$	$Iq - IIh1$	$Ih - IIq0$
$IIq - III^1$	$II' - IIIq0$	$IIq - IIIh1$	$IIh - IIIq3$
$Iq - III^4$	$I' - IIIq2$	$Iq - IIIh0$	$Ih - IIIq0$
$Iq - II^1$	$I' - IIq6$	$Iq - IIh1$	$Ih - IIq6$
$IIq - III^3$	$II' - IIIq2$	$IIq - IIIh3$	$IIh - IIIq5$
$Iq - III^4$	$I' - IIIq11$	$Iq - IIIh4$	$Ih - IIIq4$

დასტურდება მხოლოდ სამი ძირი ორი სხვადასხვა ლაბიო-ველარით I—III პოზიციაში $Ig^w - IIIk^w: g^w nk^w$ 'შეგროვება', $Ig^w - IIIq^w: g^w hq^w$ 'გაღუნვა', $Ih^w - IIIq^w: h^w lq^w$ 'დათვლა'. ლაბიო-ველარით და პოსტველარით ერთი ძირია II—III პოზიციაში, $IIq^w - IIIh: nq^w h$ 'გაყოფა'.

რვა მაგალითია ლაბიო-ველარით და ლარინგალით, მაშინ როდესაც ფარინგალებთან მათი შეწყობის 26 შემთხვევა გვაქვს.

$I' - IIg^w0$	$Ig^w - II^0$	$II' - IIIg^w0$	$IIg^w - III^1$
$Ih - IIg^w2$	$Ig^w - IIh1$	$IIh - IIIg^w0$	$IIg^w - IIIh0$
	$I' - IIIg^w0$	$Ig^w - III^3$	
	$Ih - IIIg^w0$	$Ig^w - IIIh0$	
$I' - IIg^w1$	$Ig^w - II^0$	$II' - IIg^w0$	$IIg^w - III^0$
$Ih - IIg^w1$	$Ig^w - IIh2$	$IIh - IIIg^w0$	$IIg^w - IIIh0$
	$I' - IIIg^w0$	$Ig^w - III^2$	
	$Ih - IIIg^w0$	$Ig^w - IIIh1$	
$I' - IIk^w1$	$Ik^w - II^0$	$II' - IIIk^w0$	$IIk^w - III^0$
$Ih - IIk^w0$	$Ik^w - IIh0$	$IIh - IIIk^w0$	$IIk^w - IIIh0$
	$I' - IIIk^w0$	$Ik^w - III^0$	
	$Ih - IIIk^w0$	$Ik^w - IIIh0$	
$I' - IIk^w0$	$Ik^w - II^1$	$II' - IIIk^w0$	$IIk^w - III^0$
$Ih - IIk^w0$	$Ik^w - IIh2$	$IIh - IIIk^w2$	$IIk^w - IIIh2$
	$I' - IIIk^w0$	$Ik^w - III^1$	
	$Ih - IIIk^w0$	$Ik^w - IIIh2$	

I'—IIq ^w 0	Iq ^w —II'0	II'—IIIq ^w 0	IIq ^w —III'0
Ih—IIq ^w 0	Iq ^w —IIh0	IIh—IIIq ^w 0	IIq ^w —IIIh0
	I'—IIIq ^w 0	Iq ^w —III'0	
	Ih—IIIq ^w 0	Iq ^w —IIIh0	
I'—IIq ^w 2	Iq ^w —II'0	II'—IIIq ^w 0	IIq ^w —III'0
Ih—IIq ^w 0	Iq ^w —IIh0	IIh—IIIq ^w 1	IIq ^w —IIIh0
	I'—IIIq ^w 0	Iq ^w —III'2	
	Ih—IIIq ^w 0	Iq ^w —IIIh1	

2. ლიკვიდები r, l, n. რაოდენობა გეუზის ძირებისა ორი სხვადასხვა ლიკვიდით სამსავე პოზიციაში შეადგენს 30-ს. მათი შეწყობა ხშირია I—III პოზიციაში. 29 ძირია ამ პოზიციაში ორი სხვადასხვა ლიკვიდით. აქედან 14 ძირში შეინიშნება nr, 3 rn, 8 ძირში nl და 4 ln, ერთ ძირში ლიკვიდები II—III პოზიციაშია. IIr—III n: qrn

3. დენტალები d, t, t და სიბილანტები s, z, š, s', z' ორი სხვადასხვა დენტალით გვაქვს მხოლოდ ერთი ძირი II—III პოზიციაში. II d—III t: hdt 'მტორე', 'ცოტა'.

ორი სხვადასხვა სიბილანტი თავსდება I—II პოზიციაში 6 ძირში. აქედან 4-ში გვხვდება Is—IIz, s' z' დანარჩენი ორი შემთხვევა არის Is—IIz.

II—III პოზიციაში არის მხოლოდ ერთი ძირი IIš—III s': gšs' 'გაკიცხვა'. 11 ძირი გვაქვს ორი სხვადასხვა სიბილანტით I—III პოზიციაში: 1 šs, 2šs', 1sz, 2 s's და 5 z's.

ძირთა რაოდენობა დენტალითა და სიბილანტით I—II პოზიციაში შეადგენს 29-ს. აქედან 3 ძირში დენტალი წინ უძღვის სიბილანტს: d s', ts', tsj. დანარჩენ ძირებში სიბილანტი პირველ პოზიციაშია, დენტალი მეორეში. ამ პოზიციაში დენტალები ხუთსავე სიბილანტს იგუბენ. 11 ძირია s-თი პირველ პოზიციაში. აქედან 5 ძირში s-ს მოსდევს t, 3 ძირში—d, 3 ძირში—t. დენტალითა შეწყობა დანარჩენ სიბილანტებთან ამ პოზიციაში შედარებით იშვიათია. š პირველ პოზიციაში გვაქვს მხოლოდ 4 ძირში: 1 št და 3 st; 2 ძირია z-თი პირველ პოზიციაში: 1zt, 1zd. 8 ძირია, რომელშიც პირველ ძირეულად არის s': 2s't, 5s'd, 1s't და ერთი ძირია z't დენტალითა და სიბილანტით II—III პოზიციაში 21 ძირი დასტურდება. 5 ძირში დენტალს მოსდევს სიბილანტი. ამ პოზიციაში დენტალების d და t-ს შემდეგ თავსდება მხოლოდ s: 4 ds, 1 ts. დანარჩენ 16 ძირში სიბილანტს მოსდევს დენტალი. 5 ძირია, რომელშიც მეორე ძირეულს წარმოადგენს š: 3 št, 2 št. 6 ძირია, რომელშიც მეორე პოზიციაში არის s და მესამეში d, t, t: 3 sd, 2 st, 1 st. ერთი ძირში შეინიშნება zt ამ პოზიციაში. 4 შემთხვევაში s'-ს მოსდევს d, ერთში z'-ს მოსდევს d.

55 ძირი გვაქვს დენტალითა და სიბილანტით I—III პოზიციაში. აქედან 20-ში დენტალი პირველ ძირეულს წარმოადგენს, სიბილანტი—მესამეს. გვხვდება 35 ძირი, რომელშიც პირველ პოზიციაში სიბილანტია, მესამეში კი დენტალი. აქედან სამივე დენტალის წინ შეინიშნება მხოლოდ s, z და s' სამსა-

ვე პოზიციაში დენტალთა და სიბილანტით 107 ძირი გვაქვს, დენტალი სიბილანტის წინ 29-ჯერ გვხვდება.

4. ლაბიალები m, b, f, p, p. მეტად მცირეა რაოდენობა ძირებისა ორი სხვადასხვა ლაბიალით. ერთ ძირში გვხვდება I—II პოზიციაში. Im—Iib : mbi 'ბატონობა'. ერთი ძირია II—III პოზიციაში, IIm—IIIh : hmb 'ორმო'. შედარებით მეტია ძირები ორი სხვადასხვა ლაბიალით. I—III პოზიციაში. რაოდენობა ძირების ორი სხვადასხვა ლაბიალით ამ პოზიციაში არის 7. აქედან 2 2 mb : mgb 'გარშემორტყმა', mrb 'ყელი, 1 bm : bhm 'გაჩუმება', 4 fm : f'm 'ნატეხი', f s'm 'შესრულება', fz'm 'შევსება', f h m ნახშირი'.

ჩვენ მიერ წარმოებული დაკვირვების შედეგები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

1. გვეზში, აბსოლუტური შეუთავსებლობა, პოზიციების მიუხედავად, დასტურდება შემდეგ თანხმონებთან:

h—', h, h;

h—h;

h—k, k^w, g^w;

k—g, q;

h^w—', t, ', h;

q^w—', h; k^w—h;

r—l;

d—t

t—t;

z—s', z';

s'—z';

š—d;

m—p, p;

b—f, p, p;

f—p, p;

2. აბსოლუტური შეუთავსებლობა პოზიციების მიხედვით:

I—II: '—';

'—q;

'—g^w;

h—k^w;

h—q^w;

r, l, n;

d, t, t;

m—f;

II—III: '—'

g, k, q;

h—g^w;

h—g^w;

k^w—', h, ';

n—l;

d, t, t;

m—f;

I — III: g, k, q;

q — h;

h — g^w;

k^w — Ⴓ;

3. ნაწილობრივი შეუთავსებლობა:

q, g-ს შემდეგ არასოდეს არ დგას პოსტველარი h:

Ⴓ — არ დასტურდება h-ს წინ;

h-ს არ მოსდევს Ⴓ, h.

s-ს შემდეგ არ შეინიშნება k; z-ს შემდეგ — k, s; აგრეთვე s', z-ს შემდეგ k.

t-ს არ მოსდევს k, s'.

t-ს შემდეგ არ დგას k, z, s', z';

4. ნაწილობრივი შეუთავსებლობა პოზიციების მიხედვით:

II' — IIIg, II' — IIIg, Ih — IIIg.

Ik — III', IIk — IIIh, IIk — III'.

Ih — IIq; II' — IIIq.

II' — IIIg^w, I' — IIIg^w.

II' — IIIg^w, I' — IIIg^w, Ih — IIIg^w.

I' — IIIk^w, Ih — IIIk^w.

Iq^w — II', IIq^w — III' I' — IIIq^w.

Iq^w — IIh, IIq^w — IIIh, Ih — IIIq^w.

არ დასტურდება წყობა zt, z'd, z't I — II პოზიციაში და zd, zt, s't, z't, s't, z't II — III პოზიციაში და Iz' — IIIt.

Ib — IIm, Iib — IIIIm, Im — IIIb, Im — IIIf.

სამთანხმოვნაირი ძირის ტაბულებიდან ნათლად ჩანს, რომ სხვადასხვა ჯგუფის თანხმოვნები თავისუფლად თავსდებიან ძირში, ხოლო ერთი და იმავე რიგის სხვადასხვა თანხმოვნების შეწყობის მავალითები ერთეულ შემთხვევებში გვაქვს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)



სოლომონ ყაზანოვიძე

ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე თარგმნის ისტორიიდან

გერმანულ ენაზე ვეფხისტყაოსნის შესახებ ცნობა პირველად გამოაქვეყნა გერმანელმა რომანტიკოსმა მწერალმა, მოგზაურმა და მეცნიერმა ფრიდრიხ ბოდენშტედტმა (1819—1892).

1841 წელს ფ. ბოდენშტედტი გერმანიიდან მოსკოვში გადმოვიდა, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობის პარალელურად იმდენად დაეუფლა რუსულ ენას, რომ გერმანულ ენაზე თარგმნა პუშკინის, ტურგენევისა და ლერმონტოვის რჩეული ნაწერები. 1844 წ. ფ. ბოდენშტედტი მოიწვიეს თბილისის გიმნაზიაში ფრანგული ენის მასწავლებლად და შეუდგა ქართული ენის შესწავლას, დაუახლოვდა ქართველ საზოგადოებას, იმოგზაურა საქართველოს მხარეებში და მოგზაურობის დროს ვაგონილ და ნანახ ცოცხალ შთაბეჭდილების ქვეშ დაწერა შრომები „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის“ (გამოქვეყნდა 1848 წელს ფრანკფურტში) და „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“ (დაიბეჭდა ბერლინში 1850 წ.). ამ უკანასკნელ ნაშრომში ავტორს აღნიშნული ქვეს, რომ თამარ მეფის „დროის ძეგლებიდან შემორჩენილია ქართული ლიტერატურის მცოდნეთა მიერ მრავალჯნის განდიდებული ქმნილებანი, მაგალითად რვა ათასი ლექსისაგან შემდგარი ვეფხისტყაოსანი შოთა რუსთაველისა, ტარიელის შთამომავალ ომანის რომანი, მოსე ხონელის რომანი დარეჯანიანი, სარგისის რომანები დილარაიანი და ვისრამიანი, ვრცელი, თექვსმეტჯერადი რითმით დამშვენებული ხოტბა თამარ მეფისა და სხვა პოეტური ძეგლები“¹. ფ. ბოდენშტედტის ცნობით, საქართველო მას მ. ბროსეს ფრანგული ნაშრომებიდან გაუცვინა², ტარიელის რომანი და თამარის ხოტბა რუსულ თარგმანებში წავიკითხეთ. ამ დროს ვეფხისტყაოსნის რუსული სრული თარგმანი არ არსებობდა³. ფ. ბოდენშტედტს შეეძლო გაცნობოდა მხოლოდ პოემის კუბიურების თარგმანს, რაც, რა თქმა უნდა, სრულ წარმოდგენას ვერ მისცემდა ვეფხისტყაოსანზე. ამას გრძნობდა ფ. ბოდენშტედტი და ამიტომ შენიშნავს: ტარიელის რომანი და თამარის ხოტბა რუსულ თარგმანებში წავიკითხეთ, მაგრამ ამის მიხედვით რომ მსჯავრი გამომეტანა, არც მიზანშეწონილი იქნებოდა და არც დიდად სანუგე-

¹ ფ. ბოდენშტედტი, ათას ერთი დღე აღმოსავლეთში, შემოკლებული თარგმანი გერმანულიდან და შესავალი წერილი აკაკი გელოვანისა, თბ., 1965, გვ. 145—146.

² ფ. ბოდენშტედტი მ. ბროსეს შრომებიდან იცნობს აგრეთვე ქართულ ლიტერატურას, ვერძოდ ვეფხისტყაოსანს. მ. ბროსეს ამ დროს გამოქვეყნებული ჰქონდა ფრანგულ ენაზე ვეფხისტყაოსნის დასაწყისი სტროფები, პირველი თავი და მოკლე შინაარსი დანარსენი თავებისა. იხ. სოლ. იორდანიშვილი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1933, გვ. 96.

³ შ. რევიშვილი, გერმანული ავტორები ვეფხისტყაოსნის შესახებ, კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 437.

შო⁴. ვეფხისტყაოსანზე ვრცელი ცნობები მას შეეძლო მიეღო ქართველებისაგან, რომელთა შორის ის თითქმის ორი წლის განმავლობაში⁵ იმყოფებოდა და კრებდა მისთვის საჭირო ცნობებს.

ფ. ბოდენშტედტის დასახელებული ნაშრომებისა და მისი ბრწყინვალე მთარგმნელობითი მუშაობის გაცნობის შემდეგ ალ. ცაგარელმა გადაწყვიტა, ეთხოვა მისთვის ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე გადათარგმნა. ფ. ბოდენშტედტი ალ. ცაგარელმა პირადად გაიცნო გერმანიაში. ამის შესახებ ალ. ცაგარელი 1868 წელს მიუნხენიდან კ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „აქ, მიუნხენში რომ მოვიდოდი, გამოვლახედ მაინინგენში ვნახე აქაური (გერმანიის) გვარისანი, როგორც ამბობენ, პოეტი ფრიდრიხ ბოდენშტედტი. ეს კაცი იყო ჩვენში (საქართველოში) 40-იან წლებში ორ წელიწადს მოიარა სულ აქაურობა და დასწერა წიგნი ორ ნაწილად „კავკაზი და იმის მცხოვრებნი“. შემდეგ ალ. ცაგარელი იძლევა ამ ნაწარმოების შეფასებას. კარგი წიგნიაო, — სწერდა ის, — „ძალიან სიძარტლით და პირუთნებელათ აქებს, რაც საქებია და აძაგებს, რაც საძაგებია. ძალიან ღრმით დაკვირვებია კავკაზის ხალხების ცხოვრებას და სწორედ გამოუხატინა თავის ელევანტური კალმითო“. ალ. ცაგარელი ეტება ფ. ბოდენშტედტის თარგმნილ შირზა შაფის ლექსთა კრებულს, რომელიც, მისი აზრით, არის „მიზაძვა თათრული, სომხური და ქართული ლექსებისა, ბაიათებისა და მუხანბაზებისა, პატარა წიგნია. გასაკვირველ ენაწყლიანათ არის დაწერილი ძალიან ზედმიტანებით მიუბაძავს, იმიტომაც ცხარამეტყვერ გამოცემულა (ჩემი წიგნი მეცხრამეტე გამოცემა არის) და თითონ (ბოდენშტედტმა) მითხრა, რომ ჩემა გამომცემელმა მთხოვა ნება მივსცე მეოცე გამოცემისათ⁶. იმ ლექსების საგანი არის თითქმის, როგორც ყველა აზიური ლექსებისა, ვარდი, სიყვარული, ღვინო, ქალები და ამგვარები. ძალიან აქებს ჩვენ ქალებსა (პატარა ფეტები აქთო) და ჩვენ თბილისსა, რომელსაც არ ვიცი რათ „ვირის ქალაქს ეძახის“. როგორ მოგეწონა იქაური სიმღერის კილო-მეთქი, ვკითხე ბოდენშტედტსა და იმან მითხრა, რომ „ერთი თავადის სახლში ერთი მომღერალი ისეთი გრძნობით მღეროდა, რომ მე ვიტირეო“ (საკვირველი არ არის ნემეცმა იტიროს, მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ აქამდის დახსომებია თათრული სიტყვებიც და კილოც, რომლითაც იქვე, თავის სახლში, იმღერა). მაინინგენში არის დრამატული თეატრი და ეს ბოდენშტედტი იმის ზედამხედველათ და რიგის მიმცემათ [არის]?, როგორც ჩვეულება არის გერმანიაშიც და ყველა დასავლეთ ევროპის ხალხებში, რომლის მაგივრათაც რუსეთში ჩინოვნიკები არიან“⁸.

⁴ ფ. ბოდენშტედტი, ათას ერთი დღე აღმოსავლეთში, გვ. 146.

⁵ ფ. ბოდენშტედტის ცნობით, მის საქართველოში ორი წელი დღუყვია, ა. გელოვანის გამოანგარიშებით კი იგი საქართველოში „ერთ წელსა და სამ თვეზე მეტს არ დარჩენილა“. ფ. ბოდენშტედტი ათას ერთი დღე აღმოსავლეთში, შესავალი წერილი ა. გელოვანისა, გვ. 9 შენ.

⁶ შირზა შაფი დაიბადა 1796 თუ 1805 წელს, გარდაიცვალა 1852 წ. ფ. ბოდენშტედტს თბილისში ასწავლიდა აზერბაიჯანულ ენას. მისი „სიმღერები“ გერმანულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1851 წ. და დიდ წარმატებებს მიაღწია. 1893 წელს იგი 145-ჯერ იყო გამოცემული, 1924 წ. კი 170 გამოცემას მიაღწია (დაწერილებით საკითხის შესახებ იხ. ა. გელოვანის წერილი, რომელიც დართული აქვს ფ. ბოდენშტედტის „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“ ქართულად შესრულებულ თარგმანს).

⁷ დასახელებული თეატრის დირექტორად ფ. ბოდენშტედტი დანიშნეს 1866 წ.

⁸ წერილი დაეუღია ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ენოლოგიათა ინსტიტუტში Q—850 (2). ამ წერილის დასაწყისში ალ. ცაგარელი მისი გერმანიაში სასწავლებლად წასვლის გამო კ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „მე პეტერბურღის უნივერსიტეტს გამოვესალ-

აღ. ცაგარელს ფ. ბოდენშტედტისათვის უთხოვია, რათა მას გერმანულ ენაზე გადაეთარგმნა ვეფხისტყაოსანი. „მე ვთხოვე რომ დაასრულოს თავისი შრომა კავკასიაზედ და ჩვენს ხალხზედ, — სწერდა აღ. ცაგარელი კ. ლორთქიფანიძეს, — გადათარგმნოს „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ისტორიულ და ლიტერატურულ ღირსებაზედ ძალიან საჭირო იქნება გავაგოთ გერმანიის სწავლულების აზრი-მეთქი. იმან მოიწადინა, მაგრამ თქო, რომ რუსულიც რაც ვიცოდი (ამანვე თარგმნა დიდი ხანია რუსულიდგან ნემეცურზედ პუშკინი და ლერმონტოვი), ისიც თითქმის დამავიწყდაო და ქართული სულ არ ვიცოდი და თუ მითარგმნით ზოგს რუსულად, ზოგს ნემეცურად, თავს ვიდებ მაგ შრომას გაზაფხულიდგანაო, როდესაც თეატრები მითავდება და მე თავისუფალი ვიქნებიო. არ ვიცი, თუ ავათმყოფობამ, სნეულებამ არ დააშლევინა, მე მგონი აასრულოს. მე ჩემის მხრივ მზად ვიქნები, პროზით ვსთარგმნო რამდენიმე თავი „ვეფ“

მე, გადავწყვიტე აქ (გერმანიაში) დარჩენა და აქაურ უნივერსიტეტში შესვლა სტუდენტთა შერ აქ ერთი თვე ნახევარს გასწევს კანიკულები და ოკტომბრის უკანასკნელ რიცხვებში დაგვეწყება სწავლა. მიუხედავად უნივერსიტეტში ვარჩიე ყვერთ შესვლა, რადგან აქ ერთი გამოჩენილი ორიენტალისტი არის პროფესორად (დოკტ. მიულერი). ჰეთხულობს არაბულს, სპარსულს, სანსკრიტულს და სხვ. ენებს და ლიტერატურას აზაის ხალხებისას, იცის ცოტად ქართულიც და სომხურიც. მეორე წლისა, ანუ წლინახევრის შემდეგ გადავალ ბერლინის უნივერსიტეტში, უფრო გამოჩენილ ორიენტალისტთან. რასაკვირველია, ყველა ესა პლანები არის, როგორც ყველა პლანები შეიძლება სულ მთლივ არ ასრულდეს. შემდეგში ძნელია ცოდნა საით წავალ, ეხლა კი მიუხედავად უნივერსიტეტში ვარ, თუ მომეწონია, იქნება დიდხანს არ დავანებო თავი. აქვე ვაბრებ, რასაკვირველია, ეგზამენის დაქვრას (აქ პირდაპირ დოკტორის ხარისხზე იჭერენ ეგზამენას), რომლის მომზადებისათვის, როგორც ეხლა ვფიქრობ, უნდა მოვანდობო სამი თუ ოთხი წელიწადი. აქაურ ატესტატს, ესეც ვიცი, რუსეთში მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ თუ ვისწავლე რამე, სრულიად დაჯილდოვებულად შევრაცხ ჩემ თავსა“.

1874 წლის 21 ივლისის თარიღით დაწერილ წერილში კი კ. ლორთქიფანიძეს აღ. ცაგარელს ლაიფციგიდან სწერდა: „მერმის გაზაფხულზედ დაბრებ მანდ მოსვლას და კარგა ხანი დავრჩები. საქართველო-ლახანის მივლილი, ჩვენი დიპლემტების გამოვლინება მინდა, მაშინ შევთხვევაც გვექნება ბევრი ვილანარკოთ ადგილაზრად. „კრებულს“ შენი ხელი ატყვია. გამოუთქმელის სიხარულის ვხედავ, რომ ჩვენი ხალხის ლექსობა იკრებება და იბეჭდება, იმაშია ჩვენი ნამდვილი ქართული პოეზიაც და ენაც და შეიქმნება ახალი მიმართულების (ნაციონალურისა) საფუძველი პერიოდისა ჩვენ ლიტერატურაში. მოუთმენლად მოველი უძიკაშვილის შეკრებულების გამოცემას; დიდ და იშვიათ ვალსა სდებს ჩვენ მწიგნობრობასა ეგ კაცი თავის შრომებით, რომელიც აქამდინ აკლდენ ჩვენს ლიტერატურასა და ენას, მოიკითხო ჩემ მავიერად და სთხოვე, რაც კი გამოუცია მავასა ქართულ ლიტერატურის შესახებ გაირჩეს — გამოიგზავნოს, რითაც დიდათ დამავალებს, მეტადრე ვთხოვ თავის გამოცემულ „სიბრძნე სიცრუის წიგნსა“, რომელიც ჩემთვის ეხლა ძალიან საჭიროა. თუ შეიძლება მომწეროს ისაც, რომელი და როგორი ხელწერალი ვარიანტებით შეავსო ადრინდელი დაბეჭდილი ს. პეტ-ში? (ასწეროს მოკლეთ ხელნაწერები, რომლებიც კქონდა ხელში და ალაგები, რომლებიც შეავსო). ამით დიდათ დამავალებს მეცა და ჩვენ ლიტერატურასაც, მინდა ევროპა გავაცნო ამ დიდათ შესანიშნავ წიგნთან. თუ მომავალ სექტემბერში პეტერბურღში გამოიგზავნის ამ ცნობებსა, სწორედ კარგ დროს მომეწერება“ (ნ. ბერძენიშვილის სახელობის მუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, Q-351 (3)).

ეტყობა, აღ. ცაგარელი ამ დროს ემზადებოდა „სიბრძნე სიცრუის“ რუსული თარგმნისათვის, რომელიც მან შემდეგში შეასრულა და კიდეც გამოსცა პეტერბურღში 1878 წ.

პ. უმიკაშვილმა „სიბრძნე სიცრუის“ ტექსტი გამოსცა თბილისში 1871 წელს.

აღ. ცაგარელის მიერ დასახელებული „ადრინდელი დაბეჭდილი ს. პეტერბურღში“ არის დ. ჩუბინიშვილას 1859 წ. გამოცემა, რომელიც დაბეჭდილია ეკუპერებით S 3692 ხელნაწერიდან.



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

ხის-ტყაოსნიდგან“. მემრის მისში წაველ იმასთან და არ მოუსვენებ მანამ არა სთარგმნის. ძალიან კარგი იქნება, რომ გააცნოს ევროპა ჩვენ საგანგებო პოეტთან“. ალ. ცაგარელი დარწმუნებული იყო, თუ ვეფხისტყაოსანს ფ. ბოდენშტედტი თარგმნიდა, კარგი იქნებოდა, რადგანაც მის თარგმანებზე (ჟუკოვსკი, შექსპირი) გერმანელი კრიტიკოსები ერთხმად დადებით შეფასებას იძლევიანო. ერთი სიტყვით, — ასკენის ალ. ცაგარელი, — კარგ საქმეს იზამს თუ გადათარგმნაო⁹. ამასთან ერთად, ის კ. ლორთქიფანიძეს ატყობინებდა: „მე მითხრეს [ვეფხისტყაოსანი] ფრანკულ ენაზედ არის, არ ვიცი ბროსეს თუ ვილასაც გადაუთარგმნია, არ ვიცი რამტელად არის ეს მართალი. თუ ასრეა; უნდა ვიშოვნო და შენა გთხოვ, კირილე, უთხრა მ ა ჩ ა ბ ე ლ ს ა¹⁰ როდესაც იქნება ორბელიანთან, ჰკითხოს და თუ სადმე იცის, რომ ვისმეს გადაეთარგმნოს ფრანკულადა და თუ მეცოდინება მთარგმნელი და გამოცემი, ადვილად ვიშოვნო, რომელიც, თუ კარგად არის ნათარგმნი რასაკვირველია, დიდ შემწეობას მისცემს თარგმნის დროს ნემეცურს ენაზედ“.

ალ. ცაგარელმა მიზანს ვერ მიაღწია — ფ. ბოდენშტედტს ვეფხისტყაოსანი არ უთარგმნია. ეს საქმე შემდეგში შეასრულა მისმა თანამემამულემ არტურ ლაისტმა (1852—1927).

ა. ლაისტი საქართველოს პირველად გაეცნო ფ. ბოდენშტედტის ზემოდასახელებული შრომებით. ამის შემდეგ დაინტერესდა იგი საქართველოს ისტორიით, ლიტერატურითა და კულტურით. შეისწავლა ქართული ენა და 1882 წ. ლაიფციგში ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდა წერილი „მივიწყებული ლიტერატურა“. ამ წერილმა მიიპყრო ქართველი ინტელიგენციის ყურადღება და, მიუხედავად ზოგიერთი ფაქტიური შეცდომისა, მისი ქართული თარგმანი მთლიანად დაიბეჭდა „ივერიის“ 1883 წ. იანვრის ნომერში¹¹.

1884 წ. ი. ქავჭავაძის მოწვევით, ა. ლაისტი საქართველოში ჩამოვიდა, დაუახლოვდა ქართველ მოწინავე ინტელიგენციას, საფუძვლიანად დაეუფლა ქართულ ენას და დიდი თაყვანისმცემლი შეიქნა ვეფხისტყაოსნისა, რომელსაც რამდენიმე წერილი უძღვნა¹². 1887 წ. კი შეუდგა ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე თარგმნას, რაზედაც დიდ დახმარებას უწევდა ქართველი ინტელიგენციის პროგრესული ნაწილი. ამ საქმეზე 1888 წ. იაკობ გოგებაშვილი ქუთაისში კ. ლორთქიფანიძეს შემდეგსა სწერდა:

„დიდად პატივცემულო კირილე ბეჟანისძე!

გაწუხებთ ერთი საზოგადო საქმის გამო.

უეჭველია, შეტყობილი გექნებათ, რომ ეს მეორე წელიწადია, რაც თბილისში შეეუძღვით „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანს ნემეცურს ენაზედ ლექსადვე. თარგმანი იკისრა ლეისტმა, რომელიც სწორედ ზედგამოჭრილია ამ საქმისათვის. ჩვენ დეაჩქარეთ ეს მარჯვე შემთხვევა, [რომ] ხელიდან არ გამოგვეშვა, რადგანაც ვინ იცის იქნება სრულად აღარა დროს არ მოგვეცემოდა შემთხვევა

⁹ იმავე წერილში ალ. ცაგარელი კ. ლორთქიფანიძეს სწერდა, რომ ფ. ბოდენშტედტი დამპირდა „перевести на немецкий язык нашего классического поэта Руставели совокупными стихами“.

¹⁰ კურსივი ყველგან ალ. ცაგარელისა.

¹¹ „ივერია“, 1883, № 1, გვ. 155—162.

¹² ი. მეგარელიძე, რუსთველოლოგები, I, თბ., 1970, გვ. 128.

ვერობულს ენაზედ ჩვენი სასიქადულო ქმნილება გადაგველებინა შესაფერი ფორმით.

პირობის ძალით, რომელიც მე შევკარი ლეისტანს, მას „ვეფხვის-ტყაოსანი“ უნდა გადაეთარგმნა ლექსად ორის წლის განმავლობაში და თარგმნის საფასად მიეღო 700 მანეთი. ამჟამად თარგმანი მთელის წიგნისა უკვე გათავებულია და წაკითხულიც არის ნემეცურის ენის მკოდნე პირების მიერ. ეს პირნი ერთხმად აღიარებენ, რომ თარგმანი შესრულებულია მშვენიერად, ხელოვნურადო, ასეც უნდა იყოს, რადგანაც თვით გერმანულში ლეისტი აღიარებულია, როგორც ნემენცური ჟურნალ-გაზეთებიდანა სჩანს, არა მარტო როგორც ნიკიერი, არამედ ხელოვანი (художественный) მთარგმნელი. მაისის დამდეგში ლეისტი მიდის გერმანიაში და იქ დაიკერს „ვეფხვის ტყაოსნის“ დაბეჭდვის თავდარიგს რომელიმე გამოჩენილი ფირმის შუამავლობით. დანაპირი ფულიდგან ჩვენ აქამდე მიგვიცია 400 მანეთი, უნდა მივცეთ [კიდევ] 300 მანეთი თარგმანში და 200 მანეთი შემწეობა გამოცემისათვის. ამოდნა ფულის მიცემა, მეტადრე ერთბაშად, ძლიერ გვიძნელდება, რადგანაც, თუმცა სიტყვით ძლიერ ბევრმა აღგვიტყვა ფულით შემწეობა, მაგრამ საქმით კი მთელი ხარჯი დაგვაწვა სულ თერთმეტს კაცსა, რომელთა შუა ითვლება ნიკო ლოლობერიძეც. ამის გამო ჩვენმა წრემ მე დამავალა მომემართა თქვენთვის თხოვნით, არ შეიძლება რომ თქვენი თაოსნობით ქუთათურმა ქართველობამაც მიიღოს მონაწილეობა ხარჯში და შეგვიმსუბუქოს ტვირთი?

თუ ეს შესაძლებელი გახდეს, გთხოვთ დააჩქაროთ ფულის მოკრება, რადგანაც 500 მანეთი ამ თვეს გასულს უნდა ჩავაბაროთ ლეისტსა¹³.

კ. ლორთქიფანიძე თანაგრძნობით შეხვდა ი. გოგებაშვილის თხოვნას და აქტიური მონაწილეობა მიიღო დაწყებული საქმის დასაგვირგვინებლად.

ა. ლეისტი დრეზდენში შეუდგა ვეფხისტყაოსნის გერმანული თარგმანის გამოცემის საკითხის მოგვარებას. იგი შეუთანხმდა გამომცემელ პიერსონს და 1890 წ. თებერვალში შემდეგი წერილი მოიწერა:

„ბატონო Вследствие Ваших двух телеграмм я спешу Вам сообщить, что издатель, который со мною условился издать мой перевод поэмы „Барсова кожа“ живет в Дрездене Waisenhaus Gasse, № 4, 14, II и называется Пиерсон. Он требует для покрытия издержек 200 р., ибо не знает будет ли эта книга иметь покупателей. Во всяком случае это драгоценный вклад для всемирной литературы и поэтому стоит издать этот перевод. Деньги можете послать или прямо Пиерсону или посредством Тифлисского Коммерческого Банка. Директор этого Банка г. Тамашев даст Вам все нужные объяснения. Я давно послал адрес Мачабели, прилагаю его еще раз. Рукопись пошлите прямо Пиерсону и прилагайте при этом письмо на французском языке, что это именно [та] рукопись, которую он обязался издать и что деньги высланы ему посредством Банка. 10 дней спустя в этом же Банке можете узнать получил ли Пиерсон деньги или нет. Это самый верный способ и деньги этим образом не пропадут. Я со своей стороны сейчас напишу Пиерсону и через месяц или 6 недель книга будет готова и Вы получите первый экземпляр

¹³ ი. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, Q—56 (2).

и потом больше. Не знаю, почему Вы так долго держали рукопись и не послали. Я сегодня еще напишу Пиерсону, но и Вы вышлите сейчас чтобы это дело наконец кончилось.

Всем знакомым посылаю сердечный поклон и Вам жму по-дружески руку.

Для рукописи возьмите прочное полотно, чтоб посылка не повредилась. Адрес Пиерсона посылаю Вам печатно на карточке. Ваш Артур Лейст. Каменка 6, февр. 90 г.¹⁴

პიერსონს, თანახმად მისი თხოვნისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ წიგნისათვის გაუგზავნა ორნამენტები, ბორდიურები და აცნობა შემდეგი: „Г-ну Пиерсону! По Вашему требованию переданному нам г. Лейстом, высылаются Вам орнаменты и бордюры от Правления Общества распространения грамотности для печатающего у Вас книги „Барсова кожа“ перевод Лейста“.

წერილის ეს ტექსტი ი. მანსვეტაშვილმა გაუგზავნა ივ. მაჩაბელს შემდეგი თხოვნით: „ვანო! ეს უნდა ფრანციულად გადაითარგმნოს, ხელოსანთს თუ მოასწრებ კარგი იქნება, ხვალვე გავგზავნი“¹⁵. ი. მაჩაბელმა დავალება შეასრულა და წერილი თანდართული მასალებით გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

ეს წერილი დათარიღებულია 1890 წლის 20 ივნისით. დაწყებული საქმე დაგვირგვინდა. წიგნი დაიბეჭდა. თარგმანს დართული აქვს ა. ლაისტის წინასიტყვაობა. დათარიღებულია იგი 1889 წ. მაისით. წიგნს დაბეჭდვის თარიღი არ უზის, ამიტომ გამოცემის დროდ შეცდომით მიჩნეულია ა. ლაისტის წინასიტყვაობის თარიღი 1889 წელი. სინამდვილეში კი წიგნი უფრო გვიან არის დაბეჭდილი და გამოცემული, არა უადრეს 1890 წლის 20 ივლისისა.

ა. ლაისტის ვეფხისტყაოსნის გერმანული თარგმანი სრული არაა. აკლია მას პროლოგი და ეპილოგი. დედნის საზუსტეც არაა ყოველთვის დაცული, მაგრამ, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა¹⁶, ეს თარგმანი საშუალებას აძლევდა ევროპელებს იმ დროს უფრო ვრცლად გაცნობოდნენ რუსთველსა და მის უკვდავ ქმნილებას.

¹⁴ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 229, საქმე № 270, ფ. 7—8. წერილის ადრესატი შესაძლებელია ილია ჭავჭავაძე იყოს.

¹⁵ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 229, საქმე № 270, ფ. 6.

¹⁶ ა. ბარამიძე, შ. რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 363—364; შ. რევიშვილი, გერმანელი პოეტები ვეფხისტყაოსნის შესახებ, კრებული „თბილისის უნივერსიტეტი. შ. რუსთველს“, 1966, 441—443; ს. იორდანიშვილი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 108—109.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

მეორე მუხამე

ლიტერატურულ-ისტორიული ფრაგმენტები. II*

„ვეფხისტყაოსნის“ უცნობი ხელნაწილები

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ვეფხისტყაოსნის“ 162 ხელნაწერი და 32 ცალკეული ფრაგმენტი. ამ რიცხვს ემატება კიდევ ორი ხელნაწერი, რომლებიც დაცულია დუშეთის მკვიდრის არჩილ კორინთელის ოჯახში.

არჩილ გიორგის ძე კორინთელი, პროფესიით ეკონომისტი, ამჟამად პენსიონერია და ცხოვრობს თბილისში. იგი ქართული მწერლობის დიდი მოყვარულია და თვითონაც მონაწილეობდა ლიტერატურულ საქმიანობაში. ჯერ კიდევ სიყმაწვილეში ლექსები გამოაქვეყნა სალიტერატურო ჟურნალ „ქრონოსის სარკეში“ (გამოვიდა ორი ნომერი 1919 წელს) და გაზეთ „იაში“ (გამოვიდა ერთი ნომერი 1919 წელს), ხოლო დუშეთში ცხოვრების პერიოდში, 1920—1925 წლებში, იგი წერილებს ათავსებდა ქართულ გაზეთებში: „კომუნისტში“, „მუშაში“, „სასოფლო გაზეთში“ და სხვ. ხშირად მისი სტატიები იბეჭდებოდა ფსევდონიმებითაც: დუშელი, ერთი დღის სტუმარი, ილტოზელი, კორნელი და ს. მაისურაძე.

ვეფხისტყაოსნის კორინთელისეული ერთი ხელნაწერის ზომაა 35×12,5 სმ. ტექსტი დაწერილია ლურჯ სქელ ქაღალდზე. ხელი არაა ლამაზი. ხელნაწერის გადამწერი და დაწერის დრო უცნობია. ქაღალდის ჰვირნიშანში მოჩანს დათვი ჯოხით ხელში და იკითხება წელი: „1822“ (ფ. 3,8) და „1823“ (ბოლო ფურცლებზე). ტექსტი დაწერილია შავი მელნით, ზოლო სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები წითელი მელნით. ხელნაწერი დაზიანებული და ნაკლებია, ზოგიერთი ფურცლის კიდეები გაცრეცილია, რის გამოც გარშემო დაუწებებიათ თეთრი ქაღალდი. ხელნაწერი შეიცავს 92 ფურცელს (ერთი ფურცლის ნახევარიღა შემორჩენილი), აკინძულია და ჩამოშლილია მუყაოს ყდაში.

ეს ხელნაწერი თავ-ბოლონაკლებია, პოემა იწყება ტაეპით: „ახლოს უდეს მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა“ (83-3)¹, ხოლო მთავრდება ტაეპით: „ზედა-ზედ დაეტკეპნიდე დარბაზსა და ამა თემსა“ (1656-3). ხელნაწერს ფურცლები აკლია შიგადაშიგაც.

ხელნაწერის ქვედა კიდეზე ვილაცას აღწერილობას გვერდების სათვალავი, რომელიც მიყვანილია ხელნაწერის შუამდე. მერე სხვას ფანქრით განუგრძ-

* დასაწყისი იხ. მაცნე, 1968, № 5.

¹ სტროფები ყველგან ნაჩვენებია შემდეგი გამოცემით: ვეფხისტყაოსანი. ჩანართი და დანართი ტექსტებით. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დურთო სოლ. ყუბანეიშვილმა, 1956.

ვია გვერდების აღნიშვნა. ხელნაწერში ნაჩვენებია მომდევნო გვერდის დასაწყისი სიტყვა წინა გვერდის უკანასკნელი სტრიქონის ქვეშ.

ზედა ყდის ქვედა მხარეზე მიწერილია ხელნაწერის მფლობელის ვინაობა: „ეს წიგნი ეკუთვნის ქ. დუშეთში მცხ. გიორგი ალექსანდრეს ძე კორინთელს“.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ნაკლულია, შესაძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რომელი რედაქციისაა ტექსტი. ხელნაწერში შეტანილი არ არის ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბის შემცველი სტროფები. ცნობილია, რომ ვახტანგ VI-მ თავისი გამოცემიდან ამოიღო ინდო-ხატაელთა ეპიზოდი, ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემაში არ გვხვდება ის შეიდი სტროფი (1846, 1847, 1848, 1849, 1850, 1851 და 1853), რომლებშიც გადმოცემულია ძღვენის გაცემა და რამაზის შეწყალების ამბავი. სწორედ აღნიშნული სტროფები აკლია ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერსაც. რა თქმა უნდა, ხელნაწერს არ ექნებოდა პოემის არც მეორე გაგრძელება, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ხვარაზმელთა ამბავი ეწოდება (ხელნაწერის ეს ნაწილი დაკარგულია). ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ წინამდებარე ხელნაწერი მოკლე რედაქციისაა. ის გადაწერილი უნდა იყოს უშუალოდ ვახტანგის გამოცემიდან ან ამ გამოცემიდან მომდინარე რომელიმე ხელნაწერიდან.

* * *

მეორე ხელნაწერის ზომაა 30×19,5 სმ. პოემა დაწერილია სქელ თეთრ ქაღალდზე კალიგრაფიული ხელით. ხელნაწერის გადამწერი და გადაწერის დრო ცნობილი არ არის. ქაღალდის ქვირილიშანში იკითხება „1837“ (გვ. 41, 77). ტექსტი დაწერილია შავი მეღნით, სათაურები და სტროფის დასაწყისი სიტყვები წითელი მეღნით. ხელნაწერი დაზიანებულია, დაშლილი ყოფილა და აუკინძავთ ფურცლების აღრევით (81—88 გვერდები შეცდომით დასაწყისში მოუთავსებიათ). ამჟამად ხელნაწერი შეიცავს 45 ფურცელს და ჩასმულია მუყაოს ყდაში.

ხელნაწერს ქვედა კიდებზე დასმული აქვს გვერდების სათვალავი. ხელნაწერში ნაჩვენებია აგრეთვე მომდევნო გვერდის დასაწყისი სიტყვა წინა გვერდის უკანასკნელი სტრიქონის ქვეშ. სტროფებს გვერდით მიწერილი აქვს რიგითი სათვალავი. ხელნაწერს დასაწყისში აკლია 22 გვერდი. პოემა იწყება სტროფით: „მეფე ხელსა მოეკიდა გარდაპოცნა ვითა შეილი“ (211), ხოლო მთავრდება სტროფით: „ასმათ თქვა: ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ვითა“... (1098).

ზედა ყდის ქვედა მხარეზე მიწერილია ხელნაწერის მფლობელის ვინაობა: „ეს წიგნი ეკუთვნის ქ. დუშეთში მცხ. გიორგი ალექსანდრეს ძე კორინთელს“. ხელნაწერი რომ კორინთლების ოჯახისაა, ამაზე მიუთითებს 126-ე გვერდის ქვედა აშიაზე მინაწერიც: „იაკოფ კორინთლისა“.

ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან. ის ზედმიწევნით მიჰყვება ვახტანგის გამოცემის ტექსტს, მხედველობაში თუ არ მივიღებთ გადაწერისას დაშვებულ შეცდომებს.

წინამდებარე წერილის საფუძველზე ვეფხისტყაოსნის ორივე ხელნაწერი შეიძინა აკად. გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა.

მოლბერის „ალსარების“ თარგმანი

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართულად უთარგმნიათ ვოლტერის ლექსი „ალსარება“. ლექსის მთარგმნელებად ხელნაწერებში დასახელებულია იოანე ბაგრატიონი და ალექსანდრე ჭავჭავაძე, სამეცნიერო ლიტერატურაში კი „ალსარების“ გადმოთარგმნას ტრადიციულად მხოლოდ ალ. ჭავჭავაძეს მიაწერენ და მის თხზულებათა კრებულებში შეაქვეთ. აღნიშნული ლექსის შესახებ პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი წერს: „თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთი სიტყვის სხვაობას, ორივე ტექსტი ერთმანეთს ჩამოკავას; მკვლევარს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს იოანე ბატონიშვილს ჭავჭავაძის ტექსტი ეთარგმნოს. რასაკვირველია, ეს არ არის მართალი. ამ ლექსისთვის ვოლტერიანელი ბატონიშვილის სახელის მიცემა, ალბათ, გადამწერლის ბრალი უნდა იყოს“².

პოეტი-აკადემიკოსის ი. გრიშაშვილის მოსაზრება, რომ „ორივე ტექსტი ერთმანეთს ჩამოკავას“, შესაძლებელია ითქვას მხოლოდ პირველ და მესამე სტროფზე, რომლებშიც მართლაც გვაქვს „ზოგიერთი სიტყვის სხვაობა“. მაგრამ ეს მსჯელობა არ შეიძლება გავრცელდეს ლექსის მეორე სტროფზე, რომელიც სხვადასხვაა იოანესა და ალ. ჭავჭავაძის სახელით ცნობილ თარგმანებში. სულ სხვადასხვაა მათი ლექსიკა, მათი სარიტმო ერთეულები (ერთ ლექსშია: პოვნად — ხსოვნად — დაუყოვნად — უშიშოვნად, ხოლო მეორეში: ძებნით — გებით — განდებით — სათნოებით). სანიშნოდ აქვე მოვიყვანთ ორივე თარგმანს:

ი. ბაგრატიონის თარგმანი

ჰოი, ღმერთო! ვის ვერ ვინმე მოგწომიეს ჯერეთ ცნობად,
ვის ყოველი დანაბადი გაჩენს, რომელ ჯერ-გინს ყოფად,
შვისმინე მომავლადის, რაცაა მიხმს შენდა თბობად,
შენდ იმსთველენ მთრთოლვარენი აწ ბაგენი ჩემნი ბნობად.

თუცა მცთარ ვარ, მცთარ ვარ მცდელი, მსჯულთა შენთა კვალთა პოვნად!
გრძობით მცთარ ვარ, გარნა გულით შენდა ვიყვი მარად მხსოვნად.
აწ ემსჭვრეტ კართა საუკუნოს განხმად მალე დაუყოვნად,
ვმსჭვრეტ უმრწოლოდ, უდრტიწიველად მდიდებელი უშიშოვნად.

გარნა ვით მრწამს, რომელ ღმერთი, ვისგან ვარ ქმნილ, ვისგან შობილ,
ღმერთა, რომლის სიუხვითა იყვენენ დღენი ჩემნი ტკობილ,
ვით იქმს ამას, ოდესცა მე ამა სოფლით ვიქნა სპობილ,
საუკუნოდ შიმცეს ტანჯვად და არ იქმნას ჩემთვის ლმობილ!³

ალ. ჭავჭავაძის თარგმანი

ჰე, მალალო! ვის ვერ ვინმე მოგწომიეს ჯერეთ ცნობად,
ვის ყოველი დანაბადი გაჩენს, რომელ ჯერ-გინს ყოფად,
შვისმინე მამავლადისა, რაცა მიხნდეს შენდა თბობად,
შენდა მისთვის მთრთოლვარენი აწ ბაგენი ჩემნი ხმობად.

² ალ. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, 1940, გვ. 336.

³ S 3686, გვ. 108—109.

შევდი ოდენ, თუმცა შევედი, გზათა შენთა კვალთა ძებნით!
 სიტყვით მცდარ ვარ, თვარა საქმით მარად ვიყავ შენთან გებით.
 საუკუნოს კარს ჩემს წინა ვსჭერეტ ახლა კი მე განღებით,
 ვსჭერეტ განკრთომით, განკვირვებით, არა შიშით, სათნობით.

ეს ვით მრწმენეს, რომელ ღმერთი, ვისგან ვარ მე ჩენილ. შობილ,
 ღმერთი, რომლის სიუხვითა იყვნენ დღენი ჩემნი ტკბობილ,
 ამაღ ჰყოფს რად, რომელ ვიქმნა მე ამ სოფლით კვალად სპობილ,
 საუკუნოს მიმცეს ტანჯვა და შეიქმნას ამით ღმობილ!⁴

რა თქმა უნდა, მოყვანილი ლექსების მეორე სტროფების მიხედვით ძნელია იმისი თქმა, თითქოს ერთი და იგივე თარგმანთან გვეკონდეს საქმე. გამორიცხულია მათი ერთმანეთის მიმართ რედაქციულობის საკითხიც. გადამწერლებმა რაღა მაინცდამაინც განსხვავებულ ტექსტს მიაკუთვნეს იოანეს სახელი? ყურადსაღებია აგრეთვე, რომ მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერებში (E 96) დაცულია დასახელებული ლექსი, რომლის მთარგმნელადაც, იოანე ბაგრატიონია გამოცხადებული.

ჩენი დაკვირვებით, ზემოთ აღნიშნული ლექსების სახით ვოლტერის „აღსარების“ ორ თარგმანთან უნდა გვეკონდეს საქმე. არავითარ შემთხვევაში ხელნაწერის გადამწერელს არ უნდა დაეპარალოთ დასახელებული ლექსის მთარგმნელად იოანეს გამოცხადება. ორივე ტექსტის ხელნაწერს შემოუნახავს სანდო ცნობა ქართული თარგმანის წარმომავლობის შესახებ, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელთა დასადგენად. სახელდობრ, ბაგრატიონის გადმოთარგმნილ ტექსტს თან ახლავს ასეთი ცნობა: „ვოლტერის მიერ თქმული, ოდეს კვდებოდა და სვინიდიხად მოვიდა; მეფის ვიორგის ძის იოანესაგან თარგმნილი ქართულსა ენასა ზედა რუსულით“⁵. ე. ი. იოანე ბაგრატიონს ლექსი უთარგმნია რუსულიდან. რაც შეეხება მეორე თარგმანს, მის შესახებ ნათქვამია: „თქმული ჟამსა სიკვილისასა ვოლტერისაგან ფრანციულსა ენასა ზედა, ხოლო ქართულად გადმოთარგმნილი ალექსანდრე ჭავჭავაძისა მიერ“⁶. როგორც ვხედავთ, ალ. ჭავჭავაძის თარგმანი უშუალოდ დედნიდან, ფრანგულიდან უნდა იყოს შესრულებული. საკითხის გარკვევისთვის საინტერესოა აგრეთვე თხზულების სახელწოდებათა სხვადასხვაობაც. იოანეს თარგმანს თან ახლავს შემდეგი დეტალიზაცია: „თქმული, ოდეს კვდებოდა და სვინიდიხად მოვიდა“, ხოლო ალ. ჭავჭავაძის თარგმანს მოკლედ აქვს წარწერილი: „თქმული ჟამსა სიკვილისასა“.

ყოველივე ზემოთქმული, რომ თარგმანების მეორე სტროფი ერთიმეორისგან დიამეტრულად განსხვავდება, რომ თარგმნილი ტექსტების სათაურები სხვადასხვაა და ხელნაწერებში რომ იოანეს მთარგმნელობა მიეკუთვნება მხოლოდ განსხვავებულ ტექსტს, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: იოანე ბაგრატიონისა და ალ. ჭავჭავაძის სახელებით ცნობილი ვოლტერის ლექსის თარგმანები წარმოადგენს ორ სხვადასხვა თარგმანს.

4 ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940, გვ. 162.

5 S 3686, გვ. 108.

6 H 285, გვ. 785.

საკითხავია, რითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ აღნიშნული ნების პირველი და მესამე სტროფები, პოეტი-აკადემიკოსის ი. გრიშაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთმანეთს ჩამოჰგავს“? და არა მარტო ჩამოჰგავს, არამედ ერთ-ერთი თარგმანი მეორის აშკარა გავლენასაც კი განიცდის.

საფიქრებელია, რომ იოანე ბაგრატიონმა რუსულიდან გადმოთარგმნა ვოლტერის ლექსი, შემდეგ, იოანეს თხოვნით თუ პირადი ინიციატივით, ფრანგული ენის კარგმა მცოდნემ ალ. ჭავჭავაძემ უშუალოდ დედნიდან, ფრანგულიდან თარგმნა ის, მხოლოდ ისე, რომ გამოიყენა უკვე არსებული თარგმანი. დედანთან შეჯერებისას ალ. ჭავჭავაძემ საჭიროდ სცნო პირველ და მესამე სტროფებში მხოლოდ აქა-იქ შეეტანა შესწორებები, რადგან თარგმანი ძირითადად შესაფერისად გადმოცემდა ორიგინალს, ხოლო მეორე სტროფი ხელახლა ეთარგმნა, ვინაიდან თარგმანი სათანადოდ არ იყო შესრულებული. ალ. ჭავჭავაძის თარგმანი უფრო გამართულია ენობრივად, დახვეწილია და პოეტურადაც უკეთესად ჟღერს.

მწერალ ნიკო კურდღელაშვილის საოჯახო არქივში (ამჟამად ეს არქივი დაცულია საქართველოს სსრ სახელმწ. ლიტერატურულ მუზეუმში) მივაკვლიეთ დღემდე უცნობ ხელნაწერს, რომელშიც მოთავსებულია ჩვენთვის საინტერესო თარგმანი. ლექსს აწერია: „სოზნანიე ვოლტერა“. ლექსის მოყვანილი სახელწოდება შემდგომში ხელს შეგვიწყობს გამოვავლინოთ ვოლტერის ლექსის ის რუსული თარგმანი, რომლიდანაც მომდინარეობს იოანე ბაგრატიონის ტექსტი. ამავე დროს აღნიშნული ხელნაწერი გვშველის ი. ბაგრატიონისა და ალ. ჭავჭავაძის სახელებით ცნობილი თარგმანების ურთიერთმიმართების გასარკვევად. ახლად მიკვლეული ხელნაწერის ტექსტში გვაქვს რიგი გამოთქმებისა, რომლებიც გვხვდება მხოლოდ იოანეს თარგმანში და, პირიქით, მასში გვხვდება ისეთი გამოთქმებიც, რომლებიც გვხვდება მხოლოდ ალ. ჭავჭავაძის თარგმანში, ე. ი. ახალი ხელნაწერის ტექსტი ასახავს ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმანზე მუშაობის შუა საფეხურს, თუ თანდათან როგორ ამუშავებდა პოეტი იოანეს ნათარგმნ ტექსტს. აი ისიც:

სოზნანიე ვოლტერა

ჰე, მაღალო! ვის ვერ ვინმე მიგწომივს ჭერეთ ცნობად,
ვის ყოველი დანაბადი გაჩენს, რომელ ჭერ-გინჩს ყოფად,
შემისძინე მომაკვდავსა, რაცა მინდეს შენდა თხრობად,
შენდა იმსთვენ მორთოლვარენი აწ ბაგენი ჩემნი ხმობად⁷.

შევსციდი ოდენ, თუმცა შევსციდი, გზათა შენთა კვალთა ძებნით!
სიტყვით მცდარ ვარ, თვარა საქმით მარად ვიყავ შენთან გებით,
საუკუნოების კარსა ჩემს წინაშე ვსპერეტ განლებით,
ვსპერეტ განკრთობით, განკვირვებით, არა შინით, სათნობით.

ეს ვით მრწმენეს⁸, რომელ ღმერთი, ვისგან ვარ ქმნილ, ვისგან შობილ,
ღმერთი, რომლის სიუხვია იყენენ დღენი ჩემნი ტკობილ,
ამას რად ჰყოფს, რომელ ვიქმნა ამა სოფლითა აღსპობილ,
საუკუნოს მიმცეს ტანჯვას და არ იქმნას ამით ღმობილ!

7 ხელნაწერშია: თხრობად.

8 ხელნაწ.: მწრწმენს.



იოანესა და ალექსანდრე ქავჭავაძის ერთობლივი მთარგმნელობითი საქმიანობა დასტურდება სხვა შემთხვევაშიც. სახელდობრ, ფრანგულ-ქართულ-საბჭოთა „ვედოქსიას“ გადმოთარგმნის დროს⁹.

დიმიტრი ანიკოვის სახელმძღვანელო

მათემატიკური მეცნიერებით დიდი ხნის წინათ დაინტერესდნენ საქართველოში. ქართულ ენაზე ხელნაწერების სახით არსებობდა არითმეტიკის სხვადასხვა ნათარგმნი თუ ორიგინალური სახელმძღვანელოც. ამ სახელმძღვანელოების ნაწილმა დღემდეც მოაღწია, ნაწილი კი უკვალოდ დაიკარგა. ასე მაგალითად, დაკარგულად ითვლება არითმეტიკის ხელნაწერი სახელმძღვანელო, რომლის შესახებაც ვახ. „დროების“ კორესპონდენტი ასი წლის წინათ წერდა: „ჩვენ ენაზე ამ დღეებში ერთი ქართული ძველი ხელნაწერი წიგნი არითმეტიკა, ლაბორატორია (ალბათ, პლანიმეტრია. — გ. მ.) და გეომეტრია, რომელიც დაწერილია პეტრე დიდის პირველი არტილერიისტის უ. გელოვანის მიერ 1710 წელს“¹⁰.

ასევე დაკარგულად ითვლება ერთ დროს იოანე ბავრათიონის წიგნსაცავში დაცული „თეორეტიკული და პრაქტიკული არითმეტიკა ყრმათათვის, ახლად დაწერილი ორსავე ღიმნაზიის ინსპექტორის დიმიტრი ანიკოვისაგან (ონიკაშვილისაგან?)“¹¹.

დასახელებულ წიგნზე სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება. ალ. ცაგარელი მას, როგორც ჩანს, ორიგინალურ სახელმძღვანელოდ მიიჩნევდა, რადგან ავტორის გვარს „ანიკოვს“, მართალია კითხვითი ნიშნის ქვეშ, ონიკაშვილად (ონიკოვად) კითხულობდა. ალ. ხახანაშვილი კი „თეორეტიკული და პრაქტიკული არითმეტიკა ყრმათათვის“ მიიჩნდა ნათარგმნ (ალბათ, რუსულიდან) სახელმძღვანელოდ, თუმცა პირველწყაროზე არ მიუთითებდა. საფიქრებელია, ალ. ცაგარლის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაზე დაყრდნობით, მკვლევარი წერდა: „Появляются в переводе теоретическая и практическая арифметика для детей инспектора гимназии Аникова, арифметическая задачи и упражнения, тригонометрия“¹² და სვ.

დიმ. ანიკოვის და, მით უმეტეს, ონიკაშვილის ავტორობით არც ქართულ და არც რუსულ ენაზე არითმეტიკის არავითარი სახელმძღვანელო არ არსებობს. ალ. ცაგარლის მიერ გამოქვეყნებული ცნობით კი შესაძლებელი ხდება არითმეტიკის სახელმძღვანელოს და მისი ავტორის ზუსტი დადგენა.

რუსეთის მათემატიკის ისტორიაში საკმაოდ ცნობილია დიმიტრი სერგეის ძე ანიკოვის (1733—1788) დამსახურება მათემატიკური აზრის განვითარების საქმეში. მისი მეცნიერული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა არითმეტიკის სახელმძღვანელო¹³, რომლითაც

⁹ გ. მიქაძე, ალ. ქავჭავაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან, „ლიტ. გაზეთი“, 1964 № 5.

¹⁰ დროება, 1870, № 168.

¹¹ А. Цагарели, Сведения, т. I, вып. III, 1894, გვ. 230.

¹² А. Хаканов. Очерки, III 1901, გვ. 349.

¹³ П. М. Рыбаков. „Арифметика“ Д. С. Аникова. Математика в школе, 1956, № 1, გვ. 15—20.

რამდენიმე თაობა აღიზარდა. დიმ. ანიჩკოვის წიგნი პირველად გამოქვეყნდა 1764 წელს და მას შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა. სახელმძღვანელოს ბოლო (მეოთხე) გამოცემა დაიბეჭდა 1793 წელს ქ. მოსკოვში. აღნიშნული გამოცემა, შევსებული და შესწორებული, წარმოადგენს დიდი მოცულობის წიგნს (შეიცავს თითქმის 400 გვერდს) და ეწოდება „Теоретическая и практическая арифметика, в пользу и употребление юношества, собранная из разных авторов, вновь дополненная и исправленная надворным советником, Имп. Московского университета публичным ординарным профессором и обеих онаго гимназий инспектором Дмитрием Аничковым“.

დ. ანიჩკოვის წიგნი იწყება მათემატიკის სწავლების ფილოსოფიური განსაზღვრებით, რომელშიც ავტორი ასკვნის, რომ მათემატიკა ამახვილებს ადამიანთა გონებასო. არითმეტიკის თეორიის გადმოცემას ერთვის პრაქტიკული და ზშირად ისტორიული ამოცანები. არითმეტიკული მოქმედებანი სრულდება ჩვენთვის ნაცნობი საშუალებებით. მოცემულია აგრეთვე მოქმედების შემოწმების წესები. ყველა წესი მტკიცდება თეორემების სახით. წიგნის თეორიული ნაწილი ეხება ჩვეულებრივ წილადებსა და ათწილადებს, ფესვის ამოღებასა და ლოგარითმებს. წიგნს დაერთვის სხვადასხვა ქვეყანაში იმ დროს გავრცელებული საზომების დაწვრილებითი მიმოხილვა.

დიმიტრი ანიჩკოვის წიგნის სრული სახელწოდებისა და ალ. ცაგარლის მიერ გამოქვეყნებული ცნობის შეგვრებიდან ნათელი ხდება, რომ ქართულ ცნობაში გადამწერს შეცდომით ჩაუწერია სახელმძღვანელოს ავტორის გვარი: ანიჩკოვის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს ანიჩკოვი. დანარჩენი მონაცემები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს.

ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ნამდვილად არსებობდა ცნობილი რუსი მათემატიკოსის დიმიტრი ანიჩკოვის სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი, რომელიც დღეისთვის მიკვლეული არ არის.

აღნიშნული წიგნი ინახებოდა იოანე ბაგრატიონის წიგნსაცავში, ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ „თეორიული და პრაქტიკული არითმეტიკა“ ეთარგმნათ თვითონ ბატონიშვილებს, ყოველ შემთხვევაში ეს წიგნი მათი დაკვეთით უნდა იყოს გადმოთარგმნილი ქართულად პეტერბურგის ქართული ახალშენის წარმომადგენლების მიერ.

შ. გორცევის მინაოკისათვის

გამომცემლობა „მოდოლია როსიამ“ 1906 წლის დასაწყისში მოსკოვში გამოსცა შ. გორცევის მცირე მოცულობის წიგნი — „როგორ იბრძვიან ქართველი გლეხები თავისუფლებისათვის“. მიუხედავად იმისა, რომ დასახლებული წიგნი დაიბეჭდა საკმაოდ დიდი ტირაჟით (25 ათასი ცალი), რევოლუციონერებმა ის ელვის სისწრაფით გაავრცელეს მთელ რუსეთში. სულ მალე კი წიგნმა შეაღწია მეფის რუსეთის ციხეებში პოლიტპატიმართა შორისაც. დასახლებული წიგნის ერთ-ერთი ეგზემპლარი სწორედ პოლიტპატიმარს ჩამოართვეს დაკითხვის დროს ტვერის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოში. აქედან ის გადაეგზავნა მოსკოვის ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტს იმის დასადასტურებლად, შეიძლებოდა თუ არა მისი ხალხში თავისუფლად გავრცელება. მოსკოვის საცენზურო კომიტეტმა თავისი შინაარსის გამო შ. გორცევის წიგნი სასტიკად აკრძალა და საქმე აღძრა სასამართლოში. მოსკოვის

ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია მოსკოვის სასამართლო პალატის ოთხტომიანი სასამართლო-საგამომძიებლო საქმე, რომელშიც აღწერილია ამ წიგნის საინტერესო თავგადასავალი.

რა იყო მიზეზი დასახელებული წიგნის სასტიკი დევნისა? საქმე ისაა, რომ ეს მცირე მოცულობის წიგნი თავისი შინაარსით უაღრესად რევოლუციური ხასიათისაა. მასში ავტორი ღიბი სიმბათით აგვიწერს ქართველ გლეხობის შეიარაღებულ აჯანყებას, კერძოდ კი გურიის 1905 წლის გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს.

შავბნელი რეაქციის წლებში ავტორი გამოთქვამს საბოლოო გამარჯვების ურყევ რწმენას და ქართველ გლეხობას მოუწოდებს არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მხრივ განსაკუთრებულად ეღერს წიგნის დასკვნითი ნაწილი, სადაც ნათქვამია: „რევოლუცია საქართველოში მხოლოდ დროებით დამარცხდა... ქართველი გლეხობა დაუცდის თავისი რუსი თანამოძმეების ახალ ნიშანს და ხელახლა აღმართავს მრისხანე აჯანყების დროშას. საქართველოს გლეხობას ღრმად სწამს, რომ მშრომელი ხალხი ბოლოს და ბოლოს, მოიპოვებს გამარჯვებას“.

ასეთია ამ წიგნის მოკლე ისტორია, რომლის შესახებაც მოგვითხრობს შალვა გოგოძე თავის წერილში.

ვინ არის ავტორი დასახელებული წიგნისა? ამის შესახებ შ. გოგოძე წერს: „შ. გორცევი, ჩვენი აზრით, ფსევდონიმი უნდა იყოს. შორს არ ვიჭნებით ქვეშარიტებისაგან, თუ ვივარაუდებთ, რომ წიგნის ავტორი ქართველია, ის ძლიერ კარგად იცნობს ქართულ ყოფას და მთელ იმდროინდელ ვითარებას. ეტყობა, რომ ავტორი თვითონ იყო მონაწილე რევოლუციონურ ბრძოლებისა. შემდგომი კვლევა-ძიება ალბათ ნათელს მოჰფენს ამ წიგნის ავტორის ვინაობას“¹⁴.

რეაქციის მძიმე წლებში, რა თქმა უნდა, ავტორი ვერ გაბედავდა რევოლუციური იდეების პროპაგანდის დროს ნამდვილი გვარით გამოსვლას. ის აუცილებლად ამოეფარებოდა მოგონილ გვარს, მიმართავდა ფსევდონიმს. ასეთ შემთხვევაში ფსევდონიმი წარმოადგენდა ავტორის თავდაცვის საშუალებას თვითმპყრობელური რეჟიმისგან.

ფსევდონიმსამოფარებულ პიროვნებაზე მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გრიგოლ ნათაძე თავის გამოუქვეყნებელ მოგონებაში, რომელიც დაცულია საქართველოს განათლების მუზეუმში. ეხება რა სტუდენტობის წლებს მოსკოვის უნივერსიტეტში, თავისი ძმის შალვა ნათაძის შესახებ ავტორი წერს:

„შალვა 1905 წელს თანამშრომელი იყო რუსეთში იმ დროს მეტად პოპულარული გამომცემლობისა, რომელსაც სახელად ჰქონდა «Молодая Россия». ამ გამომცემლობამ გამოსცა შალვას ბროშურა: «Как гурьинские крестьяне боролись за свободу». მეტად წარმტაცი ფერებით იყო აღწერილი ამ წიგნაქმი ეს ამბავი. ყველა გატაცებით კითხულობდა და აჭებდა. ახლა რეაქციამ ეს გამომცემლობა დახურა, მთელ მის მასალას კონფისკაცია უყო და მეთაურები დაატუსაღა. მერე ჯერი მიდგა თანამშრომლებზედაც. თუმცა წიგნზე ჩემი ძმის სახელი და გვარი არ ეწერა, რადგანაც «Горцев»-ის ფსევდონიმით წერდა, მაგრამ გამონახეს მისი ნამდვილი გვარი და თავს დაესხნენ.

¹⁴ შ. გოგოძე, ერთი წიგნის ბედი. დროშა, 1967, № 12; მისივე ბროშურა, რომელიც გასამართლეს. წიგნის სამყარო, 1971, № 9, 10.

იმ დროს მე და შალვა ერთ ბინაზე ვცხოვრობდით. შემოგვესაყენებინა¹⁵ 10
 შაშხანიანი და ხიშტიანი კაცი დაგვეცა თავს. აგვიფორიაქეს ბინა, წაიღეს
 წიგნები და ჩემი ძმაც თან წაიყვანეს, მერე ციხეში ჩასვეს. მე ციხეში დავდი-
 ოდი ერთ ხანად მის სანახავად. ბოლოს, გავიგე რომ ის ციხიდან გაქცეული-
 ყო. მეც, რასაკვირველია, ყველა ამის შემდეგ კარგი არა მომელოდა რა.
 ჩემს კვალს, უეჭველია, ადრე თუ გვიან, მიაგნებდნენ... მდგომარეობა იქამ-
 დის დაიძაბა, რომ მე იძულებული გავხდი მოსკოვიდან «გავქცეულიყავ»...¹⁵

როგორც ვხედავთ, „შ. გორცევი“ შალვა ნათაძის ფსევდონიმი ყოფილა.
 შალვა ნათაძე დაიბადა 1883 წლის ოქტომბერში. მისი მამა იასონ ივა-
 ნეს ძე ნათაძე (1848—1911) იყო ცნობილი პედაგოგი და ხალხოსნური იდეე-
 ბის მქადაგებელი. იგი თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებ-
 ში. ზოგჯერ ფსევდონიმებითაც („ალეველი“, „გარდმობხეწილი“, „ქი-ქია-
 ში“) აქვეყნებდა წერილებს. შალვას გარდა, იასონს ჰყავდა სხვა შვილებიც,
 რომლებიც თავიანთი საზოგადოებრივი მოღვაწეობით აგრეთვე ცნობილი
 არიან. უფროსი ვაჟი — გრიგოლ (გიგო) იასონის ძე ნათაძე (1878—1951),
 ზემომოყვანილი მოგონების ავტორი, იყო ისტორიკოსი, თბილისის სახელმ-
 წიფო უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც ადრე თანამშრომლობდა გა-
 ზეთ „ცნობის ფურცელში“ „გიგოსა“ და „გან-ნარძის“ ფსევდონიმებით;
 შუათანა ვაჟი — ლევან (ლეო) იასონის ძე ნათაძე (1880—1922) პროფესიით
 პედაგოგი იყო, ეწეოდა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას
 „ლეოს“ ფსევდონიმით. რაც შეეხება უმცროს შვილს — შალვას, მან წარმა-
 ტებით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი ისტორიის სპეციალობით. ჯერ
 კიდევ ახალგაზრდა „შალვას“ ფსევდონიმით წერილებს აქვეყნებდა ქართულ
 პრესაში, შემდეგ მოღვაწეობდა რუსულ პერიოდულ გამოცემებში „გორცე-
 ვის“, „შ. გორცევისა“ და „შ. ლეონიდოვის“ ფსევდონიმებით. მისი სტატი-
 ები დაბეჭდილია 1900—1912 წლების გამოცემებში: „Киевская мысль“,
 „Речь“, „Современник“, „Утро России“, კრებ. „Коллективист“ (М., 1907)
 და სხვ. 1906 წელს მან გამოაქვეყნა ბროშურა — „ეროვნული საკითხი“. რევოლუ-
 ციური მოღვაწეობის გამო იგი დააპატიმრეს, მაგრამ ციხიდან გაიქცა და ემიგ-
 რაციაში წავიდა. 1912 წლის 24 დეკემბერს გარდაიცვალა სისხლის მოწამვლით
 ქ. კონსტანტინოპოლში (სტამბოლში).

შალვა ნათაძის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა მაშინდელი პრე-
 სა. ერთ-ერთი გაზეთი წერდა: „განსვენებული ეკუთვნოდა ადამიანთა იმ
 ჯგუფს, რომელიც ცხოვრების მიზანს მშრომელი ხალხის ინტერესების სამ-
 სახურში ხედავს. ვისაც ის უნახავს და მისი სიტყვები მოუსმენია მღელვარე
 დროს, მისთვის აშკარაა, თუ რა დიდი დანაკლისია იგი ჩვენთვის. განს-
 ვენებული პირველად ეკუთვნოდა ნაროდნიკების ჯგუფს, მაგრამ შემდეგ ცხოვ-
 რების დაკვირვებამ და საზოგადოებრივი მეცნიერების სერიოზულმა შესწავ-
 ლამ იგი მარქსისტების ბანაკში მიიყვანა. უკუღმართმა ცხოვრებამ ის იძუ-
 ლებული გახადა სამშობლოს მხრიდან გახიზნულიყო და მოშორებოდა თავის
 საყვარელ საქმეს. უკანასკნელ დროს ის ათავსებდა ოსმალეთიდან წერილებს
 რუსულ გაზეთში. რამოდენიმე წერილი მან მოათავსა აგრეთვე გასულ წელს
 გაზეთ „მნათობში“. კარგი მოლაპარაკე, სერიოზული ცოდნით აღჭურვილი,

15 სგმ ხელნაწერი, № 1756, გვ. 98.

გონებამახვილი და მეტროლო ტემპერამენტის პატრონი, — აი ვინ იყო შალვა ნათაძე! უღმობელმა სიკვდილმა უდროვოდ მოსწყვიტა ის ცხოვრებას...¹⁶.

მოყვანილი ცნობები დაგვეხმარება ქართველი რევოლუციონერის ცხოვრებისა და პუბლიცისტური მოღვაწეობის შემდგომი შესწავლის საქმეში.

თავდორო კიკვაძე

მწერალი და საზოგადო მოღვაწე თევდორე (თედო) გაბრიელის ძე კიკვაძე დაიბადა სოფ. მაკვანეთში (გურია) 1868 წლის აპრილში¹⁷. 1878 წ. შეჰყავთ ოზურგეთის ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში, რომელსაც ამთავრებს 1884 წ. შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში მისი რედაქტორობით 1887 წ. გამოვიდა ხელნაწერი ჟურნალი „ლამპარი“, რომელშიც იგი წერილებს ათავსებს ხ ლ ა ფ ო რ თ ა ძ ი ს ფსევდონიმით. სხვათა შორის, აღნიშნულ ჟურნალში თანამშრომლობდნენ აგრეთვე ფილიპე მახარაძე (ფსევდონიმით „ფ. ჯვარელი“) და ნოე ქორდანია (ფსევდონიმით „წითელფერაძე“).

თ. კიკვაძემ სემინარია დაამთავრა 1890 წელს და მუშაობა დაიწყო კიათურაში მარგანეცის ცნობილ მრეწველ ნიკოლოზ ლოღობერიძესთან. კიათურიდან ის წერილებს აქვეყნებდა „ივერიასა“ და „კვალში“. ამ წერილებში თ. კიკვაძე უმეტესად აშუქებდა ადგილობრივი მუშების ყოფა-ცხოვრებას. მისი ზოგიერთი სტატია ჭ ა ლ ა რ ა ს ფსევდონიმითაც არის გამოქვეყნებული.

ნიკო ლოღობერიძემ კიათურის მარგანეცის წარმოება სხვას გადასცა, რის გამოც თ. კიკვაძე თავს ანებებს სამუშაოს და 1897—1898 წლებში მუშაობს აკაკი წერეთლის „კრებულის“ რედაქციის გამგედ. პარალელურად თანამშრომლობდა გაზ. „კვალში“, სადაც ლექსებს აქვეყნებდა ფ ა ნ დ ი ს ფსევდონიმით, ხოლო განყოფილებაში „კვირიდან კვირამდე“ წერილებს ბექდაედა ხელმოწერლად (1898 წ.)¹⁸.

1905 წ. თ. კიკვაძე კორექტორად მუშაობდა ახლადდაარსებულ რუსულ გაზეთ „Возрождение“-ში, ხოლო 1906 წლიდან მდივნად იყო გაზეთ „სხივში“. დასახელებული გაზეთის დახურვის შემდეგ თანამშრომლობდა გაზეთებში „განთიადსა“ და „ელვაში“, სადაც მისი წერილები გამოქვეყნებულია მ.-ს ხელმოწერით. არის ცნობა, რომ გაზ. „ელვაში“ თ. კიკვაძე სტატიებს აქვეყნებდა თ. ბ ე კ ა თ ე ლ ი ს ფსევდონიმითაც¹⁹. 1906 წ. ქანდარმერია გაზ. „ელვის“ რედაქცია დაარბია და თანამშრომლები დააპატიმრა. მათ შორის იყო თ. კიკვაძეც.

1907 წლის შემოდგომიდან ის ხელმძღვანელობდა იუმორისტულ ჟურნალ „კვალს“, რომლის ოფიციალური რედაქტორი ასოთამწყობი პლატონ

¹⁶ ჩვენნი დროება, 1913, 6 იანვარი, № 9. იხ. აგრ. Речь, 1913, № 7; Утро России, 1913, № 5 და სხვ.

¹⁷ თვითონ მწერლის ცნობით, მეტრიკულ მოწმობაში შეცდომით სწერია 1869 წლის აპრილი (საქართველოს სახელმწ. ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი, № 25279).

¹⁸ ამავე სათაურით ხელმოწერულ წერილებს აქვეყნებდა ნ. ქორდანიაც, რომელიც მაშინ „კვალს“ ხელმძღვანელობდა.

¹⁹ А. Абрамишвили, Грузинская периодика. 1968, გვ. 220.

გაჩეჩილაძე იყო. ამ ჟურნალში თ. კიკვაძე ზემოთ დასახელებულ ფსევდონიმებთან ერთად იყენებდა ახალსაც. ესენია: ანასინი, ბელასინი, დი, დელიყანდი, ელვა, ზღვისპირელი, კრიმანჭულიძე, კუდაბზიკა, ლიუციფერ, ორასინი, პროლეტარი, უკუღმართი, უხილავი, ღიბიანი, ჩინოვნიკი, ჭყაფშანელი, ხლაფორთი, ??? (სამი კითხვითი ნიშანი).

1909—1912 წლებში თ. კიკვაძე მასწავლებლობს ქ. ოზურგეთში. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საცხოვრებლად გადმოდის თბილისში და ეწყობა ქართული ენის მასწავლებლად ქალთა მეოთხე გიმნაზიაში. 1927 წლიდან მუშაობდა საქ. სამხატვრო აკადემიაში ქართული ლიტერატურის ლექტორად.

თ. კიკვაძემ ჯერ კიდევ 1889 წელს თ. კ — ძე-ს ხელმოწერით გამოსცა „პატარა მოთხრობა“. 1901 წ. ბათუმში გამოაქვეყნა წიგნი „საბრალო კრიტიკოსი (დაგვიანებული პასუხი ბ-ნ Georgiano-ს)“. 1921 წელს სხვებთან ერთად შეადგინა ქართული ენის სახელმძღვანელოები „ჩვენი სკოლა“ (სამ ნაწილად) და „მეგობარი“. 1925 წ. დაბეჭდა საბავშვო მოთხრობები და ლექსები — „ჩვენი მეგობარი“ (სამ ნაწილად).

თ. კიკვაძე მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი თარგმნილია ნ. რაიქესბერგის წიგნი „მუშათა კითხვა წარსულში და აწმყოში“, რომელიც გამოიცა ბათუმში 1900 წელს და ი. ბ. სტალინის „ლენინი და ლენინიზმი“, რომელიც ქუთაისში დაიბეჭდა 1925 წელს.

თ. კიკვაძე გარდაიცვალა 1939 წელს.

ბივიან ბაბიძის ერთი ლექსის აღმოსაბნაობის

ცნობილ ქართველ პოეტს ტ. ტაბიძეს დაწერილი აქვს შესანიშნავი ლექსი, რომელიც ასეა დასათაურებული: „პოემიდან «თვრამეტი წელი». ბუენოს აირეს... ალეხანდრო და კასტილია“. ლექსს წამძღვარებული აქვს ვრცელი ამხსნელი ტექსტი: „ეს კაცი (ალეხანდრო. — გ. მ.) იყო გორელი ტელეგრაფისტი ალექსანდრე ტატიშვილი. დასტოვა მრავალრიცხოვანი ცოლშვილი და გორიდან წავიდა სამხრეთ ამერიკაში და იქ, არგენტინაში, ცხოვრობდა თექვსმეტი წელიწადი. რევოლუციის დროს დაბრუნდა საქართველოში და გააწყო კოლონიალური დუქანი «ბუენოს აირესის» სახელწოდებით, თეატრალურ შესახვევში. ალექსანდრედან სახელი კასტილიურად ალეხანდროდ გამოიცვალა. გულს უკლავდა მაშინდელი ტფილისის შიმშილობა და ამდენი წუხილისაგან გაკოტრდა კიდევ“²⁰.

ყამთა სიავემ აღნიშნულ სტრიქონებთან ერთად დავიწყებას მისცა ალეხანდროს სახელიც... და ახლა, როცა ტიციანის სტრიქონები ხელახლა დაიბადა, ინტერესმოკლებული არ იქნება ალეხანდროს გახსენებაც. მით უმეტეს, რომ მის შესახებ ხშირად არაზუსტ ცნობებს გადმოგვცემენ.

ალექსანდრე მიხეილის ძე ტატიშვილი დაიბადა 1868 წელს სოფ. მარანაში (გორის რაიონი). ცოლად ჰყავდა ნატალია თადეოზის ასული მშველიძე (კომპოზიტორ შალვა მშველიძის მამიდა), რომელთანაც შეეძინა ხუთი შვილი.

ალექსანდრე ტელეგრაფისტად მუშაობდა ალექსანდრეპოლში (ახლანდელი ლენინაკანი). უყვარდა წიგნების კითხვა და ხალხში ყოფნა. გატაცებუ-

20 ტ. ტაბიძე, რჩეული, 1960, გვ. 217.

ლი იყო რევოლუციური იდეებით. რეაქციის პერიოდში დააბატიმრეს კიდეც. შემდეგ დაუწყეს დევნა, რის გამოც იძულებული იყო სამშობლოდან გახიზნულიყო. მან სურამში სახლი გაყიდა და 1908 წელს გაიქცა სამხრეთ ამერიკაში. საბოლოოდ დასახლდა არგენტინის ერთ-ერთ დიდ ქალაქში — ბუენოს-აირესში, სადაც დაყო ათი წელიწადი.

დიდი ფანტაზიისა და იმედების მქონეს, გადაწყვეტილი ჰქონდა ამერიკაში გამდიდრება და შეძენილი ქონების საქართველოში წამოღება, ნათესავ-მეგობრებისთვის ხელის გამართვა.

ამერიკაში გამგზავრებისას ალექსანდრეს წვერი ჰქონდა მოშვებული. ბუენოს-აირესში მას, თურმე, „ჩიოს“ ეძახდნენ, რაც იმათებურად თხას ნიშნავს. ალექსანდრე იძულებული გამხდარა წვერი შეეკრიჭა და ამის შემდეგ ყოველთვის მოკლე წვერს („ბლანყეს“) ატარებდა ხოლმე.

ალექსანდრე დიდი მოყვარული იყო დოდისა. ის სისტემატურად მონაწილეობდა გათამაშებებში და მთელ ნაშთს ფულს დოდში აგებდა. არგენტინაში მას ალიხანდროს ეძახდნენ, შემდგომ ეს სახელი მას შემორჩა საქართველოშიც.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ალექსანდრე გახარებული სამშობლოში გამოემგზავრა. მას ეგონა, რომ მშობლიურ ქვეყანაში ყველაფერი ერთბაშად მოწესრიგდა. ალექსანდრე ამერიკიდან დაბრუნდა ისეთივე ღარიბი და გაკოტრებული, ამიტომ მან საცხოვრებლად ხაშური აირჩია. შემდეგ გადმოვიდა თბილისში.

ოპერის გვერდით, თეატრალურ შესახვევში, გახსნა საკომისიო მაღაზია. ძირითადად ვაჭრობდა სპარსეთიდან შემოტანილი ნოხებით. მოგება ვერც ამაში ნახა. ამიტომ საკომისიო მაღაზია გადააყეთა სასაუზმედ, რომელიც ცნობილია „ბუენოს აირესის“ სახელით. ტიციან ტაბიძემ შემდეგნაირად აგვიწერა „ბუენოს აირესი“:

სახლი რომ მქონდეს,
 სახლში წასვლა მაინც ადრეა...
 უცნობ პოეტებს თუ ექნებათ
 სადმე კრედიტი,
 ეს ალბათ მხოლოდ არგენტინაში.
 „ბუენოს აირეს“ გვერდითა გვაქვს
 და ღვთის წინაშე,
 გათენებამდე ოლონდ მიდი,
 არ არის ადრე,
 სთვლემს და ნაღდ მუშტარს ელოდება
 იქ ალექსანდრე.

„ბუენოს აირესის“ ხშირი სტუმრები იყვნენ: გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, კ. მაყაშვილი, ალ. არსენიშვილი, ნიკ. მიწიშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე და სხვ. ქართული მწერლობისა და კულტურის მოტრფიალე ალექსანდრე დიდ დანხარებას უწევდა ახალგაზრდა ქართველ მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს. ბევრ მათგანს ნისიად ასაუზმებდა და შინ ატანდა საჭმელს, ხშირად კი ანაზღაურებასაც არ თხოვდა თურმე. ყოველივე ამის გამო „ბუენოს აირესი“ დავალიანდა და, ბოლოს, გაკოტრდა კიდეც.

ცნობილი ქართველი მწერალი ნიკოლოზ მიწიშვილი (სირბილაძე) იგონებს: „...იყო პოეტების მეგობარი მედუქნე: «ბუენოს აირეს», ხაშურელი გლეხი, რომელიც ყოფილა ბრაზილიაში და ბუენოს აირესში უცხოვრია. ლაპარაკობს ესპანურად, კასტილიის კილოკავზე და ვაჭრობს პურ-ღვინით «ევროპულ სასტუმროს» ქვეშ.

ალეხანდროს ღვინო გვათბობდა ჩვენ ცივსა და მშვიერ ღამეებში, როცა ვდარაჯობდით ოპერის ბაღში ოპერასა და საკუთარ ლექსებს.

გალარიბდა «ბუენოს აირეს»
 შეიქმნა ვაჭარი პაერის...²¹

მწერალ სერგო კლდიაშვილის მოგონებით, ალექსანდრე „საოცრად გულკეთილი და პატიოსანი იყო და, აბა, თქვენ ვანსაჯეთ, ასეთ კაცს რა უნდა ეხებოდა ვაჭრობაში“. ტიციან ტაბიძეც საგანგებოდ შენიშნავს მის პატიოსნებას:

ვერ ნახავთ ვერსად
 ასეთ ვაჭარს,
 ვაჭარს ლეთისნიერს.
 მთელ ქვეყანაზე
 მართო ერთი
 ჩვენი ქვეყანა,
 გამოზრდის
 ასეთ პატიოსან
 კომისიონერს!...

„ბუენოს აირეს“ გვერდით ეკრა პატარა ოთახი, სადაც საღამოობით თავს იყრიდნენ ხოლმე ახალგაზრდა მწერლები. ამ ოთახს „ალეხანდროს სალონი“ ეძახდნენ. მწერალ ს. კლდიაშვილის გადმოცემით, „...იმგვარი, როგორც ალექსანდროს სალონი იყო, რა თქმა უნდა, არსად და არასოდეს არსებობდაო“. მწერალი იგონებს: „არა, არსად არ ყოფილა სხვა მეორე თავშესაფარი მთელ თბილისში, სადაც ჩვენ, პოეზიით გატაცებული ახალგაზრდები, სავსებით «თავისთავს ვეკუთვნოდით».

ეს სალონი, რა თქმა უნდა ყველაზე უფრო ფანტასტიკური კუთხე იყო ქალაქში. ამ პატარა, სრულიად მოუწყობელ ოთახში, ახალგაზრდა მეოცნებენი დაუფარავად და გულლიად საუბრობდნენ მწერლობაზე და თავიანთ ახალ ნაწარმოებებს აცნობდნენ ხოლმე ერთმანეთს“.

შემდეგ მწერალი იხსენიებს „ალეხანდროს სალონი“ გატარებულ დღეებს, მწერალთა თავშეყრის ამბებს. იგონებს ალი არსენიშვილის შთამაგონებელ ლიტერატურულ საუბრებს, პაოლო იაშვილის მოხდენილსა და შეუდარებელ ექსპრომტებს. თვითონ სალონის მეპატრონეს კი ასეთი გულთბილი სტრიქონებით გვიხსნათებს:

„ყოველთვის სიყვარულით გავიხსენებ ამ წმინდა გულის მქონე ადამიანს, რომელსაც ჩვენ, ახალგაზრდა მწერლები, დიდათ გამოვერჩეოდით, ვინც მამაშვილური სინაზით შემოგვეყურებდა.

ალეხანდროს გულწრფელობა მით უფრო დაუეწყვარია იმ ფონზე, როცა რამდენიმე კაცის გარდა, ავი დედაბერივით ჭოქოლას გვაყრიდნენ თავზეო“²².

21 ნ. მიწიშვილი, რჩეული, 1958, გვ. 84—85.

22 ს. კლდიაშვილი, „ალეხანდროს სალონი“, ლიტ. გაზეთი, 1961, № 17.

აღ. ტატიშვილი ძალიან დინჯი კაცი იყო. სიბერეში მას ყურთასმენა და უჭვეითდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ხმადაბლა საუბრობდა. იგი კარგად უკრავდა გიტარაზე და სასიამოვნოდ მღეროდა კიდევ. ქართულ-რუსული ენების გარდა, ალექსანდრე კარგად ფლობდა ფრანგულს, ლაპარაკობდა ესპანურად და ნასწავლი ჰქონდა ესპერანტო. ცნობილი ქართველი ესპერანტიტის გიორგი ბაქრაძის ცნობით, აღ. ტატიშვილი წარმომადგენელი იყო ქართველ ესპერანტიტთა უფროსი თაობისა. ალექსანდრეს მოვლილი ჰქონდა რუსეთი, ნამყოფი იყო სპარსეთსა და საფრანგეთში. ტიციან ტაბიძის მოხდენილი სიტყვით, „ბევრი იარა ამ საწყალმა უცხო ქვეყნებში, არ დაივიწყა ქართველური პატივი სტუმრის“.

ალექსანდრე მეტად გულუბრყვილო იყო. საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში, როდესაც შიმშილობა იყო, ის ეხვეწებოდა პოეტებს, რომ შუამდგომლობა აღედგათ მთავრობის წინაშე მის გაგზავნაზე არგენტინაში. მომცენ საბუთი და იქიდან პურს ჩამოვიტან და ჩემს ხალხს შიმშილისგან ვიხსნო.

თავის ლექსში ტიციან ტაბიძემ მშვენივრად აგვიწერა ალექსანდრეს პიროვნება, რომელიც დიდი ფანტასტიკური ფიქრებითა და იდეალებით სუნთქავდა:

შენ რომ გხედავდიო
 ჩვენ გვჭეროდა,
 რომ მიქარავდნენ
 შენთან ყველა
 ჟიულ-ვერნები
 და მაინ-რიდი.

აღ. ტატიშვილმა შემდეგ ისევ ტელეგრაფისტად დაიწყო მუშაობა. სიბერისას პენსიაზე გავიდა. 1932 წელს შემოდგომაზე ახლობლებთან ჩავიდა კასპში, სადაც მატარებლის მოლოდინში სადგურზე ჩაეძინა და ფილტვების ანთება დაემართა. უკვე წლებში შესულმა ვერ გადაიტანა ავადმყოფობა. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის აკადემიკოსმა აღ. ბარამიძემ)

Л. Р. КАДЖАИА

НЕКОТОРЫЕ ЗНАКИ ТИПА ГЛАГОЛИЦЫ В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ РУКОПИСЯХ (XII — XIII вв.)

Известно, что древнейшие славянские письменные памятники сохранились лишь с конца IX и начала X столетия. Они написаны двумя разными алфавитами: кириллицей и глаголицей. Из них древнейшей славянской азбукой считается глаголица¹. По сравнению с кириллицей, буквы которой, по форме простые и четкие, заимствованы из византийского устава, буквы глаголицы очень своеобразны и сложны, состоят из прямых линий, треугольников и кружков. По начертанию букв глаголица не похожа ни на одну из известных разновидностей греческого алфавита². Исследователи с давних пор интересовались происхождением глаголицы, выдвигая по этому вопросу различные гипотезы; источник глаголицы искали в греческом минускульном письме, или, как его называет большинство русских исследователей, в греческой скорописи³, в месопотамской клинописи⁴, в средневековых греческих специальных знаках, которые применялись для обозначения терминов в медицинских, астрологических, алхимических, тахиграфических и других рукописях⁵, в древних рунах и загадочных знаках Причерноморья⁶, в грузинском алфавите⁷ и др.⁸. Но наличие в грузинских рукописях зна-

¹ Д. С. Лихачев, Исторические предпосылки возникновения русской письменности и русской литературы, «Вопросы истории», 1951, № 12, стр. 34; А. С. Львов, К вопросу о происхождении русской письменности, «Русский язык в школе», 1951, № 6, стр. 23; И. А. Константинов, История русской азбуки, «Знание — сила», 1953, № 1, стр. 6.

² Д. Дирингер, Алфавит, М., 1963, стр. 557.

³ И. В. Ягич, Глаголическое письмо, серия «Энциклопедия славянской филологии», вып. 3, II, СПб, 1911; В. И. Щепкин, Учебник русской палеографии, М., 1920, стр. 11—20; Е. Ф. Карский, Славянская-кирилловская палеография, Л., 1928, стр. 355—364.

⁴ А. С. Львов, Указ. соч., стр. 22.

⁵ Е. Э. Гранстрем, О происхождении глаголической азбуки, «Труды отдела древнерусской литературы» Ин-та русской литературы АН СССР, XI, М.-Л., 1955, стр. 300—313.

⁶ И. А. Константинов, Черноморские загадочные знаки и глаголица, Уч. зап. ЛГУ, № 179, сер. фил. наук, вып. 23, 1957, 110—145.

⁷ М. И. Привалова, Об источниках глаголицы, Уч. зап. ЛГУ, № 267, сер. фил. наук, вып. 52, 1960, стр. 17—33.

⁸ В задачи настоящей статьи не входит критический обзор научной литературы. Критические оценки, см. в работах: В. Вчноградова, Проф. Л. П. Якубинский, как лингвист..., Предисловие к кн. Л. П. Якубинского, История древнерусского языка, М., 1953; Л. В. Черепнина, Русская палеография, М., 1956, стр. 92—111; И. А. Константинова, Указ. соч., В. А. Истрина, Развитие письма, М., 1961, стр. 258—307.

ков, сходных по начертанию с буквами глаголицы, для них оставалось неизвестным. Мы хотим предложить материал, который для решения проблемы происхождения глаголицы может оказаться важным.

В фондах Института рукописей АН ГССР хранятся рукописи, снабженные многочисленными схолиями. Они датируются XI—XIII вв. В этих рукописях применяются знаки, которые связывают текст со схолиями⁹. Число этих связующих знаков зависит от количества схолий. Если комментарии оказывались многочисленными, требовалось немало различных связующих знаков, среди которых встречались как цифры, так и условные знаки. Условный знак в тексте стоит на комментируемом слове, тот же самый знак ставится в начале комментария. При помощи этих знаков устанавливается связь между текстом и комментарием. Комментарии обычно писали мелким шрифтом и помещали на полях текста.

Некоторые из вышеупомянутых связующих знаков имеют сходство с буквами славянской глаголицы. Из 38 глаголических букв 13 соответствуют применяемым в грузинских рукописях условным знакам.

Сопоставление условных знаков с некоторыми буквами глаголицы отражено в таблице.

Применение вышеупомянутых знаков в грузинских рукописях наблюдается с XII века. Они встречаются в следующих письменных па-


ЗНАКИ В ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЯХ	БУКВЫ ГЛАГОЛИЦЫ	СЛАВЯНСКОЕ НАЗВАНИЕ БУКВ
Ш	Ш	БУКИ
У	У	ВЕДИ
Д Д	Д	ДОБРО
З	З	ЗЕМЛЯ
И	И	ИЖЕ
К	К	КАКО
Л	Л	ЛЮДИ
М	М	МЫСЛЕТЕ
Н	Н	НАШ
О	О	ОН
Р	Р	ТВЕРДО
Ф	Ф	ФЪРЪТ
Ц	Ц	ШТА

⁹ Перечень этих знаков см. в статье Л. Р. Каджана, Условные знаки в древнегрузинских рукописях с комментариями, «Палеографические разыскания» Института рукописей АН ГССР, II, стр. 32—50 (на груз. яз.).

мятников: А-109, Сочинения Григория Богослова, XII в.¹⁰; А-1108, Библия XII в.¹¹; Q-1152, Библия XII—XIII вв.; Jer — 43, Гомилии Григория Богослова, XII—XIII вв.; Jer — 15, Гомилии Григория Богослова XIII в.¹² Все вышеупомянутые рукописи написаны на бумаге, почерком «нусхური» (строчное).

Естественно, возникает вопрос, откуда попали в грузинские рукописи знаки, сходные с глаголическими буквами. Думается, что источником этих знаков служит греческая письменность, так как вышеупомянутые грузинские тексты переведены с греческого¹³.

В XI—XII вв. в Грузии особенно интересовались переводами произведений экзегетического характера, которые были снабжены схолиями; для связывания текста с комментариями применялась, кроме условных знаков и буквенная цифирь (как грузинская, так и греческая). На полях этих рукописей часто встречаются приписки: „იხილე შეუენიერო“, „შუენიერო ესე აღვილი“, „შეისწავე შეუენიერო“, „შეისწავე შეუენიერო ყოლ აღ“ (обозначающие «речь изукрашена»), а также монограмма, состоящая из двух грузинских унциальных букв «**Q**» (=o) и «**ϕ**» (=p), из коих одна вставлена в другую. Это, по нашему мнению, тоже самое, что и греческое слово *ὄρατον*, гласящее о том, что в указанном месте «речь изукрашена или мысль расцвечена»¹⁴. В греческих рукописях вместо этого слова на полях пишутся две начальные буквы «**o**» и «**p**» в виде монограммы. Вышеупомянутая грузинская монограмма является повторением греческой с той лишь разницей, что она начертана грузинскими буквами.

Ср.:  

Условные знаки для связывания текста с комментариями широко были распространены и в византийских рукописях¹⁵. Как в греческих, так и в грузинских письменных памятниках, для этой цели применялись

¹⁰ Ф. Д. Жордания, Описание рукописей Церковного музея, I, стр. 123.

¹¹ Ф. Д. Жордания, Хронки, II, 1897, стр. 36—39 (на груз. яз.); Р. П. Блейк. О древнегрузинских версиях Ветхого Завета, «Известия Кавказского Отделения Московского Археологического Общества», вып. VI, Тифлис, 1921, стр. 1—40; Описание грузинских рукописей Государственного музея Грузии, коллекции А, т. IV, 1954, стр. 92 (на груз. яз.).

¹² Рукописи Jer—43 и Jer—15 хранятся в Крестовом монастыре в Иерусалиме. В Институте рукописей имеются фотокопии этих рукописей; см. описание: R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem, Paris, 1926, стр. 41—44, 86—88.

¹³ Большинство из этих рукописей (А—109, Jer — 15, 43) переведено известным грузинским деятелем второй половины XI века Ефремом Мцире.

¹⁴ Е. Э. Гранстрем, О некоторых приемах оформления византийских рукописей, XXV международный конгресс востоковедов, М., 1960, стр. 12.

¹⁵ Там же, стр. 6—9.

почти одинаковые знаки¹⁶. Несомненно, что эти связующие знаки заимствованы из средневековой греческой письменности, так как большинство из них по начертанию совпадает со специальными знаками, которые применялись для обозначения различных терминов в текстах учебного содержания (в медицинских, астрологических, алхимических), для тахиграфии и магических текстов¹⁷.

На основании изложенного следует предполагать, что вышеупомянутые знаки в грузинских рукописях появились следующим путем: грузины, будучи в тесной культурно-литературной связи с византийцами, были хорошо знакомы с той традицией, которая практиковалась в греческих рукописях с комментариями. Переводя тексты, содержащиеся в греческих рукописях и изучая их, писцы переняли эту практику и применили ее в грузинской письменности.

¹⁶ В греческих рукописях со схолиями тоже можно обнаружить знаки, сходные с некоторыми глаголическими буквами. Например: «веди», «добро», «живете», «твердо», см. греч. 72, рукопись Ленинградской Государственной Публичной библиотеки; Сборник снимков с греческих датированных минускульных рукописей до 1200 года (Kirsopp and Silva Lake, *Dated Greek Minuscule Manuscripts to the year 1200. Monumenta Palaeographica Vetera*), т. I, таб. 31; т. II, таб. 82, 127; т. VII, таб. 491; Gr-48 рукопись Института рукописей АН ГССР.

¹⁷ Л. Р. Каджана, Указ. соч., стр. 37—49.

(Представил Институт рукописей им.
К. С. Кекелидзе АН ГССР)



ვეფხისტყაოსნის ფაბულის თაობაზე

1967 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა სპარსულ მოთხრობათა ქართული თარგმანების კრებული „ბაღდადეღი თვალთმაქცი“ იგი დიდი ტირაჟით დაიბეჭდა. კრებულის შემდგენელ-რედაქტორი და მისი დიდი ნაწილის მთარგმნელია მაგალი თოდუა. წიგნი შედგენილია და ტექსტები გადმოთარგმნილია საქმის დიდი ცოდნითა და პროფესიული ოსტატობით.

„ამგზობის ჩვენს ყურადღებას იპყრობს კრებულის რედაქტორისა და წინასიტყვაობის ავტორის მ. თოდუას ცოტა არ იყოს მოულოდნელი მოსაზრებანი ვეფხისტყაოსნის ფაბულისათუ სიუჟეტის თაობაზე. სხვა მოთხრობათა შორის მ. თოდუას გადმოუღია ქართულად და კრებულში შეუტანია ჩარდარვიშიანი ანუ ოთხი დერვიშის ამბავი, რომელიც ძველად, XVIII საუკუნეში, იყო გადმოთარგმნილი და რამდენიმე ბეჭდური გამოცემითაც არის ცნობილი.“

მ. თოდუას ძალიან მოკლედ გადმოცემული აქვს ჩარდარვიშიანის ერთი ეპიზოდის შინაარსი. მკვლევარი საგანგებოდ გვაფრთხილებს: „არ ეგონოს მკითხველს, რომ ვეფხისტყაოსნის შინაარსს ვყვებოდეთ. არა. ჩვენ ცოტათი რელიეფურად, მაგრამ ზუსტად გადმოვეცით ერთი ეპიზოდი ჩარდარვიშიანის მეოთხე დასთანისა (მესამე დერვიშის თავგადასავალი). მსგავსება აშკარაა, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა“ (გვ. 6, და-

ყოფა აქაც და ქვემოთაც ჩვენია. — ავტ.).

წინასიტყვაობის ავტორი შენიშნავს, რომ მას სწორედ მსგავსება აინტერესებს და ასევე „მოსმობილი ქარგა და ამბის დერიტა უთუოდ ენათესავება უკვდავი ქართული პოემის ფაბულას“ (იქვე). 7

მ. თოდუას პირდაპირი მნიშვნელობით ესმის ვეფხისტყაოსნის პროლოგის ცნობილი ადგილი — „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები... ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“. მას მიაჩნია, რომ ვეფხისტყაოსნის ამბავი სპარსულიდან მომდინარეობს, ოღონდ უშუალო პროტოტიპად არ თვლის ჩარდარვიშიანის ეპიზოდს. მ. თოდუას ვარაუდით, რუსთველს „ეტყობა, ხელთ ჰქონდა მისი სხვა ვარიანტი, რომელიც ვეფხისტყაოსნის სიუჟეტთან უფრო ახლოს უნდა მდგარიყო, ვიდრე ჩარდარვიშიანის დასთანთან“ (იქვე).

„ბაღდადეღ თვალთმაქცს“ მალე მოჰყვა მ. თოდუას ვრცელი გამოკვლევა „ქილილა და დამანას საბასეული ვერსია“ (თბილისი, 1967, გამომცემლობა „მეცნიერება“). თუმცა ეს მონოგრაფია საიმისო საბაბს არ ქმნოდა, მ. თოდუას მაინც საჭიროდ დაუნახავს ჩამოეგდო სიტყვა ვეფხისტყაოსნის ამბის წყაროს შესახებ. აქ იგი ავითარებს და ერთგვარად აღრმავებს „ბაღდადეღი თვალთმაქცის“ წინასიტყვაობაში გამოთქმულ შეხედულებას (გვ. 23—26). კვლავ და უფრო ვრცლად გვიყვება ჩარდარვიშიანის შინაარსს. ისევ



და ისევ შენიშნავს, რომ „ზუსტად, მაგრამ რელიეფურად“ გადმოსცა „ის მთავარი და ჩვენთვის (ე. ი. მისთვის. — ავტ.) საინტერესო ფაბულა, რომელიც ჩარდარვიშიანს დაუცავს“ და რომელიც „უთუოდ ჰგავს ვეფხისტყაოსნის ფაბულას“ (გვ. 26, დაყოფა თოდუასია. — ავტ.). მ. თოდუა არც ამ მონოგრაფიით თვლის ჩარდარვიშიანს რუსთველის უშუალო წყაროდ, ის ფიქრობს, რომ უნდა არსებულებოდა რომელიღაც მესამე თხზულება, „რომელიც უფრო ახლო იქნებოდა სპარსულ ამბავთან, ქართულად რომ უთარგმნიათ და მერე რუსთველს რომ გაუღუქსავს“ (გვ. 26). მ. თოდუა არ უარყოფს, რომ რუსთველს „გადაუმუშავებია თავისი წყარო, მაგრამ ქართულად რომ არსებულა სპარსული ამბავი და რომ რუსთველმა იგი გამოიყენა, ეს უკვე საეჭვო აღარ უნდა იყოს“ (იქვე). ამ კატეგორიულ დასკვნას თან ახლავს თითქო მისი სიმწვავის შემამსუბუქებელი შენიშვნა: „დღეს ჩვენში უკვე აღარავინ აღარ ფიქრობს, რომ ფაბულის ნახესხობა გენიალურ ქმნილებას ამცობდეს“ (იქვე).

ჭილილა და დამანას საკითხებისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში არის ერთი ახალი შტრიხი, რომელიც ვეფხისტყაოსნის ფაბულის ორიგინალობის გასაბათილებლად არის გამიზნული. როგორც ცნობილია, ვახტანგ VI იყო პირველი რუსთველოლოგი, რომელმაც ბეჯითად დაასკვნა, რომ ვეფხისტყაოსნის ამბავიც (ფაბულაც) ორიგინალურია და ორიგინალურად არის იგი დამუშავებული, რომ ვეფხისტყაოსნის ამბავი „სპარსში არ არის“, რომ რუსთველმა თავისი პოემის „ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც“ თვითონ გააწყო. ამ შესანიშნავი მოწმობის ძალის შესანელებლად მ. თოდუა უსაფუძვლოდ ამ-

ბობს, თითქო ვახტანგმა სპარსულში მიწვევით არ იცოდა და ვითომც „საეჭვოა, მას ღრმად სცოდნოდა სპარსული მწერლობა“ (იქვე). მაშასადამე, ვახტანგ VI მოწმობა ვეფხისტყაოსნის ფაბულის ორიგინალობის თაობაზე საბუთად არ გამოდგებაო, ამაოდ ფიქრობს მ. თოდუა დაარწმუნოს თავისი მკითხველი¹.

ვეფხისტყაოსნის ფაბულის ორიგინალობის საკითხზე სპეციალური მოხსენებით გამოვიდა მ. თოდუა რუსთველოლოგიური სემინარის სხდომაზე თბილისის უნივერსიტეტში. მომხსენებელმა მისებურად შეუპირისპირა ჩარდარვიშიანი ვეფხისტყაოსნის სემინარის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს მომხსენებლის მოსაზრებანი (სხდომის მოკლე ანგარიში დაიბეჭდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, 17.XII.68).

აღნიშნულის მიუხედავად, მ. თოდუა კვლავ წარსდგა თავისი მოხსენებით მცენიერული საზოგადოების წინაშე ირანისტა სემინარზე აღმოაჯღღათმცოდნეობის ინსტიტუტში 1970 წლის 15 სექტემბერს. სემინარის სხდომის ანგარიში ინგა კალაძემ გამოაქვეყნა ჟურნალ „მაცნეში“ (1970, № 4, გვ. 239—240). მოხსენებაში მ. თოდუას გაუმეორებია თავისი ძველი დებულებანი (ჩვენ პირადად ამ სემინარის სხდომას არ დავსწრებივართ), თითქო რუსთველს „თავისივე მრავალგზისი განცხადების თანახმად“ გაუღუქსავს რომელიღაც სპარსული თხზულების ქართული პროზაული თარგმანის ტექსტი. თუმცა უკვე ჩვენს „ამირანდარეჯანიანშია მოცემული ვეფხისტყაოსნის თითქმის ყველა ფაბულური რგოლიო“, უთქვამს მომხსენებელს, მაგრამ „დღემდე არ ჩანდა ძველი, რომელშიც ვეფხისტყაოსნის მთლიანი ჩონჩხი იქნებოდა გამოკვეთილიო“. მომხსენებელს

¹ თავისი მოსაზრებანი ვეფხისტყაოსნის ფაბულის თაობაზე მ. თოდუას გამოთქმული აქვს გამოკვლევის რუსულ რეზიუმეშიც: ჭილილა და დამანას საბახელი ვერსია, გვ. 336.

განუცხადებია, რომ მან მიაგნო ასეთ ძეგლს, იგიაო პოეტ ზოსრო დეპლევის (გარდ. 1325 წ.) მიერ ჩაწერილი ჩარდარვიშანიო.

როგორც ი. კალაძის წერილიდან ჩანს, მოხსენებას ცხარე კამათი გამოუწვევია. საგულისხმოა, რომ არც ერთ მოკამათეს არ გაუზიარებია მ. თოდუას თვალსაზრისი. ყველას გამოუთქვამს სხვადასხვა ხასიათის კრიტიკული შენიშვნა.

ამგვარად, უკანასკნელი წლების მანძილზე მაგალითად თოდუა სისტემურად და ენერგიულად აგონებს მკითხველს, თითქმის მან მოიპოვა ვეფხისტყაოსნის მთლიანი ფაბულური „ჩონჩხის“ შემცველი სპარსული ნაწარმოები (ასეთად მიიჩნევს ჩარდარვიშანის ერთ ეპიზოდს). მართალია, ის არ არისო ვეფხისტყაოსნის ამბის პირდაპირი წყარო, მაგრამ მიკვლეული მასალა უმკვლევად გვიდასტურებსო, რომ უნდა არსებულებო რომელიღაც სხვა თხზულება „რომელიც უფრო ახლო იქნებოდა (იმ) სპარსულ ამბავთან, ქართულად რომ უთარგმნიათ და მერე რუსთველს რომ გაუღეკსავეს“.

ერთი სიტყვით, მ. თოდუა გვთავაზობს ვეფხისტყაოსნის ამბის ნასესხობის თეორიის ახალ ვარიანტს.

შედარება რომ უფრო თვალსაჩინო გახვადოთ, ჩვენ უცვლელად ვბეჭდავთ ჩარდარვიშანის საცილობელი ეპიზოდის შინაარსის თოდუასეულ ორივე რელიქვიას. აქვე ვათავსებთ იმავე ამბის უფრო სრულსა და უფრო დაწვრილებით შინაარსს, რომელიც ჩვენ მიერაა შედგენილი ჩარდარვიშანის თოდუასეულივე თარგმანის მიხედვით². საჭირო შემთხვევებში ვიშველიებთ აგრეთვე ამ ძეგლის ძველი ქართული თარგმანის ტექსტს³.

... ერთი შაოსანი რაინდი წყლის პირას ზის და ტირის. მეფის გვირგვინოსან ასულს ამბავი მოუტანეს: შაოსანმა უცნობმა ერთს ხანს იტირა... მერე მონას თავი მოკვეთა და გადაიკარგაო. ამ მტირალი რაინდის ვინაობის გაგებით მეტად დაინტერესებული მეფის გვირგვინოსანი ასული თავის მიჯნურს დაიბარებს და ეუბნება: შენ თუ ჩემი ქმრობა გინდა, წადი და იმ კაცის ამბავი გამიგეო! მიჯნური უბრალო კაცივით ჩაიკვამს ტანთ და იმ უცნაური, მტირალი კაცის საძებნელად მიდის... მიაგნებს მის კვალს... ნახავს კიდევაც და უკან გაეკიდება. ან მომკლავს, ან მის ამბავს გაიგებო, გადაწყვეტს. ბოლოს შეხვდება კიდევაც მას, სხვებისგან გაკიდევანებულს და ისიც თავის თავგადასავალს მოუყვება, თურმე, იგი მეფის შვილი ყოფილა... ჰყვარებია... მისი სატრფო ქაჯებს ჰყოლიათ და ახლა, თურმე, ამაზე გოდებს... შაოსნის საძებნელად წამოსული რაინდი მის ამბავს რომ გაიგებს, თავის თავსა და სატრფოს ივიწყებს და აღთქმას დებს: სანამ ამ კაცს არ ვუშველი რამეს, ჩემთვის არ მოვიცილიო! დაიწყებს ხეტიალს მისი დახმარების მიზნით...

(ბაღდადელი თვალთმაქცი, გვ. 5—6).

II

ერთ უფლისწულს შეუყვარდა ბასრის მეფის ასული. მისკენ წასვლა გადაწყვიტა და ვეზირს მოეთათბირა. ვეზირმა ჯერ დაუშალა, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გახდა, ურჩია, ვინმე მაინც წაიტანეო. უფლისწულმა არ ქნა, გადაცმული წავალ მარტო, შენ ჩემს ნაცვლად გტოვებ და ხალხს მომიარე. მე თუ მოკვდი, რაც მამადია შენი იყოსო. შემდეგ განზრახ ხმა დაჰყარა.

² ბაღდადელი თვალთმაქცი, 1967, გვ. 560—587, 604—607.

³ დავრიშანი ანუ ზღაპრული მოთხრობა, გამოცემა პირველი, თბ., 1876.



სანადიროდ მივიღივარო და გზას გაუღდა. როგორც იყო, მიატანა ბასრის მედის სასახლეს და ქალს ხელი თხოვა. მე სხვა სათხოვარი არაფერი მაქვს, ჩემს ქვეყანაში თავად ნებუერი მბრძანებელი ვარო. ქალი დათანხმდა, ოღონდ პირობა დაუდო. თურმე მის ხალხს ნიმრუზის ქვეყანაში წყლის პირას (შამხნარში) ერთი რაინდი ენახა, „ლაგამბჯარსა და უნაგირს ხშირად ესხა მარგალიტი“. იჭდა და გმინავდა. ერთი მსახური ბიჭი ახლდა, ის მოკლა, მერე კი ამხედრდა და მიიძალა. თუ გინდა ცოლად გამოგყვე, ჯერ მისი ვინაობა გამიგეო, დაავალა ქალმა.

უფლისწული წავიდა იმ უცნაური კაციის მოსაძებნად. მთელი ერთი წელიწადი ეხეტა. ის უცხო რაინდი თვეში ერთხელ გამოდიოდა თურმე იმ ადგილას და ერთხელ კიდევაც შეესწრო, როგორც კი ამხედრდა უცნობი, უფლისწულიც გაეკიდა. არ ეპუებოდა, ან მომლავეს, ანდა მის ამბავს გაევიგებო. ერთხანს ასე სდია კულში. ბოლოს მალაი კელლით შემორაგვეული ბალი გამოჩნდა. ის უცნობი რაინდი კარებს მიაღდა და იღრიალა. კარები გაუღეს და შიგ შევიდა. როგორც იქნა, უფლისწული და ის უცხო რაინდი ერთმანეთს შეხედნენ. — რა გინდა შენ, რისთვის გამომკიდებხიარ, თავი ხომ არ მოგებზრებიაო? — ჰკითხა რაინდმა. უფლისწულმა თავისი ამბავი უამბო: შენ ჩემი შეყვარებულის მსახურებს უნახიარ, ჩემს სატრფოს შენი ამბავის გაგება უნდა და ამ მიზნით გამომგზავნაო. ამაზე იმ რაინდს გული ამრუჭდა, — შენც ჩემსავით შეყვარებული ყოფილხარ და ამიტომ მეცოდებო. კარგი, ჩემს ამბავს გეტყვიო. და დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი, რომელიც მოკლედ ასეთია: იგი მეფის შვილი ყოფილა. ბავშვს ცუდი ბედი უწინასწარმეტყველეს და ბედი რომ აეცდინათ, მიწის ქვეშ გადაკარგეს. ერთხელ ტახტზე დამჯდარი მშვენიერი მეფის ასული

დაინახა და შეუყვარდა. კინალამ გრძობა დაკარგა. თურმე ფერია იყო, ომანის მეფის ქალიშვილი. სიყვარულისაგან ვაჟი ავად შეიქნა. დიდი ამბების შემდეგ კი ქალის მამასთან მივიდა და მისი ხელი თხოვა. მამა უარზე იყო. ვაჟმა ფერიების (ქაჯების) ენა იცოდა და მისი სატრფოს მოსატაცებლად მოსული ერთი ქაჯი ხარად აქცია (ამ ხარზე იყო შემდეგ ამხედრებული), მაგრამ ამასობაში მისი სატრფო ქაჯებმა მოხიბლეს და უგონოდ აქციეს. მას აქეთ იგი ქაჯთა ჯაღოთი იყო შეკრული და ვაჟიც ამის გამო გოდებდა.

ეს ამბავი რომ დამთავრდა, უცხო რაინდმა ისევ დაიწყო მოთქმა. მერე წამოვარდა და ველად გაიჭრა. უფლისწულმა თავისი შეყვარებული დროებით დაივიწყა და პირობა დადო, სანამ ამ კაცს თავის სატრფოს არ დაებრუნებინებ, მე ჩემს დანიშნულს არ დავებრუნდებო. ადგა და დაიწყო ხეტიალი მეგობრის საშველად... ბოლოს ყველაფერი კარგად მთავრდებო. მიჯნურები თავიანთ სატრფოებს ირთავენ და ბედნიერად მეფობენ.

(ქილილა და დამანას საბასეული ვერსია, გვ. 24—25).

ჩარდარვიშიანი ანუ ოთხი დერვიშის ამბავი

კონსტანტინეპოლში მეფობდა ხელმწიფე აზადბახთი. ნაღვლობდა უშვილობას. დარდის გასაქარვებლად სასაფლაოს ეწვია გადაცმული. იქ ოთხი დერვიში შეყრილიყო. ერთმანეთს უამბობდნენ თავიანთ თავგადასავალს. აზადბახთი გვერდით მოკალათდა და დერვიშების ნაამბობს მიუვლო ყური...

მესამე დერვიშმა თქვა, რომ იგი იყო ფარსის მეფე. მას უამბვეს ჰათემ ტაის განმაცვიფრებელ ქველმოქმედებაზე. გადაწყვიტა თვითონაც გულუხვი მწყალობელი გამხდარიყო. ააშენებინა ორბოცკარიანი სახლი. დაჯდა და წყალობის გაცემას შეუდგა. ვილაც ყალანდა-

რი ეწვია და შემწეობა თხოვა. ერთი ოქროს ფული (დინარი) აჩუქა. შემდეგ ყალანდარი სხვა კარებიდან შემოდიოდა და ისევ ითხოვდა წყალობას. მეფე გაბრაზდა. ყალანდარს სიხარბე დასწამა. ყალანდარმა იწყინა, კეთილშობილების არა გცხია რაო, ბასრაში წადი, ხარმაქიანთა გვარის ასულისაგან ისწავლე ქველმოქმედების საქმეო. ფულები დაყარა და წავიდა. მეფე შეწუხდა, მაგრამ გვიანდა იყო. გადაწყვიტა წასულიყო ბასრაში და ყალანდარის ნათქვამი შეემოწმებინა. ტახტი დროებით თავის ვეზირს გადააბარა, თვითონ დერვიშად გამოეწყო და გზას გაუდგა.

დერვიშმა ბასრაში ერთი ბალი ნახა, შიგ მდიდრული სასახლე იყო აგებული. მგზავრი მიიწვიეს. რამდენიმე დღეს გულუხვად უმასპინძლეს. დედოფლისაგან გვაქვს ნაბრძანები სტუმარს კარგად დაუხვდითო. მერე დერვიში სხვა სასახლეში მოასვენეს. იქაც სამი დღე დიდი პატივით ამყოფეს. ისიც უთხრეს, თუ რამ სათხოვარი გაქვს, დედოფალს მოგახსენებთ, ის ყველაფერს შეგისრულებსო. დერვიშმა წერილი დაწერა და მეფის ასულს გაუგზავნა, ცოლობა თხოვა. ქალმა არ იუკადრისა, მოხუცი ძიძა გამოუგზავნა და შემოუთვალა, თუ პირობას სრულყოფ, ცოლობაზე თანახმა ვარო. პირობა ასეთი იყო: დერვიში უნდა წასულიყო ნიმრუზის ქვეყანაში და იქაური ამბის საიდუმლოება ამოეცნო.

ბასრელი მეფის ასულისათვის ამბავი მიეტანათ, ნიმრუზის ქვეყანაში ყველა შავით არის შემოსილი. მთვარის მოქცევისას ქალაქის მოსახლეობა მინდვრად გადის უცნაური სანახაობის საკვრეტად. თურმე შამხნარი შეირჩევა და გამოჩნდება ყვითელ ხარზე ამხედრებული ახალგაზრდა კაცი, თმა წელამდე უცემს, ერთ ხელში ხმალი უჭი-

რავს, მორეში კი ლამაზი ქალის სურათი⁴. გვერდით ახლავს ბიჭი (ყული). ჩამოხტება ხარიდან, ჩამოუვლის იქ მყოფთ და სურათს აჩვენებს, მერმე მიწაზე დაახლის და დახეცს, ბიჭს ხმალს შემოკრავს და თავს წააცლის, დაჯდება, დაიწყებს ცხარე ცრემლებით ტირილს. მერმე წავა და მიიმალება.

ბასრელ ასულს სურს, რომ წახვიდე და იმ შაოსანი მხედრის ამბავი გაიგოო. „თუ ამას გაიგებ, სურვილს ეწევი, თუ არა და, შენს გზაზე წადიო“, ეუბნება დერვიშს ძიძა.

დერვიშმა გამოიკითხა ბასრელი მეფის ასულის თავგადასავალი. გაეშურა შაოსანის ამბის გასაგებად. ერთი წლის ზეტიალის შემდეგ მივიდა ნიმრუზის ქვეყანაში. სამჯერ იხილა ის სცენა, რომელიც ზემოთ არის აწერილი. ერთი და იგივე სურათი რომ მესამეჯერ განმეორდა, დერვიში დაედევნა შაოსანს. „რომ დამინახა, აღრიალდა, გაშმაგდა და სულ დორბლი ჰყარა“. რომ შენიშნა, მდევნელი დერვიშიაო, არა ავნო რა, უკან გაბრუნება მოთხოვა. დერვიში არ მოეშვა, სდია. ერთი ბალი გამოჩნდა, გაღავნით შემოზღუდული. შაოსანმა ღრიალით შეაუქნა ხარი იმ ბალში. დერვიშიც შეუშვეს. ღამით დერვიშმა დაინახა, რომ შაოსანი ჯოხით „ურტყამს და ურტყამს იმ ხარს. საწყალი ხარი ბლავის და ბლავის“. შემდეგ რაინდმა საწყალობელი ზღუქუნეი მორთო, ხართან მივიდა, მიუალერსა, თვალები დაუკოცნა, ბალახი დაუყარა, პატიება თხოვა. ბოლოს შეშინებული დერვიში იხმო, რას დამდეგ კუდშიო, ჰკითხა. დერვიში თავის თავგადასავალს მოუყვა. „შეყვარებულის უბედურებას შეყვარებული თუ გაიგებსო“, უთხრა შაოსანმა და თავისი ამბავიც უამბო. იგი ყოფილა ნიმრუზის მეფის ერთადერთი შვილი. რომ დაბადებულა, ვარკველავთმრიცხ-

⁴ ასეა ჩარდარვიშინის ძველი ქართული თარგმანით. მ. თოდუას მიერ გადმოღებული ტექსტის მიხედვით, მხედრის მხლებელ თოთხმეტი წლის ყმაწვილს უჭირავს მოხატული ჩინური მურტელი.

21. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 2



ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი

ველებს უთქვამთ, მზის ეტლზეა გაჩენილიო, თოთხმეტ წლამდე მზე და მთვარე არ უნდა აჩვენოთო. ქალაქ გარეთ ბალი გააშენეს, გარშემო მაღალი კედლები შემოავლეს, მთელი ბალი ნაბდით დახურეს, რომ სინათლე დაეფარა. ასე ცხოვრობდა და იზრდებოდა უფლისწული ძიძისა და მასწავლებლის თანხლებით. ეს ბალი მას სამოთხე ეგონა, მასწავლებელი და ძიძა — ადამი და ევა. მეცამეტე ზაფხული დადგა, ვაჟი ვარდის საკრეფად გავიდა. უცნაური ყვავილი ნახა, მოწყვეტა მოინდომა, მაგრამ ყვავილი ანაზღეულად გაქრა. თურმე ერთ ადგილას ნაბადი გაგლეჯილიყო და ბაღში შემოჭრილიყო მზის შუქი. ეს შუქი მოჩვენებოდა ყვავილად. ამავე დროს რაღაც ხმა მოესმა, აიხედა, ხედავს, რომ ჭუჭყურტანიდან ტახტი ჩამოშვეს, ზედ ტურფა გოგონა იჯდა და იღიმებოდა, გოგონამ ღვიწრო დალია და ეაქს თასი მიაწოდა. „აფსუსს, რომ ადამიანები გაუტანლები ხართ, თორემ შენ შეგკეცვარებდიო“. ვაჟი გაოგნებული შეჰყურებდა ქალს, „მე ფერიების მეფის ასული ვარო“, თქვა მან და იმ წამსვე ტახტი ჰაერში აფრინდა. ეაქს გული შეუღონდა და ენა დაება. ჯინის (ავი სულის) შეყრა დასწამეს. ვერც ერთმა მკურნალმა ვერ უშველა. ასე გავიდა სამი წელიწადი. ვიღაც ვაჭარმა აცნობა მეფეს, ინდოეთში ერთი კუნძულია, იქ ყოველგვარ ავადმყოფობას ჰკურნავენ, უფლისწულს იქ წავიყვანო.

დიდი ამალით გაისტუმრეს სნეული უფლისწული. ინდოეთში მან ერთი წელი დაჰყო. განიკურნა. გამოჯანმრთელდა. იქ ისწავლა აქიმობის ხელობა, თან წამოიღო სამკურნალო წიგნები. დაბრუნდა სამშობლოში და ისევ ქალაქგარე ბაღში დასახლდა. დროს წიგნების კითხვაში ატარებდა. დაბრუნების მეორე მოცე დღეს მიწა იძრა, ატყდა ჰეჰა-ჰეხილი, ციდან ჩამოფრინდა ტახტი. შიგ იჯდა შავკანიანი ჯინების მო-

ხუცი მეფე. ყმაწვილმა მისი ქალიშვილი მოთხოვა. დაუყოვნებლივ მიუყვანეს, საშინელი შესახედავი, ჯოჯოს მსგავსი არსება აღმოჩნდა. შენ რომ ქალს ეძებ, იგი ომანის ხელმწიფის ასულიაო, უთხრეს. ვაჟი შეუდგა ომანის ჯინების დასამორჩილებელი წიგნების კითხვას. მალე ჩამოფრინდა მზეთუნახავის მამა, ომანის ხელმწიფე. „ჩვენ ჯინები ვართ, შენ კი ადამიანი. ჩვენი და შენი დამოყვრება როგორ იქნებაო“, უთხრა მან უფლისწულს. უფლისწულმა თავისი არ დაიშალა. მალე ის მშვენიერი ასულიც გამოჩნდა. ვაჟმა გაიხარა. ქალმა გააფრთხილა, რომ სამკურნალო ჯადოსნურ წიგნს არ შელეოდა. ერთხელ, მთვრალს, მაინც დატყუეს ის წიგნი. „რა ჰქენი, შენ უღმერთო! ჩემი დარიგება დაგავიწყდაო?“ ეს თქვა ქალმა და უგონოდ დაეცა მიწაზე. ვაჟი გამოუდგა წიგნის მიმტაცებელს, იგი კი შეიპყრო, მაგრამ წიგნი სხვას ეგდო ხელთ და გაქცეულიყო. შეპყრობილი პირი უფლისწულმა ლოცვების საშუალებით ხარად აქცია (ამ ხარზე ამხედრებული დაჯირითობდა შემდეგ). ჯადოსნური წიგნი დაიკარგა. ფერიათა მეფის ასულს აღარა ეშველა რა. იგი დაბნედილი დარჩა. ამიტომაც უფლისწული შეჭირვებული, სცემს ხარს, ტირის და მოთქვამს. „იქნებ ვინმე გამოჩნდეს, დამეხმაროს და იმ ჩემს საწადელს მაციოსო“, დაამთავრა მან თავისი თავგადასავლის თხრობა.

გადერვიშებულ ფარსის მეფეს ხუთი წელიწადი უხეტიალნია ნიმრუხელი უფლისწულის საშველი წამლის საქებნელად. ბოლოს კონსტანტინეპოლში მოხვედრილა და სხვა დერვიშებს შეყარა. აზადბახთმა რომ დერვიშების ამბები მოისმინა, ყველას აღმოუჩინა დახმარება და თავიანთ საწადელს მიადლწევინა. ნიმრუხელ უფლისწულს შერთო ომანის მეფის ასული, ხოლო ფარსის ხელმწიფეს (დერვიშს) ერგობასრის დედოფალი.

* * *

ჩარდარვიშიანის შინაარსის გაცნობის შემდეგ ყველა დაკვირვებელი მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ მას არაფერი საერთო არ შეიძლება ჰქონდეს ვეფხისტყაოსანთან. ჩარდარვიშიანი უღრესობამდე ზღაპრულ-ფანტასტიკური მოთხრობაა, ჯადოსნური ზღაპარია, სადაც ამბის მიმდინარეობას წარმართავს და განსაზღვრავს ჯადოსნური ძალა, ჯადოსნური წიგნების ცოდნა, შელოცვები და მისთანანი. ადამიანთა საზოგადოებაში იჭრებიან, მათზე ზემოქმედებას ახდენენ და მათი ცხოვრების ბედს განაგებენ ზღაპრული სულები, ჯინები, ფერიები.

რა შეიძლება საერთო ჰქონდეს ტარიელთან დამთხვეულ შაოსან ახალგაზრდას, რომელიც ხარად ქვეულ ბოროტ სულზე ამხედრებულა, მთვარის მოქცევაზე მოჩვენებასავით გაიღვავებს საზოგადოების წინაშე, ჯადოთი შებნეილი თავისი ფერია-სატრფოს დასტირის და მისი სურათის დემონსტრაციით თავს აცოდვეს მსახველს.

რა შეიძლება საერთო ჰქონდეს ფერიათა მეფის უნიათ ასულს ნესტანდარეჯანის მაღალ ემოციურსა და მაღალ ინტელექტუალურ საკაცობრიო უკვდავ სახესთან?

რა ანათესავებს უბადლო რაინდ ავთანდილს დერვიშად განცხადებულ ფარსის ხელმწიფესთან?

და კიდევ რამდენი ამგვარი კითხვის დასმა შეიძლება! ყოველივე ეს ძალიან კარგად იცის მ. თოდუამ. ის კიდევაც ამბობს, რომ დარვიშიანისა და ვეფხისტყაოსნის ამბებს შორის დიდი განსხვავებაა, რომ „ამ ორ თხზულებას შორის განსხვავება უფრო მეტია და თვალში საცემი, ვიდრე მსგავსება, მაგრამ აქ სწორედ ეს მსგავსება გვაინტერესებს“ (ბაღდადელი თვალთმაქცი, გვ. 6, დაყოფა ჩვენი. — ავტ.).

კეთილი და პატიოსანი. ახლა ორიოდ იტიყვა ამ მსგავსებაზე.

ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ჩარდარვიშიანის შინაარსის ტენდენციური დალაგებისა და ტენდენციური გადმოცემის გზით ცდილობს მაგალითოდუა მკითხველს შეუქმნას მოხსენებული მსგავსების ილუზია. საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება რამდენიმე ნიშანდობლივი მაგალითის დამოწმება.

„ერთ უფლისწულს შეუყვარდა ბასრის მეფის ასული. მისკენ წასვლა გადაწყვიტა და ვეზირს მოეთათბირა...“ (მ. თოდუა, II). „მტირალი რაინდის ვინაობის გაგებით მეტად დაინტერესებული მეფის გვირგვინოსანი ასული თავის მიჯნურს დაიბარებს და ეუბნება: თუ შენ ჩემი ქმრობა გინდა, წადი და იმ კაცის ამბავი გაიგეო! მიჯნური უბრალო კაცივით ჩაიცვამს ტანთ და იმ უცნაური, მტირალი კაცის საძებნელად მიდის...“ (მ. თოდუა, I).

ნამდვილად საქმე სულ სხვაგვარადაა: „ერთი უფლისწული“ მესამე დერვიშია, სპარსის ხელმწიფე. ყალბდარმა მას ხელქუცობა დასწამა, კეთილშობილების ამბავი ბარმაქიანთა გვარის ბასრელი ქალიშვილისაგან ისწავლეო. ხელმწიფემ გადაწყვიტა ის ქალი ენახა და მისი ამბავი გაეგო. ეს არის და ეს. „ერთ უფლისწულს შეუყვარდა ბასრის მეფის ასული (და) მისკენ წასვლა გადაწყვიტა“, თავიდან ბოლომდის მოგონილია. არაფერი ამისი მსგავსი რამ ჩარდარვიშიანში არ არის.

ასევე მოგონილია, თითქო ბასრელი მეფის ასულმა „თავისი მიჯნური დაიბარა და უთხრა...“ დერვიში (ფარსის ხელმწიფე) ბასრელი მეფის ასულის მიჯნური არ ყოფილა, არც იცნობდა მას. ქალს ვაჟი არ დაუბარებია დავალების მისაცემად.

დერვიში რომ ბასრაში მივიდა, მართლაც დარწმუნდა ბასრელი ასულის უსაზღვრო ქველმოქმედებასა და კეთილშობილებაში. მსახურებმა დერ-



ვის უთხრეს, რასაც კი თხოვ დედოფალს, ყველაფერს ავისრულებსო. დერვიშმა გულში გაიფიქრა: „ვითხოვ რამეს, ვნახავ, რას მეტყვიან-მეთქი“. ადგა და შეუთვალა ქალს: „მინდა გთხოვოთ, რომ ცოლად გამომყვეთო“. ბასრელი მეფის ასულმა ძიძის პირით აცნობა თანხმობა, ოღონდ პირობა დაუდვა, ჯერ ნიმრუზელი ჭაბუკის ამბავი გამიგეო.

სადაა აქ ფარსის მეფის მიჯნურობა, სიყვარულის გამო მისი ბასრაში გაშურება, ბასრელი ასულის მიერ თავისი მიჯნურის დაბარება და სხვა?!

ასევე ტენდენციურია, თითქო ნიმრუზელი უფლისწული „წყლის პირას ზის და ტირის“. ჩარდარვიშიანში მოთხრობილია, რომ ქალაქის გარეთ, მინდვრად, შამბნარში (ან ჩალიანში) გამოჩნდა ხარზე ამხედრებული ახალგაზრდა კაცი, მაყურებელს სურათი აჩვენა, თავის მსახურ ბიჭს თავი წააცალა, იქვე ჩამოჯდა და მწარედ ატირდა. სად არის აქ, რომ ხაროსანი „წყლის პირას ზის და ტირის“? სად არის აქ საერთოდ ნახსენები წყალი? ყველაფერი ეს მოგონილია იმისათვის, რომ შეიქმნას ვეფხისტყაოსანთან ხელოვნური მსგავსების ვითარება („ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა“). ასევე ხელოვნურად ამსგავსებს მკვლევარი ვეფხისტყაოსანსა და ჩარდარვიშიანს, როდესაც ნიმრუზელი რაინდის „ბედაურზე“ ამბობს „ღამ-ამაბჯარსა და უნაგირს ხშირად ესხა მარგალიტი“. მართალია, ეს სიტყვები მკვლევარს ბრჭყალებში აქვს ჩასმული, მაგრამ ამით საქ-

მეს არა ეშველება რა. მეტიც. დამოუკლებული სიტყვების ბრჭყალებში მოთავსება კიდევ უფრო უსვამს ხაზს მ. თოდუას სურვილს, რომ საანალიზო სურათი ვეფხისტყაოსანს დაამსგავსოს (მდრ. „ხშირად ესხა მარგალიტი ღამამაბჯარ-უნაგირსა“).

მ. თოდუას მონათხრობის მიხედვით, შაოსანი ჭაბუკის „სატრფო ქაჯებს ჰყოლიათ და ახლა, თურმე, ამაზე გოდებს“ (1). ნამდვილად კი, შაოსანის სატრფო იყო ფერია, იგი არავის გაუტაცინია და არავის დაუტყვევებია. ფერიათა მეფის ასული ჯადოსნური ხერხით იყო დაბნედილი, მას მხოლოდ მოსულიერება სჭირდებოდა.

როგორც მკითხველი ხედავს, ზოგ რამეს და, რაც მთავარია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანს, მაგალი თოდუა თვითონ თხზავს, ხოლო ზოგ რამეს ისე ალაგებს და ისეთ იერს აძლევს, რომ ვეფხისტყაოსანთან მსგავსების ხელოვნურ ვითარებას ჰქმნის. ერთგან მკვლევარი შენიშნავს, რომ ჩარდარვიშიანში „დაახლოებით ასეთი ამბავი იკითხებაო“ (ქილილა და დამანას საბასეული ვერსია, 24), მაგრამ სხვაგან ორგზის ხაზგასმით ამბობს, რომ მან ზუსტად და რელიეფურად გადმოსცა ჩარდარვიშიანის მისთვის საინტერესო ეპიზოდის შინაარსი. ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს შინაარსის რელიეფურად გადმოცემა, სიზუსტის მხრივ კი მკვლევარი მეტისმეტად სცოდავს.

მსგავსი „საბუთების“ წყალობით ამოდ ცდილობს მაგალი თოდუა გამოაცოცხლოს და ძალა შემართოს ვეფხისტყაოსნის ფაბულის ნასესხობის ძველ თეორიას.

ალექსანდრე ბარამიძე

ღვთობა კობიძე

„ქალის კულტის“ შესახებ რუსთველის ეპოქაში

გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ (17.VI.1966) სათაურით «ქალისა და სიყვარულის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“» გამოქვეყნებულია დოც. ალ. ფოცხიშვილის კრიტიკული რეცენზია ჩვენს წერილზე „რუსთველური ქალის კულტი და მისი ფესვები“ („მნათობი“, 1965, № 2). საჭიროდ მიგვაჩნია, რეცენზენტის შენიშვნებს პუნქტობრივად ვუპასუხოთ.

პატ. რეცენზენტს, ჩვენი აზრით, ზუსტად არ აქვს გათვალისწინებული „კულტურის“ ცნების შინაარსი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, როცა ლიტერატურის ან საზოგადოებრივი წეს-ჩვეულებების ისტორიაზე ვმსჯელობთ. „კულტურა“ ჰქვია ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების და მატერიალური დოვლათის შექმნის წესებს, თუნდაც ეს ადამიანები განვითარების მეტად დაბალ დონეზე იდგნენ. ყოველი კულტურა მასში მონაწილე ადამიანებს გარკვეულ მოვალეობებს აკისრებს და გარკვეულ მორალურ-ეთიკურ წარმოდგენებს უმუშავებს. იგი არაფერს ან თითქმის არაფერს არ ქმნის ისეთს, რაც ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგება. მაგრამ კულტურა მაინც მეტია, ვიდრე ბუნება: ადამიანს, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოების წევრია, ახასიათებს გარკვეული თვისებები, რომელიც არა აქვს ადამიანს, როგორც მხოლოდ ბუნების შვილს და რომელიც ამ პიროვნებასაც

არ ექნებოდა, სხვა საზოგადოებაში აღზრდილი რომ იყოს. ამგვარ საზოგადოებრივად შემუშავებულ თვისებათა რიცხვს ეკუთვნის ნაწილობრივ ადამიანის წარმოდგენებიც ვაჟისა და ქალის ურთიერთობაზე (როგორც ცნობილია, სხვადასხვა საზოგადოებაში ეს წარმოდგენები ურთიერთგანსხვავებულია, თუმცა ამ საზოგადოებათა წევრებს ადამიანური ბუნება ერთნაირი აქვთ). ზოლო რადგან ადამიანთა ურთიერთობის ეს წესები რალაც ფარგლებში პირობითია, ისტორიულად შემუშავებულია, მათი მიგრაციაც ანუ ერთი საზოგადოებიდან მეორეში სესხებაც სავსებით კანონზომიერია.

ასეთი საყოველთაოდ მიღებული შეხედულებები ვაჟისა და ქალის ურთიერთობაზე რუსთველის ეპოქაშიც არსებობს, რაც ნათლად ჩანს „ოქროს ხანის“ ლიტერატურულ ძეგლებში, მათ შორის ვეფხისტყაოსანში. ასეთ შეხედულებათა რიცხვს ეკუთვნის, მაგ., აზრი, რომ თუ კაცს ქალი უყვარს, იგი სიყვარულისაგან „ველად იჭრება“ და მოვალეცაა, რომ გაიჭრას, რადგან ამ მოქმედების გარეშე მისი გრძნობა ნამდვილი არ არის. პატ. რეცენზენტი ამტკიცებს, თითქოს „არც „ვეფხისტყაოსანში“ და, მით უფრო, არც ქართულ საზოგადოებრივ ყოფაში. გაჭრის არავითარი სავალდებულო წესი არ არსებობს“. მაგრამ ავტორის ეს დებულება პირდაპირ წინააღმდეგობაშია მასალების ჩვენებასთან. ჯერ ერთი, რუს-

თველს თვითონ აქვს ნათქვამი „გაჭრა ხელია მიჯნურთაო“, ე. ი. გაჭრა მიჯნურთა სავალდებულო საქმეა, მიჯნურთა ვალააო. სიტყვის „წელი“ და გამოთქმის „წელია“ მნიშვნელობა ნათელია, თუნდაც, ვეფხისტყაოსნის ეპოქაშივე შექმნილი „ამირანდარეჯანიანის“ შემდეგი ადგილიდან: ძლეული მტრის მოკვლა „არ ჰაბუტთა ხელი არსო“ (ე. ი. რაინდის საქმე არ არისო, რაინდი ვალდებულია ძლეული მტერი დაინდოსო). მეორეც, ვეფხისტყაოსნის იდეალურ გმირებს ეს მცნება — რომ „გაჭრა ხელია მიჯნურთა“ — სწამთ არა მხოლოდ როგორც ზოგადი ქვეშარიტება, არამედ როგორც საკუთარი პრაქტიკული მოვალეობა, რომელიც მათ სიყვარულმა დააკისრა. როდესაც შერმადინი ტარიელის საძებრად მიმავალ ავთანდილს სთავაზობს „წამოგყვები, წამითახეო“, ავთანდილი მას ასე პასუხობს:

რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო
 უნდა ვასაჭრელად
 კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა
 დასაჭრელად.

ეს ადგილი რომ მარტივი ენით გადმოვცეთ, იგი შემდეგს ნიშნავს: მიჯნური თუ გაჭრილია, ე. ი. უკაცრიელ ადგილებში ხეტიალობს, იგი მარტო უნდა ხეტიალობდესო. თუ ეს პირობა დავარღვივ, ე. ი. ამ ხეტიალში მხლებელი წავიყვანე, მე თინათინის წინაშე „ცრუ და მოღალატე“ ვიქნებიო. ამგვარად, ავთანდილის აზრით, ველად გაჭრა, უფრო ზუსტად კი მარტო გაჭრა მიჯნურის ვალია თავისი სატრფოს წინაშე. ანალოგიური ადგილების მოყვანა „ვეფხისტყაოსნიდან“ ბევრისა შეიძლება. მაგრამ რუსთველის შეხედულების საილუსტრაციოდ ესეც საგნებით კმარს.

ეს შეხედულება მხოლოდ რუსთველს არ ეკუთვნის, არამედ მისი თანამედროეებისთვისაც საერთოა, რასაც, სხვათა შორის, „ქართლის ცხოვრების“ ჩვენ მიერ დამოწმებული ადგილები მეტყვე-

ლებს. მემატიაზე („ისტორიათა და აზმათა“ ავტორი) ფაქტების მშრალ თხრობას არ მისდევს — ამაში პატ. რეცენზენტი მართალია, რამდენადაც იგი საყოველთაოდ ცნობილ ქვეშარიტებას გადმოგვცემს. მაგრამ განა მტკიცებუნდა იმას, რომ ფაქტების „შელამაზებისას“ მემატიაზე თავისი ეპოქის გამოვლებით ხელმძღვანელობს? „გაჭრაზე“ მემატიაზე ბევრჯერ ლაპარაკობს, უფრო ზუსტად — იმდენჯერ ახსენებს მას, რამდენჯერაც სიყვარულზე ან ქალის სილამაზეზე სიტყვას ჩამოაგდებს ხოლმე. ამ მრავლიდან ჩვენ მოვიყვანთ აქ მხოლოდ ორ ადგილს, რომელიც პატ. რეცენზენტს აქვს ციტირებული (ფრჩხილებში შევიწმინავთ, რომ რეცენზიის მიხედვით მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ერთი ადგილია, ავტორის მიერ არასწორად გაგებული, რეცენზენტის მიერ კი სწორად, იმ დროს როცა ნამდვილად ერთი ციტატი 42-ე გვ-ზეა, მეორე კი 38-ზე). ერთ ადგილას მემატიაზე ამბობს, რომ თამარის მშვენიერებისგან მოხიბლული ბერძენთა უფლისწული „იყო გაჭრითა და გახელებით“ („ქართლის ცხოვრება“, 1959, II, გვ. 42). თუ რეცენზენტს ჰგონია, რომ სიყვარულისაგან „გაჭრა“ ანუ ველთა რბოლა ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ იგი ადამიანის ბუნებიდან უშუალოდ გამომდინარეობს, მაშინ რატომ ეპარება მას ექვი მემატიათა სიტყვათა ქვეშარიტებაში? ხოლო თუ იგი ფიქრობს, რომ ეს არ არის ბუნებრივი, რომ ეს დაუჯერებელი ვაზვიადებაა, რომ ბერძენთა კეისრის ძე სინამდვილეში არ გახელებულა და ველად არ გაჭრილა, მაშინ საკითხავია: რაღა ველად რბენა მოიგონა მემატიაზე ისტორიული ფაქტის შესალამაზებლად, თუ კი ეს „გაჭრა“ და „ველთა რბოლა“ მის მშობელ საზოგადოებაში სიყვარულის გამოძეღვენების ბუნებრივ ან სავალდებულო გზად არ ითვლებოდა?

მეორეგან მემბტიანე მოგვიტხრობს, რომ თამარისთვის ისეთი ქმარი უნდა მოეძებნათ, რომელიც თავისი ქველობით ღირსი იქნებოდა იმ რომანტიული წარმოდგენით შემოსილი ძველი ეპოქისა, როცა გამოჩენილ გმირებს უცხოვრიათ და მიჯნურობისთვის ველად გაჭრილან (ქ. ცხ., II, გვ. 35). შემდეგ ჩამოთვლილია ეს გმირები — ანტიკური ისტორიისა და მითოლოგიის, აღმოსავლური საგმირო ეპოსის, ბიბლიის, ქართული საგმირო ეპოსის პერსონაჟები. არც ერთი ამ გმირისთვის არც ერთ ლეგენდას არასოდეს არ მიუწერია „ველად გაჭრა“. ეს მათ მხოლოდ ჩვენმა მემბტიანემ მიაწერა. საკითხავია: ნუთუ დიდი გამჭირაზობა უნდა იმის მიხედვრას, რომ მემბტიანემ ეს „ისტორიული“ (ნამდვილად კი ლეგენდარული) ფაქტები თავისი დროის გემოვნების მიხედვით შეაქვთა?

დასკვნა ნათელია: რუსთველის ეპოქაში ველად გაჭრა მიჯნურობის გამომჟღავნების ნორმალურ და ბუნებრივ გზად ითვლებოდა. ბუნებრივია თუ არა მიჯნურობის ასეთი გამომჟღავნება მართლაც? ფსიქოლოგიური კეშმარტივების რაღაც ელემენტი ამ შეხედულებაში, რასაკვირველია, ურევია. მაგრამ უდავოა, რომ ეს არაა ადამიანის ბუნებიდან უშუალოდ გამომდინარე საყოველთაო მოვლენა. მაშასადამე, რუსთველის ეპოქისთვის დამახასიათებელი ეს წარმოდგენა სიყვარულზე პირობითია. იგი რუსთველის ეპოქის სპეციფიკური სარაინდო ანუ ფეოდალურ-წოდებრივი კულტურის კუთვნილებაა.

სხვა საკითხია: რუსთველის პოემაში სიყვარულის ხატვა — კერძოდ, გამიჯნურებულ გმირთა მოქმედება — ამოიწურება თუ არა იმ ქცევით, რასაც მათ უკარნახებს ავტორის მშობელ საზოგადოებაში მიღებული წარმოდგენები? რასაკვირველია, არ ამოიწურება. რუსთველისთვის, როგორც სიყვარულის მხატვრისთვის, სახელმძღვანელოა სა-

კუთარი დაკვირვება სიყვარულის ბუნებაზე, საკუთარი ინტუიცია და არა მის საზოგადოებაში მიღებული პირობითი წარმოდგენები (იხ. ჩვენი წერილი, გვ. 150—153). მაგრამ ეს უკვე ისეთი საკითხია, რომლამდისაც პატ. რეცენზენტი არ მიდის და ამიტომ აქ ამ დებულების ილუსტრაციას აღარ შევუდგებით.

ჩვენ იმიტომ შევჩერდით ვრცლად „გაჭრის“ მოტივზე, რომ თვით რეცენზენტმა მას დიდი ყურადღება დაუთმო. ასევე პირობითია ვეფხისტყაოსანში და მის თანამედროვე საერო ქართულ მწერლობაში ასახული ყველა ის შეხედულებები სიყვარულზე. რომელიც ჩვენს წერილში ვეაქვს დამოწმებული. რა თქმა უნდა, შეიძლება სათითაოდ ყველა ამ წარმოდგენების პირობითობა, მათი კულტურის ეულობა დაგვემტკიცებინა იმ წესით, რა წესითაც „გაჭრის“ მოტივის პირობითობა ვაჩვენეთ. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამ შრომას აქ შეიძლება თავი ავარიდოთ, რადგან საამისოდ უფრო მარტივი გზაც არსებობს, რომელიც საშუალებას გვაძლევს საკითხი უფრო ზოგადად გადავწყვიტოთ. პატივცემულ რეცენზენტს უნდა ვკითხოთ: ის მოტივები და წარმოდგენები სიყვარულზე, რომელთა „პირობითობაში“, „კონვენციონალიზაში“ მას ეჭვი ეპარება, ყველა საზოგადოებაში არსებობს, სადაც კი მიღებულია ან დაშვებულია ვაჟისა და ქალის ურთიერთტრფობა? ან ეს მოტივები ყველა იმ ხალხების ლირიკულსა და ეპიკურ მწერლობაში გვხვდება, რომელთაც კი სიყვარულისთვის უმღერიათ? თუ პო, მაშინ ეს მართლაც ადამიანის ბუნებიდან უშუალოდ გამომდინარე წარმოდგენებია და კულტურულ-ისტორიულ გავლენებსა და ურთიერთკავშირებთან საერთო არაფერი აქვთ. თუ არა, მაშინ ეს პირობითი, კულტურისეული, ისტორიულად შემუშავებული წარმოდგენები ყოფილა!

არა გვგონია, რომ ამ ჩვენ მიერ დასმულ კითხვას პატ. რეცენზენტმა დადებითად უპასუხოს. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას — ჩვენ მიერ დამოწმებულ წარმოდგენათა უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ყოველ შემთხვევაში, ამ წარმოდგენათა მთელი კომპლექსი არსად, მსოფლიო ისტორიაში ცნობილი არც ერთი ხალხის კულტურაში არ მეორდება, გარდა მე-8—11 საუკუნეების არაბული სამყაროსი, მე-12 საუკუნის დასავლეთ ევროპისა და ამავე ეპოქის საქართველოსი. დასკვნა ნათელია: ეს ურთიერთდამხვევა უმიზეზო ვერ იქნება. იგი რაღაც ისტორიულ კავშირზე მიუთითებს.

გამონაკლისს ამ „პირობითობათა“ შორის მხოლოდ ერთი შეადგენს: ესაა ლიტერატურულ მოტივად ქცეული რწმენა, რომ სიყვარული არის უმაღლესი ნეტარება და უმაღლესი სიკეთე. ეს რწმენა, რა თქმა უნდა, თავისთავად, ტრადიციას არ საჭიროებს. მაგრამ ტრადიციას საჭიროებს ამ რწმენის ისე დიად აღიარება, როგორც ამას ტრუბადურთა პოეზიაში და ზოგ ქართულ ლიტერატურულ ძეგლში ვხვდებით, ვეფხისტყაოსნის ჩათვლით. თუ რეცენზენტს ჰგონია, რომ მე-12 საუკუნემდე ქართველმა ავტორებმა არ იცოდნენ, რა არის სიყვარული და რა ძალა აქვს მას, იგი ძალიან ცდება. აშოტ კურაპალატის ტრფიალების მოკლე ეპიზოდი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ფსიქოლოგიურად ზუსტი ინდივიდუალური შტრიხებით უხვად აღჭურვილი პატარა რომანია — ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სატრფიალო ეპიზოდთაგანი მსოფლიო ლიტერატურაში. მაგრამ ამ სიყვარულს ჰაგიოგრაფი ავტორი უკმობს. ეს მისთვის ეშმაკის ცდუნებაა და წარწყმედის გზა. ასეთია დასავლეთ ევროპის ქრისტიანული ლიტერატურის თვალსაზრისიც. დაახლოებით ერთსა და იმავე დროს დასავლეთ ევროპაშიც და ჩვენშიც ჩნდება საერო ლიტერატურა,

რომელიც ამის დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისს ადგას. რატომ ხდება ეს? იმაზე ბუნებრივი არაფერია, რომ ყველა სხვა ფაქტორებთან ერთად (სოციალური დაწინაურება და ა. შ. ამას ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ ჩვენს წერილში, გვ. 151), როგორც საკუთრივ კულტურული ფაქტორი, დავუშვათ ჩვენი მეზობელი და ევროპისთვისაც საკმაოდ კარგად ცნობილი ისლამური კულტურის გავლენა, რომლისთვისაც შემოხსენებული ასკეტური ტენდენცია უცხოა და რომელსაც ამ ხანისთვის უკვე სატრფიალო ლიტერატურის მდიდარი ფონდი აქვს შექმნილი.

ამგვარ დაშვებას მეტად უხვი და, ამასთან, კარგად ცნობილი მასალები ამართლებს, რომელთა უარყოფასაც პატ. ოპონენტი არ ცდილობს. ამიტომ ამაზე ლაპარაკი აქაც ზედმეტია. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ თუ ოპონენტს სურს, ჩვენი წერილის დებულება უარყოს, მას უსათუოდ უნდა მოეპოვებოდეს პასუხი ასეთ კითხვაზე: თუ სიყვარულზე იმ შეხედულებების წარმოშობაში, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, არაბული სამყაროს გავლენა არ მონაწილეობდა, მაშინ რატომაა, რომ სიყვარულის ამ სპეციფიკურ სახეს ჩვენში არაბული სიტყვა — „მიჯნურობა“ დაერქვა? ნუთუ რეცენზენტს ჰგონია, რომ ქართული ენა იმდენად ღარიბი იყო, რომ ამ ცნების გამოსახატავად საკუთარ სიტყვას ვერ მოძებნიდა? („სიყვარული“, „ტრფიალი“, „გულის თქუმაი“, „სურვილი“ და მრავალი სხვა).

არავინ არ უარყოფს, რასაკვირველია, რომ ევროპაშიც და ჩვენშიც, მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ (კერძოდ — სამხედრო-ფეოდალურმა წოდებამ) დიდ კეთილდღეობასა და პოლიტიკურ სიმწიფეს მიაღწია, საეკლესიო ლიტერატურის გვერდით საერო ლიტერატურა აუცილებლად უნდა წარ-

მომობილიყო და სამიჯნურო მოტივიც მასში სათანადო ადგილს დაიკავებდა. ეს ისევე გარდუვალად მოხდებოდა, როგორც გარდუვალად მოხდებოდა ევროპაში შუასაუკუნეთა ძლევა ანუ რენესანსი, ანტიკური ხელოვნება და ფილოსოფია რომც არ „აღმოეჩინათ“. მაგრამ ერთია, რა „მოხდებოდა“ და მეორეა, რა მოხდა. მოხდა ის, რომ ჩვენ წინაპრებს აღმოსავლური საერო სატრფიალო ლიტერატურის მაგალითი ჰქონდათ ივალწინ, ხოლო ევროპელთ — ანტიკური ცივილიზაციისა და, როცა ახალი, საერო ლიტერატურისა და ხელოვნების შექმნა დაიწყო, მათ, პატ. რეცენზენტის ნების მიუხედავად, ამ კულტურულ ფასეულობებზე თვალის დახუჭვა არ ისურვეს (ფრანხილებში შევნიშნავთ, რომ პატ. რეცენზენტი ტყუილად იგონებს „გულსიტკვილით“ იმ დროს, როცა ქართული საერო ლიტერატურის წარმოშობაში გავლენების ფაქტორს უშვებდნენ. ეს ფაქტორი ჯერ არც ერთ მეცნიერს არ უარუყვია და თუ პატ. ოპონენტს ამისთვის ვრცელი ლიტერატურის გაცნობა ზედმეტ შრომად მიაჩნია, მას შეუძლია იხილოს კ. კეკელიძის ნაშრომი — „ქართული ლიტერატურის ისტორია“, 1941, ტ. II).

რეცენზიის მამხილებელი პათოსი, ძირითადად, სწორედ ამ უკანასკნელ საკითხს — არაბული კულტურიდან ქართულ სარაინდო კულტურაში სესხების საკითხს ეხება და პატ. რეცენზენტს იგი იმდენად არსებითად მიუჩნევია, რომ პოლემიკის „აქრძალულ ილეთსაც“ კი მიმართავს ჩვენი შეხედულების გაუბრალოება-გაყალბების გზით. „მინც რას წარმოადგენს ეს ბედუნიური პოეზია, რომელიც ნ. ნათაძეს ქართული საერო მწერლობის და ევროპული სარაინდო ლიტერატურის სათავედ მიაჩნია?“ — კითხულობს რეცენზენტი და პასუხობს: „მის ამოწურავ შეფასებას კვითხულობთ თანამედროვე არაბი ლიტერატურის ისტო-

რიკოსის ხანა ალ-ფახურის შრომაში „არაბული ლიტერატურის ისტორია“, მოსკოვი, 1959 წ. იგი წერს: „ისლამადელი პოეზიის იდეები მეტად მარტივია. ეს იდეები ბედუნიის გარემომცველი სამყაროს ღვიძლი შვილია. პოეტი არც ცდილობს შეეხოს რთულ და ღრმა იდეებს. მისი აზროვნება ისევე პრიმიტიულია, როგორც მისი ცხოვრება. ესაა მიზეზი იმის, რომ ისლამადელ პოეზიაში თითქმის სრულიად არ გვხვდება აზრთა ლოგიკური თანმიმდევრობა... ისლამადელ პოეტთა გრძნობებიც ასევე პრიმიტიულია...“ ბედუნიური პოეზიის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლის — იმრ ულ-ყაისის პოეზიას ალ-ფახური ასე ახასიათებს: „იმრ-ულ-ყაისის ლირიკა, — ეს არის ლირიკა უხეში მოურიდებლობისა და აშკარა ნატურალიზმისა. პოეტის მონათხრობი ამბები, ისე როგორც მთელი მისი ცხოვრება, სავესეა გაშიშვლებული უნამუსობით...“ „ამ პოეზიაში იღებს სათავეს რუსთველური „ქალის კულტი“ და სასიყვარულო წარმოდგენები?“ — დასძენს პატ. რეცენზენტი ამ ციტატას.

ამ მსჯელობაში დაახლოებით იმდენივე შეცდომაა, რამდენიც დებულებაა. ჯერ ერთი, იმრ-ულ-ყაისი არ არის ისე ხელწამოსაკრავი პოეტი, როგორც ეს რეცენზენტს ჰგონია და ამაში შეიძლება რეცენზენტის მიერ ციტირებულ ხანა ალ-ფახურიზე ბევრად უფრო დიდი ავტორიტეტები დავიმოწმოთ (ნიკოლსონი, არბერი და სხვ., რაც შეეხება ხანა ალ-ფახურის შრომას, იგი თვითონ მეტად პრიმიტიული მეთოდოლოგიით არის დაწერილი და სრულებით არაა სარწმუნო თავის იმ ნაწილში, რომელიც ლიტერატურულ თხზულებათა ანალიზს შეეხება). მართალია, იმრ-ულ-ყაისის „იდეები“ მეტად პრიმიტიულია, მაგრამ ასევე პრიმიტიულია ჰომეროსის იდეებიც, გარემოც და მორალიც, რამაც ხელი არ შეუშალა ჰომეროსს მომდევნო ეპოქების მწერლობა-



პელმთან ვიზიტის შესახებ, რომელმაც მას გულთბილი მიღება მოუწყო. ვილ-პელმის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ევროპის ყურადღება მიუპყრია და ეს ვიზიტი შეფასებული იქნა, როგორც გერმანიის სურვილი რუსეთთან დაახლოებისა.

წერილში მითითებულია, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გერმანიისა და რუსეთს შორის საგრძნობი წინააღმდეგობანი გამოვლინდა. ამ მომენტისათვის კი უნდა მომხდარიყო სააღმსრებლო ხელშეკრულების განახლება, რაც ურთიერთმეგობრული დამოკიდებულების დამკვიდრების მომასწავებელი გახდებოდა. ილიას აზრით, რუსეთ-გერმანიის ასეთი დამოკიდებულება არ აწყობდა საფრანგეთს. უკანასკნელს ინგლისმა შეურყია პოზიცია ეკვიპტეში. «საფრანგეთის მოქიშპეები ინგლისი და იტალია ბევრ ღონეს ხმარობენ ხელიდან გამოაცალონ საფრანგეთს ხმელთაშუა ზღვა და შეტყუა დაიწყო კიდევ, როდესაც საფრანგეთის მდგომარეობა შეირყა პანამაში. ამაზე ინგლისი წააქეზა „სამთა კავშირმა“»¹⁷.


გერმანიამ, — განაგრძობს ავტორი, — ინგლისი და საფრანგეთი გადაჰკიდა ერთმანეთს ეკვიპტის საკითხზე და თვითონ დაუმეგობრდა რუსეთს. მისი პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ ხუთი სახელმწიფოს ძალდატანებით საფრანგეთს შეამცირებინოს ჯარი და ამით უშიშარი გახადოს იგი. თუ გერმანია ამას ვერ მიაღწევდა, მისი პოლიტიკა მიმართული იქნებოდა იქით, რომ საფრანგეთისათვის რუსეთი და ინგლისი ჩამოეცილებინა და საომრად მარტო დაეხელთებინა.

გაზეთის 1894 წლის 24 და 26 აგვისტოს ნომრებში (№№ 182, 183) დაბეჭდილი წერილები ეძღვნება „სამთა კავშირში“ შემავალი ქვეყნების ურთიერთგაგებისა და ერთიანი პოლიტიკის საკითხს, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენდა ევროპის ქვეყნების მდგომარეობაზე. წერილში მითითებულია, რომ ამ ქვეყნების მთლიანობა ირღვევა, რადგან თავი იჩინა ურთიერთუნდობლობამ. კერძოდ, ჯერ იტალიამ იბრუნა პირი საფრანგეთისაკენ, შემდეგ კი ავსტრიამ. თავისი მოკავშირეების ასეთი პოზიციის შედეგად გერმანია იძულებული გახდა თვით დადგომოდა საფრანგეთთან საერთო ენის პოვნისა და მისი გულის მოგების გზას: დაიწყო მოლაპარაკება ჯარებისა და შეიარაღების შემცირების საკითხზე. გერმანია იძულებულია ეს გააკეთოს, რადგან მისი ეკონომიკა ვერ უძლებს დიდ სამხედრო ხარჯებს და შესაძლოა დამარცხდეს ყოველგვარი ომის გარეშე. უფრო დიდ გაჭირვებაშია იტალია. დიდი ვალებით იგი გაკოტრებამდგა მისული, რასაც იწვევს გაუთავებელი საომარი მზადება.

შემდეგ წერილის ავტორი ამხვილებს ყურადღებას იმ საკითხზე, რომ ევროპას სხვა საზღვრებზე გაუჩნდა, ყველა სახელმწიფოში იწყო გაძლიერება ანარქისტთა კავშირებმა და სახელმწიფო მესვეურნი ნაკლებად იცლიან საგარეო პოლიტიკისათვის. ამას დაერთო ჩინეთ-იაპონიის ომი, რომელიც ძირითადად კორეის საკითხის გამო ატყდა და რომლისადმი არანაკლებ ინტერესს იჩენენ რუსეთი და ინგლისი. ევროპის სახელმწიფოები მოთმინებით ელიან ამ ომის დამთავრებას. მისი შედეგები განსაზღვრავენ ევროპის ქვეყნების შემდგომ საერთაშორისო დამოკიდებულებას.

ილია ფიჭრობს, რომ გერმანიის საფრანგეთისაკენ შემობრუნება ვილპელმის ერთგვარი უკანდახევა უნდა იყოს. ვილპელმი ისეთი პირია, რომელიც თან

17 „სამთა კავშირი“: გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის სამხედრო მხედველობაში. 2. „მაინე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 2





ზე უდიდესი გავლენა მოეხდინა. მეორეც, ჩვენ არსად არ ვამტიკებთ, რომ ქართულ მწერლობაზე ან ევროპულ პოეზიაზე იმრ-ულ-ყაისმა გავლენა მოახდინა. პირიქით, იმრ-ულ-ყაისის ბწყკარედი ჩვენ მოგვყავს იმის საილუსტრაციოდ, რომ მისი „მულაკიდან“ არ გამოიყვანება ქალის რაინდული კულტი, როგორც ამას ზოგი ფიქრობს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სამიჯნურო ლიტერატურის მოტივების სესხებაზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს (და ამას ნათლად ვუთითებთ) არა ბედნიერი პოეზია VI საუკუნისა, არამედ სახალიფოს განვითარებული ლიტერატურა ორისამი და მეტი საუკუნით გვიან, რომელიც ცივილიზაციისა და კულტურის სულ სხვა დონეზე დგას. მესამეც, ჩვენ არსად არ ვამბობთ, რომ არაბულმა გავლენამ განსაზღვრა სამიჯნურო კულტი საქართველოში ან დასავლეთ ევროპაში. პირიქით, არაბული, ქართული და დასავლეთ ევროპული ლიტერატურის შედარებით ჩვენ იმ დასკვნამდე მივიღვართ, რომ სამიჯნურო კულტს საქართველოში და დასავლეთ ევროპაში აქვს საერთო თვისებები, რომელიც არაბულ წყაროებს არა აქვთ და რომ, მაშასადამე, ეს თვისებები არაბულ გავლენაზე ვერ დაიყვანება. ესენია საკუთრივ „კულტი“ ქალისა, ანუ სიყვარულის ამამაღლებელი ძალის რწმენა და სატრფოს „სამსახურის“ მცნება ხმლითა და კეთილი საქმით (შევენიშნავთ ფრჩხილებში, რომ ეს დებულებაა სწორედ ის „ახალი“, რასაც რეცენზენტი ჩვენ შრომაში ვერ ხედავს). დაბოლოს, ჩვენ არსად არ გვითქვამს, რომ ვეფხისტყაოსანში დახატული სიყვარული დაიყვანება ყველა ამ ლიტერატურულ მოტივზე, რომელთა მიგრაციასაც ჩვენ ზემოთ შევხებთ. რუსთველი, მართალია, იცნობს კიდევ და სცნობს კიდევ რაინდული სიყვარულის მცნე-

ბებს, მაგრამ მის მიერ სიყვარულის ხატვა, როგორც უკვე ვთქვით, ამ მცნებებზე არ დაიყვანება (იხ. ჩვენი წერილი, გვ. 151—153).

ნუთუ ეს ყველაფერი ჩვენს წერილში ისე ბუნდოვნადაა ნათქვამი, რომ პატ. რეცენზენტს მხედველობიდან გამოორჩა? ჩვენ ნათლად გვაქვს გავლებული სადემარკაციო ხაზი, თუ სად თავდება არაბული გავლენა სამიჯნურო კულტის ჩამოყალიბებაზე საქართველოსა და დასავლეთ ევროპაში და სად იწყება დასახელებული ქრისტიანი ხალხების დამოუკიდებელი შემოქმედება ამ დარგში. შემდეგ, ასევე ნათლად გავლებული გვაქვს ზღვარი რუსთველის პოემის იმ სატრფიალო მოტივებს შორის, რომელიც მას საერთო აქვს თავის თანამედროვე ქართულ მწერლობასთან (ესაა მიჯნურობის რაინდული კულტის მცნებები) და იმ მოტივებს შორის, რომელიც მისი პირადი პოეტური ინტუიციის ნაყოფია. მას შემდეგ — და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გავლენის საზღვრები მოვხაზეთ, შეგვიძლია ჩვენ მკვიდრი, სარწმუნო და მეცნიერულად დასაბუთებული მსჯელობა პოეტის ორიგინალობის ხარისხსა და ხასიათზე. ნუთუ პატ. რეცენზენტს სურს, რომ რუსთველის ორიგინალობის დებულება, ამ მყარი მეცნიერული საბუთიანობის მაგიერ, მხოლოდ დეკლარაციულ განცხადებებს ემყარებოდეს? ან იქნებ მას ჰგონია, რომ რუსთველმა, სახალხო მოქმედების მსგავსად, მხოლოდ თხზვაცოდა და კითხვა არა, რომ იგი თავისი დროის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიტერატურის ცოდნის გარეშე მუშაობდა?

ახლა მთავარი საკითხი: იყო თუ არა მართლაც რუსთველის ეპოქის საქართველოში ქალის კულტი? დიახ, იყო და რეცენზენტის ლიტონი განცხადება, თითქოს ეს რამდენიმე მკვლევარის ფანტაზიის ნაყოფია, ვერაფერს აკლებს იმ ნათელ ფაქტებს, რომლებიც ამას



მოწმობენ. რეცენზენტს ტყუილად ჰგონია, რომ ქალის თაყვანება, რომელიც ვეფხისტყაოსანში აისახა, იგივეა, რაც ქალის ტრადიციული პატივისცემა საქართველოში, რომელიც, მისი სიტყვით, პროტოხეთური სამყაროდან მოდის. ქალის პატივისცემა ვრცელდება საერთოდ ქალზე — დედაზე, დაზე, ცოლზე, ნათესავსა და უცხოზე. ქალის თაყვანისცემა, რომელიც ვეფხისტყაოსანშია გამოხატული — უფრო მეტიც, რომელზედაც აგებულია ვეფხისტყაოსანი — მხოლოდ სატრფო ქალის თაყვანისცემას ნიშნავს. სატრფო ქალს რაინდი უნდა ემსახუროს — მისთვის, მისი ინტერესებისათვის, მისი ხათრით, მის ღირსად გახდომისთვის გვიზობა და კეთილი საქმე უნდა ჩაიდინოს. სიყვარული ადამიანს ამაღლებს: ვისაც სურს, რომ სიყვარულის ღირსი იყოს („მიჯნურთ ზნეობა“ არ აკლდეს), ის მოვალეა, რომ ყველა იმ ღირსებით იყოს შემკობილი, რომელიც პროლოგის 23-ე სტროფშია ჩამოთვლილი. აი, სწორედ ამ ორ წარმოდგენას, რომელიც საფუძვლად ედება რეალურ სატრფიალო ურთიერთობასაც და ლიტერატურულ სამიჯნურო მოტივსაც გარკვეულ ეპოქებში და ქვეყნებში (პირველი — სიყვარული ამამაღლებელი ძალაა და მეორე — სატრფოს უნდა ემსახურო ხმლითა და კეთილი საქმით) ეწოდება ქალის კულტი. ჩვენ არ შეგვიმოწმებია „მოსკოვში გამოცემული ფრანგული ლიტერატურის სახელმძღვანელო“, საიდანაც, პატ. რეცენზენტის ცნობით, მას ამოკრეფილი აქვს თავისი ინფორმაცია ევროპული სარაინდო პოეზიის შესახებ. მაგრამ ეს ცნობა, ალბათ, იქაც არის, იმიტომ რომ არ შეიძლება არსებობდეს შუა საუკუნეთა ლიტერატურის სახელმძღვანელო, რაც უნდა მოკლე იყოს იგი, რომელშიც ეს ფაქტი, გაკვრით მაინც, ნახსენები არ იქნება. ისტორიული და ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებების შინაარსი რომ გაეთვა-

ლისწინებინა, პატ. რეცენზენტი, უთუოდ, იმასაც შენიშნავდა, რომ მის მიერ მოტანილი ციტატი ივ. ჯავახიშვილის შრომიდან მის საწინააღმდეგოდ მეტყველებს: „რაინდული სიყვარული“, რომელზედაც ი. ჯავახიშვილი ლაპარაკობს, „ქალის კულტის“ სინონიმია.

ჩვენს წერილში ეს საკითხი ვრცლადაა განხილული და აქ ამ არგუმენტაციის გამეორება ზედმეტია. დამატებით მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ცნობას „ქართლის ცხოვრებიდან“. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი მოგვითხრობს, რომ შამქორის ბრძოლის წინ ქართველმა მხედართმთავრებმა ჯარს შემდეგი სიტყვებით მიჰმართეს: „...მოვიგონეთ (გავისენოთ. — ნ. ნ.) ...ვინმე გვირნი გოლიათნი, სახელის მძებრობისათვის არამრიდნი სიკუდილისანი, და ვინმე მიჯნურნი და მნათობთა მათთა მოგონებითა ყოვლად უწყალოდ მქნელნი ჯორცთა და სულისანი. აჰა, ჩუენცა კელნი ჯრმლად და სულნი ღმრთად“ („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 70).

თუ მხედართმთავრებმა ჯარს ამ სიტყვებით მიმართეს, ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე ათეული ათასი მეომარი მართლაც „ქალის კულტის“ აღმსარებელი ყოფილა და თავისი სატრფოსთვის სისხლის დაღვრას იყო მონდომებული. თუ მემატინანე ამ ფაქტსაც „აღამაზებს“, როგორც პატ. რეცენზენტი სხვა ფაქტებთან დაკავშირებით ფიქრობს, მაშინ იმას მაინც ხომ ნიშნავს ეს ცნობა, რომ მემატინანის მკითხველ საზოგადოებაში, ე. ი. თამარის კარზე, სატრფოს სამსახური ხმლითა და საგმირო საქმით, მართლაც საყოველთაოდ ვაზიარებული რწმენა ყოფილა!

ახლა ორიოდგე სიტყვა დასაველეთ ევროპის კურტუზული ლიტერატურის არაბული წყაროების თეორიაზე, რომლის შესახებაც პატ. რეცენზენტი მსჯელობს. „ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში“, რომელიც პატ. რეცენზენტმა ერთხელ უკვე დაიმოწმა, თურ-

მე, წერია: „მუსულმანი ხალხების ენა და კულტურასთან დასავლეთ ევროპული ხალხების მცირე ნაცნობობა გვაფიქრებინებს, რომ ორივე შემთხვევაში მსგავსი პოეტური იდეები და წარმოდგენები წარმოიშვნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად“. ამ ციტატიდან რეცენზენტი ასკვნის, რომ „მაშასადამე, ტრუბადურული პოეზიის არაბული საწყისის თეორია სრულიადაც არ ყოფილა კარგად დასაბუთებული“, როგორც ამას ნ. ნათაძე წერს. მაგრამ, ჯერ ერთი, იმაზე მსჯელობისათვის, თუ როგორაა „დასაბუთებული“ ესა თუ ის თეორია — კარგად თუ ავად — თვით ამ თეორიის ავტორთა შრომებს უნდა მივმართოთ და არა მათ შეფასებას „ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში“. მეორეც, რატომ სჯერა პატ. ოპონენტს ის, რასაც ამ „ისტორიის“ ავტორებს „აფიქრებინებს“ დასავლელების მცირე ნაცნობობა აღმოსავლეთთან და არ სჯერა ის, რასაც დასახელებული თეორიის ავტორები ფიქრობენ, რა თქმა უნდა, სათანადო არგუმენტაციის მოშველებით? (ამ თეორიის ავტორები ფიქრობენ, რომ არაბული იდეები ევროპაში შევიდა ჯვაროსნული ლაშქრობებიდან და ესპანეთიდან, რომელიც იმხანად ნახევრად არაბული იყო და ნახევრად ქრისტიანული). მესამეც, ჩვენ არსად არ ვამბობთ, რომ ეს კარგად დასაბუთებული თეორია უდავო ჭეშმარიტებას შეიცავს. მაგრამ ის ფაქტი, რომ ქართულ მხატვრულსა და ისტორიულ მწერლობაში (მე-12—13 სს.) იგივე არაბული მოტივები აღმოჩნდა ნასესხები, რომელსაც ამ თეორიის ავტორები არაბული სამყაროდან ევროპაში შემოტანილად თვლიან, მეტად არსებით საბუთს წარმოადგენს ამ თეორიის სასარგებლოდ.

ამგვარად, ეს გარემოება ამ თეორიას მხარს უჭერს. მეორე გარემოება კი ამ თეორიას არა მარტო მხარს უჭერს, არა-

მედ აზუსტებს კიდევ მას. ეს ის გარემოება გახლავთ, რომ საქართველოს სინამდვილეში ჩანს ის, რაც არის დასავლეთ ევროპაში, მაგრამ არაბულ სინამდვილეში არ არის. ეს არის საკუთრივ ქალის კულტი, ქალის თაყვანება და სამსახური. მაშასადამე, ერთი და იგივე არაბული იდეები (მარტივი, ნაკლებ ჰუმანური, ნაკლებ მომხიბლავი დღევანდელი ადამიანის თვალსაზრისით), ერთი მხრივ, ქართველებმა და, მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპის ზოგმა ხალხებმა ერთი მიმართულებით გადაამუშავეს — მათ ქალის რაინდული სამსახურის ანუ კულტის სახე მისცეს. მიზეზი? — მიზეზი, როგორც ჰიპოთეზურად დავუშვით ჩვენს წერილში, ორია: ერთია ქრისტიანული რელიგია, მეორეა ფეოდალურ ურთიერთობათა ერთგვარობა საქართველოში და დასავლეთ ევროპაში, რომელიც არაბული სამყაროს სოციალური ურთიერთობებისაგან არსებითად განსხვავდებოდა.

როგორც ვხედავთ, საკითხები რთულია და ბევრია და ყოველი მათგანის გარკვევას ქართული, არაბული, დასავლეთეევროპული ისტორიული მასალების შემდგომი შესწავლა სჭირდება. შეიძლება, რასაკვირველია, ყველა ამ ხალხთა ლიტერატურისა და ისტორიის გაღრმავებულმა შესწავლამ ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობას ნიადაგი გამოაცალოს (ბევრი ამაზე „უდავო“ თეორიებიც დარღვეულა). მაგრამ ამას მასალები და საბუთიანობა სჭირდება. ჯერჯერობით კი ჩვენ საამისო საბუთებს ვერ ვხედავთ.

დასასრულ, პატ. რეცენზენტის რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომის შესახებ (მოვეყვებით რეცენზიას თავიდან).

1. პატ. რეცენზენტს მიაჩნია, რომ ქართული „რენესანსის საკითხის გადაწყვეტა“ არ არის დამოკიდებული იმაზე, „თუ როგორ გადავწყვეტთ საქართველოში სიყვარულისა და ქალის კულტის გაჩენის საკითხს“. ჯერ ერთი, „სიყ-

გარულის კულტი“ არ არსებობს (არსებობს მხოლოდ „ქალის კულტი“) მეორეც, რენესანსული ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარი სპეციფიკური მოტივი, რომელიც მას შუა საუკუნეებისგან ასხვავებს, სწორედ სიყვარულის მოტივია, რადგან ამ მოტივის ლიტერატურაში ეკლესია ყველაზე მეტად ებრძოდა.

2. რომ ქალის კულტი საქართველოში მე-12 საუკუნეში გაჩნდა, ეს, ავალიშვილისა და ნ. ნათაძის გარდა და მათზე აღრე, თქვა ნ. მარმა (1910 წ.) და ბევრმა მკვლევარმა და პუბლიცისტმა გაიმეორა.

3. ჩვენს წერილში ლაპარაკია არა „მორალურ“ წარმოდგენებზე სიყვარულის შესახებ, არამედ „მთარულ“ წარმოდგენებზე ანუ გავრცელებულ წარმოდგენებზე. თუ სადმე კორექტურული შეცდომით „მორალური“ ეწერა, პატ. რეცენზენტი უნდა მიმხვდარიყო, რომ „მორალური“ აქ უაზრობა იყო.

4. დებულება, რომ „ვეფხისტყაოსნის გმირებს სატრფოს გულის მონადირება სრულიად არ სჭირდებათ“, რადგან მათ თვით ქალები უმხელენ სიყვარულს, პოემის სრულ გაუგებრობას ნიშნავს. რატომ ცდილობენ გმირები სტრფოს „თავი კარგად გააჩვენონ“? რატომ უარყოფს ტარიელი ქაჯეთის ციხესთან ავთანდილის გეგმას იმის შიშით, რომ ნესტანის თვალში მისმა მეგობრებმა არ დაჩრდილონ? ნუთუ პატ. რეცენზენტს ჰგონია, რომ, ავტორის ჩანაფიქრით, თუ ტარიელი ან ავთანდილი თავისი სატრფოს თვალში უსახელოდ გამოჩნდებიან ან მიჯნურის რონელიმე მოვალეობას თავიდან აიცილებენ, მათი სატრფო მათ სიყვარულს არ უარყოფს?

5. მართალია, ვეფხისტყაოსანში ქალი უმხელს კაცს სიყვარულს და არა პირიქით, მაგრამ ეს მხოლოდ მეფე-ქალისადმი უკიდურესი რიდის გამოხატულებაა და არ ნიშნავს, რომ სიყვარულში

კაცს ინიციატივა არაა. გორ ჰგონია პატ. რეცენზენტს: რუსთველის კონცეფციის მიხედვით წარმოსადგენია, რომ თინათინმა ან ნესტანმა სიყვარული გაუმხილონ ავთანდილსა და ტარიელს, თუ წინასწარ არ ეცოდინებოდათ, რომ ვაჟის გულს ისინი უკვე ამორჩეული ჰყავს? (ამას პოემაში მხოლოდ ფატმანი სჩადის, მაგრამ ეს რუსთველური „მიჯნურობის“ მცნებებს არ ეხება).

6. მართალია, ტრუბადურული პოეზია და კურტუზული „ქალის კულტი“ გამოუმუშავდა როგორც ქმრიანი ქალისადმი ტრფიანობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სატრფოს გულის მონადირების იგივე მეთოდები, რაც გათხოვილი მანდილოსნისთვისაა განკუთვნილი, ქალწულზედაც არ ვრცელდება. კერძოდ, ეს ხდება ეპიკაში. მაგ., „ნიბელუნგების სიმღერა“ სარაინდო ანუ კურტუზული კულტურის ნაწარმოებია, მაგრამ ზიგფრიდის მიერ ქრიმპილდეს საცოლედ მოგება სწორედ რაინდული სიყვარულის მცნებათა მიხედვით წარმოებს (მღრ. აგრეთვე „პარციფალი“). ასე რომ, ამ მხრივ ვეფხისტყაოსანში მოცემული „ქალის კულტის“ გავრცელება ქალწულ მეფეზე არაფერს გასაკვირს არ შეიცავს.

7. სატრფოსადმი ერთგულება „ვეფხისტყაოსანში“ მართლაც არსებობს როგორც პირობითობა (იხ. პროლოგის სტროფები 25, 26), ოღონდ ჩვენ არ ვიცით, რატომ უნდა გვეხსენებინა იგი უფრო „ფერიანად“, ვიდრე ყველა დანარჩენი პირობითობები? მაგრამ თუ პატ. რეცენზენტს ჰგონია, რომ ერთგულების გრძნობა პოემაში მხოლოდ პირობითობას ემყარება, იგი ცდება. ეს არის არა მხოლოდ პირობითობა, არამედ ცხოველი და უშუალო ემოცია (იხ. ავთანდილის ტანჯვა ფატმანის ეპიზოდში).



8. ფატმანის მიმართ რუსთველი არ ხმარობს სიტყვას „სიძვა“, როგორც პატ. რეცენზენტს ჰგონია.

9. „მიჯნურობა“ რომ რჩეულთა ხვედრია, ეს, სხვა რომ არაფერი იყოს, პროლოგის 23-ე სტროფშია ნათქვამი. ფატმანს „აკრძალული“ კი არ აქვს მიჯნურობა, როგორც პატ. ოპონენტს ჰგონია, არამედ იგი მისთვის მიუწევდომელია: ფატმანი არ არის ის სრულყოფილი ადამიანი, რომელიც მაღალი სიყვარულისთვის ანუ მიჯნურობისთვის არის მოწოდებული.

10. პატ. ოპონენტს მოჰყავს კომპოზიტები, სადაც „დედობითი სქესის წარმომადგენელი პირველ ადგილზეა“ და ამითი ქალის ტრადიციულ პატივისცემას ამტკიცებს („ქალ-ვაჟი“, ანუ ქალი და ვაჟი, „და-ძმა“, ანუ და და-ძმა და ა. შ.). მაგრამ ენის არა მარტო ლინგვისტური, არამედ პრაქტიკული ცოდნის სისუსტეზე მეტყველებს, როდესაც ამათ რიცხვში დასახელებულია „დედამიწა“, „დედაბოძი“, „დედაკაცი“. მაშ გამოდის, რომ „დედამიწა“ ნიშნავს: „დედა და მიწა“, „დედაბოძი“ ნიშნავს: „დედა და ბოძი“, „დედაკაცი“ ნიშნავს: „დედა და კაცი“?

11. „ნიკოლოზ გურაბანიძე“ საქართველოს ისტორიამ არ იცის. მან იცის თამარის თანამედროვე კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე, რომელმაც

თავისებური „თეორიული“ გამოკვლევა დაწერა ქალთა უფლებებზე საქართველოში თამარის მეფობის გამართლების მიზნით. ამ შრომის საბაზია იმის გარკვევა, თუ რატომ მოავლინა ღმერთმა ჩვენში ქრისტიანობის საქადაგებლად ქალი — წმ. ნინო — და არა მამაკაცი. ამის ერთ-ერთ მიზეზად (რიცხვით მესამედ) ავტორს დასახელებული აქვს „ღირსებაი დედათა პატივისაი“. ამგვარად, ქალი განმანათლებლის გამოგზავნის მიზეზი საქართველოში, ავტორის აზრით, ჩვენში არსებული ქალის პატივისცემა იყო. პატ. რეცენზენტი, პირიქით, ფიქრობს, რომ ქალის პატივისცემა ჩვენში ქრისტიანულ ეპოქაში ღვთისმშობლისა და წმ. ნინოს როლმა განაპირობა (მაშინ რაღა იქნა „პროტოხეტური სამყაროდან მომდინარე“ ქალის პატივისცემის ტრადიცია?) უნდა ითქვას, რომ მე-12 საუკუნის კათალიკოსის კონცეფცია ამ საკითხში უფრო მეცნიერულია და უფრო ახლოა სოციალურ თვალსაზრისთან ისტორიულ მოვლენებზე, ვიდრე პატ. ოპონენტისა: ნიკოლოზ გულაბერისძე კერძო ფაქტს ხსნის სოციალური ფონით, იმდროს როცა პატ. რეცენზენტი მთელ სოციალურ გარემოს ორი კერძო ფაქტით (უფრო ზუსტად: ორი ლეგენდით) ხსნის.

ზემოთქმულით პატ. რეცენზენტის დებულებები ამოიწურება.

ნოღარ ნათაძე

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ)

6.62/120



ფასი 1 მან.

Индекс 76.198